მაია აქუსიშვილი

[ჭიშკრის ღიობის ცვეტაკრი]

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 61

გაიუს იულიუს ცეზარი იყო ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. მის შესახებ თანამედროვეებიდან დაწყებული დღემდე, ორი ათასი წლის მანძილზე, დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა, მაგრამ ქართულ ენაზე დიდხანს არ გაგვაჩნდა არაფერი.

1957 წ. დოც. აკ. ურუშაძემ გამოაქვეყნა ძველი ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს ცეზარის ბიოგრაფიის ქართული თარგმანი, ხოლო პროფ. გ. კ. გოზალიშვილმა 1958 წ. ქართულ ენაზე გამოსცა ძველი რომაელი ისტორიკოსის სვეტონიუსის მიერ დაწერილი ცეზარის ბიოგრაფია და ცეზარის თანამედროვე ისტორიკოსის სალუსტიუს კრისპის ორი წერილი ცეზარისადმი.

წინამდებარე მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში ავტორს მიზნად აქვს დასახული ცეზარისდროინდელი რომის ისტორიის მღელვარე ეპოქასთან კავშირში მოგვცეს თვით ცეზარის პიროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათება მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

გაიუს იულიუს ცეზარის (100-44 წწ.) მოღვაწეობა მისი თანამედროვეებიდან დაწყებული დღემდე სხვადასხვაგვარად არის გაგებული და შეფასებული. ზოგი მის სიდიადეს მარტოოდენ სამხედრო გენიაში ხედავს, ზოგიც პოლიტიკაში, ზოგი მას უნიჭიერეს ტირანად და მონარქად მიიჩნევს, ზოგი კი უდიდეს დემოკრატად და ა. შ. ძველი წელთაღრიცხვის 51 წელს ცნობილი ისტორიკოსი სალუსტიუს კრისპი სწერდა მას: „შენ უკვე იმდენად გადააჭარბე სხვებს, რომ ადამიანები უფრო ცალე დაიღლებიან შენს საქმეთა შექებაში, ვიდრე შენ მოიმოქმედე ის, რაც ღირსია შექების“. ცოტა უფრო გვიან (სამოქალაქო ომის პერიოდში), იგივე სალუსტიუს კრისპი წერდა, რომ თუკი განუკურნებელ სენით, ან ბედის სიმუხთლით არ უწერია სიკვდილი რომის სახელმწიფოს და თუ შენ აღადგენ მის ძველ ძლიერებას, მაშინ შენი სახელი აღემატება ყველა მომაკედავის სახელს და შენი სიკვდილი იქნება სიცოცხლეზე უფრო სასახელოო..

ცეზარის სიკვდილის შემდეგ კი, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ორატორი მარკუს ტულიუს ციცერონი მის შესახებ წერდა: „ცეზარის ყველა საქმენი, მისი ლიტერატურული ნაწარმოებნი, მისი დიდება, მისი აღთქმანი, მისი აზრები, მისი სიკვდილის შემდეგ უფრო მეტი ძალისაა, ვიდრე მისი სიცოცხლის დროს“.

რომის გამოჩენილ ადამიანთა შორის ცეზარს ყველაზე მაღლა აყენებდა ძველი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე (46–120 წ. წ.): „ცეზარმა დაამტკიცა, რომ იგი, ვითარცა მეომარი და სარდალი, არც ერთ სახელგანთქმულსა და დიდებულ მხედართმთავარს არ ჩამოუვარდებოდა წინამძღოლობაში. მართლაც, ჩვენ რომ მას შევუდაროთ ფაბიუსები, სციპიონები და მეტელუსები, ან კიდევ მისი თანამედროვე და მასზე მცირე ხნით ადრე მცხოვრები პირები — სულა, მარიუსი, ორივე ლუკულუსი და თვითონ პომპეუსიც, რომლის დიდებაც სხვადასხვა ბრწყინვალე საომარ საქმეთა წყალობით მაშინ ზეცამდე აღწევდა, დავრწმუნდებით, რომ ცეზარის საგმირო საქმენი ყველა მათ დიდებას აღემატება. პირველთ მან აჯობა იმ პირქუში ადგილმდებარეობის დაძლევით, რომელშიაც იგი ომს აწარმოებდა, მეორეთ — დაპყრობილი ქვეყნის სივრცით, მესამეთ — ურიცხვი და ძლიერი მტრის დამარცხებით, მეოთხეთ — მოწინააღმდეგის ფრიად ველურსა და ვერაგ ხასიათთან შერკინებით, მეხუთეთ — ტყვეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებითა და მოწყალებით, მეექვსეთ — საკუთარი მეომრებისადმი გამოჩენილი გულუხვობითა და გაღებული საჩუქრების რაოდენობით და ყველას ერთად იმით, რომ მან ყველაზე უფრო მეტი ბრძოლა ჩაატარა და ყველაზე უფრო მეტი მტერი მოსპო“.

იმავე პლუტარქეს მიხედვით, ცეზარის სიკვდილი თითქოს ბუნებამაც აღნიშნა მთელი რიგი სასწაულებით. კუდიანი ვარსკვლავი შვიდ ღამეს კაშკაშებდა ცაზე და „... მთელი იმ წლის მანძილზე ფრიად მკრთალი მზე ამოდიოდა... დიდი სიცივის გამო დედამიწის ნაყოფნი ზრდასა და დამწიფებას ვეღარ ახწრებდნენ და ისე ჭკნებოდნენ“.

ანტიკური ეპოქის ისტორიკოსებიდან ცეზარის შესახებ ბევრს წერდნენ სვეტონიუსი, ტიტე ლივიუსი, აპიანე, დიონ კასიუსი, ველეიუს პატერკულუსი, ნიკოლოზ დამასკელი, მწერალი ლუკანუსი და ა. შ; შუა საუკუნეებში — პეტრარკა, ბეკონი, მონტენი, შექსპირი და სხვა. მათთვის დამახასიათებელი იყო ცეზარის იდეალიზაცია.

ცეზარის შესახებ ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში შექმნილ ამ პანეგირიკულ ლიტერატურას შემდეგ კიდევ ბევრი მიემატა და მე-18—19 საუკუნეებში მისი ნამდვილი კულტი შეიქმნა. ამ კულტის ნიშანდობლივი ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ ცეზარი ისტორიული პროცესის მთელი შემდგომი მსვლელობისათვის მიძართულების მიმცემად გამოაცხადეს. ამ შეხედულების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელი, ისტორიკოსი თეოდორ მომზენი 1860 წლებში წერდა: „ხუთნახევარ წელიწადში—ალექსანდრეს (მაკედონელის, მ. ა.) ბატონობის ნახევარზე ნაკლებ დროში — რომი მონარქის სახით მართავდა ცეზარი. იმ შვიდი დიდი ომის შუალედებში, როცა მას საშუალება ჰქონდა სატახტო ქალაქში დაეყო არა უმეტეს 15 თვისა, მან განსაზღვრა მსოფლიოს ბედი თანადროულობისა და მომავლისთვისაც". ამ პერიოდშიო, წერს მომზენი, „ძირითადი ხაზები მონიშნული იქნა და ახალი სახელმწიფო ამ სახით სამუდამოდ შექმნილი; ამ მშენებლობის დამთავრება კი შეეძლო მხოლოდ უსასრულო მომავალს". ცეზარის ნამოქმედართა შედეგიო, აღნიშნავს მომზენი, „ახლაც კიდევ განსაზღვრავს მსოფლიოს ბედს. ...ის მუშაობდა და ჰქმნიდა ისე, როგორც არ შესძლებია არც ერთ მოკვდავს არც იქამდე, არც მის შემდეგ, და როგორც მუშაკი და შემოქმედი მრავალი საუკუნის შემდეგაც კვლავ ცოცხლობს ხალხთა ხსოვნაში პირველი და იმავე დროს ერთადერთი იმპერატორი — ცეზარი".

იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ დიდტანიანი წიგნი დაწერა ცეზარის შესახებ. ამ წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „...ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო ცეზარი, კარლოს დიდი, ნაპოლეონი, განგება აღამაღლებს იმისათვის, რომ ხალხებს გაუკვლიონ გზა, რომელსაც ისინი უნდა გაჰყვნენ, აღბეჭდოს მათი გენიით ახალი ერა და რამდენიმე წელიწადში დაამთავროს მრავალი საუკუნის სამუშაო".

ამ გაზვიადებული შეფასების გვერდით ცეზარს ახალ დროში უარმყოფელებიც გამოუჩნდნენ. ისტორიკოს ნიჩეს აზრით, ცეზარმა ისტორიაში დამანგრეველის როლი ითამაშა და არა

აღმაშენებლის, ხოლო ფერეროს მიხედვით ცეზარი იყო გენიალური ავანტიურისტი. საერთოდ, ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ უფრო მეტად დახლართა და გააბუნდოვანა ცეზარის პიროვნებისა და მოღვაწეობის გაგება. ეს კი მათ თავიანთი მსოფლმხედველობის მანკიერების შედეგად ემართებათ. ედ. მაიერის აზრით ცეზარმა წინ გაუსწრო თავის დროს, რაც-დენადაც მისი გეგმები შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდეგ, კონსტანტინე დიდის დროსო. ამასთან, მაიერს ცეზარი მიჩნეული ჰყავს ზეკლასობრივი პოლიტიკის სახელმწიფო მოღვაწედ. ისტორიკოს ედკოკის მიხედვით ცეზარი სრულიადაც არ მიისწრაფოდა მონარქიზმისაკენ. ამავე აზრისაა ძირითადად ისტორიკოსი საიმი. 1939 წელს გამოცემულ წიგნში „რევოლუცია რომში“ იგი ამტკიცებს, რომ ცეზარი იყო კონსერვატორი და მიისწრაფოდა არა სამოქალაქო ომის გაჩაღებისაკენ, არამედ მის შედეგთა ლიკვიდაციისაკენ. ისტორიკოს გუნდოლფის მიხედვით, ცეზარის მოღვაწეობა არ აიხსნება მისი ეპოქით, არამედ მხოლოდ მისი ინდივიდუალობით, როგორც ეს სამართლიანად შენიშნა ნიცშემო. ფაშისტი ისტორიკოსები ცეზარის წარმატებებს მისი „არიული რასისადმი“ კუთვნილებით ხსნიდნენ. შემდეგ ეს აზრი გაიმეორა ბიუჩანმა, რომლის მიხედვით ცეზარმა გაიმარჯვა, როგორც ჩრდილოეთის ადამიანმა.

ცეზარის შესახებ დიდძალი ლიტერატურა გამოიცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. 1947 წ. ფრანგმა ისტორიკოსმა კარკოპინომ, ვიშის მთავრობის ყოფილმა განათლების მინისტრმა, გამოსცა ორტომიანი წიგნი: „ციცერონის მიმოწერის საიდუმლოება“. კარკოპინოს მტკიცებით, ცეზარი, მართალია, მონარქიზმისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ მისი პოლიტიკა მაღლა იდგა კლასებსა და ფენებზე და მიზნად ისახავდა გამარჯვების შემდეგ პოლიტიკური პარტიების და კლასობრივი ბრძოლების მოსპობას. კარკოპინო ცეზარს უწოდებს „უდიდესს რომაელთა შორის“ და ცდილობს ყოველმხრივ დაამციროს ციცერონი, რომ ამ ფონზე კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინოს ცეზარი.

ოჰაიოს შტატის (აშშ) მოსამართლე უილკინი ცეზარს ჰიტ-

ლერს ადარებს, ხოლო ციცერონს — ჩერჩილს. უილკინის აზრით, ცეზარს რომ კიდევ ეცოცხლა, რესპუბლიკას აღადგენდაო. ისტორიკოსი გ. ვალტერი კი თავის წიგნში („ცეზარი", 1947 წ.) უფრო მეტად კლეოპატრასა და კრასუსის ცოლთან ცეზარის რომანებს ეხება, ვიდრე იმ დიდ პრობლემებს, რომელნიც ცეზარისა და მისი ეპოქის წინაშე იდგა. მისი აზრით ცეზარის განზრახვა, გადაეტახა სატახტო ქალაქი რომიდან ალექსანდრიაში (ეგვიპტე), აიხსნება ცეზარზე კლეოპატრას გავლენით. ვალტერის მტკიცებით, ცეზარი იმდენად პოლიტიკური მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდა კრასუსთან კავშირის შეკვრის დროს (პირველი ტრიუმვირატი), რამდენადაც იმით, რომ ამ გზით დაიახლოვებდა კრასუსის ცოლს.

საბჭოთა ისტორიკოსებიდან თავიანთ შრომებში ცეზარის საკითხს ეხებიან ვ. სერგეევი, ა. მაშკინი, ს. კოვალიოვი, ა. მიშულინი და სხვა. ისინი მეთოდოლოგიურად სწორად უდგებიან ცეზარის საკითხს, როცა მის მოღვაწეობას მისი ეპოქის პირობებით ხსნიან. ამით ისინი ცეზარს აცლიან იდეალიზაციის იმ საბურველს, რომელშიც იგი ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ გაახვია.

1956 წ. შესრულდა 2.000 წელი ცეზარის მკვლელობიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი გამოიცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომლებშიაც კვლავ ხდება ცეზარის როლისა და პიროვნების გაზვიადება. ეს გასაგებიც არის, რამდენადაც კრიზისში შესული ბურჟუაზია ეძებს ახალ „ზეკაცს", რომელმაც მას „ხსნა" უნდა მოუტანოს. ამასთან, კლასობრივი ბრძოლის თეორია, რომელიც თავად ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ აღმოაჩინა მე-19-საუკუნის ორმოციან წლებში (მენიე, გიზო, ტიერი და სხვ.), ახლა აღარ აწყობთ და ცდილობენ მის შეცდომად გამოცხადებას, რითაც ისინი გასაღებს ჰკარგავენ ცეზარის პრობლემის გახსნისათვის. ყოველივე ამის შედეგად, მათი ნაშრომებიდან გამოიყურება ან გაზვიადებული, ან დამცირებული კარიკატურა ცეზარისა და არა თვითონ ის ისტორიული ცეზარი, რომელსაც ფ. ენგელსი დიდ ადამიანთა რიცხვს აკუთვნებდა. დიდ ადამიანთა როლს კი ის-

ტორიაში მარქსიზმი სრულიადაც არ უარყოფს, მაგრამ მას არც ისეთ გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს, როგორც ამას იდეალიზმი აკეთებს და არც არარაობამდე დაჰყავს, როგორც ეს ფატალიზმიდან გამომდინარეობს.

ისტორიაში დიდი ადამიანის როლის საკითხმა ადრევე მიიქცია ყურადღება. ოცდაოთხი საუკუნის წინ მას სპეციალურად ეხებოდა არისტოტელე თავის ცნობილ „პოლიტიკაში“. არისტოტელეს აზრით, დიდი ადამიანების როლის უარყოფა ნიშნავს მათ გათანაბრებას დანარჩენ ადამიანებთან. ეს კი, ამბობს არისტოტელე, იმას ნიშნავს, რაც ეზოპეს ერთ იგავში კურდღლებმა მოითხოვესო. კურდღლებმა ცხოველთა გაერთიანებულ კრებაზე მოითხოვეს ყველა ცხოველის (მათ შორის საკუთარი თავის) ლომებთან გათანასწორება. ამაზე ლომებმა ასე უპასუხეს: „ფეხებბანჯგვლიანებო, მაგ სიტყვების გასამართლებლად თქვენ ისეთივე ბრჭყალები და კბილები უნდა გქონდეთ, როგორიც ჩვენ გვაქვსო“.

არისტოტელეს მიხედვით ცხოველებში ამ უთანასწორობას საფუძვლად უდევს განსხვავება ფიზიკურ ძალაში, ადამიანების განსხვავებას კი გონებრივი განვითარება განსაზღვრავსო. და რადგან შეუძლებელია ადამიანთა გათანაბრება გონებრივი განვითარების მხრივ, ამიტომ შეუძლებელია მათი გათანაბრება უფლებებშიც. დიდი ადამიანები დიდნი არიან თავიანთი გონებით, ამიტომ მათ უფლება აქვთ შექმნან კანონები, რომელთაც უნდა დაემორჩილონ სხვები და რომელნიც სავალდებულონი არ არიან თვით მათთვის.

აქ არისტოტელე ფაქტიურად იმეორებს სოლონის მეგობრის, სკვითი ფილოსოფოსის, ანაქარსისის, შეხედულებას კანონის შესახებ. კანონი აბლაბუდაა, რომელშიაც წვრილი და უღონო მწერები ებმებიან, მაგრამ რომელსაც მსხვილნი და ღონიერნი გლეჯენო.

დიდი ადამიანების როლის საკითხში არსებობს ერთმანეთის გამომრიცხველი მეტაფიზიკურ-ფატალისტური და იდეალისტური შეხედულებანიც. პირველის გაგებით, დიდი ადამიანები არ არსებობენ, რადგან ისტორიულ პროცესში საერთოდ

ადამიანებს არაფერი ისეთი არა აქვთ გასაკეთებელი, რომ გამოჩნდეს მათი სიდიდე ან სიპატარავე. ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, როგორც ეს უნდა მომხდარიყო კიდეც ქვეყნის დასაბამიდან, თვით განგების მიერ დადგენილი განჩინების მიხედვით.

ეს განგებითი მსოფლგაგება მეტად ძველია, რამდენადაც იგი რელიგიასა და თეოლოგიასთან არის დაკავშირებული. მას საკმაო ადგილი ეჭირა როგორც ანტიკურ, ისე შემდგომი დროის ისტორიასა და ლიტერატურაშიც. რადგან ამ მეტაფიზიკურ-ფატალისტური გაგებით ყველა მოვლენა მხოლოდ ისე ხდება, როგორც ის უნდა მომხდარიყო კიდეც განგების განჩინებით. ცხადია, ადამიანს არც მათი შექმნა შეუძლია, არც მათი შეცვლა, რის გამოც მისთვის არ რჩება არავითარი სარბიელი და შესაძლებლობა გახდეს „დიდი ადამიანი“.

ჰეგელი თვლის, რომ დიდი ადამიანები არსებობენ, მაგრამ როგორც სამყაროს შემქმნელი მსოფლიო სულის წარმომადგენელნი მიწაზე. „მსოფლიო ისტორიულ პიროვნებათა მოწოდება, — წერდა ჰეგელი „ისტორიის ფილოსოფიაში“, — იმაში მდგომარეობდა, რომ ყოფილიყვნენ მსოფლიო სულის ნდობით აღჭურვილნი პირნი“. თვითონ ეს მსოფლიო სული, ჰეგელის მიხედვით, აძლევს მიზანდასახულებას დიდ ადამიანებს. „მიზანი როდესაც მიღწეულია, ისინი სცილდებიან, როგორც მარცვალს ცარიელი გარსი. ისინი ადრე კვდებიან, როგორც ალექსანდრე (მაკედონელი, მ. ა.), მათ ჰკლავენ, როგორც მოკლეს ცეზარი, ანდა მათ ასახლებენ, როგორც ნაპოლეონი გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე“.

ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ერთი ჯგუფის (რიკერტი, შპენჰაუერი, ვინდელბანდი და ა. შ.) აზრით, ისტორიაში მეფობს ქაოსი, შემთხვევითი, ინდივიდუალური და განუმეორებელი მოვლენები. ყოველივე ამის გამო ადამიანებს თავიანთ მოქმედებაში არ უხდებათ შეჯახება რაიმე ობიექტური ხასიათის კანონზომიერებასთან. ამიტომ ის ადამიანები, რომელნიც შეძლებენ ამ ქაოსში გარკვეული ტენდენციის შეტანას, დიდი ადამიანები ხდებიანო.

მარქსიზმი სრულიად სხვაგვარად აყენებს ისტორიაში დი-

დი ადამიანების როლის გაგების საკითხს. აქ მარქსიზმსა და ყველა სხვა შეხედულებას შორის წყალგამყოფად პირველ რიგში ის გარემოებაა მიჩნეული, რომ მარქსიზმი გამორიცხავს ისტორიული პროცესის მსვლელობაში არ არსებული განგების, ღმერთების თუ მსოფლიო სულის ჩარევას. იგი აღიარებს, რომ „ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას". რას ნიშნავს ეს? ყველა სხვა ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც არ შეუძლია იცხოვროს წარმოების გარეშე. ეს წარმოება მას იმიტომ სჭირდება, რომ შექმნას საზრდო, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები. ამ „პირველი მოთხოვნილების საგნების გარეშე, — წერდა არისტოტელე, — არა თუ არ შეიძლება კარგად იცხოვრო, არამედ არ შეიძლება საერთოდ იცხოვრო". მაგრამ, რადგან ამავე დროს „ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური (ე. ი. საზოგადოებრივი) არსებაა" (არისტოტელე), მარტოხელად, — საზოგადოების გარეშე და მისგან იზოლირებულად, მას არც წარმოება შეუძლია და არც ცხოვრება. ამიტომ არის, რომ მატერიალური დოვლათის საწარმოებლად ადამიანები ბუნებასთან ბრძოლას (წარმოების იარაღების საშუალებით) ეწევიან, ერთად, ჯგუფებად, საზოგადოებებად.

ამ საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები თავიანთი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობაში — წარმოებით ურთიერთობაში შედიან. წარმოების იარაღებში დაწყებულ განვითარებას წინ მიჰყავს ადამიანთა საზოგადოების განვითარება და საბოლოო ანგარიშით ხდება მიზეზად თვით ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობის ხასიათის შეცვლისათვის. ამ გაგებით, ადამიანთა საზოგადოების, მისი განვითარების, მისი ცვალებადობის ისტორია გამომდინარეობს მისი საწარმოო ძალების განვითარების ისტორიიდან. ამ საწარმოო ძალებს კი ქმნიან ადამიანები, ამიტომ ისინი ქმნიან თავიანთ ისტორიასაც. მაგრამ, ის გარემოება, რომ „ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას", სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამ ისტორიას ისე ქმნიდნენ, როგორც ეს მათ მოესურვებათ, „როგორც მათ რაღაც ფანტაზია უკარნახებს;

როგორც ეს მათ მოეპრიანებათ“ (ი. სტალინი), არამედ თვით ამ ადამიანთა საზოგადოებაში ჩამარხული ობიექტური კანონზომიერების მიხედვით.

აქედან გამომდინარეობს დიდი ადამიანების როლის ყოვლისშემძლეობის იდეალისტური გაგების უარყოფა. მართლაც და, თუ ადამიანები საერთოდ ისტორიას ისე არ ქმნიან, როგორც ეს მათ უნდათ, მით უფრო ეს არ ძალუძთ ცალკეულ ადამიანებს, რაც არ უნდა დიდნი იყვნენ ისინი, ვინაიდან ის რაც არ შეუძლია მთელს, მით უფრო არ შეუძლია ნაწილს.

მაგრამ, ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების ცნობა და ის გარემოება, რომ ადამიანები ისე არ ქმნიან თავიანთ ისტორიას, როგორც ეს მათ სურთ, არ გამორიცხავს დიდი ადამიანების როლის აღიარებას. ეს როლი იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ადამიანს, თვით ამ ობიექტური კანონზომიერების ფარგლებში შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ადამიანთა საზოგადოების განვითარება, მისი საბოლოო მიმართულების შეუცვლელად. მაგრამ დაჩქარება და შენელება ძალიან არის დამოკიდებული „შემთხვევითობათაგან“, რომელთა შორის ადგილი აქვს აგრეთვე ისეთ შემთხვევითს მოვლენას, როგორიცაა იმ ადამიანთა ხასიათი, რომელნიც თავდაპირველად მოძრაობას სათავეში უდგანან“. (მარქსი).

საკითხის ამგვარი დაყენებიდან, რომ დიდ ადამიანებს შეუძლიათ ისტორიული პროცესის განვითარების ან დაჩქარება ან შენელება, გამორიცხულია ისტორიის მკეთებლებად მათი წარმოდგენა, რასაც საბოლოო ანგარიშით ეყრდნობა პიროვნების კულტი და დიდ ადამიანთა დამსახურების უზომოდ გაზვიადება.

თუ დადებითი დიდი ადამიანების როლი ისტორიული პროცესის განვითარების დაჩქარებაზე (ხოლო უარყოფითის — ისტორიული პროცესის შენელებაზე) მათი ზემოქმედებით უნდა განისაზღვროს, მაშინ მარქსისმდენა როლი ისტორიაში არავის შეუსრულებია. ვინაიდან მარქსიზმზე უფრო მეტი გავლენა საზოგადოების განვითარების ისტორიაში არც ერთ სხვა მოძღვრებას არ მოუხდენია. მიუხედავად ამისა, მარქსიზმი თვით მარქსის პიროვნებას არ ანიჭებს აქ გადამწყვეტ როლს.

რა თქმა უნდა, მარქსის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო პროგრესისათვის და, როგორც ენგელსი სწერდა ზორგეს, მარქსის გარდაცვალებით „...შემოვლითი გზები, დროებითი და ადგილობრივი ცთომილებანი, რომლებიც ისედაც გარდუვალი იყო, ახლა სულ სხვაგვარად გაიზრდებაო". მაგრამ ეს გარემოება ენგელსისათვის უიმედობის მიზეზი არ გამხდარა. მარქსის გარდაცვალების შემდეგაც, სწერდა ის ბერნშტეინს, „მოძრაობა თავისი გზით წავაო". ენგელსის ეს რწმენა იმას ეყრდნობოდა, რომ კაპიტალიზმის დამხობისაკენ მიმართული მუშათა რევოლუციური მოძრაობა ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების განვითარების შედეგი იყო. ეს კანონზომიერება კი, რომელიც, საერთოდ, ადამიანების ნებისყოფის და, მაშასადამე, არც თვით მარქსის ნებისყოფისგან არ იყო დამოკიდებული, რჩებოდა მარქსის გარდაცვალების შემდეგაც, და ამის გამო, რჩებოდა თვით მუშათა რევოლუციური მოძრაობაც.

ამგვარად, შეხედულება, რომ დიდი ადამიანები ჰქმნიდნენ ისტორიას და ისეთ მიმართულებასა და ხასიათს აძლევდნენ, როგორსაც მოისურვებდნენ, იდეალისტური შეხედულება იყო, რომელიც ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერების, ისტორიაში მასების და პიროვნების როლის არასწორი, ანტიმეცნიერული გაგებიდან გამომდინარეობდა.

ასევე იდეალისტური და ანტიმეცნიერული იყო დიდი ადამიანების გაჩენის ეპოქის მოთხოვნილებასთან დაუკავშირებლობა და მათი გაჩენის კონკრეტული ადგილისა და წლის რაღაც ფატალისტურ აუცილებლობად გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ ეს ანტიმეცნიერული შეხედულება ისტორიოგრაფიაში დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა უარყვეს. ბელინსკის გაგებით, როცა დიდი სოციალური მოვლენებისათვის ისტორიული პირობები მწიფდებოდა, მაშინ დიდი ადამიანებიც ჩნდებოდნენ.

ჩერნიშევსკის აზრით, ეპოქის მიერ დაყენებული ამოცანების გადაწყვეტაში „პიროვნება მხოლოდ დროებისა და ისტორიული აუცილებლობის მსახურს წარმოადგენს". მაგრამ, თუ ეს პიროვნება ვერ მოერგებოდა ეპოქის ამოცანებს და ვერ გა-

მოიჩენდა მისი გადაწყვეტისათვის ხელმძღვანელობის გაწევის უნარს, მაშინ უდრეკი ისტორიული აუცილებლობა თავისთვის სხვა მსახურს მოძებნიდა, სხვა გვარით და სახის სხვაგვარი ნაკვთებით.

მართალია, დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ისტორიაში პიროვნების როლის მეცნიერული გაგება, მაგრამ მაინც მისი საბოლოოდ გადაწყვეტა მარქსისა და ენგელსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენის საფუძველზე იყო შესაძლებელი. ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ, როგორც ლენინი წერს, მოსპო წინანდელი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი. პირველი ის, რომ ისინი დიდი ადამიანების და, საერთოდ, ადამიანების მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს იხილავდნენ და არ ეძებდნენ მათ ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში. და მეორე ის, რომ უყურადღებოდ სტოვებდნენ მასების როლს ისტორიულ პროცესში.

მარქსიზმმა მოიცილა რა ეს ნაკლი თავიდან, პირველად დააყენა მკვიდრ ნიადაგზე ისტორიაში პიროვნების როლის მეცნიერული გაგება. 1894 წ. შტარკებურგისადმი მიწერილ წერილში ენგელსი წერდა: „ის გარემოება, რომ სწორედ აი ეს დიდი პიროვნება ამ ქვეყანაში გარკვეულ დროში ჩნდება, რასაკვირველია, წმინდა შემთხვევაა. მაგრამ თუ ამ პიროვნებას მოვიშორებთ, მაშინ ჩნდება მოთხოვნა მის შემცვლელზე და შემცვლელიც გამოჩნდება ავად თუ კარგად, მაგრამ გამოჩნდება დროთა მსვლელობაში. რომ ნაპოლეონი, სწორედ ეს კორსიკელი, სამხედრო დიქტატორი იყო, რომელსაც საკუთარი ომებით გამოფიტული საფრანგეთის რესპუბლიკა საჭიროებდა, ეს შემთხვევა იყო. მაგრამ ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, მის როლს სხვა ვინმე შეასრულებდა. ეს იმით დასტურდება, რომ ყოველთვის, როცა კი ასეთი ადამიანი საჭირო ხდებოდა, იგი მაშინვე გამოჩნდებოდა ხოლმე: ცეზარი, ავგუსტუსი, კრომველი და ა. შ.“.

ამგვარად, რადგან ყველა დიდი ადამიანის, და ამ შემთხვევაში, ცეზარის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლას მისი ქვე-

ყნის კონკრეტული ამოცანები და ვითარება იწვევდა, ხოლო ყველა ქვეყანას მოცემულ დროში მისთვის დამახასიათებელი ამოცანები აქვს გადასაწყვეტად, ცეზარს არ შეეძლო განესაზღვრა მსოფლიოს ბედი არც თავის დროისათვის და, მით უფრო, არც მომავლისათვის, როგორც ეს ცეზარის კულტით გატაცებულ ისტორიკოს თეოდორ მომზენს ეჩვენებოდა.

ყოველივე ზემონათქვამიდან კი ის გამომდინარეობს, რომ ცეზარის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის გასაღები, ეპოქის ანალიზმა, ამ ეპოქის მიერ დაყენებული ამოცანების გაგებამ და ცეზარის მიერ მათი დაძლევის გარკვევამ უნდა მოგვცეს. ვინაიდან აქ ეპოქისა და პროცესის გაგებაა გადამწყვეტი და არა ის, თუ ვინ უდგა ამ პროცესს სათავეში: გამბედავი და მოქნილი ცეზარი, რომელიც მონარქიზმისაკენ მიმავალი რომის რესპუბლიკის გორდიას კვანძებს ხმლის წვერით კვეთდა, თუ გაუბედავი და მოუქნელი პომპეუსი, რომელიც უცდიდა, რომ თვით მდგომარეობას ჩაეგდო იგი დიქტატორისა და მონარქის როლში.

ყველა დიდი ადამიანი ცხოვრების განვითარებისა და ტენდენციის „ტივის თავზე“ მჯდომი მეგზური იყო, რომელსაც უნდა გაეადვილებინა ტივის „ცურვა“, რომელსაც სულ ერთია უიმათოდაც გაიტანდა ბოლომდე „ცხოვრების მდინარე“. და ეს იმიტომ, რომ თუ მათში რომელიმე, ან ყველა ერთად უვარგისი აღმოჩნდებოდა ამ როლისათვის, მაშინ ისტორიული აუცილებლობა მათ მაგიერ ვინმე სხვას გამოძებნიდა. ოღონდ იმ პირობით, რომ მას უნარი ჰქონოდა ალღო აეღო შექმნილი მდგომარეობისათვის და მის შესაბამისად გამოეყენებინა ძალდატანება. რადგან მისი ნაადრევად გამოყენება, როცა საამისო ობიექტური პირობები მომწიფებული არ არის, ავანტიურიზმია, ხოლო დაგვიანება კი მომენტის გაშვება და თვითდინებაზე მისი მინებებაა. დიდ ადამიანს არ ეპატიება არც ერთი, არც მეორე. ცეზარი ამ ძალდატანებამ იმსხვერპლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს ავანტიურიზმში მის გადავარდნას, როგორც ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი (ფერერო და სხვ.) ფიქრობდა. პრინციპატის სახით რესპუბლიკის მონარქიაში გადასვლის

ობიექტური პირობები რომ მომწიფებული იყო, ეს უშუალოდ ცეზარის მომდევნო მოვლენებმაც დაადასტურეს, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

რომის რესპუბლიკის დაცემისა და მონარქიის წარმოქმნის ძირითადი მიზეზები

რომში რესპუბლიკური წყობილება ხუთი საუკუნის მანძილზე არსებობდა. 510 წ. რომაელებმა რომის უკანასკნელი (მეშვიდე) მეფე ტარკვინიუს ამაყი გააძევეს და რესპუბლიკა გამოაცხადეს, რომელსაც ყოველწლიურად სახალხო კრებაზე არჩეული ორი კონსული ედგა სათავეში. მაგრამ ეს რესპუბლიკა თავდაპირველად არისტოკრატიული რესპუბლიკა იყო, რადგანაც, როგორც კონსულის, ისე სხვა სახელმწიფო თანამდებობათა დაკავება შეეძლოთ მხოლოდ პატრიციებს (არისტოკრატებს), ხოლო პლებეები, რომელნიც დაბალ ფენას და რომის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ, დაშვებული არ იყვნენ ამ თანამდებობებზე და მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს.

პლებეები ვერ ურიგდებოდნენ თავიანთ მდგომარეობას და ბრძოლას ეწეოდნენ პოლიტიკური უფლებებისათვის. ამ ხანგრძლივმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო და 287 წლისათვის (ძვ. წ.) რომის რესპუბლიკაში თითქმის აღარ იყო არც ერთი თანამდებობა, რომლის დაკავების უფლებაც პლებეებს არ ჰქონდათ. ამავე დროს, რადგან სენატში (რომის პარლამენტში) უმთავრესად ყოფილი მაგისტრატები (თანამდებობის პირები) გაჰყავდათ, ახლა როცა პლებეებმა ამ თანამდებობებზე არჩევის უფლება მიიღეს, მათი რიცხვი სენატშიაც გაიზარდა. ასე გადაიქცა თანდათან რომის მონათმფლობელური არისტოკრატიული რესპუბლიკა III-II საუკუნეებში რომის მონათმფლობელურ-დემოკრატიულ რესპუბლიკად.

მაგრამ, ამ დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც რომის თავისუფალი მოსახლეობის ყველა ფენა ერთნაირი მდგომარეობითა და გავლენით არ სარგებლობდა. პლებეებს შორის, რომელნიც

თავად თავისუფალ გლეხურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, დაიწყო ღრმა ეკონომიური დიფერენციაცია. ერთი ნაწილი გამდიდრდა და თავისი ინტერესებით პატრიციების ინტერესებს დაუკავშირდა. ამ ნიადაგზე III-II საუკუნეებში შეძლებული პატრიციების და შეძლებული პლებეების ნარევი, ახალი სოციალური ფენა წარმოიქმნა ნობილიტეტის სახით, რომელშიაც უმთავრესად მსხვილი მიწათმფლობელები შედიოდნენ. ამავე პერიოდში რომში ჩნდება ახალი სოციალური ფენა „მხედრები“, რომელშიც ვაჭრები, სახელმწიფო გადასახადების აკრეფის იჯარით ამღები პირები (გამომსყიდველები ანუ პუბლიკანები) და მევახშეები შედიოდნენ.

ამ პერიოდიდან რომის სახელმწიფოს ფაქტიურად ნობილიტეტის და მხედრების ეს ორი შეძლებული ფენა მართავდა. მათ ეპირათ მსხვილი თანამდებობანი და მათგან შედგებოდა სენატიც. რესპუბლიკის პერიოდში სენატი რომის სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოდ იქცა. ჩვეულებრივ იგი 300 წევრისაგან (სენატორისაგან) შედგებოდა, რომელთაც რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში კონსული ნიშნავდა, მეოთხე საუკუნის ბოლოდან კი ხუთი წლის ვადით არჩეული ცენზორი. ყოველი ცენზორი ხუთ წელიწადში ერთხელ ამოწმებდა სენატორთა სიას. რაიმე მოტივით რიცხავდა შეუფერებელ პირებს და მათ ადგილზე ახლები შეჰყავდა.

სენატის უფლებები მეტად დიდი იყო. იგი საზღვრავდა ჯარში გაწვევის დროსა და არმიის კონტიგენტს, ანაწილებდა ფრონტებს კონსულებს შორის, ადგენდა ბიუჯეტს და განსაზღვრავდა სამხედრო ხარჯებს, გამოჰქონდა დადგენილება ტრიუმფის მოწყობასა და არმიის დაშლაზე, აწესებდა გადასახადებს და ზედამხედველობას უწევდა კულტის საქმეებს, ხელმძღვანელობდა რომის სახელმწიფოს მთელ საგარეო პოლიტიკას და ა. შ.

პლებეებს შორის დაწყებული ეკონომიური დიფერენციაციის შედეგად თუ მისი ერთი (უფრო მცირე) ნაწილი გამდიდრდა და ნობილიტეტში გადავიდა (რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი), მეორე, უფრო დიდი ნაწილი, ხანგრძლივი ომებისა და იტალიაში გარედან (რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან) იაფი

პურის შეტანისა და მონათა უფრო იაფი შრომის კონკურენციის გამო სრულიად გაღატაკდა და იქცა ლუმპენპროლეტარიატად ანუ ბოგანო, არსებობის ყოველგვარ საშუალებებს მოკლებულ პარაზიტულ ფენად. ეს ლუმპენპროლეტარები რომს აწყდებოდნენ სამუშაოს საძებნელად, მაგრამ რადგანაც იტალიაში ომების შედეგად მონათა დიდი რაოდენობა დაგროვდა, რომაელი გაპროლეტარებული გლეხები სამუშაოს ვერ შოულობდნენ. ამ გაღატაკებული მასების მხრიდან მღელვარებისა და აჯანყების თავიდან ასაცილებლად რომის სახელმწიფო იძულებული იყო ქველმოქმედების სახით მუქთი პური და საჩუქრები ეძლია მათთვის.

ამგვარად, რომის რესპუბლიკაში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო. ნობილიტეტი და მხედრები ხელისუფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამავე დროს მათ წინააღმდეგ მძაფრ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებდნენ ლუმპენპროლეტარიატი და მონები. მიუხედავად ამისა, ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე, მაინც არ დგებოდა რომის რესპუბლიკის ერთპიროვნული დიქტატურით, ან მონარქიით შეცვლის საკითხი. რესპუბლიკური წყობილება ასე თუ ისე ჯერ კიდევ ახერხებდა კლასობრივი ბრძოლების ჩაყენებას გარკვეულ ზღუდეებში და ამ კონფლიქტების მოგვარებას რესპუბლიკურ ჩარჩოებში და მის შიგნით. სახელმწიფოს არც საგარეო გართულებისათვის თავის გართმევა უჭირდა, სენატის კონტროლით სამხედრო ძალაუფლებას ყოველწლიურად არჩეული ორი კონსული ინაწილებდა, ხოლო რაიმე უფრო მძიმე საგარეო და საშინაო გართულების დროს დროებით (6 თვით) დასიშნული დიქტატორი ფლობდა.

მმართველობის ეს სისტემა მაშინ იმდენად კარგი და შესაფერი იყო, რომ თვითონ რომაელები მას დიდად აფასებდნენ. ზოგიერთი მაშინდელი ისტორიკოსი (მაგ. პოლიბიოსი) მმართველობის ამ სისტემას სრულიად სამართლიანად მიიჩნევდა რომის სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი კულტურის აყვავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

მაგრამ გავიდა დრო და მდგომარეობა შეიცვალა. ლრმა სო-

ციალ-ეკონომიურმა ცვლილებებმა რომის სახელმწიფოს რესპუბლიკური მმართველობის სისტემა ახლა უვარგისად გადააქცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ტერიტორიულად რომის უზარმაზარი, სამ კონტინენტზე (აფრევრაზია) გადაჭიმული სახელმწიფოს წარმოქმნა, რისთვისაც მას ხანგრძლივი ბრძოლები დასჭირდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. მესამე საუკუნის 70-იანი წლებისათვის რომმა დაამთავრა სამხრეთის მიმართულებით აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ათეული სხვადასხვა ხალხის დაპყრობა და ამ ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხოეთ სანაპიროსთან მდებარე მესანას სრუტეზე გავიდა. ამ სრუტის სამხრეთით მდებარე კუნძული სიცილია კართაგენის სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

ახლა რომს შეეძლო თავისი აგრესია დაეწყო კართაგენისათვის სიცილიის წართმევით. ამ მიზნით რომმა დაიწყო ხანგრძლივი, ე. წ. პუნიკური ომები, რომელიც შუალედი ინტერვალებით ერთ საუკუნემდე (264 — 146 წ.წ.) გაგრძელდა და დამთავრდა კართაგენის სრული განადგურებით, გადაწვითა და მოსპობით.

აქედან დაწყებული, ისტორიკოს ფლორის თქმით, რომმა „...ორ საუკუნეზე უფრო ნაკლები დროის მანძილზე ომითა და გამარჯვებით გაიარა აფრიკასა, ევროპასა, აზიაში და შემდეგ მთელ მსოფლიოში". ძვ. წ. აღ. პირველი საუკუნის დასაწყისისათვის რომს უკვე დაპყრობილი ჰქონდა აფრიკაში — კართაგენი, ნუმიდია, მავრიტანია; ევროპაში — ესპანეთისა და გალიის ნაწილი, კუნძულები: სიცილია, სარდინია, მთელი საბერძნეთი და მაკედონია, აზიაში — პერგამის სამეფო, ამავე დროს სირიის მეფე ანტიოქოს მესამის დამარცხების შედეგად რომი მცირე აზიაშიც მტკიცედ დამკვიდრდა.

ამ დაპყრობათა შედეგად ნადავლის, ხარკის, კონტრიბუციებისა და რომის სავახშო კაპიტალის ამ. ქვეყნებში გაბატონების წყალობით ამოქაჩული და რომში გადატანილი იქნა უდიდესი სიმდიდრე.

ამ სიმდიდრით რომის საზოგადოების სხვადასხვა კლასები, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად სარგებლობდნენ. უდიდესი ნაწილი მხედართმთავრების, პროვინციების მმართველების,

პუბლიკანებისა (გამომსყიდველების) და ვაჭრების ხელში იყრიდა თავს. რომის მოსახლეობის დაბალ ფენებს, პლებეებს კი ამ სიმდიდრის მხოლოდ ნასუფრალი უვარდებოდათ ხელში სახელმწიფოს მიერ გაწეული მუქთი დარიგებების, საჩუქრების, იაფი პურის, აგრეთვე კერძო პირების მიერ ამგვარივე წყალობის გაღებისა და არჩევნების დროს ხმების მოსყიდვაში გაცემული ფულის სახით.

ეს გარემოება აძლიერებდა ისედაც შორს წასულ ეკონომიურ და კლასობრივ დიფერენციაციას რომის მოსახლეობის სხვადასხვა კლასებსა და ფენებს შორის. მაშინ როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არსებობის საღსარიც არ გააჩნდა, მარკუს კრასუსის ქონება 17 მილიონ მანეთს აღწევდა ოქროთი, პომპეუსისა — 8 მილიონს. მასზე არანაკლები ქონება დააგროვა ცეზარმაც. ასეთ დიდ განსხვავებას ქონებრივ მდგომარეობაში, არ შეიძლებოდა არ დაეძაბა კლასობრივი ურთიერთობანი რომში.

1877 წ. კ. მარქსი წერდა ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“-ს რედაქციას: „კაპიტალის“ სხვადასხვა ადგილზე მე გაკვრით მაქვს აღნიშნული ძველი რომის პლებეების ბედი. დასაწყისში ისინი თავისუფალი გლეხები იყვნენ, რომელნიც თავის ხარჯზე ამუშავებდნენ თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთებს. რომის ისტორიის მსვლელობაში მათი თანდათანი ექსპროპრიაცია მოხდა... ამრიგად, ერთ მშვენიერ დილას აქ გაჩნდნენ: ერთის მხრივ თავისუფალი ადამიანები, მოკლებულნი ყველაფერს, გარდა შრომის უნარისა, ხოლო მეორე მხრივ, შრომის საექსპლოატაციოდ — ყველა შეძენილ სიმდიდრეთა მფლობელნი“.

ამ პლებეების გადაქცევას დაქირავებულ მუშათა კლასად ხელი შეუშალა იაფი მონური შრომის არსებობამ და ისინი პროლეტარების მაგივრად ლუმპენპროლეტარებად აქცია სამაგალითოდმა გარემოებამ. პირველი ომი იყო. მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, ჯერ იტალიის, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების დასაპყრობად მცირე შუალედებით რომი განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა. ამ ომებში არმიის ძირითად ნაწილს ეს გლეხი პლებეები შეადგენდნენ. მათ არმიაში

იწვევდნენ 17—46 წლების ასაკში და ტოვებდნენ მეტად ხანგრძლივი დროით — 16-20 წლის ვადით.

ამგვარად, ეს ომები პლებეებს თავიანთ ოჯახებსა და მეურნეობებს სწყვეტდა შრომის უნარისა და გამრავლების ყველაზე საუკეთესო ასაკში. ომიდან სახლში დაბრუნებულ პლებეებს თავიანთი ოჯახი და მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში ხვდებოდათ. მისი აღდგენისათვის იძულებულნი ხდებოდნენ პატრიციებისაგან აეღოთ ვალი. მაგრამ, წერს მარქსი, პატრიციები... — „ამ თავისი მდგომარეობით სარგებლობდნენ იმისათვის, რომ მათგან (ე. ი. პლებეებისაგან, ვ. ა.) ვეება სავახშო სარგებელი გამოეწურათ, რითაც მოვალე მონებად აქცევდნენ პლებეებს“.

მეორე მიზეზი ის იყო, რომ სიცილიის დაპყრობის შემდეგ იტალიაში გლეხური მეურნეობა არარენტაბელური გახდა. სიცილია წარმოადგენდა მარცვლეული მეურნეობის მსხვილ ოლქს. რომის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ იქ მონურ შრომაზე დამყარებული მსხვილი რომაული ლატიფუნდიური მეურნეობა განვითარდა. ეს მეურნეობა დიდძალ სასაქონლო პურს იძლეოდა უფრო იაფ ფასებში, ვიდრე იტალიის წვრილ გლეხურ მეურნეობებში მოყვანილი პური იყო. ამ გარემოების გამო, ომიდან დაბრუნებულ იტალიელ პლებსს რომ პატრიციებიდან ნასესხები ფულით აღედგინა კიდეც თავისი წვრილი მეურნეობა, იგი ზარალიანი და არარენტაბელური იყო.

საჭირო ხდებოდა მრავალწლიან მეურნეობაზე: მევენახეობაზე, ზეთისხილის პლანტაციების და სხვ. გაშენებაზე გადასვლა, რომ პლებსს თავისი მეურნეობა ისევ რენტაბელურად გადაექცია. მაგრამ ამისათვის მას არ გააჩნდა სახსრები მრავალწლიანი კულტურის პირველ მოსავლამდე თანხების დაბანდებისა და თავის გატანისათვის. ამ გარემოების გამო რომაელ პლებსს სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ გაეყიდა თავისი მიწის ნაკერი და გადაქცეულიყო ლუმპენპროლეტარად.

მესამე მიზეზი, როგორც ვნახეთ, ის გარემოება იყო, რომ მონური შრომის სიიაფის პირობებში პლებეებს არ შეეძლოთ ეშოვათ თავიანთი სამუშაო ძალის მომხმარებელი და მიჰქი-

რავებოდნენ მას. ამიტომ პროლეტარის მაგიერ ისინი ლუმპენ (Lumpen—გერმანულად ძონძები) პროლეტარები, ე. ი. ძონძებში გახვეული, მათხოვარი პროლეტარები ხდებოდნენ. რომში მცხოვრები ეს ლუმპენპროლეტარები, როგორც ენგელსი წერდა, სახელმწიფოს პენსიონერებად იქცეოდნენ და სახელმწიფოსა და კერძო პირთა მოწყალებით გაჰქონდათ თავი. ცეზარის დროს რომში იყო 300 ათასი ასეთი ლუმპენპროლეტარი, რომელნიც მოქალაქეობის უფლებით სარგებლობდნენ და სახელმწიფოსაგან მუქთად იღებდნენ პურსა და აგრეთვე სხვადასხვა სანახაობაზე (თეატრი, ცირკი, გლადიატორთა ბრძოლა, ნავმაქიები, დოღი და სხვა) დასწრების უფლებას („პურისა და სანახაობის პოლიტიკა").

ამგვარად, იმ პლებეებისათვის, რომელნიც სასარგებლო საზოგადოებრივ შრომაში არ იყვნენ ჩაბმულნი, მოქალაქეობის უფლება მათი მათხოვრული ცხოვრებისა და არსებობის ძირითად წყაროდ გადაიქცა. ამაზე შორს აღარ შეიძლებოდა წასულიყო რომის რესპუბლიკისა და მონათმფლობელური დემოკრატიის გახრწნა. „ესენი არ იყვნენ მშრომელი პროლეტარები, არამედ ლუმპენპროლეტარები, — წერდა ენგელსი. — პროლეტართა შრომაზეა ამჟამად საზოგადოება დამყარებული, თანდათან მზარდი ხარისხით... რომის ლუმპენპროლეტარები კი პარაზიტები იყვნენ, არა მარტო უსარგებლო, არამედ მავნებელნიც საზოგადოებისათვის".

რომის ლუმპენპროლეტარიატი, რომელსაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პროცესში ჩაბმის საშუალება არ ჰქონდა და ამის გამო პარაზიტულ — მათხოვრულ ცხოვრებას ეწეოდა, არ შეიძლებოდა კმაყოფილი ყოფილიყო თავისი მდგომარეობით. მაგრამ მათზე არ იყო დამოკიდებული მისი შეცვლა, რამდენადაც ეს ისტორიული აუცილებლობით და რომში მონათა დიდი რაოდენობის მოზღვავებით იყო გამოწვეული. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, I საუკუნეში იტალიაში არსებული 20 მილიონი მცხოვრებიდან 12 მილიონი მონა უნდა ყოფილიყო.

მონის ფასი დამოკიდებული იყო ბაზრის მოწოდება-მოთხოვნილების კანონზე, ამიტომ იგი არ შეიძლებოდა სტაბილუ-

ჯი ყოფილიყო. საშუალო ფასი მონაზე პირველი საუკუნის რომში 170 — 200 მანეთის ფარგლებში მერყეობდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა იგი ძალიან ეცემოდა. მაგალითად, მითრიდატეს ომების დროს რომში მონის ფასი 1 მანეთსა და 50 კაპიკამდე დაეცა. ასეთი სიიაფის გამო ქალაქად სხვადასხვა სახელოსნოების და სოფლად ლატიფუნდიური მეურნეობის მეპატრონეები დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ მონებს და ეწეოდნენ მათ ექსპლუატაციას.

მონათა ეს სიიაფე, თუ ერთის მხრით, ზრდიდა შეძლებული პირების სიმდიდრეს, მეორე მხრით, აუარესებდა თვით მონების მდგომარეობას. ასეთი დაბალი ფასი მონათმფლობელს უადვილებდა მათდამი უდიერ მოპყრობას, ვინაიდან მონის დაღუპვის შემთხვევაში მას არც ისე მნიშვნელოვანი ზარალი მოსდიოდა. ამით აიხსნებოდა, რომ მაშინ, როცა „რომის ხალხს არ მოეპოვებოდა აუცილებელი საჭირო საშუალება პურის საყიდლად, რომის არისტოკრატებს იმდენი მონები ჰყავდათ, რომ მორენებს (თევზებს—მ. ა.). უყრიდნენ შესაჭმელად“ (მარქსი).

კოლოსალური სიმდიდრის დაგროვება რომის შეძლებულთა ფენებში, როცა ამ სიმდიდრის, როგორც მარქსი წერს, „კაპიტალად გადაქცევა იშვიათად ხდებოდა და ამიტომ, განძად დაგროვების ფორმას იღებდა, რომის ზედაფენებს ამ სიმდიდრის ფლანგვას და უაზრობამდე მისული ფუფუნებით ცხოვრებას უადვილებდა. „ამიტომ, — წერს მარქსი, — ძველებში ადგილი არ ჰქონდა ჭარბ წარმოებას, სამაგიეროდ, ადგილი ჰქონდა მდიდრების მიერ სიმდიდრის ჭარბ მოხმარებას, რაც რომისა და საბერძნეთის ისტორიის უკანასკნელ პერიოდებში უგუნური მფლანგველობის ხასიათს ღებულობს“.

ხელგაშლილ ცხოვრებას ისიც უწყობდა ხელს, რომ როგორც მკვლევარი იერინგი აღნიშნავს, „არსად მდიდარს არ შეეძლო ისე ადვილად მილიონერი გამხდარიყო და მცირე შეძლების კაცს კი — მათხოვარი, როგორც რომში, და არსად არ იყო ისე ძნელი ადამიანი გამაგრებულიყო ვიწრო ზღუდეზე ამ ორ უკიდურესობას შორის: ერთი ნაბიჯი ან ამ, ან იმ მიმართულებით და გაჭირვება, ანდა სიუხვე გაიზრდებოდა ზვავივით“. სწორედ ეს გაჭირვება ამხედრებდა პლებეებს შეძლებულთა

წინააღმდეგ და გადაქცეული იყო იმ საწვავ მასალად, რომელიც აღვივებდა და აძლიერებდა რომში კლასობრივ ბრძოლას.

ამას ემატებოდა რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა სასტიკი ექსპლუატაციით გამოწვეული უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება და სიძულვილი კარგად გამოხატა ცოტა უფრო გვიან რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებული ბრიტანელების ერთ-ერთმა ბელადმა კალგაკმა. „მსოფლიოს მძარცველი რომაელები, როცა მათ ასაოხრებლად ქვეყნები აღარ ჰყოფნით, ახლა ზღვის მოჩხრეკას იწყებენ. თუ მათი მტერი მდიდარია, ისინი ანგარებიანნი არიან, თუ ღარიბი — პატივმოყვარენი, მათი გაძლომა არ შეუძლია არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს. ისინი ერთადერთნი არიან, რომელნიც ერთნაირი სიხარბით ეკვეთებიან ხოლმე სიმდიდრესაც და სიღარიბესაც. გატაცება, მოკვლა, გაძარცვა, — ეს მათ ცრუ ენაზე მმართველობად იწოდება, და როცა ყველაფერს უდაბნოდ აქცევენ, ამას დაწუნარებას უწოდებენ. ბუნებას უნდა, რომ თვითეულს ჰყავდეს ყველაფერზე ძვირფასი—მისი ბავშვები და ნათესავები. პირველს ისინი ჩვენ გვართმევენ სხვა ქვეყნებში სამსახურის გაწევის საბაბით; ცოლებსა და დებს კი, რომელთაც მოასწრეს გაქცევა და თავი იხსნეს მტერთა მიერ გატაცებისაგან, ისინი შემდეგ ბილწავენ, მიდიან რა მათთან მეგობრებისა და სტუმრების ცრუ სახელით. ქონება და სიმდიდრე მიდის ხარკში, წლიური მოსავალი — კი პურის გადასახადზე. სხეული და ხელები გვცლევა გზების გაყვანის სამუშაოზე... მონებს, რომელნიც დაბადებულნი არიან ჩაგვრისათვის, ბატონები ჰყიდიან მხოლოდ ერთხელ... ბრიტანეთი ყოველდღიურად ყიდულობს თავის მონობას, ყოველდღიურად ჰკვებავს თავის ბატონებს პურის გადასახადით“.

რომაელები ცდილობდნენ დაპყრობილ ქვეყნებზე დადებული მძიმე გადასახადები იმით გაემართლებინათ, რომ ისინი მათ იცავდნენ საგარეო საფრთხისა და შინაგანი განხეთქილებისაგან. 59 წ. ცნობილი მარკუს ციცერონი თავის ძმას კვინტუს ციცერონს, რომელიც იმ დროს (61 — 59 წ. წ.) მცირე აზიის რომაული პროვინციების მმართველად იყო დანიშნული, რომიდან გაგზავნილ წერილში სწერდა:

„დეე აზიის მცხოვრებლებმა გაითვალისწინონ, რომ ისინი ვერ გადაირჩენდნენ თავს ვერც საგარეო ომების უბედურებათაგან და ვერც შინაგან განხეთქილებათაგან, რომ ჩვენი ხელისუფლების ქვეშ არ იყვნენ. და რადგან ამ ხელისუფლებას არავითარი სახით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა ხარკის გადახდის გარეშე, ამიტომ დეე აზიის მცხოვრებლებმა მუდმივი მშვიდობა და მოსვენება აღუშფოთებლად იყიდონ. თავიანთი შემოსავლის ერთი ნაწილის გადახდით“.

ციცერონი აქ „ივიწყებს“, რომ დაპყრობილ ხალხთა შემოსავლის ეს „ერთი ნაწილი“, სხვადასხვა კანონიერი და უკანონო დანამატებით, არცთუ იშვიათად ისე იზრდებოდა, რომ „მთელ შემოსავლამდე“ მას ბევრი აღარაფერი აკლდა, რის გამოც პროვინციები ეკონომიური დეგრადაციისა და გადაშენებისაკენ მიდიოდნენ. ასეთი მდგომარეობა ახშირებდა აჯანყებებს ზღვის იქითურ პროვინციებში და აძლიერებდა მათში დეცენტრალისტურ ტენდენციებს. საკუთრივ იტალიაშიც (აპენინის ნახევარკუნძულზე) არ იყო სიმშვიდე. აქ 91 — 90 წლების ზამთარში რომის წინააღმდეგ აჯანყდნენ იტალიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხები (ე. წ. „მოკავშირეთა აჯანყება“). ეს აჯანყება იმის ცხადყოფა იყო, რომ სამ კონტინენტზე გადაჭიმულ რომის სახელმწიფოს ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა თავის საკუთარ ქვეყანაშიც. ამავე დროს რომის საგარეო მდგომარეობა ჩრდილოეთში, ალპებს იქით, ახალი აგრესიული ძალის — გერმანელი ტომების გამოჩენითაც რთულდებოდა. გერმანელებმა მეორე საუკუნის ბოლოდან (ძვ. წ. აღ.) ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძალება დაიწყეს და ალპების გადალახვით ცდილობდნენ იტალიაში შეჭრას. 113 და 109 წლებში მათ ალპების ჩრდილო-აღმოსავლეთ გასასვლელებთან სასტიკად დაამარცხეს რომაელები. 105 წელს არაუსიონთან კი რომის ორი არმია გაანადგურეს, სადაც 80 ათასი რომაელი დაიღუპა. კიმბრებისა და ტევტონების ძლიერებას საზღვარი დაუდო გაიუს მარიუსმა, რომელმაც 102 და 101 წლებში სასტიკად გაანადგურა ისინი. მაგრამ გერმანელი ტომები საერთო რიცხვით იმ დროს 5 მილიონამდე აღწევდნენ. ამიტომ მათ მომავალშიაც შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ რომის ძლიერებისათვის ჩრდილოეთიდან.

რომის სახელმწიფოს მდგომარეობას ართულებდა მოუქნელი მმართველობის აპარატიც, რომელიც კარგი იყო ქალაქ-სახელმწიფოს (პოლისი) პირობებზე, მაგრამ უვარგისი აღმოჩნდა, როცა რომი სამ კონტინენტზე გადაიჭიმა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვერც ცენტრში და ვერც ადგილებზე რესპუბლიკამ ვერ შექმნა ახალი, შესაფერი, სტაბილური აპარატი ასე თუ ისე მყარი კანონმდებლობით პროვინციების მმართველობისათვის. ეს მმართველობა კი ხშირად ხელში უვარდებოდა დროებით და შემთხვევით დანიშნულ პირებს: პროკონსულებს, პროპრეტორებს და ა. შ., რომელნიც მათ განაგებდნენ უმთავრესად საკუთარი შეხედულებით და თვითნებურად. ამავე დროს ამ მმართველობის მცირე ხნით (ერთი-ორი წლით) დარჩენა პროვინციებში არ იძლეოდა საშუალებას იქ არსებული სიტუაციის შესწავლისა და ღონისძიების დასახვა-გატარებისათვის მდგომარეობის გამოსასწორებლად. რომი იძულებული იყო პროვინციებში გადასახადების აკრეფის უფლებაც კი იჯარით გაეცა ცალკეულ პირებსა და ჯგუფებზე, რაც იქ ბევრი ბოროტმოქმედებისა და სიყალბის ჩადენის შესაძლებლობას ჰქმნიდა. რესპუბლიკის საფუძველს მისი მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირთა ჯერ ღია და შემდეგ კი ფარული კენჭისყრით არჩევითობის პრინციპი წარმოადგენდა. იგი კი ყოველ ნაბიჯზე ირღვეოდა, რამდენადაც აქ საქმეში ერეოდა ფული და ამომრჩეველთა მოქრთამვა, რასაც, თითქმის მთელს მსოფლიო ისტორიაში არსად ისეთი აშკარა და ფართო ხასიათი არა ჰქონია, როგორც რომში.

რესპუბლიკა საკმაო მოუქნელობას იჩენდა ისეთი საკითხების მოგვარებაშიც, რომელნიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვდნენ. კართაგენთან ომის დაწყების წინ სენატში ხმების გაყოფის გამო ვერ მოხერხდა სიცილიის ქ. მესენას რომის კავშირში მიღება, რასაც ეს უკანასკნელი მოითხოვდა, ამით ისარგებლეს კართაგენელებმა და მისი ოკუპაცია მოახდინეს. ზოგჯერ რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში, სენატში, იმართებოდა დაუსრულებელი ლაყბობა საქმის განზრახ გაჭიანურებისათვის. სენატის სხდომა, როგორც წესი, მხოლოდ მზის ჩასვლამდე

შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. 60 წელს ცნობილმა კატონ უტიკელმა, რომელსაც არ სურდა, რომ ცეზარს კონსულად დაუსწრებლად არჩევაზე სენატისაგან თანხმობა მიეღო, სიტყვა მზის ჩასვლამდე გააგრძელა და ხელი შეუშალა სენატის სხდომას სადავო საკითხებზე გადაწყვეტილება გამოეტანა.

რომის რესპუბლიკურ მმართველობას წყალი შეუდგა განსაკუთრებით ძვ. წ. მეორე საუკუნის ბოლოდან, როდესაც გაიუს მარიუსის სამხედრო რეფორმების შემდეგ რომში წარმოიქმნა პროფესიონალური არმია. ამ არმიის ჯარისკაცთა კეთილდღეობა — ომის დროს ნადავლის, ომის შემდეგ კი საჩუქრებისა და მიწების მიღება — თანდათან უფრო მეტად ხდებოდა სარდლებისაგან დამოკიდებული, როგორც ამას სულას, პომპეუსის და შემდეგ ცეზარის მაგალითები ამტკიცებენ. არმია იყო არა სახელმწიფოს ერთგული, არამედ თავისი სარდლისა, რის გამოც სენატმა სულას დიქტატურის დროიდან ფაქტიურად დაკარგა ძალაზე კონტროლი.

ლუციუს კორნელიუს სულა (138-78 წ) წარმოშობით რომის არისტოკრატიული გვარიდან იყო. პირველად მან სახელი გაითქვა ნუმიდიის მეფის იუგურტას წინააღმდეგ წარმოებულ ომში, როცა იგი რომის არმიის მთავარსარდალს გაიუს მარიუსს შებორკილი მიჰგვარა.

102 და 101 წელს სულამ თავი გამოიჩინა გერმანელი კიმბრებისა და ტევტონების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც აგრეთვე მარიუსის მთავარსარდლობით წარმოებდა. მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული იგი „მოკავშირეთა ომის“ დროს (91-88 წ. წ.) გახდა, სადაც ჯერ ლეგატად, ომის უკანასკნელ წელს კი კონსულად და რომის არმიის სამხრეთის დაჯგუფების სარდლად იყო.

88 წელს, ის იყო იტალიაში მოკავშირეთა ომი რომის გამარჯვებით მთავრდებოდა, რომ პონტოს[1] მეფე მითრიდატე VI

1. პონტოს სამეფო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ძვ. წ. 1 საუკუნეში მეფე მითრიდატე VI ევპატორის დროს მის შემადგენლობაში შევიდა შავი ზღვის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები (ყირიმი). მან დიდ ძლიერებას მიაღწია.

რომის მცირე აზიის სამფლობელოებში შეიჭრა. მითრიდატემ მალე დიდ წარმატებას მიაღწია, დაიპყრო მცირე აზია, ეგეოსის ზღვის მრავალი კუნძული, მაკედონია, ათენი და ბალკანეთის ზოგიერთი სხვა ბერძნული სახელმწიფო. ერთი საუკუნის ბრძოლებით მოპოვებულ რომის წარმატებებს უდიდესი საფრთხე შეექმნა აღმოსავლეთში.

საჭირო იყო ძლიერი არმიის გაგზავნა მითრიდატეს წინააღმდეგ. რომში მაშინ არსებული წესის მიხედვით ამ არმიის მთავარსარდალი უნდა ყოფილიყო იმ წლის ერთ-ერთი კონსული. კონსულებად კი სულა და კვინტუს პომპეუს რუფუსი იყვნენ. მათ შორის კენჭის ყრით სარდლობა შეხვდა სულას, მაგრამ სახალხო ტრიბუნმა, პუბლიუს სულპიციუს რუფუსმა ეს საკითხი სახალხო კრებაზე დააყენა, რომლის გადაწყვეტილებით ჯარის სარდლობა მარიუსს მიენდო, სულა არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და იმ არმიით, რომლითაც მითრიდატეს წინააღმდეგ მიდიოდა საომრად, ჯერ რომზე გამოილაშქრა. ეს პირველი შემთხვევა იყო რომის ისტორიაში, როცა რომის სარდალმა რომის ჯარებით ბრძოლით აიღო რომი.

გამარჯვების შემდეგ სულამ მარიუსის მრავალი მომხრე ამოხოცა. მოკლული იქნა ტრიბუნი სულპიციუს რუფუსი, მარიუსი კი აფრიკაში გაიქცა. სულამ გაატარა ზოგიერთი ანტიდემოკრატიული ღონისძიება, ჩაატარა 87 წლისათვის კონსულების არჩევა და მხოლოდ ამის შემდეგ გაილაშქრა მითრიდატეს წინააღმდეგ.

მიუხედავად ფინანსების ნაკლებობისა, ფლოტის სიმცირისა და არმიის მცირერიცხოვანებისა (მითრიდატეს სამასი ათასი ჯარისკაცის წინააღმდეგ სულას ოცდაათი ათასი კაცი ჰყავდა), სულამ დაამარცხა პონტოელები ბალკანეთში და აზიაში გადარეკა ისინი. მითრიდატემ ძალების გადაჯგუფებისა და არმიაში ორგანიზაციულ-ტაქტიკური ცვლილებების გასატარებლად დროს მოსაგებად სულას ზავი შესთავაზა. რომაელთა სარდალი, რომელსაც დაბრუნება ეჩქარებოდა, რადგან მისი წამოსვლის შემდეგ რომში ძალაუფლება მის მოწინააღმდეგეებს ჩაეგდოთ ხელში, იძულებული იყო ზავზე დასთანხმებოდა.

85 წლის აგვისტოში მითრიდატე და სულა ერთმანეთს შეხვდნენ ჰელესპონტის სრუტეზე მდებარე ქ. დარდანში. მათ შორის იქ დადებული ზეპირი ზავის მიხედვით, მითრიდატეს უნდა გაენთავისუფლებინა ომის დაწყების შემდეგ დაპყრობილი ყველა ქვეყანა და პონტოს სამეფოს ძველ საზღვრებში დაბრუნებულიყო. მიეცა ოთხმოცი გემი და გადაეხადა სამი ათასი ტალანტი. ამის შემდეგ სულამ აღმოსავლეთში სწრაფად მოაგვარა მმართველობის სხვა საკითხები და 83 წლის გაზაფხულზე ორმოცი ათასიანი არმიით იტალიის ნავსადგურ ბრუნდუზიუმში გადავიდა.

ამ დროისათვის იტალიაში მდგომარეობა გართულებულიყო. მითრიდატეს წინააღმდეგ საომრად სულას წასვლის შემდეგ რომში ძალაუფლება მარიუსმა და ცინამ ჩაიგდეს. მათ დახოცეს სულას მომხრეები, მათ რიცხვში კონსული ოქტავიუსი, გააუქმეს სულას მიერ აღმოსავლეთში წასვლამდე გატარებული ღონისძიებანი და თვით სულა კანონს გარეშე გამოაცხადეს. 86 წ. მარიუსი გარდაიცვალა და ახლა მისი მომხრეები აგრძელებდნენ ქვეყნის მართვასა და ბატონობას. იტალიაში დაბრუნებულ სულას მათ ასი ათასი კაცისაგან შემდგარი არმია დაუპირისპირეს, მაგრამ წელიწადნახევრის ბრძოლის შემდეგ სულამ გაანადგურა ისინი და 82 წლის შემოდგომაზე კვლავ აიღო რომი. დაიწყო სულას დიქტატურის პერიოდი.

თავის დიქტატორობა სულამ იმით დაიწყო, წერს აპიანე, რომ სიკვდილით დასაჯა მრავალი სენატორი და მხედარი, ის მოწინააღმდეგენი კი, რომელნიც მაშინ ხელში ვერ ჩაიგდო, კანონს გარეშე გამოაცხადა და ე. წ. „პროსკრიბირებულთა“, ანუ „სიკვდილმისჯილთა“ სიაში შეიტანა. ამ სიაში შეტანილთ ქონებაც ერთმეოდათ. დიქტატორის განკარგულებით ვინც სიაში აღნიშნულ პირს მოჰკლავდა, იღებდა მოკლულის ქონების ნაწილს, ვინც ცნობებს მიაწვდიდა — ფულს მიიღებდა, მაგრამ თუ ვინმე თავშესაფარს მისცემდა „პროსკრიბირებულს“, ან სხვა რაიმე დახმარებას გაუწევდა, სასტიკი სასჯელი ელოდა.

ეს სიები ქუჩებში იყო გაკრული და ყველას, ვისაც ქონე-

ბის შეძენა უნდოდა, შეეძლო დაეხოცა სიაში აღნიშნული პირები და თავები ფორუმზე მიეტანა გამოსაკიდებლად. სიკვდილმისჯილთა ერთ სიას მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე და ა. შ. ამ წესით ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა 82 წლის ბოლო თვეებიდან 81 წლის ივნისამდე. სულას მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში, აპიანეს გადმოცემით, ასი ათას კაცზე მეტი დაიღუპა.

თავისი ღონისძიებებით სულამ არსებითად პირველმა შეუყენა წყალი რომის რესპუბლიკას და გზა გაკაფა მონარქიზმისაკენ. მართალია სულას დროს რესპუბლიკური ინსტიტუტები დარჩა, მაგრამ მათ თავიანთი ძველი, რესპუბლიკური ხასიათი დაკარგეს, რამდენადაც ყველა მათზე მაღლა დაიყენა თავი თვითონ სულამ, რომელმაც მუქარის ქვეშ დიქტატორად გამოაცხადებინა თავი სახალხო კრებას. რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობებზე არჩევნებმა ფორმალური ხასიათი მიიღო, რამდენადაც მხოლოდ იმათი არჩევა შეიძლებოდა, ვინც სულას უნდოდა და ვისაც სულა აყენებდა. ყოველივე ამის გამო, წერს აპიანე, რომაელებმა „...კვლავ გამოსცადეს მონარქიული ხელისუფლება".

მაგრამ ეს ხელისუფლება უფრო მონარქიული გახდა შემდეგში, გაიუს იულიუს ცეზარის დროს და მისი წყალობით.

ცეზარის ბავშვობა და ყრმობა

ძველი ბერძნები ოფიციალურ დოკუმენტებში და ცხოვრებაში უმთავრესად პირადი სახელით (მაგ. სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და ა. შ.) იხსენიებოდნენ. ძველი რომაელებიკი, როგორც წესი, ატარებდნენ არა მარტო პირად სახელს და ნამდვილ გვარს, რომელსაც ისინი გვაროვნული წყობილების დროიდან ეკუთვნოდნენ, არამედ ხშირად რაიმე გარემოებასთან დაკავშირებით შერქმეულ გვერდით გვარსაც. გაიუს იულიუს ცეზარის პირადი სახელი არის გაიუსი, ნამდვილი გვარი იულიუსი და გვერდითი ანუ შერქმეული გვარი ცეზარი, რომ-

ლითაც იგი ისტორიაში ჩვეულებრივად უფრო მეტად იხსენიება.

იულიუსების გვარი რომის ერთ-ერთი უძველესი არისტოკრატიული გვარი იყო, რომლის საწყისებიც ლეგენდებში იკარგება. ძველი რომაელი ისტორიკოსის ველეიუს პატერკულუსის, ცნობილი პოეტის ვირგილიუსის და სხვ. გადმოცემით, იულიუსების გვარის მამამთავარი იყო ჭალღმერთ ვენერასა და მოკვდავ ანხიზეს შვილი ენეასი, რომელიც ტროადის დანგრევის შემდეგ (ძვ წ. 1184 წ.) იტალიაში გადაიხვეწა. ამ ენეასის შვილის, იულიუსის, (რომლიდანაც თითქოს საკუთრივ ეს გვარი იწყება) შთამომავალმა იტალიაში ცოლად შეირთო რომის მეორე მეფის ნუმა პომპილიუსის ქალიშვილი. მათი შვილი —ანკუს მარციუსი, რომის მესამე მეფის ტულიუს ჰოსტილიუსის შემდეგ რომის მეოთხე მეფედ შეიქმნა. ამგვარად, ამ ლეგენდარული გადმოცემით, იულიუსების გვარის იმ შტოს გენეალოგია, რომელსაც შემდეგ ცეზარი ეკუთვნოდა, ერთის მხრივ დასაბამს ვენერასაგან ღებულობდა და მეორეს მხრივ კი. მარციუსების დინასტიის რომაელ მეფეთაგან.

იულიუსების გვარს ამ ლეგენდარულ ნაჭუჭს თუ მოვაცილებთ, გასაგები ხდება, რომ ეს ერთ-ერთი ძველი რომაული გვარი იყო, რომელიც ადრევე გამოდის რომის ისტორიაში პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე. ამ გვარის წარმომადგენელი, რომელიც პირველად გვხვდება რომის ისტორიაში, იყო ვინმე იულიუს იულიუსი, რომელსაც ძვ. წ. 485 წ. რომში კონსულის თანამდებობა ეჭირა. ამ გვარის სხვა წარმომადგენლებს კონსულის თანამდებობა ეკავათ რომში 482, 473, 447, 430 წლებში, ხოლო ვინმე გაიუს იულიუს იულიუსი დიქტატორადაც ყოფილა 352 წელს. მაგრამ ამ პირთა უფრო ახლო გენეალოგიური კავშირის დადგენა გაიუს იულიუს ცეზართან არ ხერხდება.

ცეზარის უფრო უტყუარ გენეალოგიას ისტორიკოსები ადგენენ სექსტუს იულიუს ცეზარიდან, რომელიც პრეტორად იყო რომში ძვ. წ. 208 წელს. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით ამ სექსტუს იულიუსიდან უნდა შემოდიოდეს პირველად იულიუ-

სების გვარის ერთ შტოში შერქმეული, გვერდითი გვარი ცეზარი (Caesar). თვით სიტყვა „ცეზარის" თავდაპირველი მნიშვნელობის და სადაურობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთი ამ აზრის მიხედვით, რომელიც უფრო ახლოს უნდა იყოს შესაძლებლობასთან, სიტყვა „Caesar" წარმომდგარი უნდა იყოს პუნიკური (ძველი კართაგენურ-ფინიკიური) სიტყვისაგან „Casar", რაც ნიშნავს „სპილოს". ფიქრობენ, რომ იულიუსების გვარის წარმომადგენელს (ზოგი ასეთად სექსტუს იულიუსს მიიჩნევს) პუნიკურ ომებში, რომელშიაც კართაგენელებს რომაელების წინააღმდეგ ხშირად გამოჰყავდათ საბრძოლო სპილოები, უნდა მოეკლა სპილო და ამასთან დაკავშირებით გვერდით გვარად ცეზარი მიეღო. ამის დასადასტურებლად იმ გარემოებასაც იშველიებენ, რომ გაიუს იულიუს ცეზარის ქურუმობის დროს უმაღლესი ქურუმის მედლის მეორე მხარეზე გამოხატული იყო სპილო, რომელიც ფეხებით სრესს გველს. ასეთია მოკლედ ცეზარის გენეალოგიის საკითხი.

რაც შეეხება თვითონ გაიუს იულიუს ცეზარის ბიოგრაფიას, იგი ასე წარმოგვიდგება: მისი დაბადების თარიღი ჯერ კიდევ სადავოდ არის გადაქცეული მეცნიერებაში. ძველი დროის ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი ვარაუდობდა, რომ ცეზარი ძვ. წ. 100 წელს დაიბადა, მაგრამ უფრო სამართლიანი უნდა იყოს თ. მომზენის აზრი, რომლის თანახმად ცეზარის დაბადების თარიღად ძვ. წ. 102 წელი უნდა ვივარაუდოთ.

ცეზარის მამა გაიუს იულიუს ცეზარი ერთ დროს პრეტორად იყო რომში. იგი გარდაიცვალა 84 წ., როცა ცეზარი 16 წლის იყო. დედა ავრელია ცნობილ პლებეურ გვარს ეკუთვნოდა. ისტორიკოს ტაციტუსის გადმოცემით, იგი ისეთივე განათლებული ქალი და მზრუნველი დედა ყოფილა, როგორიც თავისი დროისათვის გრაკხუსების დედა კორნელია იყო. ცეზარმა დაწყებითი განათლება ოჯახში, დედისაგან მიიღო. შემდეგ კი ისმენდა ფილოსოფიისა და მჭევრმეტყველების მასწავლებლის, ცნობილი მარკუს ანტონიუს გნიფონის ლექციებს. გნიფონს თავის მხრივ უმაღლესი განათლება ალექსანდრიაში

(ეგვიპტე) ჰქონდა მიღებული და დიდად იყო განსწავლული ბერძნულსა და ლათინურ ლიტერატურაში. თვით ცეზარიც ლათინურთან ერთად სრულყოფილად ფლობდა ბერძნულ ენასაც, ორივეზე თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა.

ცეზარმა დიდი სახელი მოიხვეჭა თავისი სამხედრო გენიის და პოლიტიკური მოღვაწეობის წყალობით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც. ცეზარის ისტორიული ხასიათის თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია ორმა: „გალებთან ომის შესახებ“ და „სამოქალაქო ომმა“. სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარს დაუწერია ბევრი სხვა თხზულებაც, როგორც მაგალითად: „ანალოგიების შესახებ“, „ანტიკატონი“, პოემა „მოგზაურობა“, „ჰერკულესის ხოტბა“, ტრაგედია „ოიდიპოსი“; მას აგრეთვე შეუდგენია „საუკეთესო გამონათქვამთა კრებული“ და სხვ. მაგრამ ამ თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ერთ ხანს ცეზარს მიაწერდნენ აგრეთვე მის მიერ ალექსანდრიასა, აფრიკასა და ესპანეთში წარმოებული ომების ისტორიის აღწერასაც, მაგრამ სვეტონიუსი გადმოგვცემს, რომ მათი ავტორი უცნობიაო.

ციცერონი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა ცეზარის ლიტერატურულ მოღვაწეობას, კერძოდ მის სტილს. განსაკუთრებით ხიბლავდა მას ცეზარის თხრობის სისადავე და ზიზუსტე. სადაც ყოველი ფრაზა, როგორც ის წერდა, ტანსაცმელგახდილი იყო, ამის გამო აზრი შიშველი, დაუბინდავი, პირდაპირი, ორაზროვნების გამომრიცხველი და ადვილად და სრულად გასაგები. როგორც გადმოგვცემენ, ცეზარს წარმოუდგენლად კარგი მეხსიერება ჰქონია: ერთდროულად მას შეეძლო მოესმინა, ეწერა და ელაპარაკნა.

ცეზარს ახალგაზრდობაში უწერია ლექსებიც, მაგრამ როგორც ტაციტუსი გადმოგვცემს, ისინი ისევე, როგორც ციცერონის ლექსებიც, სუსტი ყოფილა.

ცეზარს დიდი ნიჭი გამოუჩენია ორატორულ ხელოვნებაში. სვეტონიუსის გადმოცემით, პირველად ცეზარი ამ ხელოვნებას სტრაბონის მიბაძვით სწავლობდა. შემდეგ კი როგორც პლუტარქე წერს, იგი როდოსზე წასულა იმ დროს ყველაზე ცნო-

ბილ ორატორთან აპოლონიოს მოლონთან მჭევრმეტყველების შესასწავლად, რომელთანაც ცეზარზე ადრე ციცერონი სწავლობდა. იმავე პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარს საოცარი ბუნებრივი ნიჭი გამოუჩენია მჭევრმეტყველებაში, მაგრამ იმის გამო, რომ იგი უფრო პოლიტიკური მოღვაწეობისა და სამხედრო დიდებისაკენ ილტვოდა, მჭევრმეტყველებაში მხოლოდ მეორე ადგილის დაკავება შეძლოო. სვეტონიუსის გადმოცემით, მჭევრმეტყველებაში ცეზარი „...გაუთანაბრდა ზოგიერთ ძალიან გამოჩენილ ადამიანს, ხოლო ზოგს კიდევაც გაუსწრო". ციცერონი კი წერდა, რომ მან არ იცის ისეთი ორატორი, რომელსაც ცეზარმა პირველობა უნდა დაუთმოს.

ცეზარი მაღალი და გამხდარი ყოფილა, ჰქონია სხეულის შეთანაზომებული ნაკვთები, შავი თვალები გამჭვალავი ხედვით, კანის მკრთალი ფერი, სწორი, მოზრდილი ცხვირი, პატარა პირი, რამდენადმე მსხვილი ტუჩებით, მაღალი შუბლი, რომელიც ერთგვარად მანიშნებელი ყოფილა მისი გონებრივი სიძლიერისა. ძველი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ ჟღერადი და ძლიერი ხმა, კეთილშობილური მიხვრა-მოხვრა და ალერსიანი მოქცევა უჩვეულო სიდიადეს აძლევდა ცეზარის პიროვნებასო. საერთოდ კი ახალგაზრდობაში ცეზარი მაინც ფიზიკურად დაჩიავებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა და თითქოს არ ამართლებდა თვითონ რომაელების ცნობილ დებულებას: „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია".

ცეზარი თვითონ გრძნობდა თავის ფიზიკურ სისუსტეს და მის შეუსაბამობას დიდ მიზანთან — მიეღწია სამხედრო დიდებისათვის და შემდეგ ამ გზით თვით პოლიტიკური დიდებისთვისაც. ამიტომ ფიზიკური სისუსტის დაძლევას ახალგაზრდობაშივე დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველგვარი სახის ვარჯიშით, თავშეკავებული ცხოვრებით, ხიფათისა და გაჭირვებისათვის თავის მიცემით და სხვ. „ჯანის სისუსტე, — წერს პლუტარქე, ცეზარს არასოდეს გადაუქცევია ნებიერი ცხოვრების საბაბად. პირიქით, სხეულის უძლურების წამალს იგი სამხედრო სამსახურში ეძებდა. ავადმყოფობას ხანგრძლივი მოგზაურობით, ზომიერი ცხოვრებით, ნიადაგ ღია ცისქვეშ ყოფნით და გაჭირ-

ვების გადატანით ებრძოდა და ამით სხეულის გაკაჟებას ცდილობდა". ყოველივე ამის შედეგად ცეზარმა სძლია თავის ფიზიკურ სისუსტეს, რომელიც ხელს უშლიდა სამხედრო დიდებისაკენ მიმავალ გზაზე.

ძველი მსოფლიოს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება დიდი ადამიანი, რომელსაც ასეთის დაჟინებით, მეთოდური თანმიმდევრობითა და შეუპოვრობით ევლოს წინ ერთხელ დასახული მიზნისაკენ: მიეღწია თანამდებობრივი იერარქიის კიბეზე ყველაზე მაღალი წერტილისათვის. წყაროები ერთხმად უსვამენ ხაზს ცეზარში ამ ჩაუქრობელ და შეუნელებელ სწრაფვას. პლუტარქეს გადმოცემით, როცა ორმოც წელს მიღწეული ცეზარი, პრეტორის თანამდებობაზე ყოფნის შემდეგ, ესპანეთის მმართველად მიდიოდა... „ალპებზე გადავიდა და ერთ სულ მცირე ხალხით დასახლებულსა და უმწეო ბარბაროსულ დაბაზე მიემართებოდა, მეგობრებმა მას სიცილით და ხუმრობით ჰკითხეს: „ნუთუ აქაც არის რაიმე მეტოქეობა თანამდებობათა გულისათვის? ნუთუ აქაც არის ბრძოლა პირველობისათვის და შური ძლიერთა შორის?" ცეზარმა მათ სავსებით დინჯად მიუგო თურმე: „მე ვამჯობინებდი, პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე რომაელებშიო".

სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარი პირველობისაკენ „ახალგაზრდობიდანვე ისწრაფოდა". ციცერონსაც ადრევე შეუნიშნავს ეს, ამიტომ შემდეგ დაწერილ თავის ტრაქტატში („მოვალეობათა შესახებ") იგი აღნიშნავს, რომ ამ მისწრაფების გამომხატველი უნდა ყოფილიყო ცეზარის მიერ ევრიპიდეს პიესაში „ფინიკიელი ქალებიდან" ერთი ლექსის ხშირი განმეორება: „თუ წესი უნდა დაირღვეს — ეს მხოლოდ ბატონობის გულისათვის, სხვა ყველაფერში კი სამართლიანობა უნდა იქნეს დაცული". დრო გადიოდა, ცეზარმა ორმოც წელს გადააბიჯა, წესის დარღვევასაც არ ერიდებოდა, მაგრამ „ბატონობა" ჯერ არსად ჩანდა. ეს გარემოება ფრიად ანაღვლებდა ცეზარს და დიდი მიზნების მიღწევის იმედს უკარგავდა. პლუტარქეს გადმოცემით, ერთხელ ესპანეთში ცეზარი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ რაღაცას კითხულობდაო. შემდეგ ხანგრძლი-

ვსა და ღრმა ფიქრებს მიეცა და, ბოლოს, კიდეც ატირდა. განცვიფრებულმა მეგობრებმა მას ამის მიზეზი ჰკითხეს. „როგორ გგონიათ, — განა არ არის სევდის ღირსი ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა და მე კი აქამდე, არაფერი სახსახელო არ გამიკეთებია, უპასუხა მათ ცეზარმა“.

პლუტარქე აქ ცდება, ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის გარდაიცვალა, ცეზარი კი ამ დროს 40 წელს იყო მიღწეული.

მაგრამ, ცეზარი იყო ცეზარი, და იგი უტეხი ჯიუტობით არ იხევდა უკან ერთხელ დასახული მიზნიდან. იგი პრაქტიკულად ადრევე მისდევდა მაკიაველის მიერ შემდეგ თეორიულად გამოთქმულ ფორმულას: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ცეზარიც არ ერიდებოდა დემაგოგიას, მოსყიდვას, ხიფათს, სისხლსა და ოფლს.

ცეზარი სულას დიქტატურისა და მის მოძღვნო პერიოდში

ძვ. წ. 86 წ. როდესაც სულა აღმოსავლეთში მითრიდატეს ებრძოდა, ცეზარი პირველად გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და თოთხმეტი წლის ასაკში მარიუსის მხარდაჭერით იუპიტერის ქურუმი გახდა. თექვსმეტი წლისას მამა გარდაეცვალა. ამავე ხანებში მან უარი თქვა მდიდარი ოჯახიდან გამოსული ქალიშვილის — კოსუციას შერთვაზე, რომელზედაც ბავშვობიდანვე იყო დანიშნული, და ერთი წლის შემდეგ ცოლად შეირთო 86 წლის კონსულის კორნელიუს ცინას ქალიშვილი კორნელია.

ამრიგად, ცეზარის საზოგადოებრივი კარიერა მისთვის ხელსაყრელ ვითარებაში დაიწყო, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ იგი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობით შეიცვალა. იმავე წელს, როდესაც ცეზარი ქურუმად აირჩიეს, გარდაიცვალა მარიუსი, 84 წელს კი მოკლეს ცინა. 83 წელს (მითრიდატეს დამარცხების შემდეგ) იტალიაში დაბრუნდა მარიუსისა და ცინას დაუძინებელი მტერი კორნელიუს სულა და დაი-

წყო სისხლისმღვრელი ბრძოლები სულასა და მარიუსელებს შორის. ბრძოლა 82 წელს მარიუსელთა დამარცხებით დამთავრდა. დაიწყო სულას დიქტატურისა და პროსკრიპციების შავბნელი ეპოქა.

ასეთ ვითარებაში, სულას ორივე მთავარი მტრის — მარიუსის და ცინას ახლო ნათესავი ცეზარი ვერ იქნებოდა უშიშარ მდგომარეობაში. მართლაც სულამ მალე მოიცალა მისთვის. რადგან ცეზარის მოსპობისა და სიკვდილმისჯილთა სიაში შეტანისათვის სულას არავითარი კონკრეტული საბუთი არ გააჩნდა, მან წინადადება მისცა ახალგაზრდა ჭურუმს გაჰყროდა ცოლს—ცინას ქალიშვილს კორნელიას. ფორმალურად აქ ის მოტივი იყო მოყვანილი, რომ კორნელია კანონს გარეშე გამოცხადებულ გვარს ეკუთვნოდა. სულას უნდოდა მორალურად დაესაჯა როგორც თავისი ყოფილი მტრის ცინას ქალიშვილი—კორნელია, ისე მეორე ყოფილი მტრის—მარიუსის ცოლის ძმისშვილი—ცეზარი. ამას ზედ ის გარემოებაც ემატებოდა (და შეიძლება ეს მთავარიც იყო), რომ სულა ახალგაზრდა ცეზარში მისთვის სახიფათო ადამიანს ხედავდა და ეძებდა საბაბს — ამ განკარგულების შეუსრულებლობის შემთხვევაში—მისი ფიზიკური მოსპობისათვის.

· ველეიუს პატერკულუსის გადმოცემით, სულამ განკარგულება მისცა პიზონსაც, რომ ის ცინას ქვრივს ანეიას გაჰყროდა, რაც დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. მეტად ტრაღი-კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა პომპეუსი: იგი ყოველგვარი საბაბის გარეშე დიქტატორის განკარგულებით გაეყარა თავის საყვარელ ცოლს, ანტისტიას და სულასავე მითითებით მისი გერი ემილია შეირთო ცოლად. ამ ემილიას იმ დროს ქმარი ჰყავდა და ფეხმძიმედაც იყო. პლუტარქე წერს, რომ „სხვის მიერ ფეხმძიმედქმნილი ემილია პომპეუსს მიჰგვარეს... ამ ქორწინებას მეტად ტირანული ელფერი გადაჰკრავდა და სულას ხანას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე პომპეუსის ხასიათს".

ცეზარი კი გაჯიუტდა და უარი თქვა სულას განკარგულების შესრულებაზე. ამ გარემოებამ შიში გამოიწვია მის მეგობრებში, რადგან ცხადი იყო, ამგვარი სიჯიუტე მას სიცოცხლის

ფასად დაუჯდებოდა. მართლაც. დიქტატორის განკარგულების შეუსრულებლობის გამო „...სასჯელად, წერს სვეტონიუსი, — მას ჩამოართვეს ქურუმის თანამდებობა, ცოლის მზითევი და მემკვიდრეობა... ამას გარდა იგი მიჩნეულ იქნა სულას მოწინააღმდეგე პარტიის მომხრედ". სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლებოდა გამხდარიყო ცეზარისათვის საბედისწერო. ცეზარი საბინების მხარეში გადაიხვეწა თავის შესაფარებლად. ამ ხეტიალის დროს ავად გახდა მალარიით და თანმხლებ პირებს, მაძებართათვის კვალის ასაბნევად, იგი სახლიდან სახლში გადაჰყავდათ ფარულად. ერთ ღამეს ავადმყოფი ცეზარი ხელში ჩაუვარდა სულას რაზმს, რომელიც იქ სიკვდილმისჯილ პირთა ძებნას აწარმოებდა. ცეზარმა ორ ტალანტად (დაახლოებით ხუთი ათასი მანეთი ოქროთი) მოისყიდა რაზმის მეთაური კორნელიუს ფაგიტუსი და სიკვდილს გადარჩა.

ცხადი იყო, რომ ყოველთვის არ გამოჩნდებოდნენ ფაგიტუსები. ცეზარის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, რომელიც დღეს თუ არა ხვალ შეიძლებოდა გაწყვეტილიყო და მისმა გულშემატკივრებმა, ვესტას ერთმა მსახურმა ქალმა და ცნობილმა ავრელიუს კოტამ, აგრეთვე სხვა გამოჩენილმა პირებმა, კვლავ დაუწყეს ხვეწნა სულას: ეპატიებინა ცეზარისათვის ახალგაზრდობით გამოწვეული ურჩობა და მოეხსნა განკარგულება ცოლთან მისი გაყრის შესახებ. ბოლოს, წერს სვეტონიუსი, სულამ, ზეშთაგონებულმა, თუ საკუთარ მიხვედრილობას დამორჩილებულმა, წამოიძახა: „დაე, გამარჯვება მას დარჩეს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის, ვის გადარჩენასაც თქვენ ასე რიგად ცდილობთ, ოდესმე დაღუპავს ოპტიმატების პარტიას, რომელსაც თქვენ სულასთან ერთად იცავდით, რადგან ერთი ცეზარი რამდენიმე მარიუსად ღირსო".

გამოვიდა რა ამ მძიმე მდგომარეობიდან, ცეზარმა მაინც საიფათოდ მიიჩნია იტალიაში დარჩენა და აღმოსავლეთში წავიდა. ამ დროს აღმოსავლეთში ბედისა და სამხედრო კარიერის მაძიებელი ბევრი რომაელი ახალგაზრდა არისტოკრატი მიდიოდა. ცეზარი რომის პროვინცია „აზიაში" პრეტორ მარკუს მუნიციუს ტერმიუსის არმიაში შევიდა; ამ ტერმიუსმა მალე

ცეზარი ბითვინიის მეფე ნიკომედთან გაგზავნა სამხედრო დახმარების გამოსათხოვრად მიტილენის ალყისათვის, რომელიც მითრიდატეს ჯარებს ჰქონდათ დაკავებული. ცეზარი ბითვინიაში დიდხანს დაყოვნდა.

ცეზარმა მასზე მინდობილი დავალება შეასრულა და მიტილენის ალყაშიც დიდი სიმამაცე გამოიჩინა, რის გამოც პრეტორმა ტერმიუსმა იგი სამოქალაქო გვირგვინით დააჯილდოვა. ამის შემდეგ ცეზარი შედის პროკონსულ სერვილიუს ისავრიელის ფლოტში, რომელიც კილიკიის სანაპიროებზე (მცირე აზიაში) მეკობრეებს ებრძოდა. სწორედ ამ პერიოდში ცეზარმა რომიდან მიიღო ცნობა სულას გარდაცვალების შესახებ და, როგორც მეგობრებიც სთხოვდნენ, დაუყოვნებლივ დატოვა აზია და იტალიაში დაბრუნდა.

რომში სულას გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა ჯერ კიდევ სტაბილური არ იყო. მზადდებოდა ყოფილი სულანელის და შემდეგ დემოკრატების რიგებში გადასული მარკუს ემილიუს ლეპიდეს აჯანყება სულას მიერ დამკვიდრებული რეჟიმის წინააღმდეგ. სვეტონიუსის გადმოცემით, ლეპიდემ კავშირის შეკვრა შესთავაზა ცეზარს, მაგრამ ცეზარმა ნეიტრალიტეტი არჩია. გარდა იმისა, რომ ლეპიდეს გამარჯვება საეჭვო იყო, ცეზარს არ უნდოდა მეორეხარისხოვანი როლი ეთამაშა ამ კავშირში. უმთავრესი კი ის იყო, რომ სულით არისტოკრატს და ოპტიმატების მომხრე ცეზარს სულას წინააღმდეგ პირადი სიძულვილი ამოქმედებდა და არა სულას პოლიტიკის საერთო მიმართულების ხაზი. ცეზარს ის კი არ უნდოდა, რომ დაენგრია სულას მონაპოვარი, პირიქით, მას სურდა აეშენებინა ის, რისი აშენებაც სულამ ვერ მოასწრო. ამიტომ ცხადია, ცეზარი ვერ დაუჭერდა მხარს ვერც ერთ დაჯგუფებას, რომელიც მიზნად დემოკრატიის აღდგენასა და რესპუბლიკის განმტკიცებას დაისახავდა.

ლეპიდე თავის მომხრეებს, რომელიც მან მარიუსის ვეტერანებისა და სულას მიერ დასჯილ პირთაგან შეკრიბა, ასე მიმართავდა: რომის ხალხი, დედამიწის ყველა ხალხების ამასწინანდელი მბრძანებელი, ახლა დამცირებულია, მოძულებულია,

მოკლებულია კანონთა მფარველობას, პატივს, დიდებას, ძალაუფლებას. ახლანდელ პირობებში რაღა დაგვრჩენია ჩვენ, კვირიტებო, გარდა იმისა, რომ ავიღოთ ხელში იარაღი და სამაგიერო მივუზღოთ სულას მომხრეებს, ან პატიოსნად მოვკვდეთ.

ცხადია, პოლიტიკაში სულას ხაზზე მდგარი ცეზარი ამ მიზნებს სიცოცხლეს ვერ შეასწირავდა.

ლეპიდეს აჯანყება მალე პომპეუსმა ჩააქრო.

ცეზარი დარწმუნდა, რომ დიდი საქმეებისათვის ხელის მოსაკიდებლად რომში პოლიტიკური ატმოსფერო ჯერ კიდევ არ იყო გაწმენდილი, ამიტომ დროებით დასტოვა რომი და კვლავ გაემგზავრა აღმოსავლეთში. იგი მიემგზავრებოდა კუნძულ როდოსზე, იმ დროის განათლების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში, სადაც მშვევრმეტყველების ყველაზე გამოჩენილი მასწავლებლის, აპოლონიოს მოლონის ლექციების მოსმენა სურდა. მაგრამ როგორც სვეტონიუსი წერს, როდესაც „იგი იქითკენ ზღვით მიემგზავრებოდა, ზამთრის ჟამს, კუნძულ ფარმაკუსთან მეკობრეებმა შეიპყრეს. მან მათთან ექიმისა და ორი პირფარეშის თანხლებით დაახლოებით ორმოცი დღე დაჰყო. დანარჩენი მხლებელნი, აგრეთვე მონებიც სხვადასხვა მხარეში დაგზავნა, რათა მისთვის თავდასახსნელი თანხა ეშოვნათ“. მეკობრეებმა ცეზარს ოცი ტალანტი მოსთხოვეს, ის კი ორმოცდაათი ტალანტის მიცემას შეჰპირდა და ამით ყაჩაღების მხრივ უდიერი მოპყრობა თავიდან აიცილა.

ვიდრე მის მიერ ფულის მოსატანად გაგზავნილები დაბრუნდებოდნენ, პლუტარქეს თქმით, ცეზარი მეკობრეებთან ისე ამაყად იქცეოდა „თითქოს მათთან ტყვეობაში კი არ იყო, არამედ პირადი მცველების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა; მეკობრეებთან ერთად უდარდელად ხუმრობდა და მათთან ერთად ვარჯიშობდა კიდევაც. ხანდახან პოემებსა და სიტყვებსაც წერდა, მოსასმენად უაჩაღებს უხმობდა და იმათ, რომლებიც თავიანთ განცვიფრებას არ გამოამჟღავნებდნენ, ყოველგვარი მორიდების გარეშე უზრდელებსა და ბარბაროსებს ეძახდა და ხშირად სიცილით ემუქრებოდა: ყველას ჩამოგახრჩობთო. მეკობრეები ხალისით უსმენდნენ მას და ამ გულახდილობაში მისი მხიარული ხასიათის გამომჟღავნებას ხედავდნენ“.

ორმოცი დღის შემდეგ, როდესაც ცეზარს მცირე აზიის ქალაქებიდან თავდასახსნელი ფული მოუტანეს, მეკობრეებმა იგი გაანთავისუფლეს და ქ. მილეთის მახლობლად ნაპირზე გადმოსვეს. აქ ცეზარმა სასწრაფოდ შეაიარაღა რამდენიმე გემი, დაედევნა მეკობრეებს, შეიპყრო, ნაპირზე გადაიყვანა და პერგამის ციხეში მოათავსა. მან უკან დაიბრუნა არა მარტო თავისი ფული, რომელიც მეკობრეებს გადაუხადა, არამედ მთელი მათი დანარჩენი ქონებაც. მეკობრეები კი მისი განკარგულებით ჩამოახრჩეს.

ამის შემდეგ ცეზარი ერთ ხანს როდოსზე დარჩა და აპოლონიოსის ლექციებს ისმენდა. აქ მოუსწრო მას მითრიდატესთან მესამე ომის (74-64 წწ.) დაწყებამ. ცეზარმა მაშინვე მიატოვა რიტორიკაში მეცადინეობა, ხმალს მოჰკიდა ხელი და კუნძულ როდოსიდან მცირე აზიაში გადავიდა. აქ მან, რომელსაც არც რაიმე თანამდებობა და არც რაიმე დავალება რომის მთავრობისაგან არ ჰქონდა, თვითონ, საკუთარი თაოსნობით შექმნა რაზმი და ფრიგიიდან განდევნა მითრიდატეს მიერ მმართველად დანიშნული ვინმე ევმახი. ამით ცეზარმა, წერს სვეტონიუსი „... რომს შეუნარჩუნა მოკავშირეები, რომლებიც ყოყმანობდნენ და მზად იყვნენ გადადგომოდნენ მას". მაგრამ სულას ყოფილი მეგობრის ლ უ ც ი უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს ლ უ კ უ ლ უ ს ი ს დროშის ქვეშ დარჩენა და ბრძოლა ცეზარისათვის ხელსაყრელი არ იყო. მან გადაწყვიტა, დაეტოვებინა ბრძოლის ასპარეზი და რომში დაბრუნებულიყო, სადაც ის სამხედრო ტრიბუნად აირჩიეს. „ეს იყო პირველი თანამდებობა, — წერს სვეტონიუსი, — რომელიც ხალხის არჩევით მას წილად ხვდა რომში დაბრუნებისთანავე".

წყაროებიდან არ ჩანს, რომ ცეზარს 73 წლიდან 68 წლამდე რომში რაიმე თანამდებობა სჭეროდეს. უნდა ვიფიქროთ, ამ დროს იგი ერთის მხრივ პოლიტიკური ატმოსფეროს დაწმენდას და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ტენდენციების გამოკვეთას უცდიდა და მეორეს მხრივ კი ძალთა დაგროვებისა და მომხრეების შეძენით იყო დაკავებული, რათა შემდეგ, ხელსაყრელი სიტუაციის დროს, კვლავ ახალი ძალით ჩაბმულიყო

პოლიტიკურ ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ ეს იყო მეტად მძიმე და დაძაბული პერიოდი რომის ისტორიაში. ესპანეთში ბრძოლა მიმდინარეობდა სერტორიუსის წინააღმდეგ, რომელთანაც წამოწყებული ომი სამოქალაქო და საგარეო ომის რაღაც ნარევ ხასიათს ატარებდა. თვით იტალიაში მძვინვარებდა სასტიკი სამოქალაქო ომი აჯანყებულ მონებთან, რომელთაც სპარტაკი მეთაურობდა. ხოლო აღმოსავლეთი მითრიდატესთან ომის ხანძარში იყო გახვეული. ცეზარი ამ ბრძოლებიდან განზე იდგა, და იმის მოლოდინში იყო, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა მოვლენები.

ოთხი წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა 71 წელს რომაელებმა ბოლო მოუღეს სპარტაკის წინამძღოლობით დაწყებულ მონათა უდიდეს აჯანყებას, რომლის მსგავსიც არ ყოფილა მონათმფლობელური ფორმაციის არც ერთ ქვეყანაში. სპარტაკის აჯანყების მასშტაბი და მისი ჩაქრობის გაჭიანურება ცეზარს იმის მანიშნებლად მიაჩნდა, რომ რესპუბლიკა „მობერდა“ და საკმაო მოქნილობას და შინაგან თანხმობას ველარ იჩენდა ასეთი დიდი სიძნელეებისათვის თავის გასართმევად.

მეორეს მხრივ, სერტორიუსთან ბრძოლა ესპანეთში, რაც რომაელებს რვა წელი (80—72) გაუგრძელდათ, იმის მაჩვენებელი იყო, რომ რომის სახელმწიფო ველარ ახერხებდა ძირითად სახიფათო უბნებზე ძალების დროულად თავმოყრას გადამწყვეტი წარმატებისათვის. ამავე დროს, რომის სახელმწიფო აპარატის მოშლა, დანაგვიანება, არჩევნებში ხმის უფლების გაყიდვა და მექრთამეობის წარმოუდგენელი გაძლიერება სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, ცეზარს უნერგავდა რწმენას, რომ ნიადაგი ერთპიროვნული ძალაუფლებისათვის ერთგვარად მომწიფებული იყო.

მთავარი აქ მაინც ის იყო, რომ ცეზარს თავისი ამოცანები ისე შეეწირება, რომ ხალხისათვის ისინი დემოკრატიულად მოეჩვენებინა და ამ საბურველით დიქტატორობის კიბეზე თანდათან ამაღლებულიყო.

როდესაც იტალიაში სპარტაკის აჯანყება ჩააქრეს, ესპა-

ნეთში სერტორიუსი დაამარცხეს და აზიაშიც ლუკულუსმა ძირითადად გატეხა მითრიდატეს წინააღმდეგობა, პოლიტიკური მოვლენებიც რომში ერთგვარად დალაგდა. გამოარკვა ისიც, თუ ვინ იცავდა ძველს და ისიც თუ ვინ მიიღტვოდა ახლისაკენ. ვინ იცავდა რესპუბლიკას და ვინ ისწრაფოდა დიქტატურისაკენ.

რესპუბლიკას იცავდა რომის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, როგორც დაბალი, ისე მაღალი ფენებიდან. მათ მეთაურთა შორის ყველაზე შესამჩნევ ფიგურებად მაშინდელ ფონზე ჩანდნენ ციცერონი და კატონი. ტრაქტატში „სახელმწიფოს შესახებ“ ციცერონი სახელმწიფოს მმართველობის ფორმებიდან ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევდა მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული მმართველობის ნარევს. მაგრამ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, როცა რომის რესპუბლიკას დიქტატურით შეცვლა ემუქრებოდა. იგი რესპუბლიკის შენარჩუნებას აძლევდა უპირატესობას და იბრძოდა კიდეც მისთვის. ამ საქმეში ციცერონს არც პოლიტიკური მდგომარეობის ალღოს აღების უნარი აკლდა და არც ენა ღალატობდა რესპუბლიკისათვის შექმნილი საფრთხის ცხადყოფისათვის. მაგრამ არ ჰყოფნიდა სიმედგრე, თანმიმდევრობა, პრინციპულობა და გამბედაობა. მისი გაძევებისდროინდელი წერილები აღმოსავლეთიდან ატიკუსისა და თავისი ძმის კვინტუსისადმი, იმის მაჩვენებელია, რომ ციცერონი არ იყო დაბადებული დიდი საქმეებისათვის. მას არ შეეძლო სიკვდილის თალებჭვეშ მიმავალი გზით უკვდავებისაკენ წასვლა. ამ ხიფათისა და რისკისათვის აშკარად ძალა არ ჰყოფნიდა.

თუ ციცერონის პოლიტიკური ამპლიტუდა ძალიან მერყევი იყო, სამაგიეროდ უტეხი იყო კატონ უტიკელი, რომელიც სამოციან წლებში ედგა სათავეში ოპტიმატების პარტიას. მის შესახებ დიონ კასიუსი წერს, რომ „...იმ ადამიანთა შორის, რომელნიც მაშინ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ, კატონის გამოკლებით, არც ერთი არ გამოირჩეოდა მოუსყიდველობით და პირადი დაუინტერესებლობით“. მაგრამ სპეტაკ, მედგარ და გამბედავ კატონს ბელადის ბევრი თვისება

აკლდა. კატონი არ იყო არც ორგანიზატორი და პრაქტიკოსი და არც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. ამასთან რესპუბლიკის ჯიქურა დაცვით, იგი იცავდა ისტორიულად განწირულ საქმეს, სადაც დიდი წარმატების შესაძლებლობა, საერთოდ, გამორიცხული იყო.

რაც შეეხება იმათ, ვინც დიქტატურისაკენ მიისწრაფოდა, ცეზარისათვის ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი პომპეუსი იყო. მისი ჩამოცილება გზიდან ძნელდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ პომპეუსი ამ დროს დემოკრატიული ლოზუნგებით ინიღბებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მისი ავტორიტეტი მეტად დიდი იყო, როგორც პლუტარქე წერს, „ცამდე აღწევდა“. მაგრამ ცეზარი არ შეუშინდა ამას და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გამარჯვებასაც მიაღწია.

ცეზარი ქვესტორის თანამდებობაზე

68 წელს ცეზარი ქვესტორის თანამდებობაზე აირჩიეს. ქვესტორები განაგებდნენ სატურნის ტაძარში მოთავსებულ სახელმწიფო ხაზინას, აგრეთვე სახელმწიფო არქივს, დროშებს, გასავლისა და შემოსავლის დავთრებს, ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ნადავლის გაყიდვას და ფიცის დადებას სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ, როდესაც ისინი ამ თანამდებობის აღსრულებას იწყებდნენ. ამავე წელს ცეზარი გაყვანილი იქნა სენატშიც.

მართალია, ქვესტორის თანამდებობა არც იმდენად დიდი მაგისტრატურა იყო, მაგრამ ცეზარი შეეცადა ესარგებლა თავისი ოფიციალური მდგომარეობით და საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. ამ პერიოდიდან დაწყებული ცეზარი ყველა შესაძლებლობას იყენებდა და არც დემაგოგიას თაკილობდა იმისათვის, რომ თანდათან სასურველი თანამდებობისათვის მიეღწია.

იმ წელს გარდაიცვალა მისი მამიდა, მარიუსის ქვრივი, იულია. რომაელებს ჩვეულებად ჰქონდათ სიტყვა წარმოეთქ-

ვათ მოხუცებული ქალის დაკრძალვაზე. ცეზარმა გადაწყვიტა ეს სიტყვა თავისი შენიღბული პოლიტიკური პროგრამის განსაცხადებლად გამოეყენებინა, აღედგინა მარიუსის ხსოვნა და მისი ავტორიტეტით თავისი მიზნებისათვის ესარგებლა. ცეზარმა, წერს პლუტარქე, იულიას „...დაკრძალვის დროს იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ საჯაროდ გამოიტანა მარიუსის ქანდაკებანი, რომლებიც სულას ბატონობის დროიდან მოკიდებული მაშინ პირველად იხილეს რომაელებმა: მარიუსი და მისი მომხრეები ხალხის მტრებად იყვნენ აღიარებულნი. მარიუსის გამოსახულებათა დანახვისას ზოგიერთებმა ხმა აიმაღლეს ცეზარის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხი მხიარული ყიჟინით და ტაშისცემით მიეგება ამ ამბავს; იგი განცვიფრებული იყო ცეზარის მოქმედებით, რომელიც მარიუსის პატივს ესოდენ დიდი ხნის შემდეგ. ასე ვთქვათ, საიქიოს სასუფევლიდან რომში აბრუნებდა".

ამავე სიტყვაში, სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარი ხაზს უსვამდა თავის მაღალ წარმომავლობას ერთი მხრით ღმერთების და მეორე მხრით რომის ძველი მეფეებისაგან. ეს შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ მიუხედავად რესპუბლიკის ოთხნახევარი საუკუნის არსებობისა და უკვე 287 წლიდან პლებეების და პატრიციების უფლებრივი გათანასწორებისა, არისტოკრატიული წარმოშობა მაინც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებდა, როგორც ეს იმდროინდელი წყაროებიდან, კერძოდ მარიუსისა და ციცერონის სიტყვებიდან ჩანს.

როდესაც პლებეების წრიდან გამოსული მარიუსი სახალხო კრებაზე კონსულად აირჩიეს და იუგურთას წინააღმდეგ ომში მთავარსარდლობა დაავალეს, უკმაყოფილონი დარჩნენ პატრიციები. მაშინ ხალხისადმი მიმართულ სიტყვაში მარიუსი ამბობდა: წარჩინებულნი, ჰგმობენ თქვენს გადაწყვეტილებას. ამიტომ კიდევ და კიდევ მოიფიქრეთ, ხომ არ გაგიხდებათ ეს სანანებლად? ამის დასამწუხებლად მე არ შემიძლია მიგითითოთ ჩემი წინაპრების ქანდაკებებზე, ტრიუმფზე ან კონსულობაზე, მაგრამ თუ ვითარება მოითხოვს, შემიძლია გიჩვენოთ შუბი, დროშა, უნაგირი, აგრეთვე სამხედრო ჯილ-

დოები და ჭრილობები ჩემს მკერდზე. აი, ეს არის ჩემი ჭანდაკებები, ჩემი წარჩინებულება, მაგრამ არა მემკვიდრეობით მიღებული, როგორც იმათ, არამედ მოპოვებული თვითონ ჩემს მიერ. პატრიციებს „სძულთ ჩემი არაწარჩინებულობა, მე კი მძულს მათი უმოქმედობა. მით უფრო, რომ პირველ შეთხვევაში ბედია დამნაშავე, მეორეში კი თვითონ ისინი“.

არისტოკრატიულ წარმოშობას იმდენად ჰქონდა ფესვი გადგმული, რომ ციცერონსაც კი, მიუხედავად მისი დიდი ერუდიციისა, განათლებისა, ქვეყნის წინაშე დამსახურებისა და მაღალი თანამდებობისა (კონსული), დამცირების მიზნით ხშირად ეძახდნენ „ინკვილინს“ (ადამიანი რომელსაც საკუთარი სახლი არ გააჩნდა სატახტო ქალაქში) და „ახალ კაცს“. ციცერონის წინაპრები მეცერცვეობას (ლათ., cicero — ცერცვი) მისდევდნენ. სწორედ ამ გარემოების გამო მიემატა მის ნამდვილ გვარს — ტულლიუსს გვერდითი გვარი ციცერონი.

სალუსტიუს კრისპი წერს: „ყოველი ახალი ადამიანი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მის საქმეთა დადება და ბრწყინვალება, მაინც უღირსად ითვლებოდა ასეთი პატივისათვის (კონსულის თანამდებობისათვის მ. ა.); მას თითქოს შემარცხვენელ ლაქად რჩებოდა წარმოშობა“.

ციცერონს ხშირად უფუშებდნენ ხასიათს მისი წარმოშობის წამოძახებით. მაგრამ ციცერონი მედგრად იცავდა თავს მომაკვდინებელი სარკაზმით. პლუტარქეს გადმოცემით, როცა ვინმე ნეპოტმა ციცერონს გასაწბილებლად ჰკითხა: „ციცერონო, ვინ არის შენი მამა?“ „მაგგვარ კითხვაზე პასუხის გაცემა, — მიუგო ციცერონმა,— შენ უფრო მეტად გაგიძნელა დედაშენმაო“. კატალინაც დაურიდებლად მოაგონებდა ციცერონს მის წარმოშობას. სენატის სხდომაზე მან დანაცხადა, როგორ შეიძლება მე, ჩამომავლობით პატრიცს ...„მწყურობდეს დაცემა და დაღუპვა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც იცავს ოდნავ არა რომაელი მოქალაქე, უსახლკაროდ გადმოხვეწილი მარკუს ტულიუსიო“.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში მაღალი წარმოშობა ცე-

ხარისათვის მართლაც იყო ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოება.

იმავე 68 წელს, როდესაც ცეზარი ქვესტორად იყო, გარდაიცვალა მისი პირველი ცოლი კორნელია. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალის დასაფლავებაზე რომში სიტყვის წარმოთქმა არ იყო მაღებული, ცეზარმა ტრადიციას ცდაუხვია და სიტყვა წარმოთქვა. ამით, წერს პლუტარქე, ცეზარმა „... დაიმსახურა ერთგვარი პატივისცემა და თავისი სევდის გამომჟღავნებით ისე მოინადირა თითქმის მთელი ხალხის გული, რომ მათ იგი ძალაუნებურად უნდა შეჰყვარებოდა, ვით უწყინარი და გრძნობით აღსავსე კაცი“.

ცოლის დაკრძალვის შემდეგ ცეზარი შორეულ ესპანეთში წავიდა იმავე ქვესტორის თანამდებობის რანგით. იქ პრეტორ ვეტუსის დავალებით მთელი პროვინცია შემოიარა სასამართლო ხასიათის საქმეებას მოსაგვარებლად. შემდეგ სამსახურის ვადის გასვლამდე დასტოვა ესპანეთი, დაბრუნდა რომში და მეორე ცოლად შეირთო კვინტუს პომპეუსის ასული პომპეია. 67 წ. ცეზარი დანიშნული იქნა რომის ყველაზე მოწყობილი და მაგისტრალური აპიუსის გზის ზედამხედველად.

ცეზარი — ედილი

65 წ. ცეზარი არჩეული იქნა ედილად. ედილობა მნიშვნელოვანი მაგისტრატურა იყო. ამ თანამდებობაზე ყოველწლიურად ოთხ კაცს ირჩევდნენ. მათ ევალებოდათ ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა როგორც ქალაქში, ისე ქალაქის კედლებიდან ერთი მილის დაშორებით მის გარეუბნებშიც. მათ ევალებოდათ აგრეთვე ქალაქის მომარაგებაზე ზრუნვა, სპეკულაციასთან ბრძოლა, წონა-ზომის სიზუსტის დაცვა, საზოგადოებრივი გასართობების მოწყობა და ა. შ. ერთი სიტყვით, ედილობა კულტურულ, პოლიტიკურ და სამეურნეო თანამდებობათა

რაღაც ნარევი იყო. ედილები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რომის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ედილობის დროს ცეზარმა უფრო გაბედული კურსი აიღო პოპულარობის და ხალხის ნდობის მოსაპოვებლად. იმხანად ხალხის გულისმოგებისა და მოთვინიერების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, „პურისა და სანახაობის პოლიტიკას“ მიჩვეული რომაელებისათვის, გლადიატორთა ბრძოლით მათი გართობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცეზარს ამ დროისათვის ორ მილიონ მანეთზე მეტი ვალი ჰქონდა, მან თავის კოლეგა ბიბულუსთან ერთად დიდძალი საკუთარი სახსრები დახარჯა და რომის ცირკის არენაზე სამას ოცი წყვილი გლადიატორი გამოიყვანა.

მაგრამ ცეზარი ამით არ დაკმაყოფილებულა. მან ბევრი ნასესხები ფული დახარჯა ხალხისათვის სხვა სანახაობათა და ნადიმების მოსაწყობად. „...სანახაობათა, ზარ-ზეიმებისა და ნადიმების მოსაწყობად გაწეული ხარჯებითა და ფუფუნებით, — წერს პლუტარქე, — ცეზარმა ყველა მისი წინამორბედის პატივმოყვარეობა დაჩრდილა; მან ისე მოინადირა ხალხი, რომ თითოეული ცდილობდა, გამოეძებნა რაიმე ახალი თანამდებობა და ახალი პატივი, რითაც მას მადლობას გადაუხდიდა“.

ყველაფერ ამას, რასაც თან მილიონობით ახალი ვალი მოსდევდა, ცეზარი გარკვეული პოლიტიკური მიზნით აკეთებდა. „რომში იმხანად, — წერს პლუტარქე, — ორი პოლიტიკური პარტია არსებობდა: ერთი იყო სულას პარტია მეტად დიდი ძალისა და მნიშვნელობის მქონე, ხოლო მეორე — მარიუსელთა პარტია, რომელიც მაშინ დაკნინებული, გაფანტული და სავსებით უძლური იყო. და აი, ცეზარმა სწორედ ამ პარტიის გაძლიერება და აღდგენა მოინდომა“. მკვლევარები პირველს ოპტიმატების (optima— საუკეთესო) ანუ არისტოკრატიულ პარტიას უწოდებენ, მეორეს კი — პოპულარების (populus —ხალხი) ანუ დემოკრატიულ პარტიას.

რა თქმა უნდა, პარტია როგორც ეს ჩვენ დღეს გვესმის: წერილობითი პროგრამით, საწევრო წიგნაკებით, ორგანიზაციული გაფორმებით და სხვ. ძველად არ არსებობდა, ვიდრე

იგი ჩარტისტული მოძრაობის დაწყების დროს არ წარმოიშვა ინგლისში. ამ პერიოდამდე პარტიად უნდა გვესმოდეს ორგანიზაციულად და დოკუმენტალურად გაუფორმებელი პოლიტიკური დაჯგუფება, გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებში დაახლოებით ერთნაირ პოზიციაზე მდგომი ადამიანებისა. ასეთი პარტიები რომში (საბერძნეთისაგან განსხვავებით, სადაც მათი არსებობა უფრო ადრე დაიწყო) ძვ. წ. მეორე საუკუნის ოცდაათიან წლებში, კერძოდ, ძმების გრაკხუსების რეფორმების პერიოდში წარმოიშვა.

მარიუსის დემოკრატიული პარტიის სათავეში ცეზარის მოქცევა, რაზედაც პლუტარქე ლაპარაკობს, არ ნიშნავს იმას, რომ ცეზარს იგი დემოკრატიის გაძლიერებისათვის სჭირდებოდა. ამ პარტიისა და თვით მარიუსის ავტორიტეტის აღდგენა და დაცვა ცეზარს საბოლოო ანგარიშით სულაც ხაზის გაგრძელებისა და რესპუბლიკური ინსტიტუტების წინააღმდეგ ბრძოლისათკის სჭირდებოდა. როგორც ჩანს, ცეზარის ეს პოლიტიკური მიზანდასახულება უცნობი არ დარჩენილა მაშინ რომაელებისათვის. როცა ცეზარმა მარიუსის ქანდაკებები კვლავ გამოიტანა (ამჯერად კაპიტოლიუმზე) „ზოგიერთებმა, — წერს პლუტარქე, — ყვირილა ასტეხეს: ცეზარი თავისი პოლიტიკური ზრახვებით ტირანიისაკენ მიისწრაფვის, რაკიღა ცდილობს მკვდრეთით აღადგინოს ის პატივნა, რომელნიც კანონებითა და სენატის გადაწყვეტილებით იქმნენ დამარხულნიო; ეს ცდა არის მის მიერ უკვე წინასწარ მომადლიერებულ ხალხზეო; მას სურს გაიგოს, ჰყავს თუ არა თავისი გულუხვობით ხალხი მოთვინიერებული ისე, რომ ამ უკანასკნელმა მას ასეთი ხუმრობისა და სახელმწიფო გადატრიალებისაკენ სწრაფვის უფლება მისცესო. რაც შეეხება მარიუსელებს, მათ ერთმანეთი გაამხნევეს; ისინი საოცარი სიმრავლით გამოჩნდნენ მყისვე და კაპიტოლიუმი ტაშისცემით აავსეს“.

ცეზარის ამ აქტის პოლიტიკური მიზანდასახულება არც სენატისათვის იყო გაუგებარი. ამ ამბავთან დაკავშირებით სასწრაფოდ მოწვეულ სხდომაზე სენატორი კატულუს ლუტაციუსი ამბობდა: ჩვენს სახელმწიფოზე ცეზარს იერიში მოაქვს

უკვე არა ფარული ხერელებით, არამედ საალყო მანქანებითო. მაგრამ სენატმა ვერავითარი გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ ვერ მიიღო. ცეზარმა შეძლო თავი მოხერხებულად დაეცვა და წყლიდან მშრალი გამოსულიყო. მისი მოწინააღმდეგები კი პლუტარქეს ცნობით, „გამხნევდნენ და ცეზარს მოუწოდებდნენ, არც ერთ თავის განზრახვაზე არ აეღო ხელი. არწმუნებდნენ: ხალხის დახმარებით ყველაფერში გაიმარჯვებ და პირველი კაცი იქნებიო“.

სვეტონიუსის გადმოცემით, ედილად ყოფნის დროს ცეზარს ორჯერ მოუწყვია შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად, მაგრამ ეს შეთქმულებები ჩაშლილა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ცეზარი და კატილინას შეთქმულება

შეთქმულება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ედილად ცეზარის ყოფნის შემდეგ, 63-62 წლებში, კარგად არის ცნობილი ისტორიაში, მაგრამ ჩვენ იგი მასში ცეზარის მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით გვაინტერესებს.

ისტორიკოსი სალუსტიუს კრისპი, რომელიც თანამედროვე იყო ამ ამბების და მათ საგანგებო შრომაც („კატილინას შეთქმულება“) მიუძღვნა, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ცეზარი კატილინას შეთქმულებაში არ ყოფილაო გარეული. მაგრამ სალუსტიუსი ცეზარის ახლო მეგობარი იყო, ამავე დროს იგი შეთქმულებს ხატავს, როგორც უზნეო ადამიანებს, რომელნიც სახელმწიფოს დაღუპვას უმზადებდნენ მხოლოდ თავიანთი ეგოისტური მიზნების განსახორციელებლად; ამიტომ გასაგებია, თუ რად ცდილობს იგი ცეზარის უდანაშაულობის დამტკიცებას. ისტორიკოსი პლუტარქე ცეზარის ბიოგრაფიაში ამ საკითხს ღიად ტოვებს: „აქეზებდა თუ არა ცეზარი ამ პირთ (კატილინას შეთქმულების მომხრეებს მ. ა.), ან აძლევდა თუ არა მათ რაიმე ქმედით დახმარებას, ეს არც თუ ისე ადვილი გასარკვევიაო“. იგივე პლუტარქე ციცერო-

ნის ბიოგრაფიაში წერს, მაშინ იყვნენ ადამიანები, რომელნიც ამბობდნენ, შეთქმულებაში „...ცეზარი თითქმის მხილებული იქნა, მაგრამ დაუძვრა ციცერონსო. სხვები კი ამტკიცებდნენ, ციცერონმა ცეზარის მეგობრებისა და პირადად მისი ძლიერების შიშით განზრახ დახუჭა თვალები და უყურადღებოდ დატოვა მის წინააღმდეგ მიმართული ჩვენებები. ყველასათვის ცხადი იყო, რომ უმალ შეთქმულნი გადაიქცეოდნენ ცეზარის გამართლების დამატებად, ვიდრე ცეზარი — მათი სასჯელის მონაწილედ".

ისტორიკოსი აპიანე „სამოქალაქო ომებში" წერს, რომ ციცერონი ვერ ბედავდა სხვებთან ერთად პასუხისგებაში მიეცა ცეზარი, რომელიც შეთქმულებთან კავშირში ყოფნის ეჭვებიდან თავისუფალი არ იყო, რადგან იგი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდაო. ამგვარად, აპიანესა და პლუტარქეს ცნობებიდან გამომდინარეობს, რომ ცეზარი შეთქმულთა თანამზრახველი, მათი წამოწყების მონაწილე იყო და ტაქტიკური მოსაზრებით მხოლოდ კულისებიდან დირიჟორობდა მათ. თუ ის პასუხისგებაში არ მისცეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ ხალხში მისი დიდი გავლენისა და საქმის გართულებას ერიდებოდნენ. მართლაცდა, ცეზარის მხილება არა თუ გააძნელებდა შეთქმულების ლიკვიდაციას, არამედ შეუმსუბუქებდა კიდეც სასჯელს შეთქმულების დაპატიმრებულ მეთაურებს, ვინაიდან პლუტარქეს მოხდენილი თქმით, როგორც აღნიშნული იყო, „უმალ შეთქმულნი გადაიქცეოდნენ ცეზარის გამართლების დამატებად, ვიდრე ცეზარი— მათი სასჯელის მონაწილედ". მაგრამ თუ პლუტარქე შეთქმულებაში ცეზარის მონაწილეობას მაინც საეგებისოდ სთვლის, იგი უდავოდ წინააღმდეგობაში ვარდება. ვინაიდან თვით მისი ცნობები არ აძლევა მას ეგებისობის საფუძველს.

სვეტონიუსის გადმოცემით, ვინმე ლუციუს ვეციუსი პირდაპირ აცხადებდა, რომ მას შეუძლია წარმოადგინოს ცეზარის წერილი მიწერილი კატილინასადმი, კვინტუს კურიუსი ამოწმებდა შეთქმულებაში ცეზარის მონაწილეობას და ამბობდა, რომ თვითონ კატილინასაგან გაიგო ამის შესახებ; მაგრამ ცე-

ზარმა ციცერონი დაიმოწმა და განაცხადა, რომ თვითონ მისცა მას ზოგიერთი ცნობა შეთქმულების შესახებ. როგორც ჩანს, ციცერონმა ცეზარს დაუმოწმა ეს.

ვეციუსს სასტიკად სცემა ხალხმა ფორუმზე მდგომი ტრიბუნის (როსტრას) წინ. შემდეგ იგი დააპატიმრეს. როგორც აქედან ჩანს, მამხილებელთა წინააღმდეგ რეპრესიებმა და ციცერონის ცრუ დამოწმებამ იხსნეს ცეზარი. ამის გამო, წერს პლუტარქე, შემდეგში ციცერონს ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ მან კატილინას შეთქმულების გამომჟღავნების დროს დაზოგა ცეზარი, რომელიც თავის წინააღმდეგ თვითონვე იძლეოდა მამხილებელ მასალას. ციცერონიც შემდეგ ხანებში თვითონვე აღიარებდა, რომ ცეზარი გარეული იყო შეთქმულებაში.

შეთქმულებაში გარეული იყო ცნობილი მარკუს კრასუსიც. მაგრამ არც მისი მხილება სურდა სენატსა და ციცერონს. ამიტომ, როცა ვინმე ტარკვინიუსმა სენატის სხდომაზე განაცხადა, რომ „იგი კატილინასთან მარკუს კრასუსმა გაგზავნა, რათა გადაეცა მისთვის, რომ ის არ დაშინებულიყო შეთქმული ლენტულუსის, ცეტეგუსის და სხვათა შეპყრობით. და რამდენადაც იჩქარებდა მალე მოსდგომოდა ქალაქს, იმდენად უფრო გაამხნევებდა დაპატიმრებულთ და ძალას მისცემდა თავი გადაერჩინათ“, — ტარკვინიუსს სენატორებმა მოულოდნელად შეაწყვეტინეს ჩვენება ყვირილით: „ტყუილს ამბობო“. ციცერონის რჩევით სენატმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ ტარკვინიუსის ჩვენების ეს ნაწილი მიჩნეული ყოფილიყო სიცრუედ, შეწყვეტილიყო ამ საკითხზე ჩვენების გაგრძელება, დაეპატიმრებიათ ტარკვინიუსი და აეძულებინათ იგი ეთქვა, თუ ვისი წაქეზებით შეიტანა მან თავის ჩვენებაში კრასუსზე „შეთითხნილი ცილისწამება“.

სალუსტიუსი გადმოგვცემს, რომ სენატორების ნაწილი ტარკვინიუსის ჩვენებას „... თუმცა სამართლედ მიიჩნევდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ასეთ ვითარებაში უმჯობესია ძლიერი კაცის დაზოგვა-შეწყნარება, ვიდრე გაღიზიანება“.

ისტორიკოსი თ. მომზენის სამართლიანი შენიშვნით, არ-

მხილების ეს ტაქტიკა მაშინ ამოდიოდა ფორმულიდან: „არ გაეღიზიანებინათ ხარი ფარეხში“.

შეთქმულებაში ცეზარის მონაწილეობის არაპირდაპირ საბუთად შეიძლება ის თავგამოდებაც გამოდგეს, რომლითაც ცეზარი შეთქმულთა დაპატიმრებულ მეთაურებს იცავდა სენატში. ძველ ისტორიკოსთა გადმოცემით, როცა ეს საკითხი სენატში ირჩეოდა და კონსული (ციცერონი) სენატორებს სიის მიხედვით ეკითხებოდა აზრს დაპატიმრებულ შეთქმულთა სასჯელის შესახებ, ყველამ მათი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მაგრამ, როცა ჯერი ცეზარზე მიდგა და ციცერონი შეეკითხა მას, ცეზარმა მოითხოვა — დაკმაყოფილებულიყვნენ მათი პატიმრობით და კატილინას დამარცხების შემდეგ ხელახლა დაეყენებინათ ეს საკითხი გადასაწყვეტად. ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ცეზარი, რომელსაც კატილინა თავისი ოციათასიანი არმიით ეტრურიაში ეგულებოდა, შეთქმულებას ჯერ დაღუპულად არ თვლიდა და ცდილობდა მათი კადრების გადარჩენას რომში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ცეზარმა მაშინ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა სენატში. ძნელია ზომიერებისა და სამართლიანობის დაცვა, — ამბობდა იგი, — ასეთ მძიმე საქმეში. აქ საკითხი სიკვდილსა და სიცოცხლეს ეხება და ამიტომ ბრალდებულთა მიმართ ერთმანეთს ეჯახება სიძულვილისა და მეგობრობის, რისხვისა და შეწყნარების გრძნობა. შეიძლება ამათგან ერთ-ერთმა გადასძალოს და ჭეშმარიტება დაზარალდეს ან სასჯელის გაზრდით, ან სასჯელის შემსუბუქებით. ამიტომ ადამიანები, რომელნიც ამგვარ საკითხებს სწყვეტენ, შეძლებისდაგვარად პირადი ცთუნებისაგან თავის დაღწევას უნდა ცდილობდნენ. არ უნდა დაივიწყონ რომ, რამდენადაც მაღალია მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა, იმდენად ნაკლებად აქვთ თავისუფალი მოქმედების უფლება. ამგვარ საქმეებში არ უნდა მივეცეთ არც პირად მძულვარებას, არც პირად სიმპათიას და არ უნდა გამოვიტანოთ ნაჩქარევი და მოუფიქრებელი გადაწყვეტილებანიო.

როგორც ვხედავთ, აქ ცეზარი დანაშაულთან სასჯელის შესატყვისობის თეორიას იძლევა. მაგრამ იმავე სიტყვაში შემდეგ

იგი უარყოფს მას და ამბობს, რომ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ბევრი სხვა ხალხი და მეფე, ჩვენი წინაპრები კი, პირიქით, დანაშაულთან შედარებით ყოველთვის მცირე სასჯელით კმაყოფილდებოდნენო. როცა ჩვენი წინაპრები, ამბობს ცეზარი, ომს აწარმოებდნენ მაკედონიასთან, როდოსის რესპუბლიკამ ჩვენს წინააღმდეგ ბევრი ვერაგობა ჩაიდინა. ასევე მოიქცნენ კართაგენელები პუნიკური ომების დროს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინაპრებს ბევრი წელსაყრელი შემთხვევა ჰქონდათ, დამნაშავენი დანაშაულის შესატყვისი სასჯელით არ დაუსჯიათ.

ასეთი არასწორი ისტორიული ექსკურსების შემდეგ (რომაელებმა კართაგენი მთლიანად გადაწვეს), ცეზარი ისევ უბრუნდება კატილინას აჯანყებას. იგი არც შეთქმულების ფაქტს უარყოფს, არც შეთქმულთა სიკვდილით დასჯას მიიჩნევს დანაშაულთან შედარებით გადაჭარბებულად. მაგრამ ჰუმანურობისაკენ მოუწოდებს და ამტკიცებს, რომ შეთქმულნი არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით, არა იმიტომ, რომ ამას არ იმსახურებენ, არამედ იმიტომ, რომ ეს რომაულ ტრადიციას და რომის მთავრობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებაო.

სილანუსის წინადადება შეთქმულთა სიკვდილით დასჯის შესახებ, მე „მეჩვენება, არ ვიტყვი სასტიკად (რადგან შეიძლება კი ვიყოთ სასტიკნი ამათ მსგავს ადამიანების მიმართ), არამედ ჩვენი მთავრობის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ", — ამბობდა ცეზარი. შეიძლება თქვან, „...ვინ გაიცხავს თქვენს განაჩენს რესპუბლიკის მომსპობთა წინააღმდეგო? — დრო, გარემოება, ბედი, თვითნებობა, რომელნიც მართავენ ქვეყანას".

ამასთან ცეზარი ანვითარებს აზრს, რომ სადავოა, უნდა ითვლებოდეს თუ არა სიკვდილით დასჯა საერთოდ სასჯელის უმაღლეს ზომად. „სიკვდილი წარმოადგენს, — ამბობს ცეზარი, — ჩვენი უბედურების დასასრულს და არა სასჯელს; მას თან მიაქვს ყველა უბედურება... მის შემდეგ აღარც საზრუნავი რჩება, აღარც სიხარული". ამასთან ცეზარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სენატი უფლებამოსილი არ არის გამოიტა-

ნოს სიკვდილის მისჯის განაჩენი, რამდენადაც ეს საკითხი სასამართლოს კომპეტენციაა.

ცეზარის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სენატორებზე და საკითხი, როგორც ჩანს, შეტრიალდებოდა. მაგრამ ამ დროს სიტყვით გამოვიდა კატონი, მან განაცხადა: „შეიძლება ყველა სხვა ბოროტმოქმედება და დანაშაული სდევნო მას შემდეგ, როცა ის ჩადენილია, მაგრამ ეს ბოროტმოქმედება, თუ მას დროზე არ დაასწარ და დროზე არ აღკვეთე, აღარ გადროვებთ საკუთარ ხსნაზე ფიქრს“. სენატმა ახლა კატონს დაუჭირა მხარი და ციცერონის თანდასწრებით შეთქმულნი მამერტინის ციხეში სიკვდილით დასაჯეს. ამგვარად ცეზარმა ამჯერად თავისი ვერ გაიტანა.

როდესაც შეთქმულებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ მასში ჩათრეული იყო მაღალი თანამდებობის მრავალი პირი. აპიანეს გადმოცემით, შეთქმულებაში ჩათრეული იყო 62 წლისათვის ტრიბუნად არჩეული ბესტია, ხოლო შეთქმულების იმ ოთხი მეთაურიდან, რომელნიც სენატის დადგენილებათ სიკვდილით დასაჯეს; ორი — ლენტულუსი და ცეტეგუსი 62 წლისათვის პრეტორის თანამდებობაზე იყვნენ არჩეული. ცეზარიც 62 წლისათვის პრეტორის თანამდებობაზე იყო გაყვანილი (პრეტორის თანამდებობაზე ერთდროულად რამდენიმე კაცი იყო) და ამგვარად მათ შომავალ კოლეგად ითვლებოდა. ამ ფაქტს ცალკე აღებულს, რა თქმა უნდა მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სხვა ფაქტებთან ერთად მათ ფონზე იგი მნიშვნელობას მოკლებული არ არის.

მართალია, შეთქმულთა ტერორისტული ხოცვა-ჟლეტის მეთოდი და სიმდიდრისა და ნადავლის ხელში ჩაგდების უშუალო მიზანი (რისთვისაც მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება სჭირდებოდათ) უცხო იყო ცეზარის უფრო მაღალი მიზნებისათვის, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ცეზარს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ამ შეთქმულებასთან რაიმე კავშირი. ჯერ ერთი, ცეზარს შეეძლო ეს შეთქმულება, გამარჯვების შემთხვევაში, თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა, ეთამაშა იქ პირველი როლი და შეეცვალა მისი ხასიათი. მეორეც, შეთქმუ-

ლება თავისთავად ასუსტებდა რესპუბლიკას, როგორც ეს თვითონ ცეზარსაც აქვს თავის სიტყვაში ნათქვამი. ამდენად იგი მისი გეგმის პარალელურად და მის სასარგებლოდ მოქმედებდა, რაც ცეზარს მასში მონაწილეობისაკენ უბიძგებდა. ამიტომ დოკუმენტურ მასალაზე ამ მოსაზრებათა დამატება იმას ამტკიცებს, რომ ცეზარი შეთქმულებას მონაწილე უნდა ყოფილიყო.

ცეზარი უმაღლესი ქურუმი და პრეტორი

უმაღლესი ქურუმი (pontifex maximus) ითვლებოდა რომის ყველა ქურუმთა მეთაურად. მას ევალებოდა კალენდრის ზედამხედველობა და წელთაღრიცხვის წარმოება; კონტროლს უწევდა და ხელმძღვანელობდა რომის მთელ რელიგიურ საქმიანობას. ამასთან, რამდენადაც რელიგია პოლიტიკას ექსოვებოდა, იგი საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რომის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ეს თანამდებობა მნიშვნელოვნად და საპატიოდ ითვლებოდა.

როდესაც 63 წ. დასაწყისში გარდაიცვალა უმაღლესი პონტიფექსი კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, მისი ადგილის „...დასაკავებლად, — წერს პლუტარქე, — მძაფრი დავა გაჩაღდა; ერთმანეთს ეკვეთნენ ისავრიკუსი და კატულუსი, რომელნიც ფრიად წარჩინებულნი და სენატში მეტად დიდი გავლენის მქონე პიროვნებანი იყვნენ. ცეზარმა მათ როდი დაუთმო; იგი სახალხო კრებაში გამოვიდა და თავის მხრივ ქურუმთუხუცესის თანამდებობა მანაც მოითხოვა“. კატულუსმა ცეზარს დიდი თანხა შეაძლია, რომ მას თავისი კანდიდატურა მოეხსნა. მაგრამ, პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარს მისთვის შეუთვლია: უფრო მეტ ვალებს ავიღებ და ამ თანამდებობის ძიებას კი თავს არ გავანებებო. არჩევნების დღეს სახლიდან მიმავალ ცეზარს დედისათვის წინასწარმეტყველურად უთქვამს, შინ დავბრუნდები მხოლოდ როგორც უმაღლესი ქურუმიო. მართლაც, ცეზარმა არჩევნებში გაიმარჯვა და, სვეტონიუსის გადმოცემით, თავის მეტოქე პუბლიუს ისავრიკუსისა და კატულუ-

სის ტრიბებშიაც კი უფრო მეტი ხმა მოაგროვა, ვიდრე მათ ერთად.

62 წლისათვის ცეზარი პრეტორის თანამდებობაზე აირჩიეს. ამ თანამდებობაზე ერთდროულად რამდენიმე კაცს ირჩევდნენ. პრეტორები იყვნენ მართლმსაჯულების უმაღლესი მეთაურები. ისინი ნიშნავდნენ მოსამართლეებს სამოქალაქო საქმეთა გასარჩევად, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევას თვითონ ხელმძღვანელობდნენ. პრეტორის თანამდებობა კონსულის შემდეგ ერთ-ერთი უმაღლესი იყო. კონსულების რომში არ ყოფნის დროს ისინი მათ მოვალეობას ასრულებდნენ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, სენატის დადგენილებით, მთავარსარდლადაც ინიშნებოდნენ. პრეტორობა ერთწლიანი თანამდებობა იყო და ვადის გასვლის შემდეგ ყოფილი პრეტორები პროპრეტორებად სახელწოდებით პროვინციების მმართველებად იგზავნებოდნენ.

ცეზარი, წერს პლუტარქე, პრეტორის „თანამდებობის წყალობით კიდევ უფრო საშიშ პიროვნებად ჩანდა". პრეტორად არჩევა ვალებში ყელამდე ჩაფლულ ცეზარს საშუალებას აძლევდა მიეღო შემდეგ რომელიმე პროვინციის პროპრეტორობა (მმართველობა) და იქ სიმდიდრის დაგროვების ხარჯზე თავისი ფინანსური მდგომარეობა გამოესწორებინა. ამავე დროს პრეტორად ყოფნისას მას შეეძლო საფუძველი ჩაეყარა თავისი სამხედრო დიდებისათვის, რაშიაც აქამდე არაფერი განსაკუთრებული ჯერ კიდევ გაკეთებული არ ჰქონდა. ამიტომ პრეტორის თანამდებობაზე არჩევა ცეზარის ცხოვრებაში ერთგვარი გარდატეხის მომენტი იყო დიდებისაკენ მიმავალ გზაზე.

პრეტორად ყოფნის დროს ცეზარს ერთი პირადი უსიამოვნება შეემთხვა, რამაც გამოიწვია მეორე ცოლთან, პომპეიასთან მისი გაყრა. ყოველი წლის დეკემბერში რომაელი ქალები კონსულის ან პრეტორის სახლში აწყობდნენ ე. წ. „კეთილი ღმერთქალის" დღესასწაულს. ამ დღესასწაულის დროს ქალები ასრულებდნენ ბევრ ისეთ ცერემონიალს, რომლის თვითმხილველნიც არ შეიძლებოდა მამაკაცები ყოფილიყვნენ. ამიტომ სადაც დღესასწაული ეწყობოდა, ყველა მამაკაცი იმ ღამეს სახლიდან უნდა წასულიყო. 62 წლის 5 დეკემბერს ეს

დღესასწაული პრეტორ ცეზარის სახლში მოეწყო. ისარგებლა რა იმით, რომ მამაკაცთაგან სახლში არავინ იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უწვერულვაშო პუბლიუს კლოდიუს პულხერმა, რომელსაც ცეზარის ცოლი პომპეია მოსწონდა, ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და პომპეიას მხევალი ქალის, აბრას ხელშეწყობით და თვით პომპეიას დასტურით, ცეზარის სასახლეში შეიპარა. ცეზარის დედის, ავრელიას ერთ-ერთმა მხევალმა ქალმა კლოდიუსი (რომელიც მას ქალი ეგონა) სათამაშოდ გაიწვია, კლოდიუსმა უარი უთხრა. ქალი ხმით მიხვდა, რომ ის მამაკაცი იყო და •ტეხა განგაში.

ეს ამბავი გახმაურდა და მთელ ქალაქს მოედო. კლოდიუსს ბრალი დასდეს მკრეხელობაში; სენატმა გამოძიება დანიშნა და, როგორც ამას ციცერონი ატიკისადმი წერილში აღნიშნავს, კლოდიუსი დამნაშავედ სცნო ოთხასი ხმით თხუთმეტის წინააღმდეგ და საქმე სასამართლოს გადაეცა გასარჩევად.

ცეზარმა არ დაუცადა სასამართლოში საქმის გარჩევას და პომპეიას გაეყარა. ამ საქმეზე შემდეგ სასამართლოში გამოძახებულმა ცეზარმა განაცხადა: ამ საკითხზე ნამდვილად არაფერი ვიცი. როცა ჰკითხეს: აბა, ცოლს რად გაეყარეო? უპასუხა: — „იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ეჭვის ქვეშაც კი არ უნდა იყოსო“. პლუტარქეს გადმოცემით, მაშინ ზოგიერთები ამბობდნენ, ცეზარი „...ხალხის გულის მოსაგებად მოიქცა ასე, ვინაიდან ხალხი კლოდიუსის დახსნას ლამობდაო“.

სასამართლოში კლოდიუსი თავს იცავდა, იმ დროს რომში არ ვიმყოფებოდიო. მაგრამ პირზე ადგებოდა ცეზარის დედა ავრელია. ციცერონმაც სასამართლოში განაცხადა, იმ დღეს კლოდიუსი რომში ვნახეო. ეს დამოწმება შემდეგში გახდა მიზეზი კლოდიუსის მხრივ ციცერონის იმ შეძულებისა და დევნისა, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა ძველი ეპოქის ეს ოქროპირი. მიუხედავად ბრალდების აშკარა ხასიათისა, საქმეში ჩაერია მარკუს კრასუსი. მან მოსამართლეები მოისყიდა და კლოდიუსი გაამართლეს ოცდათერთმეტი ხმით, ოცდახუთის წინააღმდეგ. მართალია. ამ აშკარა სიყალბის გამო კატონმა სენატში თვითონ ამ მექრთამე მოსამართლეების პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

კლოდიუსი შემდეგ ცეზარის ახლო მეგობარი გახდა. ცეზარი მას აქტიურად იყენებდა თავისი პოლიტიკის გასატარებლად და თავის მოწინააღმდეგეებთან, კერძოდ ციცერონსა და კატონთან ბრძოლაში. ამგვარად, ცეზარს შეეძლო „დაეეწყებინა“ პირადი შეურაცხყოფაც კი, თუ ეს ადამიანი მას პოლიტიკურ ბრძოლაში გამოადგებოდა.

პრეტორის თანამდებობის აღსრულება ცეზარმა იმით დაიწყო, რომ ხალხის წინაშე ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა კვინტუს კატულუსს, რომელიც თექვსმეტი წელი ხელმძღვანელობდა კაპიტოლიუმის ნაგებობათა გადაკეთებას და იქ არსებული ტაძრების აღდგენით სამუშაოებს. ცეზარს სურდა ამ საქმის ხელმძღვანელობა პომპეუსისათვის მიენდო, რომელიც იმ დროს ჯერ ისევ აზიაში იმყოფებოდა. კატულუსის დანაშაულის გამომჟღავნებით ცეზარს უნდოდა შეერყია თავის მოწინააღმდეგეთა გავლენა და გამოძებნა პომპეუსთან დაახლოების გზები, რომლის გამოყენებასაც ის თავისი ინტერესებისათვის ფიქრობდა, მაგრამ ცეზარმა, როგორც სვეტონიუსი წერს, აქ თავისი ვერ გაიტანა.

იმავე ხანებში ცეზარმა მხარი დაუჭირა პომპეუსის წაქეზებით მოქმედი სახალხო ტრიბუნის ნეპოტის წინადადებას, რომ სახალხო კრებას დაემტკიცებინა აზიაში პომპეუსის მიერ გატარებული ღონისძიებანი. ნეპოტის წინადადებას ვეტო დაადო იმ წლის მეორე ტირბუნმა კატონმა. მიუხედავად ამისა, ნეპოტმა ცეზარის მხარდაჭერით ეს წინადადება მაინც გაიტანა სახალხო კრებაზე. სენატმა წესის დამრღვევი ნეპოტი თანამდებობიდან გადააყენა და მისთვის ხელშეწყობის გამო ცეზარიც მოხსნა პრეტორობიდან. რამდენიმე დღის შემდეგ ხალხმა სტიქიურად მოიყარა თავი ცეზარის სახლთან და თანამდებობაზე აღდგენაში დახმარება შესთავაზა. ცეზარმა ხალხი დაამშვიდა და სთხოვა, თავი შეეკავებინათ ამ საქმეში ჩარევისაგან. სენატმა ვითომდა ამ „კეთილშობილური საქციელისათვის“, კვლავ აღადგინა ცეზარი პრეტორის უფლებებში. ნამდვილად სენატი ხალხში მღელვარების გამოწვევას მოერიდა, მით უფრო, რომ იმ დროს კატილინას შეთქმულება ახალი ჩაბშობილი იყო.

62 წლის ბოლოს ცეზარს პრეტორად ყოფნის რწმუნება გაუთავდა და წილის ყრით ერგო პროვინცია ესპანეთის მმართველობა, სადაც პროპრეტორის უფლებით 61 წლის დასაწყისში უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ ცეზარს იმხანად რამდენიმე მილიონი მანეთი ვალი ჰქონდა და კრედიტორები რომიდან არ უშვებდნენ. ცეზარმა დახმარებისათვის მიმართა მარკუს კრასუსს. კრასუსს ცეზარი პომპეუსის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში სჭირდებოდა, მან რვაას ოცდაათი ტალანტი (დაახლოებით ორი მილ. მანეთი) მისცა ცეზარს ყველაზე უფრო ახირებული მევალეების გასასტუმრებლად.

დააკმაყოფილა რა ნაწილობრივ თავისი კრედიტორები, ცეზარი გაემგზავრა დანიშნულების ადგილზე. იქ მას გადასცეს ჯარი ოცი კოჰორტის შემადგენლობით (ერთ კოჰორტაში — ექვსასი კაცი იყო). ცეზარმა თვითონაც შეკრიბა კიდევ რამდენიმე კოჰორტა და სამ ლეგიონს მოუყარა თავი. ამ ჯარით შეტევა დაიწყო კალაიკებსა და ლუზიტანებზე. მათი დამორჩილების შემდეგ შეტევა განაგრძო, ატლანტიკის ოკეანეს მიაღწია და ახლანდელი პორტუგალიის ტერიტორიაზე ბევრი ისეთი ტომი დაიპყრო, რომელიც წინათ რომაელებს არ ემორჩილებოდა.

შემდეგ ცეზარმა ხელი მოჰკიდა სამოქალაქო საქმეთა მოგვარებას, კერძოდ, კრედიტორებისა და მათ მოვალეთა ურთიერთობის მოწესრიგებას. მან წესად შემოიღო, რომ კრედიტორს არ შეეძლო მოვალისთვის მოეთხოვა წლიური შემოსავლის ორ მესამედზე მეტი, რათა მოვალეს გაეტანა თავი და შეენარჩუნებინა მეურნეობის წარმოების შესაძლებლობა.

ესპანეთში ცეზარმა მოკლე ხანში მოაგვარა ყველა სხვა გადაუდებელი საქმეც. ახალ ტერიტორიათა დასაპყრობად წარმოებულმა მძიმე ბრძოლებმა სამხედრო დიდება მოუტანეს, ჯარისკაცებმა იგი იმპერატორად გამოაცხადეს. იმპერატორის ტიტულს ჯარისკაცები თვითონ აძლევდნენ თავიანთ სარდალს რომელსამე მძიმე ბრძოლაში გამარჯვების გამო. ეს სარდალს უფლებას აძლევდა მოეთხოვა ტრიუმფი, რომლის მოწყობაზე შემდეგ სენატის თანხმობა იყო საჭირო. იმპერატორობა კი

დროებითი საპატიო წოდება იყო, რომელსაც სარდალი რომში შესვლისა და ტრიუმფის ჩატარების შემდეგ ჰკარგავდა.

ცეზარმა ესპანელთა ქონებითაც კარგად მოითბო ხელი. მან არ დაუცადა თავისი შემცვლელის ესპანეთში ჩასვლას და, როგორც მომზენი წერს, ფულით სავსე სკივრებით რომისკენ გამოსწია. მას უნდოდა ახლა უფრო დიდი პრეტენზიითა და თავგამოდებით გადაშვებულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში, რომლისთვისაც ნიადაგს იგი უკვე მომზადებულად სთელიდა. სწორედ ამ მიზნით შექმნა ცეზარმა რომში პირველი ტრიუმვირატი, რომელშიაც მასთან ერთად პომპეუსი და კრასუსი შედიოდნენ.

პომპეუსი და კრასუსი

პირველი საუკუნის 60-იან წლებში რომში ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ პომპეუსი და კრასუსი, რომელთა გავლენის თავის სასარგებლოდ გამოყენება ცეზარმა სწორედ პირველი ტრიუმვირატის შექმნით შეძლო.

გნეუს პომპეუსი ჩამომავლობით ძველ პლებეურ მდიდარსა და გავლენიან გვარს ეკუთვნოდა. იგი დაიბადა ძვ. წ. 106 წ. 29 სექტემბერს. მამამისი, აგრეთვე გნეუს პომპეუსი, მეტსახელად სტრაბონი (ე. ი. ელამი), გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც უსაზღვრო სიხარბისა და წარმოუდგენელი სისასტიკის გამო ხალხს იმდენად ეჯავრებოდა, რომ, როცა იგი მეხმა მოკლა, გვამი კუბოდან გადმოაგდეს და ათრიეს. პომპეუსი — შვილი კი, როგორც პლუტარქე წერს, დიდად უყვარდათ რომაელებს. იგი თავაზიანი და თავდაჭერილი კაცი იყო. დახმარებას დაუმადლებლად იძლეოდა და გარეგნული სილამაზე, შნო და იერიც სიმპათიას მატებდნენ მას. იგი იყო კარგი მოჯირითე და მოფარიკავე, ჯანმრთელი სხეულითა და სულით. მან პირველმა უარყო ტრიუმფის შემდეგ ტყვედქმნილ მეფეთა და წარჩინებულ პირთა სიკვდილით დასჯის პარბაროსული ჩვეულება.

პომპეუსი სამხედრო დიდების გზაზე სულ ახალგაზრდა გა-

მოვიდა. 63 წელს, როდესაც აზიიდან დაბრუნებულმა სულამ იტალიაში სამოქალაქო ომი გააჩაღა და შეძლებული და წარჩინებული პირები ქონებისა და სიცოცხლის გადასარჩენად მასთან გარბოდნენ, პომპეუსმაც გადაწყვიტა სულას მხარეზე გადასვლა. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობდა, თითქოს ის კი არ საჭიროებდა სულას მფარველობას, არამედ პირიქით, სულას სჭირდებოდა მისი დახმარება.

პომპეუსი სულას ჯარებს სარდლობდა იტალიაში, სიცილიაში, აფრიკაში. მისი პირადი განკარგულებით დასაჯეს სიკვდილით სულას მოწინააღმდეგეები: სამგზის კონსულად ნამყოფი კარბონი და მარკუს იუნიუს ბრუტუსი (შემდეგში ცეზარის მკვლელის ბრუტუსის მამა), კვინტუს ვალერიუსი და სხვ. აფრიკიდან დაბრუნებულ ოცდაექვსი წლის პომპეუსს სულამ ტრიუმფის უფლება მისცა, რაც იქამდე უჩვეულო შემთხვევა იყო, „მაგნუსი“ (დიდი) უწოდა და ბრძანა, რომ ამიერიდან იგი მხოლოდ ასე მოეხსენებინათ.

სერტორიუსზე გამარჯვების გამო მეორე ტრიუმფი პომპეუსს 71 წელს მოუწყვეს. იმავე წელს მან მონაწილეობა მიიღო სპარტაკის აჯანყების საბოლოოდ განადგურებაში და კრასუსთან ერთად არჩეულ იქნა კონსულად.

ამ პერიოდში პომპეუსი იცვლის თავის პოლიტიკურ პლატფორმას. თუ აქამდე, როგორც ერთგული სულანელი, ოპტიმატების პარტიისა და სენატის მხარეზე იყო, ახლა იგი პოპულარების დემოკრატიულ პარტიას დაუახლოვდა. ამიერიდან, წერს პლუტარქე, „პომპეუსი ხალხს უფრო მეტად ემხრობოდა, ვიდრე სენატს და გადაწყვეტილი ჰქონდა ხალხის საამებლად სულას მიერ უკუგდებული სახალხო ტრიბუნატის ღირსება აღედგინა“. თავისი კონსულობის დროს პომპეუსმა ნართლაც აღადგინა სახალხო ტრიბუნები და ცენზორები თავის ძველ უფლებებში და გადაახალისა სასამართლო, პომპეუსის მარცხნივ მობრუნება 70-იან წლებში იმის შედეგი იყო, რომ სულას დარტყმების შემდეგ რესპუბლიკა და სახალხო კრება ისევ გაიმართნენ წელში და ისევ სახალხო კრებაზე გახდა დაბოკიდებული კონსულების არჩევა და ახალ თანამდებობაზე დამტკიცება.

შემდეგი მოვლენა, რომელმაც გაზარდა პომპეუსის ავტორიტეტი, ეს იყო მისი ბრწყინვალე ბრძოლები მეკობრეების წინააღმდეგ. 70-იანი წლებისათვის მეკობრეთა ბატონობამ ხმელთაშუა ზღვაზე უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო. ისინი ფაქტიურად ბატონობდნენ ზღვაზე და ზღვისიქითა ქვეყნებთან კომუნიკაციების გადაჭრით ნამდვილ ბლოკადაში ჰყავდათ მოქცეული რომი, სადაც შეწყდა პირველი მოთხოვნილების საგნების შეტანა. ცხოვრება გაძვირდა და მოიშალა. პლუტარქეს გადმოცემით, მეკობრეები ბატონობდნენ კილიკიიდან გიბოალტარამდე და ჰყავდათ ათასამდე ხომალდი. მათ აიღეს და გაძარცვეს ოთხასამდე ქალაქი კუნძულებსა და სანაპიროებზე; დაარბიეს ათობით უდიდესი ტაძარი და წაიღეს განძი. იტაცებდნენ თანამდებობის პირებს და შემდეგ დიდძალ გამოსასყიდ თანხას მოითხოვდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მათ გაიტაცეს რომაელი პრეტორები — სტილიუსი და ბელინუსი თავიანთი ლიქტორებით და რომიდან რაღაც თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ნავსადგურ ოსტიასა და იქ მდგომ გემებს.

მეკობრეების თარეშის უგულვებელყოფა ხუხულასავით დაშლიდა რომის „იმპერიას". ამიტომ 67 წ. პომპეუსის მომხრე ტრიბუნმა, გაბინიუსმა, სახალხო კრებაში შეიტანა წინადადება დაეწყოთ დიდი მასშტაბის ომი მეკობრეებთან და მის მთავარსარდლად დაენიშნათ პომპეუსი. ეს წინადადება, რომელსაც მხარი დაუჭირა ცეზარმაც, მიღებული იქნა. პომპეუსს მიეცა სამი წლის ვადით განუსაზღვრელი უფლება მთელ ხმელთაშუა ზღვაზე და ხმელეთზე ზღვიდან ოთხასი სტადიონის (რაც უდრის დაახლოებით ოთხმოც კმ.) მანძილზე. ამ ამოცანის შესასრულებლად პომპეუსს გადაეცა ხუთასი ხომალდი, ას ოცი ათასი ქვეითი ჯარისკაცი, ხუთი ათასი ცხენოსანი, ოცდაოთხი ლეგატი და ორი ქვესტორი, რომელნიც ყველაფერში პომპეუსის ერთმმართველობას ემორჩილებოდნენ.

ერთი კაცისათვის ასეთი უფლების მიცემა უპრეცენდენტო იყო რომის რესპუბლიკაში, ამიტომ ოპტიმატებმა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრეს. პლუტარქეს ანეგდოტით, როცა ოპტიმატების წარმომადგენელი კატულუსი ამ კანონის

მიღების წინააღმდეგ გამოდიოდა, ხალხმა თვით კატულუსის წინააღმდეგ ისეთი ხმაური და ყვირილი ატეხა, რომ ფორუმის (ადგილი, სადაც კრებები იმართებოდა) თავზე მფრინავი ყვავი დარეტიანდა და ხალხში ჩამოვარდაო. ხალხის მისწრაფება — ბოლო მოღებოდა მეკობრეთა თარეშს, გასაგებია, რადგანაც ბლოკადით გამოწვეული სიძვირე ყველაზე მეტად მათ მდგომარეობას აუარესებდა.

მეკობრეებთან ბრძოლის დროს პომპეუსი ათენში ჩავიდა და თავისი ლმობიერებით ბერძნების გული მოიგო. ათენელებმა ქალაქის ჭიშკარს ერთ მხარეს მის პატივსაცემად ასეთი ეპიგრაფი მიაწერეს: „რაც უფრო მეტად თვლი შენს თავს ადამიანად, მით უფრო მეტად ხარ ღმერთი“, მეორე მხარეს კი: „გელოდით, მოგესალმეთ, გნახეთ, გაცილებთ“.

პომპეუსის ჯარები და ფლოტი სასტიკად ანადგურებდნენ მეკობრეებს პირისპირ ბრძოლაში. იმათ, ვინც ნებაყოფლობით ყრიდა იარაღს და ტყვედ ნებდებოდა, პომპეუსი ყოველგვარი რეპრესიების გარეშე ზღვიდან დაშორებულ ხმელეთზე ასახლებდა საცხოვრებლად, რათა ისინი მშვიდობიან ცხოვრებასა და მიწათმოქმედებას მიჩვეულიყვნენ. პლუტარქეს გადმოცემით, აქ პომპეუსი თავისებური პედაგოგიკით მოქმედებდა. „პომპეუსი ფიქრობდა,—წერს პლუტარქე,—რომ ადამიანი ბუნებით არაა ველური და მოუთვინიერებელი ცხოველი, რომ იგი შანკიერებისაკენ საკუთარი ბუნების წინააღმდეგ იხრება და ჩვეულების, ბინისა და ცხოვრების ნირის გამოცვლით კვლავ თვინიერი ხდება. თვით გარეული ნადირიც კი ანებებს თავს ველურ ჩვევასა და სიმშაგეს, თუ მას უხეში საკვები უფრო ნაზი საკვებით შეეცვლება“.

პომპეუსმა ხმელთაშუა ზღვა ოთხმოცდაცხრა დღეში გაათავისუფლა მეკობრეებისაგან. მათთან ბრძოლაში გაწყვიტა ათი ათას კაცამდე და ოცი ათასი ტყვედ ჩაიგდო. უდიდეს ნადავლში, რომელიც პომპეუსმა მეკობრეებს წაართვა, რვაასი მარტო ხომალდი იყო, ამათგან ოთხმოცდაათი სპილენძისცხვირიანი. მეკობრეთა განადგურების შემდეგ გაიხსნა კომუნიკაციები, რამაც სწრაფად იმოქმედა რომის მომარაგების გაუმჯობესება-

ზე. ამ გარემოებამ, აგრეთვე საძი წლის დავალების სამ თვეში შესრულებამ, დიდად გაზარდა პომპეუსის ავტორიტეტი.

66 წელს პომპეუსი ისევ აღმოსავლეთში იმყოფებოდა, როდესაც რომში ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა სახალხო კრებაზე წარადგინა კანონპროექტი, რომლითაც მითრიდატეს წინააღმდეგ მესამე ომში მთავარსარდლობა უნდა ჩამორთმეოდა ლუკულუსს და განუსაზღვრელი უფლებებით (ეწარმოებინა ომი და დაედო ზავი თავისი შეხედულების მიხედვით) პომპეუსს გადასცემოდა.

ლუკულუსი 74 წლიდან წარმატებით იბრძოდა მითრიდატეს წინააღმდეგ. მან ძირითადად გატეხა პონტოს მეფის წინააღმდეგობა, დაამარცხა რამდენიმეჯერ პირისპირ ბრძოლაში და მოახდინა მისი სამფლობელოების ერთი ნაწილის დაპყრობა. მაგრამ ბრძოლა მაინც ბოლომდე მიყვანილი არ იყო. 67 წელს მის შესაცვლელად აზიაში კონსული გლაბრიონი გაგზავნეს, მაგრამ იგი ბითვინიაში უმოქმედოდ იდგა და ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაბარებული ლუკულუსისაგან რწმუნება.

სახალხო კრებაში მანილიუსის კანონპროექტის მიღებას ოპტიმატებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მაგრამ, როგორც პლუტარქე წერს, კანონპროექტი ძალაში შევიდა ყველა ტრიბის დასტურით და პომპეუსმა დაუსწრებლად მიიღო თითქმის ისეთივე უზენაესი ძალაუფლება, როგორიც თავის დროზე სულამ ქალაქის დაპყრობით მოიპოვა. კანონის მიღებას მხარი დაუჭირა ციცერონმა. მართალია, განუსაზღვრელად ძლიერდება ერთი პირის ძალაუფლება, მაგრამ ამას მოითხოვს მომენტის სერიოზულობის შეგნებაო. ამავე დროს ქება-დიდებას ასხამდა პომპეუსს და ნიჭიერ სარდალსა და კარგ სახელმწიფო მოღვაწეს უწოდებდა. ამ „ღირსებათა წყალობით, — ამბობდა ციცერონი, — პომპეუსმა არა თუ გვიხსნა სირცხვილისა და უბედურებისაგან, არამედ იმასაც მიაღწია, რომ ჩვენ გვიყურებენ, როგორც ყველა ტომისა და ხალხის მიმართ ნამდვილ ძლევამოსილებს ხმელეთსა და ზღვაზეო“. ციცერონს მაგალითისათვის შორს არ ჰქონდა წასასვლელი, რადგან პომპეუსის

მიერ მეკობრეთა განადგურება იმ დღეების ცოცხალი ამბავი იყო.

პომპეუსმა გადაიბარა თუ არა მთავარსარდლობა, სულ მოკლე ხანში დაამარცხა მითრიდატე და აიძულა ბოსფორში (ყირიმში) გაქცეულიყო, სადაც მან ცოტა ხნის მერე თავი მოიკლა. შემდეგ უბრძოლველად დაიმორჩილა სომხეთი, დალაშქრა ალბანეთი, იბერია და კოლხეთი, ხელთ იგდო სირია და იგი რომის პროვინციად გამოაცხადა.

როცა პომპეუსი სირიიდან არაბეთში გადავიდა, ქ. პეტრასთან 63 წელს მას მითრიდატეს შვილის — ფარნაკეს ელჩები ეწოვიდა. ფარნაკე ატყობინებდა, მამის წინააღმდეგ ავჯანყდი და იგი პანტიკაპეის სასახლეში გამოვამწყვდიე, სადაც თავი მოიკლაო. ეს ამბავი პომპეუსისათვის ძალზე სასიხარულო იყო, ომი მითრიდატესთან ახლა ფორმალურადაც დამთავრდა.

პომპეუსმა აზიის ქვეყნების მმართველობის საქმეებიც მოაგვარა. შექმნა იქ რომის ახალი პროვინციები. სათავეში რომაელი მოხელეები ჩაუყენა. ზოგიერთ ვასალურ ქვეყანაში დაამხო მეფეები და მათ მაგიერ ტახტზე დასვა რომაული ორიენტაციის მჭონე მარიონეტები. ფარნაკს კი ესოდენ დიდი ერთგულებისა და „დამსახურებისათვის“ მითრიდატეს უზარმაზარი პონტოს იმპერიიდან ერთი პატარა ნაწილი — ბოსფორის სამეფო გამოუყო. ერთი სიტყვით, პომპეუსმა თავის შეხედულების მიხედვით გამოჭრა წინა აზიისა და პონტოს მთელი რიგი ქვეყნების რუკა და 62 წლის დეკემბერში თავისი გამარჯვებული არმიითა და ფლოტით იტალიის ნავსადგურ ბრუნდიზიუმში მივიდა.

რომის არმიის ასეთი ძლევამოსილი დაბრუნება აურაცხელი ნადავლით ერთის მხრივ დიდად სასიხარულო იყო რომაელებისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ, იგი ერთგვარ შიშსა და დაბნეულობასაც იწვევდა. რომაელებს „ეგონათ, — წერს პლუტარქე, — რომ პომპეუსი მყისვე დაძრავდა თავის მხედრობას ქალაქისაკენ და მტკიცე მონარქიას დაამყარებდა“. მაგრამ პომპეუსმა არმია ბრუნდიზიუმში დაშალა და თვითონ მცირე ამალით გაემგზავრა რომისაკენ.

61 წლის 28 და 29 სექტემბერს, თავისი დაბადების 45

წლისთავზე, პომპეუსმა მოაწყო მესამე ტრიუმფი. ამ ტრიუმფს შემდეგნაირად გადმოგვცემს პლუტარქე: „პომპეუსის ტრიუმფი მეტისმეტად დიდი და ბრწყინვალე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზეიმი ორ დღეზე განაწილდა, დრო მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი და ბევრი რამ ისეთი, რაც ამგვარი დღესასწაულების განსადიდებლად და შესამკობად გამოდგებოდა, საყოველთაო სანახაობაზე გამოუტანელი დარჩა“.

ეს ტრიუმფი პომპეუსის დიდების ზენიტი იყო. „მეტად იღბლიანი კაცი იქნებოდა პომპეუსი, — წერს პლუტარქე, — ჯაშინ რომ მომკვდარიყო, როცა ყველაფერში ალექსანდრეს (მაკედონელის მ. ა.) ბედს ეწია“. (ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში მოკვდა ბაბილონში, ღმერთად გამოცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ).

ტრიუმვირატის მესამე წევრი მარკუს ლიცინიუს კრასუსი ეკუთვნოდა ლიცინიუსების საკმაოდ ცნობილ პლებეურ გვარს, რომლიდანაც გამოსული იყო რომის ისტორიის მრავალი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. კრასუსის მამას პუბლიუს ლიცინიუს კრასუსს 97 წელს კონსულისთანამდებობა ეჭირა და თავის უფროს შვილთან ერთად დაიღუპა მარიუსის მომხრეებთან ბრძოლაში; თვითონ მარკუს კრასუსი კი 83 წელს აზიიდან დაბრუნებულ სულას ეახლა იტალიაში ბრუნდიზიუმში და დიდი დახმარება გაუწია მარიუსელებზე გამარჯვებაში. რომის აღების დროს (83 წ), როცა სულამ მარცხი განიცადა და უკან იხევდა, კრასუსის გამარჯვება მარჯვენა ფრთაზე გადამწყვეტი აღმოჩნდა და რომი სულას ხელში გადავიდა.

მაგრამ კრასუსი ნიჭიერი მხედართმთავარი არ იყო. 72 წელს, როდესაც პროკონსულის უფლებით სპარტაკის აჯანყების ჩასაქრობად მოქმედ რომის არმიას ჩაუდგა სათავეში და მოწინააღმდეგე ძალები აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ კიდურზე მოიმწყვდია, კრასუსმა უაზროდ გაუთხარა მათ ზურგში ორმოცდაცამეტი კილომეტრის სიგრძისა და ოთხმეტრნახევარი სიგანის და სიმაღლის არხი ალყაში მოსაქცევად. სპარტაკმა ეს არხი რამდენიმე ადგილზე ფიჩხითა და მკვდა-

არი ცხენების ლეშით ამოავსო, ერთ ბნელ ღამეს გაარღვია ალყა და კრასუსს წყალში ჩაუყარა ამ არხის გათხრაზე დახარჯული დრო და შრომა. მართალია, საბოლოოდ კრასუსმა სძლია სპარტაკს, მაგრამ ამას ხელი შეუწყო თვით სპარტაკის არმიაში წარმოქმნილმა განხეთქილებამ.

55 წ. კრასუსმა ორმოცათასიანი არმიით აზიაში ილაშქრა პართების წინააღმდეგ, რომელთაც ახლანდელი ერაყისა და მისი მომიჯნავე ტერიტორიები ეკავათ. აქ პართების ცხენოსანმა არმიამ მოჩვენებითი უკანდახევით ქვეყნის სიღრმეში, უდაბნო ადგილებისაკენ, შეიტყუა კრასუსის არმია, ალყაში მოაქცია და გაანადგურა იგი 53 წელს. აქვე დაიღუპა კრასუსი და მისი შვილი, ცეზარის ყოფილი ლეგატი გალიაში. ასეთი იყო მარკუს ლიცინიუს კრასუსის სამხედრო კარიერა.

მაგრამ რომის ისტორიას კრასუსი შერჩა არა თავისი სამხედრო კარიერით, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მსხვილი მევახშე და საქმოსანი.

კრასუსს თავისი დროისათვის კარგი განათლება ჰქონია მიღებული. პლუტარქეს გადმოცემით, „...კრასუსი ისტორიის დიდი მცოდნე იყო და ფილოსოფიას ნაზიარები". მაგრამ უმთავრესად ორატორულ ხელოვნებაში ვარჯიშობდა, სადაც უნიჭიერეს ორატორებს გადააჭარბა.

პლუტარქეს თქმით, კრასუსი პომპეუსის ანტიპოდი იყო. მაშინ როდესაც პომპეუსს თავი ამაყად და მიუკარებლად ეჭირა, შორს იდგა ხალხისაგან და იშვიათი სტუმარი იყო ფორუმისა, კრასუსი სრულიად საწინააღმდეგოდ იქცეოდა. ამიტომაც პომპეუსს მაშინ უფრო მეტი გავლენა ჰქონდა რომში, როცა თვითონ არ იყო იქ, ვიდრე მაშინ, როდესაც იქ იყო. კრასუსი კი ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა და აშკარად ჯაბნიდა მას ხალხის გულის მონადირებაში.

მაგრამ კრასუსს საკმაოდ დიდი მანკიც გააჩნდა. ამათგან მთავარი იყო სიხარბე და ქონების შეძენის საშუალებათა განურჩეველობა. „იყო რა თვითონ, — წერს პლუტარქე, — უკანასკნელ ზღვარამდე ხარბი, არ შეეძლო აეტანა თავისი მსგავსნი და ყოველნაირად ქირდავდა მათ". რომის რესპუბლიკას მასზე მდიდარი და ხარბი კომერსანტი და მევახშე არა

ჰყოლია. თანამედროვენი მას —„Dives“ — „მდიდარს“ ეძახდნენ. კრასუსი ხელიდან არ უშვებდა ადამიანთა თავზე დატეხილ უბედურებას, რათა გაჭირვების დროს იაფად ჩაეგდო ხელში მათი ქონება, ან სესხის მიცემით ისინი თავის მოვალეებად ექცია.

მას დიდი თანხა ჰქონდა დაბანდებული სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, სამთო საქმეში (ვერცხლის მაღაროები). ვაჭრობაში, მევახშეობაში და სხვ., საიდანაც ის დიდძალ მოგებას იღებდა. განსაკუთრებით კარგად კრასუსს სულას პროსკრიპციების დროს მოუთბია ხელი, როდესაც თვით სულას ხელშეწყობით მუქთად ყიდულობდა სიკვდილმისჯილ პირთა ქონებას. კრასუსის სიხარბე სისხლის სამართლის აშკარა დანაშაულის ჩადენამდე მიდიოდა. ბრუტიუმში (იტალიის სამხრეთი ნაწილი) სულას დაუკითხავად და მისი სახელით კრასუსმა სიკვდილმისჯილ პირთა სიაში შეიტანა ვიღაც მოქალაქე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქონება ჩაეგდო ხელში.

ამგვარი მეთოდებით კრასუსმა დიდძალი ქონება დააგროვა. თუ თავდაპირველად მისი ქონება ერთი მილიონი მანეთის ღირებულებასაც არ შეადგენდა, 55 წლისათვის (პართებთან ომის წინ) მისი ქონება უკვე ათ მილიონ მანეთს (ოქროთი) აჭარბებდა. და ეს მაშინ, როცა კრასუსმა თავისი ქონების ერთი მეათედი ნაწილი ჰერკულესის ტაძარს შესწირა, ყველა გაჭირვებულ რომაელს სამი თვის სურსათი უბოძა და ათი ათას მაგიდაზე მათთვის ღრეობა-ქეიფი მოაწყო.

კრასუსს კარგად ესმოდა სიმდიდრის მნიშვნელობა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ციცერონის გადმოცემით, „კრასუსი ამბობდა, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ დიდი ქონების მფლობელად ის, ვისაც სურს პირველი გახდეს სახელმწიფოში და არ შეუძლია თავის ხარჯზე შეინახოს მთელი არმიაო“.

კრასუსის გულუხვობა, მუქთი პურის გაცემა და ღრეობა-ქეიფის მოწყობა, ხალხის გულის მოსანადირებლად და პოლიტიკურ ბრძოლაში მათ მისამხრობად იყო გამიზნული. კრასუსს არ უნდოდა ყოფილიყო მარტო კომერსანტი, მევახშე და საქმოსანი. მისი აზრით პირველკაცობა სიმდიდრესა და

პოლიტიკაში ერთმანეთს ხელს უწყობდა. პირველი მეორეს აძლიერებდა და მეორე პირველს. ამიტომ ეს მდიდარი კაცი ცდილობდა ქვეყნის მართვა-გამგეობასაც მოქცეოდა სათავეში.

მაგრამ კრასუსის მისწრაფებანი თავიდანვე ეჯახებოდა პომპეუსის ავტორიტეტსა და სიძლიერეს, რომელიც სულადან ცეზარამდე, ე. ი. თითქმის ოცი წლის მანძილზე ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რომში. 59 წ. ციცერონი სწერდა ატიკუსს: „...მე ყოველთვის მაწუხებდა აზრი, რომ სემპსიკერამის (პომპეუსის, მ. ა.) დამსახურება სამშობლოს წინაშე ექვსასი წლის შემდეგ რამენაირად უფრო მეტი არ მოჩვენებოდათ, ვიდრე ჩემი". ახლა პომპეუსის უკანა რიგში ჩამოყენების საკითხი ედგა დღის წესრიგში კრასუსს.

კრასუსი ვერ იტანდა, რომ პომპეუსმა ჯერ კიდევ სულას პერიოდში მიიღო იმპერატორის ტიტული, ტრიუმფი და რომ მას თვითონ სულამ უწოდა მაგნუსი (დიდი). ერთხელ ვიღაცას უთქვამს: მოვიდა პომპეუს დიდიო. კრასუსს სიცილი აუტეხია და უკითხავს: მაინც რამოდენაა იგიო.

71 წ. როცა პომპეუსი და კრასუსი, ერთი სერტორიუსზე და მეორე სპარტაკზე გამარჯვების შემდეგ რომის კარებთან იდგნენ და კონსულობას მოითხოვდნენ, მათ შორის შეიქმნა შეიარაღებული შეტაკების საფრთხე, მაგრამ 70 წლისათვის ორივე არჩეული იქნა კონსულად და წინააღმდეგობა დროებით შენელდა. ცეზარი მოხერხებულად ცდილობდა მათ შორის არსებული წინააღმდეგობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ 60 წ. შექმნილი პირველი ტრიუმვირატი.

პირველი ტრიუმვირატი

რესპუბლიკური პერიოდის რომში რაიმე საკითხთან დაკავშირებით, ან რაიმე ამოცანის (მაგ. კანონთა კოდექსის შედგენის) გადასაწყვეტად ირჩევდნენ ექსტრაორდინალურ თანამდებობის პირებს: ორი, სამი, ათი ან ოცი კაცის შემადგენლობით.

ამის შესაბამისად თუ არჩეული იყო ორი კაცი, ეწოდებოდა— დუუმვირატი, თუ სამი — ტრიუმვირატი, თუ ათი — დეცემვირატი და თუ ოცი — ვიგინტივირატი. ამ თანამდებობაზე გაყვანილი პირები თანასწორუფლებიანნი იყვნენ. თვითეულ წევრს ჰქონდა პროტესტისა (jus intercessionis) და ამ საფუძველზე ვეტოს უფლებაც.

მაგრამ სამი კაცის: ცეზარის, პომპეუსისა და კრასუსის შემადგენლობით 60 წელს რომში შექმნილი ტრიუმვირატი არალეგალური ორგანიზაცია იყო. მისი არსებობა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (ცეზარის კონსულობის დროს) გახდა აშკარა. ამ ტრიუმვირატს, როგორც კერძო პირთა შეთანხმებას სახელმწიფო ძალაუფლებაზე კოლექტიური ხელყოფისათვის, არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ ტრიუმვირატთან, რომელსაც წინათ რაიმე საკითხის მოგვარებისათვის სენატი ან სახალხო კრება ირჩევდა ხოლმე ოფიციალურად.

პირველი ტრიუმვირატის შექმნა იმით იყო შეპირობებული, რომ პირველი საუკუნის 60-იანი წლებისათვის რომის სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მეტი გავლენა მოიპოვეს ცეზარმა, პომპეუსმა და კრასუსმა. ერთმანეთისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში მათ შეეძლოთ ზიანი მოეტანათ თვითეულს საკუთარი თავისათვის და ერთმანეთთან კავშირისა და თანხმობის შემთხვევაში კი დაეძლიათ ყველა სხვა პოლიტიკური დაჯგუფებისა და ცალკე პირის წინააღმდეგობა და გაეტანათ ურთიერთთანხმობით წამოწყებული ყველა საქმე და საკითხი.

ამ კავშირში შესვლისათვის თვითეულს თავისი საკუთარი მიზეზები და მიზნები ამოძრავებდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, 60 წლის ზაფხულში ესპანეთიდან იტალიაში დაბრუნებული ცეზარი ცდილობდა ერთდროულად მიეღო სენატისაგან ტრიუმფისა და კონსულის თანამდებობაზე 59 წლის არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენების უფლება.

მაგრამ ორივე ერთდროულად არ ხერხდებოდა. კანონით კონსულობის კანდიდატი რომში უნდა ყოფილიყო, ამავე დროს თუ ცეზარი სენატისაგან ტრიუმფის მოწყობის უფლებას მიიღებდა, მეორე კანონის მიხედვით, ქალაქში შესვლის უფ-

ლებას ჰკარგავდა იქამდე, ვიდრე ქალაქის გარეუბანში ტრიუმფის მოწყობას არ დაამთავრებდა და შემდეგ, დანიშნულ დღეს ტრიუმფალური პროცესიით არ შევიდოდა ქალაქში. ტრიუმფის მოწყობა გარკვეულ დროს მოითხოვდა, რომში კი საკონსულო არჩევნები ის იყო უკვე იწყებოდა. ცეზარმა სენატს ოხოვნით მიმართა, გაეკეთებინათ მისთვის გამონაკლისი, როგორც ეს ხანდახან ხდებოდა, და დაუწრებლად დაეშვათ იგი არჩევნებზე.

პაგრამ კატონის თავგამოდებით სენატმა, რომლისთვისაც უცნობი არ იყო ცეზარის დიქტატორული მისწრაფებანი, უარი უთხრა მას. ცეზარს უნდა გადაეწყვიტა: დაეთმო ტრიუმფი ან კონსულობა. მან ტრიუმფზე აიღო ხელი, შევიდა რომში და ჩაება საარჩევნო ბრძოლაში.

რადგან კანდიდატთა რიცხვი ასარჩევთა რიცხვზე მეტი იყო, შედეგი დამოკიდებული იყო არა მხოლოდ კანდიდატის გავლენასა და ავტორიტეტზე, არამედ ფულსა და არჩევნებში პოლიტიკურ დაჯგუფებათა კოალიციებზეც. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ რა პოზიციას დაიკავებდნენ ცეზარის მიმართ იმ დროს ყველაზე უფრო დიდი გავლენისა და ავტორიტეტის მქონე პომპეუსი და ყველაზე უფრო მდიდარი სენატორი კრასუსი. სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა ცეზარს გამოსულიყო მათთან კავშირის შეკვრისა და, ამგვარად, პირველი ტრიუმვირატის შექმნის ინიციატორად.

პლუტარქე „კრასუსის ბიოგრაფიაში“ დაწვრილებით ეხება ამ საკითხს. როდესაც 60 წ. ცეზარი ესპანეთიდან დაბრუნდა და განიზრახა კონსულის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება, „...მან დაინახა, — წერს პლუტარქე, — რომ კრასუსი და პომპეუსი კვლავ ცუდ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან და არ უნდოდა რომელიმე მათგანთან დაახლოებით მეორე მტრად გადაეკიდებინა. ამასთან არც იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე მათგანის მხარდაჭერის გარეშე წარჩატებას მიაღწევდა. ამიტომ დაიწყო მათი შერიგება და ძალას არ იშურებდა, რათა დაერწმუნებინა, რომ ერთმანეთის დაღუპვით ისინი მხოლოდ აძლიერებენ ციცერონებს, კატულებსა და კატონებს. მათი გავლენა კი არარაობად იქცევა, თუკი შეე-

რთდებიან ერთ მეგობრულ კავშირში და გაერთიანებული ძალებით, ერთიანი გეგმით დაიწყებენ მოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარწმუნა და შეარიგა ისინი, ცეზარმა სამივესაგან შეადგინა და გაამაგრა ის დაუძლეველი ძალა, რომელმაც ხელისუფლებას ჩამოაცილა სენატიცა და ხალხიც. ამასთან საქმე ისე მოაწყო, რომ ორი დანარჩენიდან ერთს მეორე არ გაეძლიერებინა. თვითონ კი მათი საშუალებით ყველაზე ძლიერი გახდა და ორივეს დახმარებით მალე ბრწყინვალედ იქნა გაყვანილი კონსულად".

ცეზარმა ეს ამოცანა გენიალური მოქნილობით დასძლია. მან არა მარტო უვნებელი გახადა ისინი თავისთვის, არამედ მოიხმარა კიდეც საკუთარი წინსვლისათვის. უფრო მეტიც, დაღუპა პომპეუსი. იგი ხელმძღვანელობდა დევიზით: „მოახრჩე მტერი მეგობრული ხვევნა-ალერსით". ეს იყო სწორედ მისი ფარული აზრის დედაარსი, როცა პირველ ტრიუმვირატს ქმნიდა.

თავისი საკუთარი მიზეზები და მიზნები უბიძგებდა პომპეუსსაც პირველ ტრიუმვირატში შესვლისაკენ აღმოსავლეთიდან დაბრუნებისას გადახდილი არნახული ტრიუმფის შემდეგ. პომპეუსის ავტორიტეტმა და გავლენამ დაღმავალი ხაზით იწყო სვლა. ეს იმიტომ არ ხდებოდა, რომ მას პირადი მამაცობა და გამბედაობა აკლდა. პომპეუსს, როგორც ძველი დროის ბევრ სხვა გამოჩენილ მხედართმთავარს, მრავალჯერ უშიშრად შეუხედავს სიკვდილისათვის თვალებში.

მაგრამ მამაცი მთავარსარდლისაგან პოლიტიკა მოითხოვდა მრავალ ურთიერთმოქმედ ფაქტორთა და ძალთა თანაფარდობის გაგებას, გორდიას კვანძების გახსნის უნარს, მომენტის შემზადებას და პოლიტიკური ნაყოფის მომწიფების მოწყვეტისათვის დროის ზუსტ შერჩევას. აი, სწორედ აქ დაიბნა პომპეუსი.

მან იცოდა, რომ რესპუბლიკა ძირგამოთხრილ ხესავით მომზადებული იყო მოსაგლეჯად და რომ ვინმეს უნდა გაეკეთებინა ეს. მას უნდოდა სხვისთვის შეეშალა ხელი და თვითონ გამოსულიყო ამ როლში, მაგრამ ისე, რომ ყველაფერი ეს გარეგნულად კანონიერ ფორმებში მომხდარიყო. თავის ავტორი-

ტეტზე გაზვიადებული წარმოდგენის მქონე პომპეუსს იმედი ჰქონდა, რომ დადგებოდა მომენტი, როცა მას სენატი და ხალხი თვითონ შესთავაზებდნენ დიქტატორისა და შემდეგ მონარქის როლს.

ლოდინის ეს პოლიტიკა უტოპიაში გადადიოდა და ამაში იყო პომპეუსის შეცდომა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მომენტი არა თუ მომწიფდა, გადამწიფდა კიდეც ხელისუფლების ასაღებად, მაგრამ პომპეუსმა ისინი ვერ გამოიყენა. ასე იყო 62 წელს, აღმოსავლეთიდან მისი ძლევამოსილად დაბრუნების შემდეგ, როცა სატახტო ქალაქში ყველა ემზადებოდა ახალი მონარქის შესახვედრად, მან კი ბრუნდიზიუმში მოსვლისთანავე დაუყოვნებლივ დაშალა თავისი ლეგიონები და სატახტო ქალაქში უმნიშვნელო ამალით დაბრუნდა.

აქ გარეგანი ეტიკეტისა და კანონიერების სამოსის უქონლობამ შეუშალა ხელი პომპეუსს აეღო ხელში ძალაუფლება, ეს იმიტომ, რომ, როგორც მომზენი წერს, „ყველაზე უფრო ნაკლებად ის სახელმწიფო მოღვაწე იყო. თავად გაურკვეველს თავის მიზნებში მას არ ძალუძდა საშუალებათა ამორჩევა, ბეცი და უმწეო... იგი გაუბედაობასა და უნიათობას ამაყი სიჩუმით ფარავდა და იმით, რომ თავს მეტად მოხერხებულად მიიჩნევდა. მხოლოდ თავს იტყუებდა, როცა უნდოდა მოეტყუებინა სხვები".

ისტორიკოსი პლუტარქე ცდილობს, რომ პომპეუსის ავტორიტეტის და გავლენის დაღმა სვლა იმ შურით ახსნას, რომელსაც მისი დიდება იწვევდა სხვებში. მაგრამ, შური თითქმის ყოველთვისაა დაბრკოლება მაღლა ასულისათვის და ის ასევე უშლიდა ხელს ძის მოწინააღმდეგეებსაც. იგივე პლუტარქე, უფრო რეალურ ნიადაგზე დგება, როცა წერს, რომ „პომპეუსმა ფრიად ღირსეულ საქმეთა შესრულებით მოიპოვა რომში გავლენა, მაგრამ ამ გავლენას იგი საკმაოდ უსამართლოდ იყენებდა სულ სხვა ხალხის გულისათვის და რამდენადაც ამ ხალხის ძალას ღონეს უმატებდა, იმდენად საკუთარ სახელს იმცირებდა. და აი ასე, მისთვის სრულიად შეუმჩნევლად, მისმა საკუთარმა ძლიერებამ და დიდმა გავლენამ იგი დიდების საფეხურიდან ძირს დასცა. ვით მტრის ხელში ჩავარდნილი გამაგრე-

ბული ნაწილები და ციხე-სიმაგრენი ქალაქისა ახალ პატრონებს ძალ-ღონეს მატებენ, ისე ცეზარი აღზევდა რომში პომპეუსის ძლევაპოსილების წყალობით და ბოლოს, მან ის კაცი, რომლის შემწეობითაც სხვებზე მბრძანებლობა მოიპოვა, სავსებით გაანადგურა".

პომპეუსის ეს განადგურება კატონისა და ლუკულუსის გაელენით ჯერ სენატიდან იწყება. როდესაც აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა პომპეუსმა ბრუნდიზიუმში თავისი არმია დაშალა და მცირე ამალით გაემგზავრა რომის გარეუბნისაკენ, მან სენატს სთხოვა გადაედო საკონსულო არჩევნები და ჯერ მისთვის ტრიუმფი მოეწყო, რომ მას შესაძლებლობა ჰქონოდა მიეღო კონსულის არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წამოყენების უფლება. მაგრამ სენატმა კატონისა და ლუკულუსის ინიციატივით, უარი უთხრა პომპეუსს ამ მოთხოვნაზე. სენატმა არც პომპეუსის სხვა მოთხოვნა დააკმაყოფილა აღმოსავლეთში მის გარიგებათა და განკარგულებათა უცვლელად დამტკიცებაზე. მისი ეს განკარგულებანი სენატმა მუხლობრივად განიხილა და ბევრი რამ ამოაგდო ან შეცვალა. რაც შეეხება პომპეუსის ვეტერანებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემას, მართალია, ამის შესახებ სენატმა დადგენილება მიიღო, მაგრამ იგი ფაქტიურად არ შესრულებულა.

პომპეუსის ეს მარცხი მისი პოლიტიკური სიბეცითა და მოუქნელობით აიხსნება. პირველსავე სიტყვაში, რომელიც მან მითრიდატეს ომიდან დაბრუნებისას სენატის სხდომაზე წარმოთქვა, გამოამჟღავნა, რომ იგი სრულიად ვერ ერკვეოდა იმ დროისათვის რომში შექმნილ ვითარებაში. ამ სიტყვის მოკლე რეზიუმეს ატიკუსისადმი 61 წ. 13 თებერვალს მიწერილ წერილში ასე გადმოგვცემს ციცერონი: ეს სიტყვა იყო „უსიამოვნო ღარიბთათვის, ცარიელი ბოროტგანმზრახველთათვის, უსარგებლო მდიდრებისათვის, არადამაჯერებელი პატიოსანთათვის. ერთი სიტყვით, იგი ცივად მიიღეს". ცხადია, ასეთი სიტყვით პომპეუსი რომის საზოგადოების ვერც ერთი კლასისა და ფენის მიზიდვას ვერ მოახერხებდა, რის გამოც იგი იზოლირებულ მდგომარეობაში იყენებდა თავს. აქედან გამომდიოდა მისი მარცხის ზოგიერთი მიზეზიც.

ამ მარცხმა და უკმაყოფილებამ უბიძგა პომპეუსს ცეზართან და კრასუსთან ერთად შესულიყო პირველ ტრიუმვირატში, სადაც ის ორი დანარჩენის ძლიერებისა და გავლენის გამოყენებას თავის მიზნებისათვის ვარაუდობდა.

საკუთარი ანგარიშები ჰქონდა კრასუსსაც, როდესაც ის ცეზარს დათანხმდა პირველ ტრიუმვირატში შესვლაზე. დიონ კასიუსის გადმოცემით, „კრასუსი ფიქრობდა, რომ იგი მის წარმოშობას და სიმდიდრეს სხვებზე მაღლა უნდა დაეყენებინა. იდგა რა პომპეუსზე უფრო დაბლა და დარწმუნებული იყო რა იმაში, რომ ცეზარი დიდი საქმისათვის იყო მოწოდებული, კრასუსი ცდილობდა ისინი ბრძოლაში ჩაეთრია ერთმანეთის წინააღმდეგ, რომ არც ერთი და არც მეორე მასზე უფრო ძლიერი არ ყოფილიყო. იგი ვარაუდობდა, რომ იმ დროს, როცა ისინი თანაბარი ძალით ურთიერთ ბრძოლაში იქნებოდნენ გართული, იგი ისარგებლებს მათი მეგობრობით და მათზე მეტ პატივს მიიღებს". „...ამ მიზეზთა გამოო, — დაასკვნის დ. კასიუსი, — ეს სამი პირი ერთმანეთს დაუმეგობრდა".

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ტრიუმვირებს ერთმანეთი სჭირდებოდათ. ეს კავშირიო,—წერს პლუტარქე, „...თავისთავად კეთილშობილი საქმე და სასარგებლო პოლიტიკური ნაბიჯი იყო, მაგრამ მეტისმეტად ბოროტ მიზანს ისახავდა და ცეზარმაც ფრიად ვერაგული ცბიერებით წამოიწყო". ნაპოლეონ მესამეს მოხდენილი თქმით, 60-იანი წლებისათვის „ცეზარის ფართო გონებას რესპუბლიკის მდგომარეობა ალბათ ასე ესახებოდა: რომის ბატონობა, რომელიც უზარმაზარი სხეულით დააწვა მსოფლიოს, თავისი ძლიერი ხელებით კრუნჩხავდა მას. იმ დროს, როცა ამ სხეულის ასოები ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძალითა და სიცოცხლით, გული უკვე იხრწნებოდა. თუ არა რაიმე გმირული საშუალება, სენი ცენტრიდან მალე გაატანდა კიდურებისაკენ და რომისათვის განკუთვნილი მისია შეუსრულებელი დარჩებოდა" .

ტრიუმვირატში შემავალი თვითეული წევრი ცდილობდა თვითონ ყოფილიყო დასნეულებული რესპუბლიკის „მთავარი ჭირურგი" და ვარაუდობდა, შეეკრა კავშირი ორ დანარჩენთან, რომ თავისი საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენები-

ნა ისინი. ახლა საქმე ის იყო, ვინ აღმოჩნდებოდა უფრო ჭკვიანი, მოქნილი, ვინ ვის გააბამდა ხაფანგში და ვინ ვის გამოიყენებდა. ამგვარად, თვითეულ მათგანს ეს კავშირი უნდოდა ამკარა ბრძოლისათვის ყველა გარეშეს წინააღმდეგ და ჩუმი და დაფარული ბრძოლისათვის ორი დანარჩენის წინააღმდეგ კავშირის შიგნით.

როგორც ჩანს, თვით პირველი ტრიუმვირატის თანამედროვეთა და მომდევნო თაობის მოღვაწეებისათვისაც კარგად ყოფილა ცნობილი, რომ პირველი ტრიუმვირატი იქცა სამოქალაქო ომის ახალი აფეთქების მიზეზად. შეიქმნა თუ არა პირველი ტრიუმვირატი, მარკუს ტერენციუს ვარონმა (116 — 27 წწ.) ტრიუმვირების წინააღმდეგ დაწერა სატირა მრავალმეტყველი სათაურით: „სამთავიანი ურჩხული“.

პლუტარქე წერს, პირველი ტრიუმვირატის შექმნამდე — „...მთელი ძალა რომში ორად იყოფოდა და სახელმწიფო, ხომალდის მსგავსად, წონასწორობაში ეჭირა; მაგრამ ახლა ამ ძალამ ერთ წერტილში მოიყარა თავი, გაერთიანდა, და, რაკიღა საწინააღმდეგო ძალა აღარ ჩანდა, თანაფარდობაც დაირღვა. ამან რომის რესპუბლიკა მთლიანად შეარყია და ძირს დასცა. იმათ, ვინც ამბობდა: ქალაქი ცეზარსა და პომპეუსს შორის შემდეგ ხანებში ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო დაიღუპაო, კატონი ეუბნებოდა, შეცდომა იყო ამ ამბის მიზეზად მერმინდელი საქმის აღიარება. ცეზარსა და პომპეუსს შორის არსებული შფოთი და მტრობა კი არა, სწორედ მათი შეკავშირება და თანხმობა იყო სახელმწიფოს უბედურების პირველი და უდიდესი მიზეზიო“.

ტრიუმვირები შეთანხმდნენ, რომ 60 წლის არჩევნებში 59 წლისათვის კონსულად გაეყვანათ ცეზარი, რომელიც თავისი კონსულობის დროს უნდა ცდილიყო, რომ პომპეუსის ვეტერანებისათვის მიეცათ მიწა და აღმოსავლეთში პომპეუსის განკარგულებანი იმ სახით დაემტკიცებინათ, როგორც ის თავად პომპეუსის მიერ იყო წარდგენილი სენატში. კრასუსისათვის, მართალია, რაიმე კონკრეტული დაპირება ცეზარსა და პომპეუსს არ მიუციათ, მაგრამ ის გარემოებაც, რომ ტრიუმვირატი არ გაატარებდა ღონისძიებას, რომელიც საზიანო იქნებოდა მი-

სი რომელიმე წევრისათვის, კრასუსს თავისთვის ხელსაყრელად მიაჩნდა.

ეს ტრიუმვირატი — „ძალა-უფლების, ფულისა და ჭკუის კავშირი“ — ოპტიმატებსა და სენატს დაუპირისპირდა.

ცეზარი კონსული

კონსულებს თანამდებობის დაკავებამდე (1 იანვარი) რამდენიმე თვით ადრე ირჩევდნენ. კონსულის თანამდებობა ყველაზე ძველი რესპუბლიკური თანამდებობა იყო. თავდაპირველად მათ მეტად დიდი უფლებები ჰქონდათ. შემდეგ ეს უფლებები თანდათან შემცირდა იმის გამო, რომ ახლად შექმნილ მაგისტრატებს, მაგალითად სახალხო ტრიბუნებს, ცენზორებს, პრეტორებს, ქვესტორებს და სხვ. გადაეცათ მათი ზოგიერთი უფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონსულის თანამდებობა მაინც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რომში რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე. კონსულებს ჰქონდათ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უფლებები. სამხედრო ხაზით ისინი აწარმოებდნენ არმიაში გაწვევას, ნიშნავდნენ სამხედრო ტრიბუნების (ლეგიონების მეთაურების) ნაწილს (ნაწილს სახალხო კრება ირჩევდა), ხელმძღვანელობდნენ არმიის მთელ სამეურნეო და ფინანსურ საკითხებს, სამხედრო სასამართლოებს. ომის დროს კენჭს ყრიდნენ და ერთი კონსული ფრონტზე მთავარსარდლად მიდიოდა, მეორე კი რომში რჩებოდა სამოქალაქო საქმეთა გამგებლად. თუ მდგომარეობა ორივეს წასვლას მოითხოვდა, ისინი ფრონტებს ინაწილებდნენ ან თვითონ, კენჭის ყრით, ან სენატის დადგენილებით; იმ შემთხვევაში, თუ არმიები ერთად მოქმედებდნენ, კონსულები ყოველდღიურად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მთავარსარდლის პოსტზე.

სამოქალაქო მმართველობის ხაზით კონსულებს უფლება ჰქონდათ მოეწვიათ სენატის სხდომა ან სახალხო კრება, გაეწიათ მათთვის თავმჯდომარეობა და შეეტანათ განსახილველად საკითხები და კანონპროექტები. მათივე მოვალეობა იყო სენა-

ტისა და სახალხო კრების დადგენილებათა განხორციელება, სახელმწიფოს შინაგან უშიშროებაზე ზრუნვა და თანამდებობის პირთა არჩევნების ხელმძღვანელობა. მათი გვარების მიხედვით ხდებოდა წელთაღრიცხვა და მოვლენათა დათარიღება, მაგალითად: ეს მოხდა გ. ცეზარის და მ. ბიბულუსის კონსულობის დროსო. მაგრამ, თუ რომელი კონსულის გვარი უნდა დაწერილიყო პირველად, კენჭის ყრით წყდებოდა. კონსულის ხელისუფლების გარეგნული ნიშნები იყო საკონსულო ტოგა და თორმეტი ლიქტორი, რომელნიც მათ წკეპლების კონით ხელში (ფასციებით) დაჰყვებოდნენ ხოლმე. კონსულების ქალაქგარეთ ყოფნის დროს ფასციებში ცულები ჰქონდათ გარჭობილი, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ აქ კონსულს მოქალაქის სიკვდილით დასჯის უფლება ჰქონდა. ასეთი იყო მოკლედ კონსულის თანამდებობა, რომლისაკენაც ცეზარი ესოდენი შეუპოვრობით მიისწრაფოდა.

60 წ. (59 წლისათვის) ცეზართან ერთად კონსულობის კანდიდატებად წამოყენებული იყვნენ **ლუციუს ლუკცეიუსი და მარკუს ბიბულუსი.** ტრიუმვირატის მხარდაჭერით აირჩიეს ცეზარი და ოპტიმატებისა და სენატის მხარდაჭერით — მარკუს ბიბულუსი. ცეზარის არჩევა ტრიუმვირატის პირველი გამარჯვება იყო. ამ გამარჯვების განმტკიცების მიზნით 59 წ. ცეზარმა თავისი ოცდასამი წლის ქალიშვილი იულია ცოლად გააყოლა ორმოცდაშვიდი წლის პომპეუსს, რომელიც სიმამრზე ექვსი წლით უფროსი იყო. თვითონ ცეზარმა იმავე წელს მესამე ცოლად შეირთო პიზონის ქალიშვილი კალპურნია.

კონსულის თანამდებობაზე თავისი მოღვაწეობა ცეზარმა იმით დაიწყო, რომ რომის ისტორიაში პირველად, პრაქტიკაში შემოიღო სენატის დადგენილებათა (**acta Senatus**) და სხდომების ანგარიშების გამოქვეყნება. ამით ცეზარს სურდა ფართო საზოგადოებრიობა საქმის კურსში ყოფილიყო, თუ რა ხდებოდა სენატში და ამის მიხედვით გავლენა მოეხდინა სენატის საქმიანობაზე. ცეზარმა შემოიღო აგრეთვე ერთგვარი, გაზეთის მსგავსი უწყებების (**acta diurua populi Romani**) გამოცემა, რომელშიაც ქვეყნდებოდა სახალხო კრების დადგენილებები არ-

ჩევნების, საზოგადოებრივ ასპარეზობათა და სხვა საკითხთა შესახებ ოფიციალური და კერძო ხასიათის ცნობები.

მაგრამ მთავარი კონსულ ცეზარის მოღვაწეობაში იყო სამი კანონპროექტი, რომელთაგან ერთი აგრარულ საკითხს ეხებოდა. ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა დაახლოებით ოცი ათასი უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე, მაგრამ სამი ბავშვის პატრონ რომაელი მოქალაქის, პირველ რიგში კი პომპეუსის ვეტერანებისათვის მიწის მიცემას. გასაცემი მიწის ფონდად იტალიაში არსებული სახელმწიფო მიწები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. დიონ კასიუსის მიხედვით, ამ ღონისძიებათა გატარება, რომელ მოქალაქეებს კვლავ აძლევდა თავისი შრომით ღირსეული ცხოვრების საშუალებას.

მეორე კანონპროექტი ითვალისწინებდა აღმოსავლეთში პომპეუსის მიერ გატარებულ ღონისძიებათა უცვლელად დამტკიცებას, რაზედაც წინათ უარი თქვა სენატმა. ორივე კანონპროექტი პომპეუსის ავტორიტეტისა და ინტერესების დასაცავად იყო.

მესამე კანონპროექტი კრასუსისა და საერთოდ მხედრების ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად. იგი ითვალისწინებდა პუბლიკანების (პროვინციებში გადასახადების იჯარით ამკრეფთა) საზოგადოებათათვის საიჯარო თანხის 1/3 შემცირებას (პატიებას). ეს ღონისძიება იმით იყო მოტივირებული, რომ მითრიდატესთან ომების დროს პუბლიკანები მატერიალურად დიდად დაზარალდნენ აღმოსავლეთში.

დიონ კასიუსის მიხედვით, ცეზარის აგრარული კანონპროექტის განხილვის დროს პირველად კატონს გაულაშქრნია რესპუბლიკაში რაიმე ახალი ღონისძიების გატარების წინააღმდეგ. ამისათვის მას თავისი ნაცადი ხერხისათვის მიუმართავს — გადაუწყვეტია სიტყვის გაგრძელება მზის ჩასვლამდე. ცეზარს მოთმინება დაჰკარგვია და განკარგულება გაუცია კატონის ციხეში წაყვანის შესახებ. მაშინ სენატორი პეტრეიუსიც წამომდგარა და გაჰყოლია კატონს. ცეზარის შენიშვნაზე: რატომ მიდიხარ სენატის სხდომის დამთავრებამდეო, მას უპასუხნია: „მე მირჩევნია კატონთან ციხეში ვიყო, ვიდრე შენთან სენატშიო".

ცეზარს უხერხულობა უგრძვნია და კატონი გაუთავისუფლებია.

სენატმა არც ერთი კანონპროექტი არ მიიღო. მაშინ ცეზარმა ისინი სახალხო კრებაზე გაიტანა, რომელსაც პომპეუსი ფარულად შეიარაღებული ვეტერანები ესწრებოდნენ. პლუტარქე წერს, ისინი „...ანაზდეულად თავს დაესხნენ კონსულ ბიბულუსს, რომელიც ლუკულუსსა და კატონთან ერთად ფორუმზე მიდიოდა და მის ლიქტორებს წკეპლის კონები გადაუმტვრიეს; ერთმა მეომარმა ბიბულუსს ნეხვით სავსე კალათი თავზე დაამხო; მისი თანმხლები ორი სახალხო ტრიბუნი დაჭრეს“. ცხადია, სახალხო კრების ნორმალური მსვლელობისათვის არავითარი პირობები არ იყო. მიუხედავად ამისა, კატონი ორჯერ შედგა ტრიბუნაზე სიტყვის წარმოსათქმელად, თუმცა იგი ორივეჯერ ჩამოაგდეს.

ბიბულუსმა, როგორც მეორე კონსულმა, ვეტო დაადო კანონპროექტებს. მაგრამ ცეზარმა არც მის და არც კატონის წინააღმდეგობას ყურადღება არ მიაქცია. პლუტარქეს ცნობით, ბიბულუსი „...ფორუმზე კინაღამ მოკლეს კატონთან ერთად“. ის და კატონი მეგობრებმა იხსნეს და ფორუმს მოაცილესო.

მაშინო, განაგრძობს პლუტარქე, ცეზარმა ფორუმზე „აქეთიქით მხარში ამოიყენა კრასუსი და პომპეუსი და ჰკითხა: იწონებთ თუ არა ჩემს კანონებსო? იმათ უპასუხეს: ვიწონებთო... ორივემ აღუთქვა ცეზარს დახმარება; ხოლო პომპეუსმა დაუმატა, რომ იგი მახვილთა წინააღმდეგ მახვილითა და ფარით გამოვიდოდა“ ...„ამ ხერხით მოტყუებული ხალხი, — წერს პლუტარქე სხვა ადგილას, — ყველაფერში მათი მორჩილი და გამგონი გახდა; იგი მათ წინააღმდეგ მიმართულ არც ერთ მოძრაობაში არ ერეოდა და მოკავშირეთა ყველა გადაწყვეტილებას დუმილით აძლევდა ხმას“. ასეთი გზით ცეზარმა მიიღებინა კანონპროექტები სახალხო კრებას და აგრარული კანონის განსახორციელებლად კომისიაც დაამტკიცებინა ოცი კაცის შემადგენლობით, რომელშიაც პომპეუსი და კრასუსიც შედიოდნენ.

მეორე დღეს, აპიანეს გადმოცემით, ბიბულუსმა სენატის სხდომა ტრიბუნებთან ერთად თავის სახლში მოიწვია და პრო-

ტესტი განაცხადა ცეზარის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე. მაგრამ, ტრიუმვირების შიშით ვერავინ გაბედა მისთვის მხარი დაეჭირა. განაწყენებული, დამარცხებული ბიბულუსი ჩაიკეტა სახლში და გარეთ აღარ გამოდიოდა, რის გამოც „ამ დროიდან დაწყებული, — წერს სვეტონიუსი, — ცეზარი ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს. ამიტომ მაშინ რომაელები, იმის მაგიერ, რომ ეთქვათ: ესა და ეს ამბავი მოხდა ცეზარისა და ბიბულუსის კონსულობის დროსო, ოხუნჯობით ცეზარის გვარს (იულიუს ცეზარს) ორად ჰყოფდნენ და ამბობდნენ: ეს ამბავი მოხდა იულიუსისა და ცეზარის კონსულობის დროსო.

ცეზარის მიერ აღნიშნული კანონების გატარების მ ე თ ო დ ი იმის მაჩვენებელია, რომ უკვე ბევრი აღარაფერი რჩებოდა რესპუბლიკური კანონიერებიდან და მმართველობიდან, რომელსაც ახლა ფაქტიურად ტრიუმვირთა დიქტატურა ცვლიდა.

სახლში მჯდომი ბიბულუსი ამაოდ ცდილობდა ცეზარის ღონისძიებათა გატარებისათვის ხელი შეეშალა იმით, რომ თითქოს თანამდებობის პირთა და ჭურუმ-ავგურების მიერ მიღებული რელიგიური წინასწარმეტყველების ნიშნები (auspicia habere) ამ ღონისძიებათა მიღების არახელსაყრელობას მოასწავებდნენ. ცეზარი ამ რელიგიურ წესებს მონურად არ იცავდა. ლუკრეციუსის (98–54 წ.) ეპოქაში რელიგიურ ცრუმორწმუნეობას უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ძველი ხასიათი. ჯერ კიდევ ჰანიბალს უთქვამს მეფე პრუსიუსისათვის, რომელიც წინააღმდეგი იყო ომის დაწყებისა მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოველთა შიგნეული კარგ ნიშანს არ იძლეოდა: „რა გაეწყობა! თუ შენ ხბოს ღვიძლისა უფრო მეტად გჯერა, ვიდრე ისეთი გამოცდილი და ძველი მხედართმთავრისა, როგორიც მე ვარო“.

გარდა ზემოთ აღნიშნული კანონებისა, თავისი კონსულობის დროს ცეზარს მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი გაუტარებია. მან სასტიკი პასუხისმგებლობა დააწესა გამოძალვისათვის პროვინციული მაგისტრატების მხრივ. პროვინციის მმართველებს, პროკონსულებსა და პროპრეტორებს ეკრძალებოდათ

სენატისა და სახალხო კრების დაუკითხავად თავიანთ პროვინციის ფარგლებს გარეთ გასვლა ან სხვა პროვინციაში ჯაჭის გაყვანა.

ცეზარისათვის მისი კონსულობის დროს ორ გარემოებას ჰქონდა მნიშვნელობა მისი კარიერისათვის; ერთი: რომელ პროვინციას მიიღებდა იგი მმართველობისათვის კონსულობის შემდეგ და რამდენად იქნებოდა ამ პროვინციაში პირობები ცეზარის სამხედრო ტალანტის გამომჟღავნებისათვის, ან რამდენად სარფიანი იქნებოდა იგი მისთვის ეკონომიურად. მეორე: ვინ აღმოჩნდებოდა ხელისუფლების სათავეში 58 წლისათვის და რამდენად გააგრძელებდნენ ან მოსპობდნენ ისინი ცეზარის მიერ წამოწყებულ ღონისძიებებს.

გაიუს გრაკხუსის მიერ 122 წ. გატარებული კანონით სენატს ჯერ კიდევ ახალ არჩევნებამდე უნდა განესაზღვრა, თუ რომელი პროვინციები გადაეცემოდა კონსულებს მმართველობისათვის რწმუნების ვადის დამთავრების შემდეგ. 60 წელს, როცა ცეზარმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა 59 წლის კონსულობაზე, ოპტიმატებმა, რომელთაც ცეზარის გამარჯვებაში ეჭვი არ შეპარვიათ, სენატს მიაღებინეს დადგენილება, რომ 59 წლის კონსულებს (ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი) კონსულობის შემდეგ მმართველობისათვის მიეცემოდათ არა პროვინციები (წინააღმდეგ გრაკხუსის კანონისა), არამედ, როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, სახელმწიფო ტყეებისა და საძოვრების გამგებლობა. ოპტიმატები ცდილობდნენ ცეზარს თავისი პროკონსულობის დროს სამხედრო ძალასთან არ ჰქონოდა საქმე, რომ არ შეექმნა საფრთხე ოპტიმატებისა და რესპუბლიკისათვის.

ცეზარს, ცხადია, არ აწყობდა ტყეებისა და საძოვრების უფროსობა. საჭირო იყო სენატის ამ დადგენილების შეცვლა. და აი, ცეზარის მომხრე სახალხო ტრიბუნს, პუბლიუს ვატინიუსს, სახალხო კრებაში შეაქვს წინადადება, რომ გაუქმდეს სენატის წინანდელი დადგენილება ამ საკითხზე. ცეზარს პროკონსულობის დროს მმართველობისათვის გადაეცეს ციზალპიის გალია და ილირია ხუთი წლის ვადით და სამი ლეგიონი ჯარიც მიეცეს. სახალხო კრებას ამ რიგის საკითხებზე წინათაც

მიუღია დადგენილება, როცა მარიუსს ნუმიდია მისცა, ლუციუს ლუკულუსს — კილიკია და სხვ. რაც შეეხება ხანგრძლივობას (ხუთი წელი), იგი თითქოს უჩვეულო ჩანდა, მაგრამ არც ეს იყო უპრეცედენტო, რამდენადაც პომპეუსს მითრიდატეს წინააღმდეგ ომის წარმოება (მანილიუსის კანონით) სახალხო კრების მიერ განუსაზღვრელი დროით ჰქონდა მინდობილი. ახლა სახალხო კრებამ ცეზარის მიმართაც დაამტკიცა ვატინიუსის ეს წინადადება.

მაგრამ ცეზარს არც ეს აკმაყოფილებდა. ციზალპიის გალიაცა და ილირიაც რომს დიდი ხნის წინათ ჰქონდა დაპყრობილი და სამხედრო დიდებისათვის, რასაც ცეზარი ეძებდა, აქ ბევრი არაფერი საშუალება ჩანდა. და აი სენატმა, სვეტონიუსის გადმოცემით, იმის შიშით, რომ ცეზარი ტრანსალპიურ ანუ „გალია კომატას“ ხალხისაგან მაინც მიიღებდა, გამოიტანა დადგენილება, რომ ცეზარის გამგებლობაში გადაცემული ყოფილიყო ტრანსალპიის გალიაც (ალპებს იქითა გალია). ამგვარი „წყალობის“ დროს სენატს ის გარემოებაც ამოძრავებდა, რომ რომიდან შორს (ალპებს იქით) ჰყოლოდა ცეზარი, რომ მას ნაკლები დრო და საშუალება ჰქონოდა რომის სახელმწიფო ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენისათვის. ასე მოაგვარა პირველი საკითხი ცეზარმა თავის სასარგებლოდ.

ტრიუმვირატის დახმარებით ცეზარმა 58 წლისათვის რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობებზე თავისი მომხრეების ნაწილის გაყვანა შესძლო და მეორე საკითხიც ძირითადად თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 58 წლისათვის კონსულებად გაყვანილ იყვნენ თვით ცეზარის სიმამრი ლ. პიზონი და პომპეუსის ერთგული ა. გაბინიუსი. ამავე წლის სახალხო ტრიბუნთა შორის იყო ცეზარის მეორე ცოლის, პომპეიას ყოფილი ფავორიტი, პუბლიუს კლოდიუს პულხერი. ეს ზნეობრივად დაცემული პოლიტიკური ავანტიურისტი საკმაო ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული და ცეზარის თავგამოდებულ მომხრედ ითვლებოდა. ცეზარმა იგი თავის კონსულობის დროს პატრიციებიდან პლებეების წოდებაში გადაიყვანა და ხელი შეუწყო 58 წლისათვის სახალხო ტრიბუნად მის არჩევას.

თავის მხრივ, კლოდიუსმა ტრიბუნობის დროს ისეთი კანო-

ნები გაატარა, რომელნიც ცეზარისათვის იყო ხელსაყრელი და მისი პოლიტიკის საერთო ასპექტიდან გამომდინარეობდა. კლოდიუსის მიერ გატარებული კანონებით მოწესრიგდა რომის ღარიბ მოქალაქეებისათვის პურის უფასოდ მიცემის საკითხი, აღდგენილი იქნა ე. წ. კოლეგიები, რომელშიაც რომის ლუმპენპროლეტარები ქალაქის კვარტალების მიხედვით ერთიანდებოდნენ და რომელთაც ერთგვარი სამხედრო ორგანიზაციის მაგვარი წყობა ჰქონდათ (ისინი საზოგადოებრივი უშიშროების მიზნით დაშალა სენატმა კატილინას აჯანყების დროს). სპეციალური კანონით ნებადართული იქნა უქმე და არა საბუშაო დროს მიტინგებისა და კრებების მოწყობა, მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება, რომელიც აუქმებდა სახალხო კრების დღეებში უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ რელიგიურ დაკვირვებათა წარმოებას. ეს ღონისძიება მიმართული იყო ოპტიმატების წინააღმდეგ, რომელნიც ხშირად ამ საბაბით ხელს უშლიდნენ სახალხო კრებას ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მათთვის ხელსაყრელი არ იყო. კლოდიუსის ერთ-ერთი კანონი ზღუდავდა ცენზორის უფლებებს თავისი შეხედულებით გაერიცხა ვინმე სენატის შემადგენლობიდან, თუკი იგი მსჯავრდადებული არ იყო რაიმე ბოროტმოქმედებისათვის.

როგორც ვხედავთ, კლოდიუსის ეს ღონისძიებანი ძირითადად მიმართულია ქალაქის დაბალი ფენების ორგანიზაციული დარაზმვისა და მათი გულის მონადირებისაკენ. ეს გარემოება კი მეტად ხელსაყრელი იყო ცეზარისათვის, რამდენადაც მას საჭირო შემთხვევაში შეეძლო მათი ორგანიზებული გამოყენება სენატისა და ოპტიმატების წინააღმდეგ.

მაგრამ ცეზარის პოლიტიკური მდგომარეობა რომში მაინც არ იყო მტკიცე მანამ, ვიდრე იქ კატონი და ციცერონი რჩებოდნენ. ამიტომ ახლა საკითხი იდგა რომიდან მათი ან გაძევების, ან გაყვანის შესახებ. ეს საქმე ცეზარისაგან ისევ სახალხო ტრიბუნს კლოდიუსს ჰქონდა მინდობილი, რომელმაც რომიდან კატონის მოცილება ადვილად მოახერხა. მან სახალხო კრებაში შეიტანა წინადადება, მიენდოთ კატონისათვის საპატიო დავალება — ქ. ბიზანტიონში არეული საქმეები მოეგვარები-

ნა და შემდეგ მოეხდინა კუნძულ კიპროსის ოკუპირება, რომელიც წინათ ეგვიპტის მეფის ანდერძით რომაელებს ჰქონდათ გადაცემული. კატონმა საკუთარი სურვილით, თუ იმის გამო, რომ პოლიტიკური სიტუაცია რომში მის საწინააღმდეგოდ ეწყობოდა, მიიღო ეს დავალება და აღმოსავლეთში წავიდა.

რაც შეეხება ციცერონს, მისი მოშორება უფრო რთული გამოდგა. იგივე კლოდიუსმა სახალხო კრებაში შეიტანა წინადადება, მიეღოთ კანონი რომიდან ოთხასი მილით იმ პირთა გაძევების შესახებ, რომელთაც სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნის დროს სიკვდილით დასჯეს რომაელი მოქალაქე სასამართლოს დადგენილების გარეშე. მართალია, კლოდიუსის წინადადებაში არავისი გვარი მოხსენებული არ ყოფილა, მაგრამ ყველასათვის, მათ შორის ციცერონისთვისაც გასაგები იყო, რომ ეს ღონისძიება მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართლაც, აქ კლოდიუსს მხედველობაში ჰქონდა კატილინას მომხრეთა სიკვდილით დასჯა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ციცერონის კონსულობის დროს. მართალია, კატილინას მომხრეები სენატის დადგენილებით დასაჯეს, მაგრამ აქ მაინც ციცერონს სდებდნენ ბრალს იმის გამო, რომ იგი იყო ერთერთი ინიციატორი და მან, როგორც კონსულმა, ხელი შეუწყო ამ უკანონო გადაწყვეტილების მიღებასა და სისრულეში მოყვანას.

ციცერონმა იცოდა, რომ როცა სახალხო კრება ამ ზოგად ფორმულას (კანონს) მიიღებდა, დაიწყებდნენ კონკრეტულ „დამნაშავეთა“ ძებნას და მაშინ მასაც მოჰკიდებდნენ ხელს. ერთ ხანს ეცადა, ხელი შეშალა კანონპროექტის სახალხო კრებაზე გატანისათვის, მაგრამ ვერაფერი გააწყო. პომპეუსმა, ვისი დახმარების ყველაზე დიდი იმედიც ჰქონდა, ციცერონს ზურგი შეაქცია და მასთან მისული ციცერონი არც კი მიიღო. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე კლოდიუსი ამ საკითხს აღძრავდა, პლუტარქეს ცნობით, ციცერონმა ცეზარს სთხოვა, თქვენს ლეგატად წამიყვანეთ ლაშქრობაშიო. თავის ერთ წერილში ატიკუსისადმი კი ციცერონი თვითონ წერს, რომ ცეზარი მაძლევდა წინადადებას თანაშემწედ გავყოლოდი, მაგრამ მე არ მივიღე ეს წინადადებაო. როგორც ჩანს, ცეზარს ჯერ ასეთი „კეთი-

ლი გზით" სდომებია ციცერონის მოცილება რომიდან, რომ იგი მის წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიციის ლიდერი, ან ხელის შემწყობი არ გამხდარიყო რომში ცეზარის არყოფნის დროს. მაგრამ, როცა ციცერონის ამ გზით რომიდან გაყვანა არ მოხერხდა, ხოლო მისი რომში დატოვება ტრიუმვირატს არ შეეძლო, მათ გამოძებნეს საჭირო მოდუსი და კლოდიუსი აამოქმედეს.

–კლოდიუსმა სახალხო კრება ქალაქის კედლებს გარეთ მოიწვია, რათა ცეზარი, რომელიც ჯერ ისევ ქალაქგარეთ იდგა თავისი მხედრობით და როგორც პროკონსულს ქალაქში შესვლის უფლება არ ჰქონდა — დასწრებოდა ამ კრებას. კრებამ 58 წ. აპრილში მიიღო კლოდიუსის აღნიშნული კანონპროექტი. ციცერონმა არ დაუცადა, ვიდრე მის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებდნენ და თავისი ნებით წავიდა გადასახლებაში (მაკედონიაში). „ციცერონის გაძევების შემდეგ, — წერს პლუტარქე,— კლოდიუსმა ყველა მისი აგარაკი გადაწვა; ცეცხლს მისცა აგრეთვე მისი სახლი რომში და აქ ნასახლარზე თავისუფლების ტაძარი ააგო". ქატონისა და ციცერონის რომიდან მოცილების შემდეგ, 58 წლის გაზაფხულზე, ცეზარი წავიდა იტალიიდან და დაიწყო ისტორიაში გახმაურებული ომები გალებთან და გერმანელებთან.

გალია ცეზარამდე და ცეზარის დროს

გალია ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა. მის ერთ ნაწილს, რომელიც ალპების სამხრეთით ახლანდელ ჩრდილოეთ იტალიაში მდებარეობდა, ციზალპიურ გალიას უწოდებდნენ.

ამ გალებს ხან მტრული, ხან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ რომაელებთან. მეორე პუნიკური ომის დროს (218-201 წწ.) რსინი ჰანიბალს მიემხრნენ და კანასთან მომხდარ ბრძოლაში (216 წ.), სადაც ჰანიბალმა ხუთი ათას ხუთას კაცამდე დაკარგა, მოკლულთა შორის ოთხი ათასი გალი იყო.

რომაელებს ციზალპიის გალიის მიმართ ძირითადად თავდაცვითი პოზიცია ეჭირათ 285 წლამდე. მაგრამ ამ წელს, როცა

გალებმა აპენინები გადმოლახეს და არეცია ალყაში მოაქციეს, მათ გაათავისუფლეს არეცია და კონტრშეტევის წესით პირველად შეიჭრნენ ციზალპიის გალიაში. 222 წელს რომაელებმა იქ ქ. მედიოლანი (ქ. მილანი) დაიკავეს. ამის შემდეგ განუწყვეტელი ბრძოლით რომაელები თანდათან იმორჩილებდნენ ციზალპიის გალიას. სულას დროს (80-იან წლებში) ეს გალია რომის პროვინციად გამოცხადდა. 49 წ. გალებმა რომის მოქალაქეობის უფლება მიიღეს, ხოლო 42 წ. უშუალოდ შევიდნენ რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

სხვაგვარად წარიმართა გალიის მეორე და უდიდესი ნაწილის, ალპებს იქითა ანუ ტრანსალპიის გალიის ისტორია. ეს გალია თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფოდა—ნარბონიის გალიად და „ბანჯგვლიან“ ანუ „შარვლიან“ გალიად (აქ მცხოვრები გალები გრძელ თმებსა და შარვლებს ატარებდნენ).

ნარბონიის გალია სამხრეთ დასავლეთით გადიოდა ხმელთაშუა ზღვაზე მასალიასა (ახლანდელი მარსელი) და მდინარე როდანოსის (ახლანდელი რონა) სექტორში. აღმოსავლეთით კი იგი ებჯინებოდა ალპებს და მოჰყვებოდა მას ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელშიაც ახლანდელი სამხრეთ-დასავლეთი შვეიცარიის ნაწილიც შედიოდა ქ. გენავათი (ახლანდელი ჟენევა). ნარბონიის გალიის დაპყრობა რომაელებმა მოათავეს 122 წლისათვის და იგი ალპებს იქითა გალიაში თავიანთ პირველ პროვინციად აქციეს, რომლის ცენტრიც ქ. ნარბონი იყო. მაგრამ ტრანსალპიის გალიის დიდი ნაწილი, კერძოდ „ბანჯგვლიანი“ გალია, რომელიც მოქცეული იყო ჩრდილოეთით — ჩრდილოეთის ზღვასა, დასავლეთით — ატლანტიის ოკეანესა, სამხრეთით — პირინეებსა და აღმოსავლეთით — მდ. რაინს შორის და მოიცავდა ახლანდელი შუა და ჩრდილო საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიას, თავისუფალი რჩებოდა და დაუპყრობელი იყო ცეზარამდე.

გალიის ძველ მოსახლეობას შეადგენდნენ ე. წ. ლიგურები, რომელნიც შემდეგ ცენტრალური ევროპიდან და დუნაის აუზიდან დასავლეთით წაწეულ გალებს დაუმორჩილებიათ და ამ გალების მრავალრიცხოვნების გამო მიუღია ქვეყანას ზოგადი სახელწოდება „გალიაც“.

გალიაში მცხოვრები სხვადასხვა ტომები განვითარების მხრივ ერთ დონეზე არ იდგნენ. ზოგი მათგანი ისევ დაურღვეველი გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგა, ზოგში კი ეს რღვევა იმდენად შორს ყოფილა წასული, რომ ადგილი ჰქონია სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს. გალები უმთავრესად მისდევდნენ მესაქონლეობას, მაგრამ საკმაოდ განვითარებული ჰქონიათ მიწათმოქმედებაც. სცოდნიათ მიწის ხელოვნური განაყოფიერება. მოჰყავდათ ხორბლეული კულტურა (სცოდნიათ ქერიდან ლუდის გამოხდა), მისდევდნენ მევენახეობას, იყენებდნენ ბერძნულ ან ლათინურ ანბანს თავიანთი დამწერლობისათვის, ჭრიდნენ მონეტას, ჰქონდათ ქალაქები, იცოდნენ ნავებისა და გემების მშენებლობა, რკინის დამუშავება, ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული ხელოსნობა და ეწეოდნენ სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობას. გალიის ქალაქებში ხშირად იმართებოდა ბაზრობა, სადაც ბევრი ბერძენი და რომაელი ვაჭარიც მიდიოდა.

გვაროვნული წყობილების რღვევის შედეგად გალიაში წარმოქმნილა საკმაოდ ძლიერი არისტოკრატია, რომელთაც ცეზარი რომაული ტერმინოლოგიით „მხედრებს“ უწოდებს, რაც ზუსტი არაა. ტომს სათავეში ედგნენ ამ ფენიდან გამოსული ეკონომიურად ყველაზე ძლიერი და პოლიტიკურად ყველაზე მეტი გავლენის მქონე ბელადები, მათ ცეზარი პრინციპეს — წინამძღოლს ან პირველ კაცს უწოდებს. ასეთები ცეზარის დროს იყვნენ დივიციაკუსი და დუმნორიქსი (ედუების ბელადები), ორგეტორიქსი (ჰელვეტების ბელადი), ვერცინგეტორიქსი (არვერნების ბელადი) და სხვა.

გალებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ დრუიდები (ქურუმები), რომელნიც კარჩაკეტილ კასტას წარმოადგენდნენ. ისინი თავისუფალნი იყვნენ სამხედრო ბეგარისა და გადასახადებიდან და, გარდა წმინდა რელიგიური საქმეებისა და მკითხაობისა, მათ ხელში იყო ადათობრივი სამართალი, ექიმობა. ისინი ასწავლიდნენ აგრეთვე ანბანს (ბერძნულს ან ლათინურს), მათემატიკას, ასტრონომიას, ერეოდნენ ომისა და ზავის გადაწყვეტის საკითხში და სხვ.

გალების საერთო რიცხვს ცეზარის დროისათვის ვარაუდობენ ხუთ-ათ მილიონამდე.

ტრანსალპიის გალებისათვის მძიმე პერიოდი იწყება მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მათ წინააღმდეგ შეტევას იწყებენ სამხრეთიდან რომაელები, ხოლო აღმოსავლეთიდან (მდ. რაინის გასწვრივ) გერმანელი ტომები. გერმანელებმა პირველი საუკუნის 60-იანი წლებისათვის მდ. რაინის მარჯვენა ნაპირიდან მთლიანად განდევნეს გალები მის მარცხენა ნაპირზე და გალია ორ მხრივ—გერმანულ და რომაულ მარწუხში მოექცა.

შინა ომები, რომელსაც სხვადასხვა გალი ტომი ერთმანეთის წინააღმდეგ ეწეოდა, ასუსტებდა მათ. ამასთან გალები ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ იწვევდნენ გალიაში გერმანელებსაც. ასე მაგ. 71 წ. გალმა სექვანებმა გალი ედუების წინააღმდეგ თხუთმეტი ათასი კაცით მიიწვიეს გერმანელი სვევები არიოვისტის მეთაურობით. ხოლო იმავე არიოვისტის წაქეზებით 58 წ. რაინის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ახლანდელ ელზასში შეიჭრა ას ოცი ათასი გერმანელი. გალი ჰელვეტები კი, რიცხვით სამასი ათას კაცამდე, რომელნიც ახლანდელი შვეიცარიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, ცდილობდნენ ნარბონიის გალიაზე გავლით ატლანტის ოკეანის სანაპიროებისაკენ გაჭრას, იქ ნოყიერი მიწების დაპყრობისათვის.

რა თქმა უნდა, ნარბონიის გალიის რომაულ პროვინციაზე ჰელვეტების გავლა ნიშნავდა მის დარბევა-აოხრებას, რის დაშვებაც არ შეეძლო რომს. რომაელები ამ პროვინციიდან დიდ შემოსავალს იღებდნენ ხარკის, ვაჭრობისა და იქ მოწყობილი მეურნეობებიდან. 74-72 წლებში ამ პროვინციის მმართველად იყო ვინმე ფონტეუსი, რომელიც პასუხისგებაში მისცეს გამოძალვისა და მექრთამეობისათვის. ამასთან დაკავშირებით, სასაჩართლო პროცესზე 69 წ. ციცერონი ამბობდა: „პროვინცია გალია გავსებულია ვაჭრებით და სავსეა რომაელი მოქალაქეებით. არც ერთი გალი არ აწარმოებს რაიმე გარიგებას რომაელთა შუამავლობის გარეშე, ვერც ერთი კაპიკი, რომელიც ერთი ხელიდან მეორეში გადადის, ვერ ასცდება რომაელ მოქალაქეთა სააღრიცხვო დავთარს".

ციცერონის სიტყვა გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი ინტერესები ჰქონდათ რომაელებს ნარბონიის გალიაში. ამიტომ, წერს ცეზარი, „როგორც კი მიღებულ იქნა ცნობა, რომ ჰელვეტები ცდილობენ გადაიარონ ჩვენს პროვინციაზე, ცეზარმა (ცეზარი ყოველთვის თავის წიგნებში მესამე პირით ლაპარაკობს თავის თაობზე, მ. ა.) დააჩქარა თავისი გამგზავრება რომიდან, დაიძრა ყველაზე ჩქარი მარშით შორეულ გალიაში და გენავაში ჩავიდა“.

ეს იყო 58 წლის გაზაფხულის მიწურულში. ასეთ კონკრეტულ ვითარებაში დაიწყო გალიის ცნობილი ომები. მაგრამ ცეზარს აინტერესებდა არა მარტო ჰელვეტების, არამედ გერმანელთა შეჩერებაც და მთელი დანარჩენი გალიის დაპყრობაც. ამისათვის მას ხელსაყრელ საბაბს აძლევდა ჰელვეტების განზრახვაც ნარბონიის გალიაზე გადავლის შესახებ და არიოვისტის გადმოსვლაც მდ. რაინის მარცხენა ნაპირზე. მაგრამ, რა სამხედრო ძალებით ფიქრობდა ამ ამოცანის გადაჭრას ცეზარი, ან რას წარმოადგენდა რომის არმია ამ დროს?

რომის არმია

რომის არმიამ მეფეთა პერიოდიდან დაწყებული ცეზარამდე მრავალი ცვლილება განიცადა, როგორც დაკომპლექტების წესის, ისე ტაქტიკური წყობისა და შეიარაღების მხრივ. ცეზარისდროინდელი რომის არმიის ძირითად ბირთვს ლეგიონერები შეადგენდნენ, რომელნიც იკრიბებოდნენ მხოლოდ რომაელ მოქალაქეთაგან (უმთავრესად ღარიბებისაგან). მაგრამ, რადგან ეს ძალა საკმარისი არ იყო, რომის არმიაში გაჰყავდათ ქვეითი ჯარისკაცები და ცხენოსნები მოკავშირე ქვეყნებიდან და დაპყრობილი ხალხებიდან. გარდა ამისა, რომაელებს ქირითაც მოჰყავდათ ქვეითი ჯარისკაცები და ცხენოსნები დამოუკიდებელი ქვეყნებიდან, მაგალითად, ბალეარის კუნძულებიდან, გერმანიიდან და სხვა. ყველა ამ ქვეყნებიდან გამოყვანილი მეომრები შეადგენდნენ ე. წ. დამხმარე ჯარებს, რომელნიც წინააღმდეგ რომაული ლეგიონებისა, მსუბუქად იყვნენ შეიარა-

ლებულნი და მათ სათავეში ედგნენ ან მათივე წარჩინებული პირები, ან რომაელი მოქალაქეები პრეფექტის ტიტულით. თავად ეს დამხმარე ჯარები ეწყობოდა და იბრძოდა ლეგიონის ფლანგებზე, ცეზარმა კი დაიწყო მათგან ცალკე ნაწილების შექმნა.

ლეგიონერების ძირითადი თავდაცვითი იარაღი ცეზარის დროს იყო ოთხკუთხოვანი, ნახევრად ცილინდრისებური მოყვანილობის ფარი, სიმაღლით ერთი მ. და ოცდახუთი სანტიმეტრი და სიგანით ოთხმოცი სანტიმეტრი. ლაშქრობის დროს ფარს მეომარი ტყავისაგან შეკერილ შალითაში დებდა და მხარზე გადაკიდებული მიჰქონდა.

შემდეგი თავდასაცავი იარაღი ლეგიონერისათვის იყო ლითონის მუზარადი, მას მეომარი თავზე იხურავდა ბრძოლის დაწყების წინ და მგზავრობის დროს გულზე ჩამოკიდებული მიჰქონდა. ბრძოლაში ლეგიონერის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯავშანს, იგი ფარავდა მკერდს, მუცელს, ბეჭებსა და წელს. ჯავშანი ტყავისა იყო, მეტალის ფირფიტებით დაფარული. საბარკული (ocrea) კი, რომელიც ტყავის ან ლითონისა იყო და ლეგიონერს იცავდა კოჭებიდან მუხლისთავებამდე, ცეზარის დროინდელ რომის არმიაში აღარ გვხვდება და შემდეგ იმპერიის ეპოქაში მას ზოგჯერ ცენტურიონები (ასმეთაურები) ატარებდნენ.

ცეზარის დროს ძირითადი შეტევითი იარაღი იყო მოკლე ორპირა მახვილი, წკრილი წვეტით, რომლითაც შეიძლებოდა მოწინააღმდეგის როგორც კვეთა, ისე ჩხვლეტა. ხმარებაში იყო აგრეთვე ერთნახევარი-ორი მეტრის სიგრძის სატყორცნი შუბი. ამ შუბის ნახევარი წვეტიანი ბოლოთი ლითონისა იყო, რომელიც მოგრგებული იყო დაახლოებით იმავე სიგრძის ხის ტარზე. ლითონის ნაწილი შუბს საკმაო სიმძიმეს აძლევდა, რაც აძლიერებდა მის დარტყმით ძალას. ამიტომ ეს შუბი ადვილად ხვრეტდა როგორც მოწინააღმდეგის ფარს, ისე ჯავშანს.

დამხმარე ჯარის ნაწილები შეიარაღებულნი იყვნენ უფრო მსუბუქი და მრგვალი ფარით, ტყავის მუზარადით, მახვილით და რამდენიმე სატყორცნი მსუბუქი შუბით. მათში შედიოდ-

ნენ მეშურდულეებიც ბალეარის კუნძულებიდან და მოისრენიც (მშვილდოსნები) კუნძულ კრეტიდან.

ცხენოსანი არმია, რომელიც ერთ ხანს ჯარის ცალკე ნაწილი (გვარეობა) იყო რომის არმიაში, მარიუსმა გააუქმა და ლეგიონის შემადგენლობაში შეიყვანა. ცეზარის დროს კი, ერთის მხრივ, თვითეული ლეგიონის შემადგენლობაშიც იყო ორას-სამას ცხენოსნამდე და, მეორეს მხრივ, არსებობდა ცხენოსანი არმიის ცალკე შენაერთიც. იგი ოთხი-ხუთი ათასი კაცისაგან შედგებოდა და უშუალოდ ცეზარის განკარგულებაში იმყოფებოდა. პირველი საუკუნის შუა წლებში ცხენოსან არმიაში რომაელი მოქალაქეები თითქმის აღარ გვხვდებიან. ახლა ისინი დაქირავებით მოჰყავდათ ნუმიდიიდან (აფრიკა), ესპანეთიდან, გერმანიიდან, ან მოკავშირე გალებიდან. ცხენოსანი არმია იყოფოდა ესკადრონებად, რომელშიაც სამასი კაცი შედიოდა. თავის მხრივ იგი იყოფოდა ათ ტურმად, რომელშიაც ოცდაათი ცხენოსანი შედიოდა, ხოლო ტურმა იყოფოდა სამ დეკურიად. ესკადრონს მეთაურობდა ან იმ ქვეყნის წარჩინებული პირი, საიდანაც ცხენოსანი არმია გამოჰყავდათ რომაელებს, ან რომაელი პრეფექტი.

ცხენოსნები თავს იფარავდნენ სპილენძის მუზარადით, ტანს — ჯავშნით, ბარძაყებს — სპეციალურად შეკერილი ტყავით, წვივებს — საბარკულით, ჰქონდათ მომცრო მრგვალი ფარი, გრძელი შუბი და გრძელი მახვილი.

ცეზარის დროს რომის არმიაში ცალკე საინჟინრო ჯარის ნაწილები არ იყო. მაგრამ როცა ამგვარი ხასიათის სამუშაოები იყო (ხიდების გადება, გზების გაყვანა, გამაგრებული ბანაკის მოწყობა, ციხე-სიმაგრეების ან ქალაქების ასაღებად საფორტიფიკაციო სამუშაოების შესრულება, საალყო მანქანების გაწყობა და სხვ.). მას თვით მისი ლეგიონერები ასრულებდნენ; თუმცა ამ სამუშაოთა ხელმძღვანელობა ევალებოდა სპეციალურად დანიშნულ პრეფექტს, რომელსაც ცეზართან ვიწრე მამურა ასრულებდა.

ცეზარის არმიაში დიდ როლს ასრულებდა სატყორცნი, საალყო და საფორტიფიკაციო მოწყობილობა და მანქანები. ასეთები იყო: კატაპულტა, ტარანი, ვინეა, პლუტეუსი, ბალისტა,

მოძრავი კოშკი და სხვ. გალები, გერმანელები, ბრიტები და სხვა ხალხები, რომელთაც ცეზარი ებრძოდა, შეიარაღების ტექნიკით გაცილებით დაბლა იდგნენ რომაელებზე, რაც აიდვილებდა რომაელთა სამხედრო წარმატებებს.

ბრიტანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და შემდეგ ცეზარის მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომებში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა საზღვაო ფლოტი. ფლოტის შემადგენლობაში მენიჩბეებად იყვნენ მონები, ხოლო მეზღვაურებად — მოკავშირეები, აზატები და, იშვიათად, ლეგიონერები. საზღვაო ფლოტს იყენებდნენ ჯარების გადაყვანისა და იარაღითა და სურსათით მათი მომარაგებისათვის, ხოლო სამხედრო ხომალდებს — უშუალოდ მოწინააღმდეგის ფლოტის გასანადგურებლად.

მეთაურთა შემადგენლობა იყოფოდა ორ ნაწილად. უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობას მიეკუთვნებოდა თვითონ მთავარსარდალი, ლეგატები, სამხედრო ტრიბუნები და სამხედრო ქვესტორები, დაბალს — ქვეით არმიაში — ცენტურიონები, ცხენოსანში — დეკურიონები და სხვ. მთავარსარდლის შემდეგ მთავარი ფიგურა იყო ლეგატი. ლეგატებს მთავარსარდლის წარდგინებით ამტკიცებდა სენატი ან სახალხო კრება და, როგორც წესი, ისინი სენატორთა წრიდან უნდა ყოფილიყვნენ. ლეგატებს მთავარსარდალი ნიშნავდა ერთი ან რამდენიმე ლეგიონის, ან ფლოტის სარდლად. ავალებდა ჯარში გასაწვევი ახალი ნაწილების შეკრებას, ან ფლოტის მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას და სხვ. ლეგატები ითვლებოდნენ მთავარსარდლის თანაშემწეებად და რაიმე გარემოების გამო ადგილზე მთავარსარდლის არყოფნის დროს ერთ მათგანს ეკისრებოდა მისი მოვალეობის შესრულება. გალიის ომებში ცეზარს სხვადასხვა დროს ოცამდე ლეგატი ჰყავდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ლაბინიუსი, პუბლიუს კრასუსი (ტრიუმვირ მარკუს კრასუსის შვილი), კვინტუს ციცერონი (ცნობილი მარკუს ციცერონის ძმა), დეციმიუს ბრუტუსი, მარკუს ანტონიუსი და სხვ.

სამხედრო ტრიბუნები, ჩვეულებრივ მხედართა წრიდან იყვნენ; მათ ნაწილს სახალხო კრება ირჩევდა, ნაწილს კი კონ-

სულება ნიშნავდნენ. ცეზარმა თვითონ დაიწყო მათი დანიშვნა. თვითეულ ლეგიონში იყო 6 სამხედრო ტრიბუნი. ისინი წინათ ლეგიონს რიგრიგობით სარდლობდნენ წელიწადში ორ თვეს. მაგრამ, იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები და შედარებით გამოუცდელები იყვნენ, ცეზარი მათ იყენებდა არა ლეგიონების სარდლებად, არამედ შედარებით უფრო მცირე შენაერთების მეთაურებად, ან რაიმე ცალკეულ დავალებებს აძლევდა.

სამხედრო ქვესტორი წარმოადგენდა მთავარ ინტენდანტს არმიაში და განაგებდა არმიის მომარაგებასა და სამეურნეო საქმიანობას. საკვებისა და ხელფასის გაცემას. ამისათვის მას მთელი შტატი ჰყავდა ტექნიკური შემსრულებლების, ბუხჰალტრებისა და მწერლებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ქვესტორი ლეგიონის მეთაურადაც ინიშნებოდა.

ცენტურიონი, ჩვეულებრივ, ასმეთაური იყო. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა რიგითი მებრძოლებიდან ყველაზე გამოცდილი, საზრიანი და გამბედავი ჯარისკაცი. მათ ევალებოდათ ეზრუნათ თავის ხელქვეით ცენტურიის სამხედრო გაწვრთნასა და დისციპლინაზე. ცენტურიონები იყვნენ შუამავალნი ჯარისკაცებსა და სარდალს შორის. ცეზარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცენტურიონების როლს და არა ერთხელ აქვს აღნიშნული ცალკეული ცენტურიონების (მაგ. ბაკულუსის, ბალვენციუსის, პულიონის და სხვ.) გმირობა და დამსახურება.

ცეზარის დროს რომის არმიაში სავალდებულო გაწვევა თუ ფორმალურად არა, ფაქტიურად მაინც არსებითად გაუქმებული იყო, რადგან მეორე საუკუნის ბოლოდან (მარიუსის რეფორმები) რომის არმიაში გაწვევის უფლება ღარიბებსაც მიეცათ და ამავე დროს ჯარისკაცის ხელფასი დაახლოებით დღიური მუშის ხელფასს გაუთანაბრდა, ამიტომ არმიაში ნებაყოფლობით წასვლის მსურველი ბევრი იყო. ამას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ ფიზიკური შრომის ათვალწუნების პირობებში რომაელი ლუმპენპროლეტარისათვის არმიაში ყოფნა მორალურადაც ხელსაყრელად ჩანდა.

რომაელ ჯარისკაცებს არც ისე ხშირად ჰქონდათ საკვებად ხორცი, ან ხილი. მათი მთავარი საჭმელი იყო პური, რომელიც

ხორბლის სახით ეძლეოდათ დღეში რვაასი გრ. რაოდენობით. ეს ხორბალი ჯარისკაცს თვითონ უნდა დაეფქვა ხელსაფქვავზე და გამოეცხო მისგან ლავაში ან ორცხობილა. მხოლოდ ფლოტში მყოფ ჯარისკაცებს აძლევდნენ გამომცხვარ პურს, რადგან პურის გამოსაცხობად გემზე ცეცხლის დანთება სახიფათოდ იყო მიჩნეული.

ხელფასს ჯარისკაცი ღებულობდა ყოველ ოთხ თვეში ერთხელ, იქიდან საკვებისა და ტანსაცმლის ფასი ექვითებოდა. კარდა ჯამაგირისა, ჯარისკაცი ზოგჯერ ღებულობდა ერთდროულ სარჩუქარს, აგრეთვე ნადავლის ნაწილს. გალიის ომების დროს ცეზარმა თითო ჯარისკაცს თითო მონაც აჩუქა და ლეგიონერებსა და ცენტურიონებს ხელფასი ერთიორად გაუდიდა. ჯარისკაცი არც დემობილიზაციის შემდეგ რჩებოდა უყურადღებოდ. მას აძლევდნენ ან მიწის ნაკვეთს, ან საკმაოდ მნიშვნელოვან ფულად თანხას.

რომაელი ჯარისკაცის ტანსაცმელს შეადგენდა მატყლისაგან მოქსოვილი უსახელო, ან მოკლესახელოებიანი ხალათი — ტუნიკა, რომელიც იმდენად გრძელი იყო, რომ ჯარისკაცს მუხლისკვერებსაც უფარავდა. ტუნიკის ზემოდან ჯარისკაცი იცვამდა მოკლე სამხედრო ლაბადას, რომელსაც ის ბრძოლის დაწყების წინ იხდიდა, ხოლო წვივები კი დაფარული ჰქონდა სახვევით. შარვალს (bracae) რომაელები ცეზარის დროს ჯერ კიდევ არ ატარებდნენ. იგი შემდეგ გალების გავლენით შემოიღეს (და ისიც არმიაში), ამიტომ მას ტაციტი „ბარბაროსთა ტანსაცმელს“ უწოდებდა. რომაელი ჯარისკაცი ფეხზე იცვამდა ტყავის მოკლეყელიან ფეხსაცმელს, რომელიც წინ თასმებით იკვრებოდა და ზემოდან თითებს თავისუფალს და დაუფარავს ტოვებდა.

ცეზარის დროს რომის არმიაში იქმნება შტაბი, რომელშიაც შედიოდნენ სარდალი, ლეგატები და სამხედრო ტრიბუნები. ისინი ერთად იხილავდნენ ტაქტიკისა და სტრატეგიის ძირითად საკითხებს, მაგრამ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად სარდალი ღებულობდა. სარდალთან არსებობდა სამხედრო საბჭოც, რომელშიაც ლეგატებისა და სამხედრო ტრიბუნების გარდა ყოველი ლეგიონის პირველი კოჰორტის ექვსი ცენტურიონიც შედიოდა.

ცეზარის დროს არმიაში იყვნენ მწერლები, მკითხავები (ჰარუსპიკები), მზვერავები, შიკრიკები, სამხედრო მუსიკოსები და სხვ. ექიმებს ცეზარი არ იხსენიებს, მაგრამ რომის არმიაში ისინი იქამდე და ცეზარის დროსაც იყვნენ. არმიაში არსებობდა საგანგებო რაზმი, რომელიც უმთავრესად მოხალისე ვეტერანებისაგან შედგებოდა და რომელსაც სარდლის დაცვა ჰქონდა მინდობილი.

ლაშქრობის დროს ჯარისკაცს გარდა თავისი იარაღისა თან მიჰქონდა აგრეთვე ხელბარგი (Sarcina), ნიჩაბი, ცული, ქვაბი, თოკი, ხერხი, რამდენიმე ცალი პალო და რამდენიმე დღის ულუფა ფქვილი, სულ საერთო წონით ოცდაათი კგ. ტვირთი. ჯარს თან მიჰყვებოდა აღალი. ლეგიონის აღალში ცეზარის დროს ხუთასამდე ჯორი იყო, რომლებითაც მიჰქონდათ სარეზერვო იარაღი, სურსათის მარაგი, სამხედრო მანქანები, კარვები, საბანაკო მოწყობილობა და სხვ. ბრძოლის დაწყების წინ აღალსა და ჯარისკაცის პირად ხელბარგს ერთ ადგილას უყრიდნენ თავს და მას სპეციალურად გამოყოფილი რაზმი იცავდა, ანდა, თუ ბანაკი ახლო იყო, ჯარისკაცები ბრძოლაში გამოსვლისას თავიანთ ხელბარგს აღალთან ერთად ბანაკში ტოვებდნენ, რომელსაც თავისი დაცვა ჰყავდა.

ლაშქრობის დროს არმია ეწყობოდა გარკვეული წესით, ყველაზე წინ მიდიოდნენ მზვერავები, რომელთა მოვალეობა იყო გზებისა და ადგილმდებარეობის რელიეფის გაკვლევა და მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების შეგროვება-მიწოდება, აგრეთვე ბანაკის დასაცემად ადგილის შერჩევა. მათ მიჰყვებოდათ ავანგარდის (primum agmen) ძირითადი ნაწილი, რომელიც ცხენოსნებისა და მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცთაგან შედგებოდა. ავანგარდს მიჰყვებოდა ლეგიონის ძირითადი ნაწილი ერთ კოლონად დაწყობილი. შემდეგ მიდიოდა ლეგიონის აღალი და ბოლოს ლეგიონის არიერგარდი. მაგრამ თუ სალაშქრო სვლის დროს მტერი ახლოს იმყოფებოდა და მოსალოდნელი იყო თავდასხმა, მაშინ ყველა ლეგიონის აღალი ეკცეოდა შუაში და მთელი არმიის ორი მესამედი მიდიოდა მის წინ ავანგარდში და ერთი მესამედი კი მის შემდეგ არიერგარდში. ჩვეულებრივი და ნორმალური ლაშქრობის პირობებში არ-

მია დღეში გადიოდა დაახლოებით ოცდახუთ კმ, აჩქარებული მარშის დროს — ოცდაათ კილომეტრს, სწრაფი მარშის დროს კი — ორმოცდახუთ კმ.

დღის ბოლოს არმია ბანაკად (castra) ეწყობოდა იმ ადგილას, რომელიც შერჩეული იყო წინ გაგზავნილი მზვერავების მიერ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილას და წყლის სიახლოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დროებით ბანაკში არსია ერთი ღამე უნდა ყოფილიყო, იგი მაინც სახელდახელოდ ხელოვნურადაც ამაგრებდა მას ყოველგვარი მოულოდნელი შეტევისათვის.

ამ დროებითი, ყოველდღიური ბანაკის გარდა, რომის არმია აწყობდა მუდმივ, ანუ სტაციონარულ ბანაკს (castra stativa) ან ბრძოლის დაწყების წინ, ან საალყო ობიექტის (ქალაქი, ციხე-სიმაგრე) აღების დროს, ან დასაზამთრებლად და სხვა. ასეთი ბანაკები სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას ეწყობოდა კომუნიკაციების დაცვის, სურსათით და წყლით მომარაგების, შეტევისა და თავდაცვის პირობების გათვალისწინებით.

საერთოდ, ბანაკი იმ დროის პირობებში საკმაოდ რთული საინჟინრო ნაგებობა იყო.

ბანაკს თავდაცვისათვის ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა ღრმა თხრილი, რომლიდან ამოღებული მიწაც მისსავე ნაპირზე იყო დაზვინებული. ამ თხრილისა და მიწაყრილის სიმაღლე სამნახევარ მეტრს აღწევდა, ასეთივე იყო მისი სიგანეც. ეს სიმაგრე საკმაოდ დიდ სიძნელეს ჰქმნიდა გარედან მოსული მტრისათვის ბანაკში შესაჭრელად. ზოგჯერ ბანაკს ასეთი თხრილი მიწაყრილით რამდენიმე წრედ ჰქონდა შემოვლებული. ამავე დროს, ბანაკის დაცვის გასაძლიერებლად, მიწაყრილზე ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით დადგმული იყო რამდენიმე სართულის სიმაღლის ხის სადარაჯო კოშკები. ბანაკის ოთხივე კარს თითო კოჰორტა იცავდა. ისინი ღამის განმავლობაში ოთხჯერ იცვლებოდნენ საყვირის ხმაზე. საყვირის მიცემის დროს წყლის საათით (კლეფსიდრით) საზღვრავდნენ. სარდალი ყოველ საღამოს ბანაკის მცველებს უცვლიდა პაროლს.

მიუხედავად იმისა, რომ ბანაკის მოწყობა საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვდა, რომაელები მას სწრაფად აგებდნენ. ბანაკის აგების, მისი საგუშაგო სამსახურის, გზების გაყვანის, ხიდების გადების და სხვა ამგვარი შავი სამუშაოსაგან გათავისუფლებულნი იყვნენ მეთაურთა შემადგენლობა, ვეტერანები, ჭურუმები და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირები.

ბანაკი საჭირო იყო არა მარტო ალალის, სურსათის, საარეზერვო იარაღის და არმიის არასამწყობრო პერსონალის დასაცავად, არამედ უკან დახევისა და მარცხის შემთხვევაში არმიის თავშესაფარებლადაც.

ბანაკიდან გამოსვლის წინ სარდალი ჯერ შეასრულებდა აუსპიციას, ე. ი. ფრინველთა გაფრენის და ყივილის მიხედვით რელიგიურ ცერემონიალს ღმერთების ნება-სურვილის „გასაგებად". შემდეგ გამოჰკიდებდნენ სარდლის კარავზე წითელ დროშას და მისცემდნენ საყვირით ნიშანს ბანაკიდან არმიის გამოსასვლელად და ბანაკის წინ საბრძოლოდ მოსაწყობად.

თვითეული ლეგიონი ცალკე ეწყობოდა. მის ფლანგებზე დგებოდნენ მსუბუქად შეიარაღებული ნაწილები და ცხენოსნები. როდესაც მთელი არმია მოეწყობოდა, სარდალი ჯარს მიმართავდა გამამხნევებელი სიტყვით.

ამგვარი ცერემონიის შემდეგ საბრძოლოდ განლაგებული არმია იწყებდა წინსვლას, ხოლო მტერთან მიახლოებისას სირბილზე გადადიოდა. ბრძოლას იწყებდნენ წინ წაწეული მსუბუქად შეიარაღებული ნაწილები და ცხენოსნები. ლეგიონები კი, როცა მოწინააღმდეგეს თხუთმეტი-ოცი ნაბიჯით მიუახლოვდებოდნენ, ბრძოლაში ებმებოდნენ ჯერ სატყორცნი შუბების სროლით და შემდეგ ხმლით ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. ცეზარი ხშირად იწყებდა ბრძოლას ფრონტის მარჯვენა ფლანგიდან, სადაც განლაგებული იყო მისი ყველაზე ბრძოლისუნარიანი და მამაცი მეათე ლეგიონი.

სურვილისამებრ არმია შეიძლებოდა მოწყობილიყო სოლისებურად, თუ საჭირო იყო მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევა, წრისებურად — ირგვლივ თავდაცვის მოსაწყობად, ან კუსებურად. კუსებურად არმია მაშინ ეწყობოდა, როცა საჭირო იყო იერიშით ქალაქის ან ციხე-სიმაგრის აღება,

მაგრამ მოწინააღმდეგე ისრებითა და შუბებით ან კატაპულტებით ბომბარდირების პირობებში მიახლოების საშუალებას არ იძლეოდა. ასეთ შემთხვევაში, ლეგიონის წინა ხაზზე. მყოფი ჯარისკაცები იჩოქებდნენ და 1,25 მეტრის სიმაღლის ფარს ამოეფარებოდნენ ხოლმე. მათ უკან, მეორე ხაზზე მყოფი ჯარისკაცები თავიანთ ფარებს ზემოდან აფარებდნენ მათ, მესამე ხაზზე მყოფი ჯარისკაცები კი მეორე ხაზზე მყოფ ჯარისკაცებს და ა. შ. ასევე იქცეოდნენ განაპირას მდგომი ჯარისკაცები. ყოველივე ამის გამო იერიშზე მიმავალი შენაერთები ყოველი მხრიდან ფარებით იყვნენ დაფარული და ჩაჩოქილები უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის სიმაგრეს. შემდეგ იწყებოდა იერიში, რომლის დროსაც ქალაქის კედლებზე ასასვლელად იყენებდნენ კიბეებს, ან მიწაყრილით აგებდნენ ხელოვნურ ბორცვებს. რათა მათზე ასვლით გაეადვილებინათ ქალაქის კედლებზე გადასვლა. ამ იერიშის წინ მოწინააღმდეგის ჯარებისათვის რომ შეუძლებელი გაეხადათ ქალაქის ან ციხე-სიმაგრის კედლების დაცვა, რომაელები კატაპულტით და ბალისტით იწყებდნენ მათ ბომბარდირებას ისრებითა და მსხვილი ქვებით. კედლთან მისვლისას კი რომაელები ურნალით (ტარანით) ან სხვა იარაღებით იწყებდნენ მის შენგრევას. მაგრამ, თუ ასეთი იერიშით შეუძლებელი ხდებოდა ქალაქის ან ციხე-სიმაგრის აღება, გადადიოდნენ ხანგრძლივ ალყაზე და სურსათის და წყლის გამოლევით იმორჩილებდნენ მას.

ცეზარის უდიდესი სამხედრო წარმატებებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის არმიის პროფესიულ ხასიათს, მის საბრძოლო გამოცდილებასა და იმ დროისათვის შედარებით მაღალ ტექნიკურ შეიარაღებას. ამავე დროს, თუ დავეთანხმებით ნაპოლეონს, რომ: „ისა სჯობია ცხვრის ფარას ლომი მიუძღოდეს, ვიდრე ლომების ფარას ცხვარიო", მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ რომის არმიას ცეზარის სახით უეჭველად უნიჭიერესი სარდალი უძღოდა წინ. ამავე დროს ცეზარი ყველა თავის წინამორბედ რომაელ სარდლებს აღემატებოდა არა მარტო სამხედრო გენიით, კრიტიკულ მომენტებში სულის სიმტკიცით და მიღებულ გადაწყვეტილებათა სწრაფი შესრულების უნარით, არამედ დიდი პოლიტიკური ალღოთიც. ხოლო საშ-

ხედრო დიქტატურის ეპოქაში, რომელიც რომში სულას დროიდან ინერგებოდა, მოქნილი პოლიტიკა რთულ სოციალურ ვითარებაში გასარკვევად დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეობისათვის აუცილებელ პირობად შეიქმნა. ამიტომ ცეზარის წარმატებათა საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ მან კარგად შეუხამა ერთმანეთს სამხედრო და პოლიტიკური ტალანტი. გალიის და, განსაკუთრებით, სამოქალაქო ომებში, ცეზარის ამ ორმაგი ტალანტის შერწყმა უფრო რელიეფურ და გამოკვეთილ სახეს ღებულობს.

ცეზარის ომები გალიაში (58-54 წწ.)

ალპებს იქითა ევროპა, სადაც გალები და გერმანელები ბოსახლეობდნენ, რომაელებს ადრე არ აინტერესებდათ, რამდენადაც ამ ქვეყნების დაპყრობა მათ არ უქადდა მიმზიდველ ნადავლს, დიდ კონტრიბუციებსა და ხარკს. აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ რომაელებმა არჩიეს თავისი აგრესია მიემართათ არა ჩრდილოეთისაკენ (ალპებს იქითურ ქვეყნებში), არამედ სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ, სადაც ივ დროის მდიდარი და კულტურული კართაგენი (აფრიკაში), საბერძნეთი და მცირე აზიის ქვეყნები — ეგულებოდათ. ამ ქვეყნების დაპყრობა რომმა ძირითადად ძვ. წ. მეორე საუკუნის შუა წლებში მოათავა და დიდძალი ნადავლიც ჩაიგდო ხელში.

ვიდრე რომი ამ ქვეყნების დაპყრობით იყო დაკავებული, რომის მეზობლად ალპებსგადაღმა, ევროპაში, დიდი ცვლილებები მოხდა. ტრანსალპიის გალიის ბევრი ტომი დაწინაურდა ეკონომიურად და ამგვარად აგრესიისათვის მიმზიდველ ობიექტად იქცა. ამიტომ მეორე საუკუნის მეორე ნახევარში რომაელებმა მათაც უწიეს და აქ ნარბონიის გალია დაიპყრეს. ამის შემდეგ რომი შინა ბრძოლებში (მოკავშირეთა ომი, სულას დიქტატურა, სერტორიუსისა და სპარტაკის აჯანყება) და აგრეთვე აღმოსავლეთში მითრიდატეს წინააღმდეგ ომებში ჩაება და დიდი მასშტაბის აქტიური შეტევითი ომები ალპებს

იქით მთელი ექვსი ათეული წლის მანძილზე აღარ უწარმოებია.

გალია და გერმანელი ტომები კი ამ პერიოდში იმდენად მომძლავრდნენ, რომ მათ თვითონ შეუქმნეს საფრთხე ჩრდილოეთიდან რომის სახელმწიფოს. ამიტომ, როცა რომის აგრესიამ აღმოსავლეთში მტკვრის, ალაზნისა და ევფრატის ნაპირებს მიაღწია, იქვე, საკუთარ ზურგში, რომაელებს მომაკვდინებელი საფრთხე აღემართა. ისინი ყოველთვის შიშში იყვნენ ამ საფრთხის გამო, მაგრამ მისი ლიკვიდაცია ვერ შეძლეს, ვიდრე ამას ხელი არ მოჰკიდა ცეზარმა.

პირველ რიგში საჭირო იყო ჰელვეტების შეჩერება ახლანდელი შვეიცარიის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. გერმანელთა მოწოლით შევიწროებული ეს ტომები (სამას სამოცდარვა ათას კაცამდე) უკვე აყრილიყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან, გადაეწვათ „ქალაქები", სოფლები, სახლები და ყველაფერი ის, რის წაღებაც მათ თან არ ძალუძდათ და პირუტყვითა და საზიდრებზე დალაგებული ბარგით, გზაში საჭყოფი სურსათით, ქალებით და ბაშვებით უკვე უახლოვდებოდნენ გენავას.

ჰელვეტებს განზრახული ჰქონდათ თუ ნარბონიის გალიის რომაელი ხელისუფლები და ალობროგთა ტომი (რომელთა ტერიტორიაზედაც გენავა მდებარეობდა) გზას არ მისცემდა მათ, ძალით გაეკვლიათ იგი.

58 წლის გაზაფხულის ბოლოს გენავაში ჩასულ ცეზარს მძიმე მდგომარეობა დახვდა. ოთხი ლეგიონით (დაახლოებით ოცდაოთხი ათასი კაცი) ძნელი იყო ჰელვეტების შეჩერება. ამასთან მოსალოდნელი იყო, რომ რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ გერმანელები. საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, სამხედრო მოხერხება, გამბედაობა და მოქნილი დიპლომატია, რათა მოვლენები რომაელთა სასარგებლოდ წარმართულიყო.

ცეზარი, რომელიც მთელი გალიის დაპყრობას ვარაუდობდა, ფიქრობდა, რომ ჰელვეტების მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე გერმანელები წამოიწევდნენ. ხოლო გერმანელთა ნარბონიის რომაულ პროვინციასთან დამეზობლება, რო-

ცეზარი ღრმად შეიჭრებოდა გალიის ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ნაწილში, საშიში იქნებოდა რომაელებისათვის. ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ცეზარმა გადაწყვიტა არ დაეშვა ჰელვეტების გადასახლება და დაებრუნებინა ისინი მათ ძველ ტერიტორიაზე. საჭირო გახდა სამხედრო ძალების გაზრდა და ცეზარმა განკარგულება გასცა ჯარის ახალი კონტინგენტი შეეკრიბათ მის საგამგებლო ციზალპიისა და ნარბონიის გალიაში.

როდესაც გენავასთან მოსულმა ჰელვეტებმა ცეზარის იქ ყოფნა გაიგეს, ელჩები გამოგზავნეს და აღუთქვეს, სრულიად უვნებლად გავივლით ნარბონიის გალიაზეო. დროის მოსაგებად ცეზარმა მოფიქრებისათვის თხუთმეტი დღე მოითხოვა. ამ ხნის მანძილზე მან დაანგრია ხიდი მდ. როდანოსზე, რომლითაც ჰელვეტები გენავაში უნდა შესულიყვნენ, ხოლო იმავე მდინარის სამხრეთ ნაპირზე, სადაც მოსალოდნელი იყო ჰელვეტების ფონით გასვლა, ცეზარმა სამნახევარი მილის (დაახლოებით ხუთი კმ.) მანძილზე სიმაგრეები ააგო.

დანიშნულ დღეს ჰელვეტთა ელჩებმა კვლავ მიაკითხეს ცეზარს და როდესაც პასუხად უარი მიიღეს, ძალით სცადეს როდანოსის გადალახვა. მაგრამ ცეზარის მიერ აგებულ სიმაგრეებს წააწყდნენ და ხელი აიღეს ამ გზით ოკეანისაკენ გაჭრის ცდაზე.

ჰელვეტებს არ უნდოდათ გადამწვარ ტერიტორიაზე დაბრუნება და ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ ატლანტის ოკეანისათვის მიეღწიათ. ამისათვის (გარდა რომის პროვინციაზე გადავლისა) არსებობდა მეორე, მეტად სახიფათო გზა, რომელიც ღრმა და ვიწრო ხეობებით გალი ტომების — სექვანების ტერიტორიაზე გადადიოდა. სექვანებს ადვილად შეეძლოთ ამ გზის გადაკეტვა და ჰელვეტების ამოხოცვა. ამიტომ ჰელვეტებმა სექვანებს გალი ტომების — ედუების — ანტირომაული პარტიის მეთაური დუმნორიქსი მიუგზავნეს შუამავლად. დადებული შეთანხმებით სექვანებს არ უნდა შეეშალათ ხელი ჰელვეტების გავლისათვის, ხოლო ჰელვეტებს არ უნდა აეოხრებინათ მათი ტერიტორია.

ჰელვეტებმა უვნებლად მიღიეს სექვანების ტერიტორია,

მაგრამ გზად ედუების ტერიტორიის აკლება-აოხრება დაიწყეს. მაშინ ცეზარი, ედუების თხოვნით, სამი ლეგიონით დაედევნა ჰელვეტებს და მდ. არარის (ახლანდელი საონა) ნაპირზე იმ დროს მივიდა, როცა ჰელვეტების დიდი ნაწილი მის მეორე ნაპირზე იყო გადასული. ცეზარმა მდინარის ნაპირზე დარჩენილი ჰელვეტების ნაწილი ამოხოცა, ნაწილი გაფანტა, გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზე და დანარჩენ ჰელვეტებს წამოეწია.

ჰელვეტებს ამ მდინარეზე გადასვლისათვის ოცი დღე დასჭირდათ, ცეზარმა კი ეს ერთ დღეში შეძლო. რომაელი სარდლის სისწრაფემ განაცვიფრა ჰელვეტები და მათ ცეზარს ელჩები შეაგებეს დივიკოს მეთაურობით, რომელმაც განუცხადა მას: „თავიანთ მამა-პაპათაგან ჰელვეტებს ნასწავლი აქვთ, ბრძოლაში მხოლოდ სიმამაცის იმედი იქონიონ და არ მიმართონ ეშმაკობასა და ჩასაფრებას. ამის გამო, დეე ცეზარი ნუ მიიყვანს საქმეს იქამდე, რომ ეს ადგილი რომაელთა არმიის შემუსვრით გახდეს ცნობილი“.

ცეზარმა მათ განუცხადა, რომ მას არ შეუძლია დაივიწყოს არც ჰელვეტების ახლანდელი ძალმომრეობა და არც ის, რომ მათმა წინაპრებმა ოდესღაც მუხანათურად დაღუპეს კასიუს ლონგინუსის არმია. და თუ ჰელვეტები ამ წარსული მუხანათობისათვის დღემდე დაუსჯელნი არიან, ამის მიზეზად არ უნდა სახავდნენ თავიანთ მამაცობას. „უკვდავ ღმერთებს,—განუცხადა მათ ცეზარმა,—ზოგჯერ უყვართ, რომ იმათ, ვისი დასჯაც სურთ დანაშაულისათვის, მისცენ ხანგრძლივი კეთილდღეობა, რათა შემდეგ ბედის ცვალებადობით გამოწვეული მათი მწუხარება უფრო მძიმე იყოს“.

ცეზარმა ჰელვეტებს ზავი აღუთქვა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ედუებსა და ალობროგებს მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებდნენ და რომაელებს მძევლებს მისცემდნენ. მაგრამ ამაზე დივიკომ უპასუხა: ჰელვეტებმა თავიანთი წინაპრებისაგან მძევლების აყვანა ისწავლეს და არა მიცემაო. მეორე დღეს ჰელვეტებმა ბანაკი მოშალეს და დასავლეთის მაგიერ ჩრდილოეთის მიმართულებით აიღეს გეზი. ცეზარი მათ შვიდი-რვა კმ.

შანძილზე მიყვებოდა და თავდასხმისათვის ხელსაყრელ ადგილს ეძებდა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ქ. ბიბრაქტესთან ცეზარმა ამოხოცა ჰელვეტების დიდი ნაწილი და გადარჩენილებს უბრძანა ძველ საცხოვრებელ ადგილზე დასახლება.

ცეზარის ცნობით, ბიბრაქტესთან, ჰელვეტთა ბანაკში, რომაელებმა ხელში ჩაიგდეს ჰელვეტების მიერ ბერძნული ანბანით დაწერილი დოკუმენტი. მასში აღნიშნული იყო, რომ ჰელვეტთა საერთო რაოდენობიდან, რომელიც 368 ათას კაცს შეადგენდა, ბრძოლისუნარიანი იყო 92 ათასი კაცი. თავის მხრივ ცეზარი დასძენს, რომ მისი განკარგულებით ჩატარებული აღწერის მიხედვით, იმ ჰელვეტთა რაოდენობა, რომლებიც ცოცხალნი გადარჩნენ და ძველ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდნენ 160 ათასს აღწევდა. ამგვარად, ჰელვეტებმა ცეზართან ომში 200 ათასზე მეტი კაცი დაკარგეს და ისევ თავიანთ ძველ ადგილზე დაბრუნდნენ.

ჰელვეტების განადგურების შემდეგ ცეზართან მივიდა თითქმის ყველა გალი ტომის წარმომადგენელი. მათ ცეზარს დახმარება სთხოვეს გერმანელთა ბელადის არიოვისტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც 120 ათასი გერმანელი გადმოეყვანა მდ. რაინის მარცხენა ნაპირზე. თუ არ დაგვეხმარებით, მიმართავდნენ გალები ცეზარს, „საქმე იმით დამთავრდება, რომ რამდენიმე წელიწადში ყველა გალი გაძევებული იქნება თავისი ქვეყნიდან და ყველა გერმანელი რაინის აქეთ მხარეზე გადმოვაო“.

გერმანელების რაინის მარცხენა ნაპირზე დამკვიდრება, არც რომის ინტერესებისათვის იყო ხელსაყრელი. ცეზარმა არიოვისტს სადავო საკითხებზე მოსალაპარაკებლად შეხვედრა შესთავაზა. მაგრამ გერმანელთა ბელადმა ელჩებს მედიდური პასუხი გასცა: „მე რომ ცეზარი მჭირდებოდეს, თვითონ მივიდოდი მასთან, და თუ მე ვჭირდები ცეზარს, ის თვითონ მოვიდეს ჩემთანო“. ცეზარმა კვლავ გაუგზავნა ელჩები არიოვისტს ულტიმატუმით, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა რაინის მარცხენა ნაპირზე გერმანელების გადმოყვანა, დაებრუნებინა მძევლები ედუებისათვის, ხელი აეღო მათ წინააღმდეგ ომზე და არ შეეიწროებინა ისინი. ამავე დროს ცეზარი დასძენდა, თუ არიო-

ვისტი ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, ის იძულებული გახდებოდა იარაღით დაეცვა ედუების ინტერესები. ედუები დიდი ხანია, წერდა ცეზარი, რომის მოკავშირეებად ითვლებიან, ამიტომ სენატის დადგენილებით გალიის პროკონსულის მოვალეობაში (რომელსაც ახლა მე ვასრულებ) შედის მათი ინტერესების დაცვაო.

არიოვისტმა უარყო ცეზარის მოთხოვნები და შემოუთვალა, რომ თუ გერმანელები ედუებზე ბატონობენ, ეს უფლება ომში ამ ტომების დამარცხებით აქვთ მოპოვებული. ამ უფლებით ხომ თვითონ რომაელებიც ბატონობენ მათ მიერ დამარცხებულ ხალხებზე. ამიტომ ის აქ ვერავითარ უკანონობას ვერ ხედავს. ომით მუქარისა კი არ ეშინია და ყოველთვის მზად არის მტრის დასახვედრად.

ცეზარისათვის ნათელი გახდა, რომ უომრად არიოვისტთან საქმეს ვერ მოაგვარებდა. ამავე დროს მან ცნობები მიიღო, რომ გერმანელებმა კვლავ დაიწყეს ედუების ტერიტორიის აოხრება. რაინს მოადგა გერმანელთა ახალი ტალღა და მის გადმოლახვას ლამობსო. თვითონ არიოვისტი დიდი არმიით სამი დღეა გზაშია და მოემართება სექვანების მთავარი ქალაქის ვესონტიონის დასაკავებლად. ეს ქალაქი სურსათის სიუხვისა და კარგი სტრატეგიული მდებარეობის გამო ხანგრძლივი თავდაცვითი ომის წარმოების საშუალებას იძლეოდა. ამიტომ ცეზარმა დაასწრო არიოვისტს და თვითონ მოახდინა მისი ოკუპირება.

ვესონტიონის მცხოვრებნი და ვაჭრები რომაელებს ეუბნებოდნენ, რომ გერმანელები დიდი მამაცობით გამოირჩევიან და იარაღის ჩინებული ხმარება იციანო. გალები მათი სახის საშიშ გამომეტყველებას და გამჭვალავ მზერასაც კი ვერ უძლებენო. ამ ხმებმაო, წერს ცეზარი, დიდი პანიკა შექმნა რომის ჯარში. შიშმა ჯერ სამხედრო ტრიბუნები და სხვა მეთაურები მოიცვა. ისინი სხვადასხვა საბაბით შვებულებით რომში წასვლას თხოულობდნენ. თითქოსდა რაღაც გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად. სხვები ანდერძს წერდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ, ზოგიც თავის კარავში ტირილსა და ოხვრა-გოდებაში ატარებდა დროს. ზოგიერთი მეთაური ცეზარს პირდაპირ უცხა-

დებდა, არმია არ წავა არიოვისტის წინააღმდეგ საომრად, რადგან ჩვენს ჯარისკაცებს გერმანელთა დამარცხება შეუძლებლად მიაჩნიათო.

ცეზარმა მოიწვია მეთაურთა კრება, რომელსაც ყველა ცენტურიონი ესწრებოდა. თავის სიტყვაში მან განაცხადა: ხმები გერმანელთა უძლეველობაზე ყალბია, მარიუსმა ისინი სასტიკად გაანადგურაო. სპარტაკის მონათა აჯანყებაშიც, სადაც გერმანელები დიდ ნაწილს შეადგენდნენ, ისინი სასტიკად დამარცხდნენ. თვითონ ჰელვეტებსაც, რომელნიც ჩვენ ახლა დავამარცხეთ, არა ერთხელ დაუმარცხებიათ გერმანელები მათ საკუთარ ქვეყანაში. არიოვისტის მიერ გალების (ედუების და სექვანების) დამარცხება კი იმდენად გერმანელთა მამაცობით არ აიხსნება, რამდენადაც თვით გალების მოღლით ხანგრძლივ ბრძოლებში და გერმანელთა ბელადის — არიოვისტის მოხერხებით. თქვენ კი ჯერ არავითარი საბაბი არ გაქვთ ამ მხრივ ეჭვი შეიტანოთ თქვენი სარდლის უნარშიო. ჩვენ საკმაო სურსათიც ვიშოვეთ, არც გზები გვიქმნის დაუძლეველ დაბრკოლებას. ამაღამ უნდა მოვშალოთ ბანაკი და წავიდეთ არიოვისტის წინააღმდეგ. თუ სხვები უარს იტყვიან, მაშინ მარტო მეათე ლეგიონითაც წავალ ბრძოლაშიო.

ცეზარის სიტყვამ არმიაში ერთგვარად გაფანტა ეჭვი და ლეგიონებმა სარდალს სამხედრო ტრიბუნები მიუგზავნეს თანხმობით: წაეყვანა ისინი სადაც სურდა. შვიდი დღის მარშის შემდეგ ცეზარი ოცდათხუთმეტი კმ. მანძილზე მიუახლოვდა არიოვისტს, რომელმაც მას ელჩები შემოაგება მოლაპარაკებაზე თანხმობით. შეხვედრა მეხუთე დღისათვის დაინიშნა. ცხენოსანი არმიები ორივე მხარემ მოლაპარაკების ადგილიდან ორას ნაბიჯზე გააჩერა და ერთმანეთს ათ-ათი ცხენოსნის თანხლებით შეხვდნენ. მოლაპარაკების დროს ცხენებზე ისხდნენ და ორივე მხარე იმ არგუმენტებს იმეორებდა, რაც ადრე ელჩების საშუალებით წარუდგინეს ერთმანეთს. მოლაპარაკების დროს არიოვისტის ცხენოსნებმა ცეზარის ცხენოსნებს შუბების ტყორცნა დაუწყეს. ცეზარი მიხვდა, რომ მოლაპარაკება შედეგს არ იძლეოდა, თანაც მდგომარეობა რთულდებოდა.

ამიტომ მოლაპარაკება შეწყვიტა და თავისიანებთან დაბრუნდა.

მეორე დღეს არიოვისტმა ისევ გაუგზავნა ცეზარს ელჩები, რომ ან თვითონ შეხვედროდა მოლაპარაკებისათვის, ან ელჩები გაეგზავნა მასთან. ცეზარის მიერ გაგზავნილი ელჩები არიოვისტმა დააპატიმრა და ცოცხლად დაწვა მიუსაჯა. ამასობაში ცეზარმა ტყვეებისაგან შეიტყო, რომ არიოვისტს გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმას მისნები ახალი მთვარის დადგომამდე არ ურჩევდნენ. ეს გარემოება ცეზარმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, დაიწყო შეტევა და მოწინააღმდეგე აიძულა ბრძოლა მიეღო.

მალე მთელ ფრონტზე რომაული ლეგიონების უპირატესობა აშკარა გახდა და გერმანელებმა უწესრიგოდ დაიწყეს გაქცევა. გამარჯვებულებმა გაქცეულ გერმანელებს შვიდი კმ მანძილზე სდიეს რაინის ნაპირებამდე. მდინარეზე გადასვლა მოახერხა გერმანელთა მცირე რიცხვმა, მათ შორის არიოვისტმაც, რომელმაც ორივე ცოლი და ერთი ქალიშვილი მოკლული და ერთიც ტყვედ ჩავარდნილი დატოვა გალების ტერიტორიაზე. ამ ბრძოლაში ძველმა გერმანელებმა დაადასტურეს ის, რასაც მათ შესახებ უფრო გვიან წერდა ძველი ისტორიკოსი ტაციტი: „გერმანელები ხანმოკლე შეტაკებაში საშინელნი და მეტად ძლიერნი არიან; მაგრამ ძალიან ცუდად გადააქვთ ჭრილობა და გარბიან, არ რცხვენიათ სახელის გატეხისა და არ აქცევენ ყურადღებას ბელადებს. მარცხის დროს მშიშარანი აღმოჩნდებიან, ხოლო წარმატების შემთხვევაში არ ცნობენ არც ღვთის და არც ადამიანურ კანონებს“.

ამგვარად, ერთი ზაფხულის განმავლობაში ცეზარმა ორი დიდი ბრძოლა მოიგო და, რადგან შემოდგომა იწურებოდა, თავისი ჯარები დასაზამთრებლად სექვანების ტერიტორიაზე დააბანაკა ლეგატ ლაბიენუსის მეთაურობით. თვითონ კი ზამთრის გასატარებლად და სასჯმართლო საქმეთა გასარჩევად ციზალპიის გალიაში დაბრუნდა.

იქ ზამთრის პერიოდში ცეზარმა ბევრი საგანგაშო ცნობა მიიღო ტრანსალპიის გალიიდან. ლაბიენუსი ატყობინებდა, რომ მის ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, ჩრდი-

ლოეთ გალიაში ბელგებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი რომის არმიაზე თავდასხმისათვისო. ცეზარმა ციზალპიის გალიაში ორი ახალი ლეგიონი შეადგინა და ლეგატ პედიუსის სარდლობით ალპებსიქითურ გალიაში გაგზავნა.

გაზაფხულზე ადგილზე ჩასულ ცეზარს გალმა სენონებმაც დაუდასტურეს ამ ხმების ჭეშმარიტება. გამოირკვა, რომ ჩრდილოეთ გალიის კონფედერაციაში შემავალ ტომებს სამასი ათასამდე ჯარი შეეგროვებინათ სვესიონთა მეფის გალბას მთავარსარდლობით და გალი რემების ოლქში გადმოსულიყვნენ.

ცეზარმა თავისი არმია (რვა ლეგიონი) დაძრა მათ წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის ძალები ექვსჯერ აღემატებოდა ცეზარის ძალებს, მდ. აქსინთან პირველსავე შეტაკებაში დაამარცხა ისინი: გალებს შეეძლოთ ბრძოლის განახლება, მაგრამ კონფედერაციის შიგნით წარმოქმნილი უთანხმოების გამო ერთიანობა ვერ შეინარჩუნეს. საერთო კრებაზე, როგორც ცეზარი წერს, მათ დაადგინეს: „უველაზე უკეთესია, რომ თვითეული თავის სახლში დაბრუნდეს და შემდეგ ყველა შეიკრიბოს იმ ოლქის დასაცავად, სადაც პირველად შეიჭრებიან რომაელები. ომის წარმოება უკეთესი იქნება არა სხვის, არამედ საკუთარ მიწა-წყალზეო“. სწორედ ეს პარტიკულიარიზმი და შინაგანი განხეთქილება იყო გალების მრავალრიცხოვან ტომებზე ცეზარის გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა.

57 წლის ზაფხულში ცეზარს სასტიკი ბრძოლა მოუხდა ჩრ. გალიაში მცხოვრები ტომების — ნერვიების წინააღმდეგ. ცეზარისათვის ამ ტომების შესახებ შემდეგი ცნობები მოუწოდებიათ: „მათთან ვაჭრები ვერ მიდიან; ისინი კატეგორიულად კრძალავენ ღვინისა და ფუფუნების სხვა საგნების შეტანას, რადგან ჰგონიათ, რომ ეს ანაზებს სულს და ასუსტებს სიმამაცეს; ეს ცბიერი და მეტად მამაცი ხალხი ყოველნაირად აგინებს დანარჩენ ბელგებს, იმისათვის, რომ ისინი რომაელებს დაემორჩილნენ და სამარცხვინოდ დაივიწყეს წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემული გმირობა; ისინი ამბობენ, რომ არც ელჩებს გაგზავნიან და არც არავითარ პირობებში ზავზე არ წავლენ“. ამასთან ცეზარს შეატყობინეს, რომ ნერვიებმა „ქალები და ყველა, ვინც თავისი ასაკით არ გამოდგება ომისათ-

ვის, ისეთ ჭაობში შეაფარეს, რომელიც მიუწვდომელია ჯარისთვისო".

როდესაც ცეზარის ექვსი ლეგიონი მდინარე საბისთან გაჩერდა და ბანაკის მოსაწყობად ადგილის დაგეგმვა იწყო, იქვე, მდინარის მეორე ნაპირზე, ტყიდან მოულოდნელად გამოიჭრნენ ნერვიები 60 ათას კაცამდე და ეკვეთნენ საომრად დაუწყობელ ცეზარის ლეგიონებს. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდაო, ამბობს ცეზარი, რომ რომაელებმა ისინი „...ერთდროულად დაინახეს ტყის ნაპირთანაც, მდინარეზეც და ჩვენთან სრულიად ახლოს... დრო იმდენად მცირე იყო და მტერი კი ისეთი საბრძოლო გაბედულებით მოდიოდა, რომ არ ესწრებოდა არც წარჩინების ნიშნების გაკეთება, არც მუზარადის დახურვა და არც შალითიდან ფარის გამოღება". ცეზარის ჯარისკაცებმა ვერ მოასწრეს თავიანთ ცენტურიებსა, კოჰორტებსა და ლეგიონებში განაწილება და ამ გარემოებამ ერთგვარად მოშალა მთელი არმიისა და მისი ცალკე ნაწილების მართვა. არმიისა და ცეზარის ბედი ბეწვზე ეკიდა. არიერგარდში მომავალი ორი ლეგიონი ჯერ კიდევ ადგილზე არ იყო მოსული. ბევრი ჯარისკაცი ბანაკის ასაგებ მასალის მოსატანად წასულიყო. არმია პანიკამ მოიცვა. მტრის უეცარი მოძალების შედეგად ზოგან რომაელი ჯარისკაცები ისე მჭიდროდ შეჯგუფდნენ, რომ ხმლის მოქნევაში ერთმანეთს უშლიდნენ ხელს. მეშურდულეები და ნუმიდიელი ცხენოსნები ბრძოლის ველიდან გაიფანტნენ. თვით მთავარსარდალს ხელფარიც კი არ აღმოაჩნდა ბრძოლის დაწყების დროს.

როდესაც ამ სურათს შორიდან შეხედეს ცეზარის დასახმარებლად მომავალმა გალი ტრევერების ცხენოსნებმა, რომაელთა საქმე წაგებულად ჩათვალეს, უკან გაბრუნდნენ და თავიანთ თანამემამულეებს აცნობეს „უძლეველი" რომაელები ნერვიებმა გაანადგურესო".

მაგრამ ცეზარმა დაძლია ერთი შეხედვით გარდუვალი კატასტროფა. მან ერთ მეომარს ფარი გამოჰგლიჯა, წინა რიგებში გაიჭრა, ბრძოლაში ჩაება და თან განკარგულებას იძლეოდა ბრძოლის გაადვილებისათვის მანიპულების ერთმანეთისაგან დაცილების შესახებ. იმ უბანზე რომ გამოასწორა საქმე, ცე-

ზარმა ახლა სხვა უბანზე გადაინაცვლა და ბრძოლა მარჯვენა ფლანგზეც აწყო. მაგრამ მტრის ჭარბი ძალები ამ მხარეს უფრო მეტად აწვებოდნენ და ცეზარის მდგომარეობა აქ მაინც მძიმე იყო.

ამასობაში ლაბიენუსმა აიღო ნერვიების ბანაკი და ცეზარს მარჯვენა ფლანგზე მეათე ლეგიონი მოაშველა. მალე ბრძოლის ველს მოაწია არიერგარდში მომავალმა ორმა ლეგიონმაც. როდესაც რომაელები დარწმუნდნენ, რომ მდგომარეობა უმჯობესდებოდა, ისინი მეტი სიმედგრითა და ორგანიზებულობით ეკვეთნენ მტერს. ახლა სასწორმა რომაელთა მხარეს გადასძალა და ნერვიები თვითონ აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში. ....მტერი, წერს ცეზარი, გადარჩენის სულ უმნიშვნელო იმედის დროსაც კი არაჩვეულებრივ სიმამაცეს იჩენდა; როგორც კი მათი პირველი რიგები ეცემოდა, შემდეგი მათ გვამებს ზედ ადგებოდა და ისე განაგრძობდა ბრძოლას, როდესაც ისინიც ეცემოდნენ და გვამების მთელი ზვინი დგებოდა, გადარჩენილები ამ ზვინებიდან, როგორც ბორცვებიდან, სტყორცნიდნენ ჩვენებისკენ ჭურვებს, იჭერდნენ ჩვენს სატყორცნ შუბებს და უკან ესროდნენ რომაელებს".

ბოლოს ნერვიები მაინც დაჯაბნეს და ამოწყვიტეს რომის პროფესიულად მომზადებულმა და მაღალი სამხედრო ტექნიკით შეიარაღებულმა ლეგიონებმა.

ამის შემდეგ ცეზარმა ადუატუკები გაანადგურა, ორმოცდაცამეტი ათასი კაცი ტყვედ ჩაიგდო და მონებად გაყიდა. ამის შემდეგ არმია გამოსაზამთრებლად ისევ გალიაში დატოვა და თვითონ ციზალპიის გალიაში დაბრუნდა. რომში სენატმა მის ბრწყინვალე გამარჯვებათა აღსანიშნავად თხუთმეტდღიანი ზეიმი მოაწყო, რაც რომის ისტორიაში არნახული შემთხვევა იყო. ასეთი შედეგებით დაამთავრა ცეზარმა 57 წლის ბრძოლები.

მაგრამ ციზალპიის გალიაში ცეზარმა პუბლიუს კრასუსისგან მიიღო საგანგაშო ცნობები, რომ ოკეანის ნაპირზე მცხოვრები გალები გამოცდილი ზღვაოსნების, ვენეტების, მეთაურობით აწყობენ აჯანყებას რომის არმიის მოსასპობად. ცეზარი დაბრუნდა ტრანსალპიის გალიაში. ახლა მისთვის მთავარი იყო არ დაეშვა გალთა ძალების გაერთიანება და რაინზე გერმანე-

ლების გადმოსვლა მათთან შესაერთებლად. ამ მიზნით მან ცხენოსანი არმია ლეგატ ლაბიენუსის სარდლობით გაგზავნა რაინის დასავლეთ ნაპირზე მცხოვრებ ტრევერების ქვეყანაში. ლაბიენუსს გერმანელები უნდა შეეკავებინა რაინზე და ტრევერებს. რემებს. პელგების და სხვა ტომებისათვის ხელი შეეშალა. დახმარება გაეწიათ ვენეტებისათვის. დეციმუს ბრუტუსი კი (შემდეგ ცეზარის ერთ-ერთი მკვლელთაგანი) მან ფლოტის ნავარქოსად (ადმირალად) დანიშნა და უბრძანა ფლოტი მდ. ლუარადან ატლანტიის ოკეანეში გაეყვანა ვენეტების წინააღმდეგ საბრძოლველად. თვითონაც დანარჩენი არმიით და სახმელეთო გზით იქით გაემართა.

გალიაში ცეზარი მოხერხებულად იყენებდა რომის დიპლომატიის ცნობილ დევიზს: „დაანაწილე და იბატონე". ამასთან, კი არ უცდიდა. თუ თოვლის ზავივით როდის აგორდებოდა გალთა გაერთიანებით შექმნილი საფრთხე, არამედ ცდილობდა საშიშროება მოესპო ძალების მოკრების პერიოდში და არ მიეცა მისთვის გამართულად ფეხის ადგმის საშუალება. მაგრამ ამას უნდოდა ანგარიში, ვარაუდი, თავისა და მოწინააღმდეგის ძალების აწონ-დაწონა. ადვილი არ იყო სულ რაღაც რვა ლეგიონი ჯარის ხუთ ნაწილად დაქსაქსვაზე გადაწყვეტილების მიღება. გალთა ურიცხვ ჯარს ადვილად შეეძლო ცეზარის დაქსაქსული ნაწილების წალეკვა.

მაგრამ ცეზარის ლეგატებმა არ მისცეს გალებს გაერთიანების საშუალება და დაიმარტოხელეს რა ცალკე ჯგუფებად, სასტიკად დაამარცხეს ისინი. თვითონ ცეზარმა და ბრუტუსმა საზღვაო და სახმელეთო ბრძოლაში დაამარცხეს მოკავშირეების გარეშე დარჩენილი ვენეტები. მათი ორას ოცი ხომალდიდან ნაწილი ჩაძირეს, ნაწილი ხელში ჩაიგდეს. ყველა ტყვე ბელადი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ტყვეები აუქციონით გაყიდეს მონებად.

ამ ბრძოლებით ცეზარმა მოათავა ტრანსალპიის მთელი გალიის დაპყრობა, გარდა მორინებისა და მენაპების ტომისა. ამათ ვერ გაბედეს პირისპირ ბრძოლაში რომაელებთან შებმა, დატოვეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და ჭაობებსა და ტყეებს შეაფარეს თავი. „მაშინ ცეზარმა (წერს თვითონ ცე-

ზარი, მ. ა.) ააოხრა მტრის მინდვრები და გადაწვა ყველა მათი სოფელი და კარ-მიდამო".

ამგვარად, იულიუს კეისარმა გადაწვა გალიის ერთი ნაწილი, დიდძალი მოსახლეობა ამოწყვიტა ან მონებად გაყიდა და ამ ბარბაროსული მეთოდების გამოყენებით, გამარჯვებით დაამთავრა 56 წლის ზაფხულ-შემოდგომის სამხედრო კამპანია.

ამგვარად, 56 წლის ბოლოსათვის, სამი წლის ბრძოლით ცეზარმა მოათავა მთელი ტრანსალპიის გალიის დაპყრობა. რომელიც მოიცავდა ახლანდელი საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიას. მაგრამ ცეზარი თავის შისიას დამთავრებულად მაინც არ თვლიდა. საქმე ის იყო, რომ ხელუხლებელი რჩებოდა გალიის აღმოსავლეთით მდებარე მთელი გერმანია და გალიის ჩრდილო-დასავლეთით ბრიტანეთი. ცეზარს კარგად ესმოდა, რომ რომის ბატონობა გალიაში მყარი ვერ იქნებოდა, თუ ის ვერ მოახერხებდა რაინის აღმოსავლეთ ნაპირზე გერმანელების შეჩერებასა და ბოლოს არ მოუღებდა კელტი ბრიტების მხრივ კონტინენტზე მცხოვრები გალებისათვის დახმარებას.

ცეზარის გეგმაში მაშინ არ შედიოდა არც გერმანიისა და არც ბრიტანეთის დაპყრობა. მაგრამ დაშინების მიზნით ამ ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობას კი აუცილებლად მიიჩნევდა.

გერმანელთა წინააღმდეგ ომისათვის ფორმალური მოტივი ცეზარს მალე მიეცა. ორმა ტომმა — უზიპეტებმა და ტენქტერებმა 55 წ. გადალახეს რაინი და ცეზარის მიერ დამარცხებული გალი ტომების — მენაპიების ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

ცეზარს რომის ინტერესები კარნახობდა დახმარება აღმოეჩინა მენაპიებისათვის. გერმანელებმა მათ წინააღმდეგ ომით მიმავალ ცეზარს გზაში ელჩები შეაგებეს და განუცხადეს: „გერმანელები პირველნი არ იწყებენ ომს რომაელთა წინააღმდეგ, მაგრამ თუ მათ შეურაცხყოფენ, უარს არ ამბობენ ბრძოლაზე... ჩვენ აქ ჩვენი ნებით არ მოვსულვართ, არამედ გამოგვაძევეს სამშობლოდან, თუ რომაელებს უნდათ მათთან მეგობრობა... დეე გამოუყონ მათ მიწა-წყალი, ან დატო-

ვინ იქ, სადაც მათ ეს უფლება იარაღით ხელში მოიპოვეს. ისინი პირველობას უთმობენ მხოლოდ სვებებს, რომლებთანაც თვით უკვდავ ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ გამკლავება; სხვა კი აბჭვეყნად არავინ ეგულებათ, რომელთა დამარცხებაც მათ არ შეეძლოთ".

ცეზარმა უპასუხა, რომ „მას არ შეუძლია გერმანელებთან მეგობრობა, თუკი ისინი გალიაში დარჩებიან; უსამართლოა სხვისი მიწა-წყალი დაიპყრონ ადამიანებმა, რომელთაც ვერ შეძლეს დაეცვათ თავისი; ამას გარდა, გალიაში არ არის თავისუფალი მიწა-წყალი, რომ შეიძლებოდეს სხვების განაწყენების გარეშე მისი გერმანელებისათვის მიცემა, განსაკუთრებით მათი ასეთი მრავალრიცხოვნობის დროს. ცეზარმა სასტიკად დაამარცხა რაინის მარცხენა ნაპირზე დედაბუდიანად გადმოსული უზიპეტები და ტენქტერები, რომელთა საერთო რიცხვი ოთხას ოცდაათი ათასს აღწევდა.

ამის შემდეგ ცეზარმა რაინის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა გადაწყვიტა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას მრავალი გარემოება უკარნახებდა; „ამათგან ყველაზე მთავარი, — ამბობს თვითონ ცეზარი, — იყო სურვილი, გერმანელებში, რომელნიც ძალიან ადვილად უყურებდნენ გალიაში გადასვლას, მათ საკუთარ სამფლობელოთა დაკარგვის შიში ჩაენერგა და ეჩვენებინა მათთვის, რომ რომის არმიას ჰყოფნის ძალაც და გამბედაობაც გადავიდეს რაინზე". ამ მიზნით, ცეზარმა იმდროინდელი ტექნიკის პირობებში საოცრად მოკლე ხანში — ათ დღეში ააგო ხიდი მდინარე რაინზე და გადავიდა გერმანიაში. სუვამბრების ტერიტორიაზე, როგორც თვითონ ამბობს, „ცეზარმა ბრძანება გასცა გადაეწვათ მათი სოფლები... და მოემკათ პური". გერმანიაში ცეზარის გადასვლით შეშინებულმა სვებებმა ცოლ-შვილი და მოძრავი ქონება ტყეებში გადამალეს და თვითონ, საბრძოლოდ გამზადებულებმა, ქვეყნის შუაგულში დაუწყეს ლოდინი რომის არმიას. მაგრამ ცეზარი, რომლის გეგმაშიც გერმანიის დაპყრობა არ შედიოდა, ქვეყნის სიღრმეში არ შეიჭრა და თვრამეტი დღის შემდეგ ისევ უკან გადმოვიდა გალიაში და დაანგრია ხიდი რაინზე. რაინის ხაზზე გერმანელების შესაკავებლად, ცეზარი იმჯერად საკმარისად მიიჩ-

ნევდა იმ შიშს, რომელიც რაინს იქით მისმა მოულოდნელმა გადასვლამ გამოიწვია.

55 წლის ზაფხულის ბოლოს, გალიაში დაბრუნებულმა ცეზარმა ბრიტანეთში სალაშქროდ მზადება დაიწყო. ამჯერად მისი მიზანი იყო შეეგროვებინა ცნობები ამ ქვეყნის მოსახლეობის, კულტურისა და სამხედრო ძალების შესახებ, რაც მას შემდეგი ლაშქრობის დროს გამოადგებოდა.

ცეზარმა ცხენოსანი არმია და ორი ქვეითი ლეგიონი ოთხჯერ ხომალდზე გადაიყვანა და იტიუსის (ახლანდელი ბულონის) ნავსადგურიდან 55 წლის შემოდგომაზე წავიდა ბრიტანეთის ნაპირებისაკენ, რომელსაც ოცდათერთმეტი საათის ცურვის შემდეგ მიაღწია. დესანტის გადასხმისათვის მოხერხებული ადგილის გამოსაძებნად ცეზარმა გასცა განკარგულება, ფლოტს ნაპირის გაყოლებით ევლო. მაგრამ მალე შეამჩნია, რომ ფლოტის პარალელურად ბრიტებმაც დაიწყეს გადანაცვლება ხმელეთზე თავიანთი ქვეითი, ცხენოსანი და ეტლოსანი არმიით.

ათი კილომეტრი რომ გაიარეს, ფლოტი მიადგა მოხერხებულ ადგილს დესანტის გადასასხმელად, მაგრამ იქვე დაუყოვნებლივ გაჩნდნენ ბრიტებიც და მედგარი ბრძოლით ხელს უშლიდნენ რომაელებს, გადაესხათ ჯარი ნაპირზე. მაშინ ცეზარმა ფლანგებზე გაიყვანა სამხედრო ხომალდები, რომელთაც ბრიტების ფლანგებს ბალისტი და კატაპულტები დაუშინეს და ერთგვარად შეანელეს მტრის მოძალება. ამ დროს მეცხრე ლეგიონის მედროშე პირველი ჩახტა ნაპირზე. „გადმოხტით, ჯარისკაცებო, — შესძახა მან, — თუ არ გინდათ ხელში ჩაუგდოთ მტერს არწივი (ვერცხლის არწივის გამოხატულება იყო ლეგიონის დროშაზე მ. ა.). მე კი, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მოვალეობას შევასრულებ რესპუბლიკისა და იმპერატორის წინაშე!“ ჯარისკაცები მიჰყვნენ მედროშეს და წყლიდან შეუტიეს ნაპირზე მყოფ მოწინააღმდეგეს. ამუნიცია და წყალი ხელს უშლიდნენ მებრძოლებს, მაგრამ როგორც იყო დიდი მსხვერპლის ფასად რომაელებმა ხმელეთზე მოიკიდეს ფეხი, თანდათან დაახევინეს მოწინააღმდეგეს, დაამარცხეს და უკუაქციეს.

ცეზარს არ შეეძლო დამარცხებული მტრის დაუყოვნებლივ დევნა; მძიმე ბრძოლებში ქვეითი ჯარი მოღლილიყო, ცხენოსანი არმია კი ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხლის გამო, მხოლოდ მეოთხე დღეს მოვიდა. ზამთარი ახლოვდებოდა და რადგან ცეზარს მის განკარგულებაში მყოფი ძალებით არც ბრიტების დაპყრობა შეეძლო და არც იქ გაჩერება, მან არმია დასაზამთრებლად კონტინენტზე ბელგების ტომის ტერიტორიაზე დააბრუნა, თვითონ კი ციზალპიის გალიაში წავიდა.

ბელგების ტერიტორიაზე ცეზარმა შეიტყო, რომ მისი დავალება 600 ხომალდისა და 28 სამხედრო გემის აშენების შესახებ უკვე შეესრულებინა მის ჯარს ლეგატების მეთაურობით. ახლა ყველაფერი მზად იყო ბრიტანეთში მეორე, უფრო დიდი მასშტაბის ექსპედიციისათვის. მაგრამ საჭირო იყო ზურგის უზრუნველსაყოფად ჯერ თვით გალიაში მყარი მდგომარეობის შექმნა. ამ მიზნით ცეზარმა თავისთან მიიწვია გალი ტომების მეთაურები. მას განზრახული ჰქონდა მათი დიდი ნაწილი თან წაეყვანა ბრიტანეთში, როგორც მძევლები, რომ ამგვარად ხელი შეეშალა ანტირომაული მოძრაობის წარმოშობისათვის. მათ შორის, ყველაზე უფრო საშიში იყო ედუების ტომის ერთ-ერთი ბელადი — დუმნორიქსი, რომელზედაც ზემოთაც იყო ლაპარაკი.

დუმნორიქსი მიხვდა, თუ რატომ ჭირდებოდა ცეზარს გალი თავადების ბრიტანეთში გადაყვანა და ზღვაზე მოგზაურობის სიძნელის და რელიგიურ მოსაზრებათა „არგუმენტებით" ემუდარებოდა კონტინენტზე დაეტოვებინა. მაგრამ ცეზარისაგან მტკიცე უარი მიიღო; მაშინ დუმნორიქსმა გალ თავადებში დაიწყო ხმების გავრცელება, თითქოს ცეზარს ისინი ბრიტანეთში იმისათვის მიჰყავდა, რომ იქ ფარულად დაეხოცა. იმ დროს, როდესაც ცეზარის ჯარები ხომალდებში სხდებოდნენ ბრიტანეთში წასასვლელად, დუმნორიქსმა ფარულად დატოვა ცეზარის ბანაკი და ედუების ცხენოსნებთან ერთად სამშობლოში გაიპარა. მაგრამ მას გზაში წამოეწივნენ ცეზარის

მიერ გაგზავნილი ნაწილები და ბრძოლაში მოკლეს. ხოლო ცხენოსნები უკლებლივ ისევ ცეზართან დააბრუნეს.

ცეზარმა ლეგატი ლაბიენუსი სამი ლეგიონითა და ორასი მხედრით გალიაში დატოვა ნავსადგურის დასაცავად, თვითონ კი ხუთი ლეგიონით და ორი ათასი ცხენოსნით, დაახლოებით ოცი-ოცდახუთი ათასი კაცით, შვიდასი ხომალდით და ოცდაექვსი სამხედრო გემით ბრიტანეთში გაემგზავრა. ბულონიდან საღამოს გასული ცეზარი მეორე დღეს შუადღისას იმ ადგილს მივიდა, სადაც წინა წელს გადასხა დესანტი.

ამჯერად ბრიტები ნაპირზე აღარ ჩანდნენ და ცეზარმაც აღვილად გადასხა დესანტი. შემდეგ იქვე ააგო ბანაკი და ამ ბანაკისა და ფლოტის დასაცავად ატრიას მეთაურობით ნაპირზე დატოვა ათი კოჰორტა და სამასი ცხენოსანი, თვითონ კი დანარჩენი ძალებით ღამით წავიდა ბრიტების წინააღმდეგ, რომელნიც ნაპირიდან დაშორებულ მაღლობებზე, ცეზარის ბანაკიდან თორმეტ-თხუთმეტი მილის დაშორებით განლაგებულიყვნენ. ერთ-ერთი სიმაგრიდან ბრიტები ძლივს განდევნა მათთან „კუსებური“ წყობით მისულმა ცეზარის მეშვიდე ლეგიონმა.

მეორე დღეს შეწყვიტა ცეზარმა მოწინააღმდეგის დევნა, რადგან ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა მთელი მისი ფლოტი ნაპირზე გარიყა და ცეზარი იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. ცეზარის ჯარებმა 10 დღის დაძაბული შრომით ძლივს გაათრიეს ნაპირზე ხომალდების დიდი ნაწილი, შეაკეთეს და ბანაკთან ერთად ერთ სიმაგრეში მოაქციეს. ამავე დროს ცეზარმა კონტინენტზე დატოვებულ ლაბიენუსს აცნობა ყოველივე ეს და გააფრთხილა, რათა მას ახალი გემების აგება დაეწყო.

ცეზარმა დამარცხებულ ბრიტებს განუსაზღვრა ხარკი, რომელიც მათ რომისათვის უნდა გადაეხადათ, აიყვანა მძევლები და დასაზამთრებლად თავისი არმია გალიაში დააბრუნა. ასე დამთავრდა 54 წ. ცეზარის მეორე ლაშქრობა ბრიტანეთში. ამ ლაშქრობას ერთგვარი წარმატება ჰქონდა, ცეზარმა დალაშქრა ლონდინის (ახლანდელი ლონდონის) რაიონი და საერთოდ მდ. ტამეზისის (ახლანდელი ტემზის) აუზის ქვემო წელი, დაიმორ-

ჩილა და დახარკა იქ მცხოვრები ტომები, დააშინა ბრიტები. რომ მათ დახმარება არ გაეწიათ კონტინენტზე მცხოვრებ გალებისათვის. ასეთი იყო ლაშქრობის უშუალო შედეგები. მაგრამ ბრიტანეთის ძირითადი ნაწილის დაპყრობა მაინც მომავლის ამოცანად რჩებოდა.

54 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთიდან კონტინენტზე დაბრუნებულმა ცეზარმა შეიტყო, რომ იმ წლის მოსავალი გალიაში საშუალოზე დაბალი იყო. ამიტომ თავისი რვა ლეგიონი საზამთროდ ერთმანეთისაგან სამოცი-ასორმოცდაათი კმ. დაშორებით გალთა სხვადასხვა ტომების ტერიტორიაზე განალაგა საჭირო სურსათით მათ უზრუნველსაყოფად.

მალე ცეზარმა მიიღო ცნობები, რომ ლეგიონებმა კეთილად მიაღწიეს მათთვის განკუთვნილ ადგილებს და მოეწყვნენ დასაზამთრებლად. მაგრამ გავიდა თხუთმეტი დღე და საბინუსისა და კოტას ბანაკს მოულოდნელად თავს დაესხნენ ებურონები, ამბიორიქსის (Ambiorix) მეთაურობით. რომაელებმა პირველი იერიში მოიგერიეს. მაშინ ებურონებმა მოითხოვეს რომაელებთან მოლაპარაკება. შეხვედრისას რომაელთა წარმომადგენლებს არპინეუსსა და იუნიუსს ამბიორიქსმა განუცხადა, რომ იგი დიდად არის დავალებული ცეზარისაგან, რომელმაც მისი ქვეყანა მეზობელ ადუატუკების ხარკისა და მორჩილებისაგან გაათავისუფლა და დაუბრუნა შვილი და ძმისწული ადუატუკების ტყვეობიდან. მაგრამ ახლა, ამბობდა იგი თავის სიტყვაში, მას არ შეუძლია რომაელთა წინააღმდეგ იარაღი არ აიღოს, რადგან ესაა, „...მთელი გალიის გადაწყვეტილება და სწორედ დღევანდელი დღე არის არჩეული ცეზარის ყველა საზამთრო ბანაკზე იერიშის მისატანად, რათა არც ერთ ლეგიონს არ შეეძლოს მეორესთან მისვლა დახმარების გასაწევად. როგორც გალებს, ებურონებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ უარი ეთქვათ გალებისთვისვე მხარდაჭერაზე, მით უფრო რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა ნაციონალური თავისუფლების აღდგენას. რადგან მან ამ თავდასხმით საკმაოდ შეასრულა გალების წინაშე პატრიოტის მოვალეობა, ახლა სურს ცეზარს სიკეთე სიკეთით გადაუხადოს.

როგორც ძველი მეგობარი, ის დაბეჯითებით სთხოვს ტიტურიუს საბინუსს, დაუფიქრდეს თავის საკუთარსა და ჯარისკაცების ბედს. დაჭირავებულ გერმანელთა დიდი რაზმი უკვე გადმოუდია რაინზე, და ორი დღის შემდეგ აქ იქნება. რომაელებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ხომ არ იქნება უკეთესი, ვიდრე მეზობლები შენიშნავდნენ, დატოვონ საზამთრო ბინები და წავიდნენ ან ციცერონთან ან ლაბიენუსთან... იგი ერთს პირდება და ამ შეპირებას ფიცით განამტკიცებს — მისცეს მათ თავისუფალი გასავლელი თავის მიწა-წყალზე. ამით იგი თავის მოვალეობას შეასრულებდა ებურონების წინაშე, გაათავისუფლებდა რა მათ საზამთრო მომარაგებისაგან და მადლობაც გადაუხდიდა ცეზარს გაწეული სამსახურისათვის". ამ სიტყვის შემდეგ ამბიორიქსი განშორდა მათ.

როდესაც ელჩებმა ამბიორიქსის სიტყვა ბანაკში მიიტანეს, ლეგიონის სამხედრო საბჭოს სხდომაზე ლეგატმა საბინუსმა წამოაყენა წინადადება ბანაკის დატოვების შესახებ. მისი აზრით, ანტირომაული აჯანყება, მთელ გალიაში რომ არ დაწყებულიყო, ამბიორიქსი ვერ გაბედავდა მათ ბანაკზე თავდასხმას. ამ შემთხვევაში კი რომაელებს მოელოდა ხანგრძლივი ალყა და შიმშილით სიკვდილი, ძით უფრო, რომ გამორიცხული არ იყო გერმანელთა მოსვლა ამბიორიქსის დასახმარებლად.

საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა ლეგატი კოტა და სამხედრო საბჭოს უმრავლესობა. მათი აზრით, მიუტევებელი იყო მტრის ცნობებზე დაყრდნობა და ბანაკის დატოვება ცეზარის განკარგულების გარეშე. დავა შუაღამემდე გაგრძელდა და ბოლოს მიიღეს საბინუსის საბედისწერო წინადადება.

დილით რომაელებმა ბანაკი დატოვეს და დაახლოებით სამი კმ დაშორებით, ერთ ტაფობში შესვლისას, ამბიორიქსის ორმხრივ ალყაში ამოყვეს თავი. მოულოდნელი დარტყმისაგან რომაელები დაიბნენ და სცადეს კარეს მოწყობით (ირგვლივ თავდაცვით) მტრის მოგერიება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ საბინუსმა ამბიორიქსს შეწყალება სთხოვა, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღო: „თუ ტიტურიუს საბინუსს მასთან ლაპარაკი სურს, — ეს შეიძლება; რაც შეეხება ჯარისკაცთა შეწყალებას, მას იმედი აქვს, რომ ამასაც შეძლებს თავისი ხალხის ნე-

პართვით; მაგრამ თვითონ ტიტურიუს საბინუსს არ მოუვა არავითარი ზიანი. ამაზე პატიოსან სიტყვას იძლევა".

ამგვარი პასუხით დაიმედებულმა საბინუსმა დაჭრილ კოტას სთხოვა, მას მოეკრიბა ძალა და სხვებთან ერთად გაჰყოლოდა ამბიორიქსთან შეხვედრაზე. მაგრამ კოტამ მტკიცე უარი განაცხადა, თვითონ ხლებოდა შეიარაღებულ მტერს. საბინუსი ბოლომდე მიჰყვა თავის შეცდომას და მისი მსხვერპლი გახდა. ამბიორიქსთან შეხვედრაზე მისული საბინუსი და მისი თანმხლები პირები ერთიანად ამოწყვიტეს. მალე ბრძოლაში დაეცა კოტაც. ბრძოლის ველზე დარჩა რომაელთა დიდი ნაწილი. გადარჩენილმა მცირე ნაწილმა კი უკან დაიხია და იმ დილით მიტოვებულ ბანაკს შეაფარა თავი. მაგრამ როცა ამბიორიქსმა ბანაკზე იერიში მიიტანა და რომაელები დარწმუნდნენ თავიანთი მდგომარეობის უიმედობასა და მტრის ვერაგობაში, ყველამ საკუთარი ხელით სიკვდილი ირჩია. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომელთაც დიდი წვალების შემდეგ მიაღწიეს ლეგატ ლაბიენუსის საზამთრო ბანაკს და მომხდარი უბედურება აუწყეს.

ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული ამბიორიქსი კი ცხენოსანი არმიით დღედაღამ მიქროდა გალ ადუატუკებთან, ეუწყებინა სასიხარულო ამბავი და წამოეყენებინა ისინი ფეხზე რომაელთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის. ამავე მიზნით ამბიორიქსი არმიით ნერვიების ტომსაც ეწვია, რომელთა ტერიტორიაზედაც დაბანაკებული იყო რომის ერთი ლეგიონი კვინტუს ციცერონის სარდლობით.

ამბიორიქსმა ადვილად დაითანხმა ადუატუკები და ნერვიები და საერთო ძალით დახსნოდნენ თავს ციცერონის ბანაკს. პირველ დღეს რომაელებმა შეტევა დიდი გაჭირვებით მოიგერიეს. ციცერონმა წერილი დაწერა ცეზართან და მიმტანს დიდ თანხას შეპირდა. მაგრამ გალები იჭერდნენ რომაელთა მალემსრბოლებს და ციცერონის ბანაკის ახლოს ჯარისკაცთა თვალწინ სიკვდილით სჯიდნენ.

ციცერონმა იერიშის დაწყების შემდეგ პირველ ღამესვე შეძლო ბანაკის მიწაყრილზე ას ოცი თავდასაცავი კოშკის აგება და გალებმა ვერც მომდევნო დღეებში მოახერხეს ბანაკში

შეჰრა. მაშინ მათ ცრუ ხმები გაავრცელეს და შეეცადნენ ციცერონის მოტყუებას, როგორც ადრე საბინუსი მოატყუეს, მაგრამ ციცერონი არ წამოეგო ანკესზე. როცა ამ გზით მიზანს ვერ მიაღწიეს, გალებმა ციცერონის მთელი ბანაკის ალყაში მოქცევა დაიწყეს. მათ ბანაკის ირგვლივ თხუთმეტი კმ. სიგრძით გათხარეს თხუთმეტი ფუტის სიგანისა და ათი ფუტის სიბაღლის თხრილი და ააგეს კოშკები მიწაყრილზე. ყველაფერი ეს წინათ უცხო იყო გალებისათვის და ახლა მათ ეს რომაელთა მიბაძვით გააკეთეს.

ალყის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ქარიშხლიან დღეს, გალებმა შურდულებით დაიწყეს რომაელთა ბანაკის შიგნით ჩალით დახურული საზამთრო ბარაკების ბომბარდირება გავარვარებული ე. წ. „თიხის ტყვიებით“. მალე ამ ნაგებობებს ცეცხლი წაეკიდა და ხანძარი ქარმა მთელ ბანაკს მოსდო. გალებს იმედი ჰქონდათ, რომ რომაელები ბანაკის მიწაყრილის კედლების დაცვას თავს მიანებებდნენ და ყველა თავის კარავსა თუ ბარაკს მიაშურებდა ხანძრის ჩასაქრობად. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. რომაელები მიუხვდნენ მტერს, გალები კი ანგარიშმიუცემლად მჭიდრო ჯგუფებად შეიკვრნენ და დაიწყეს ბანაკის კედლების იერიში, რის გამოც დიდი ზარალი მოუვიდათ. „ჩვენებისთვის, — წერს ცეზარი, — ეს ყველაზე მძიმე დღე იყო, მაგრამ იმ დღეს ძალზე ბევრი მტერი დაიჭრა და გაიჟლიტაო“.

ციცერონს საკუთარი ძალებით ალყიდან თავის დახსნა არ შეეძლო, ამიტომ როგორმე თავისი მდგომარეობის შესახებ ცეზარისათვის უნდა ეცნობებინა. აქამდე ყველა ამგვარი ცდა მარცხით მთავრდებოდა. ახლა ციცერონმა კიდევ სცადა ბედი და მის მხარეზე გადასულ გალს, ვერტიკოს, დაავალა ამ საქმის მოგვარება. ვერტიკო თავის ერთ გალ მონას გათავისუფლებას და დიდ საჩუქარს შეპირდა, თუ ციცერონის წერილის ცეზარამდე მიტანას მოახერხებდა. მონამ ეს წერილი შემოაძვია სატყორცნ შუბს. გალებს გალზე ეჭვი არ აუღიათ და მან, როგორც იქნა, მიაღწია ცეზარის ბანაკამდე და გადასცა წერილი.

წერილის მიღებისთანავე ცეზარმა კაცები აფრინა თავის

ლეგატებთან, რომ ისინი ციცერონის დასახმარებლად მიმავალ ცეზარს გზაში შეხვედროდნენ თავიანთი ლეგიონებით.

რამდენადაც წინ მიიწევდა ცეზარი, იმდენად უფრო მეტ საგანგაშო ცნობებს იღებდა ციცერონის მდგომარეობის შესახებ. კონსპირაციის მიზნით, მან ბერძნულად დაწერა წერილი და ერთ გალ მხედარს გაატანა ციცერონთან. ცეზარის დარიგებით გალმა წერილი სათხედს მიაკრა და ისე სტყორცნა ციცერონის ბანაკში. სათხედი შემთხვევით კოშკში გაერჭო და ორი დღე შეუმჩნეველი დარჩა რომაელებისათვის. მხოლოდ მესამე დღეს შეამჩნია იგი ერთმა ჯარისკაცმა, ჩამოიღო და ციცერონს მიუტანა. ციცერონმა ეს წერილი, რომელშიაც ცეზარი ატყობინებდა, რომ იგი მალე ლეგიონებით მოვიდოდა მის დასახმარებლად, ჯარისკაცთა კრებაზე წაიკითხა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გალებმა შეიტყვეს ცეზარის მოახლოვება. მათ ალყა მოხსნეს ციცერონის ბანაკს და სამოცი ათასი კაცით ცეზარის წინააღმდეგ გაეშურნენ, რათა ბრძოლაში ჩაეთრიათ უფრო ადრე, ვიდრე ციცერონთან შეერთებას მოასწრებდა. ცეზარმა შეიტყო ციცერონის ბანაკისათვის ალყის მოხსნის ამბავი. მის განკარგულებაში შვიდი ათასამდე კაცი იყო, წერს თვითონ ცეზარი. ამ ძალებით სამოცი ათას გალთან შეჯიდება საშიში საქმე იყო. ამიტომ მან მოხერხებულად აარიდა თავი გალებთან გენერალურ ბრძოლას და ციცერონის ბანაკისკენ გაიჭრა. იქ შეიტყო, რომ ჯარისკაცებიდან ვინც სიკვდილს გადარჩა, ოთხმოცდაათი პროცენტი დაჭრილი იყო.

მეორე დღეს ცეზარმა საერთო კრება მოიწვია ბანაკში. ქება შეასხა ციცერონსა და მის ჯარისკაცებს და სინანული გამოთქვა საბინუსის, კოტას და მათი ჯარების დაღუპვის გამო. ამასთან განაცხადა, რომ „უბედურებას, რომელიც ლეგატის წინდაუხედაობით მოხდა, მით უფრო მეტი სიმშვიდით უნდა შეეგუებოდეთ, რომ იგი უკვე გამოსყიდულია უკვდავი ღმერთების წყალობით და ჩვენი საკუთარი სიმამაცით, და ახლა არც მტრისათვის არის საფუძველი დიდი ხნით სიხარულისათვის და არც ჩვენთვის — ხანგრძლივი მწუხარებისათვისო“.

ცეზარს უნდოდა როგორმე ხელში ჩაეგდო ამბიორიქსი და საბინუსის არმიის დაღუპვისათვის სამაგიერო მიეზღო. მისი

ვერაუდით ლტოლვილ ამბიორიქსს შეეძლო მენაპიებთან შეეფარებინა თავი, ან რაინის მარჯვენა მხარეზე გერმანელებთან გადასულიყო. მან დალაშქრა მენაპიები, მაგრამ ამბიორიქსი იქ არ აღმოჩნდა. მაშინ მძევლები აიყვანა და გააფრთხილა, რომ თუ ამბიორიქსს თავშესაფარს მისცემდნენ სასტიკად დასჯიდა მენაპიებს.

ამის შემდეგ ცეზარმა გადაწყვიტა მეორედ გადასულიყო გერმანიაში, სადაც შეიძლებოდა ამბიორიქსი ყოფილიყო შეხიზნული. ცეზარი გადავიდა რაინზე და გაემართა სვებების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი თავიანთი ქვეყნიდან აყრილიყვნენ და შორეულ საზღვარზე უდაბური ტყისათვის შეეფარებინათ თავი. ცეზარმა გაუმართლებლად მიიჩნია სვებების გამოსაკიდებლად გერმანიის სიღრმეში შეჭრა, მით უფრო, რომ ახლა ვალიაშიც აწეწილი ჰქონდა საქმე. იგი უკან გამობრუნდა რაინის ხიდთან, ოთხსართულიანი საგუშაგო კოშკი ააგო და ხიდისა და ამ კოშკის დასაცავად თორმეტი კოჰორტა ჯარი დატოვა. შემდეგ გალიაში დაბრუნდა და განაახლა ამბიორიქსის ძებნა. ამ მიზნით იგი ებურონების ქვეყანაში ჩავიდა და ბანაკი დასცა იმ ადგილას, სადაც რამდენიმე თვის წინ საბინუსის ბანაკი იყო. ახლა ამ ბანაკში ცეზარმა თავი მოუყარა მთელ თავის აღალს და ამ აღალის და ბანაკის დასაცავად კვინტუს ციცერონის სარდლობით იტალიიდან ახლად ჩამოყვანილი მეთოთხმეტე ლეგიონი და ორასი მხედარი დატოვა. სხვა ჯარები სამ ნაწილად გაჰყო. სამი ლეგიონი ლაბიენუსის სარდლობით ებურონების ტერიტორიის დასავლეთ საზღვრებისაკენ გაგზავნა, სამი ლეგიონიც ადუატუკებს შეუსია ასაოხრებლად გაიცს ტრებონიუსის სარდლობით და თვითონ დანარჩენი სამი ლეგიონით მდინარე მაასის შესართავისკენ წავიდა, სადაც მისი აზრით ამბიორიქსი აფარებდა თავს.

რომის ლეგიონებმა დაიწყეს ებურონების ტერიტორიის სიგრძესა და სიგანეზე თქერვა, მაგრამ ამბიორიქსი ვერსად იპოვეს. გაგულისებულმა ცეზარმა, როგორც თვითონ ამბობს, გადაწყვიტა მოესპო ებურონები და თვით მათი სახელის ხსენებაც კი ამოეგდო ისტორიიდან. მაგრამ როდესაც ცეზარი ამ „ქველმოქმედებით“ იყო გართული, რაინი გადმოლახა ორი

ათასმა გერმანელმა (სუგამბრმა) ცხენოსანმა და ებურონების განაპირა ტერიტორიაზე ნადავლისა და პირუტყვის მიტაცება და ტყვეების შეპყრობა დაიწყო. ერთ ებურონ ტყვეს გერმანელებისათვის უთქვამს: ამ საცოდავი ნადავლის მაგიერ თქვენ შეგიძლიათ ხელში ჩაიგდოთ რომაელთა მდიდარი აღალი და ბანაკი, რომელიც აქედან სამი საათის სავალზეა და თითქმის დაუცველად აქვს დატოვებული ცეზარსო.

გერმანელებმა მყისვე ამავე ტყვის მეგზურობით, გასწიეს ციცერონის ბანაკისაკენ და იმ დროს მივიდნენ იქ, როდესაც ბანაკის მცველი ლეგიონის ნახევარი განული იყო ალაფის საშოვნელად. ბანაკთან გერმანელების მისვლა იმდენად მოულოდნელი იყო, ამბობს ცეზარი, რომ ვაჭრებმაც კი, რომელთაც თავიანთი საქონელი გაშლილი ჰქონდათ იქვე ბანაკის კედლებთან, შიწაყრილზე, ვერ მოასწრეს ბანაკში შესვლაო. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ დააბნია და შეაშინა რომაელები, მით უმეტეს, რომ ადრე აქ დაიღუპა საბინუსის არმია. ზოგს ეგონა რომ გერმანელებმა ამ ბანაკს მოაღწიეს ცეზარისა და მისი არმიის განადგურების შემდეგ. ბანაკში ბევრი იყო სხვა ლეგიონებიდან დატოვებული დაჭრილები და ავადმყოფები. ყველაფერი ერთმანეთში აირია, აღარ იცოდნენ, როგორ დაეწყოთ მოქმედება. ამით ისარგებლეს გერმანელებმა და შეეცადნენ პირდაპირი მარშიდან შეჭრილიყვნენ ბანაკში.

ბანაკში ამ დროს იმყოფებოდა უფროსი ცენტურიონი ბაკული, რომელიც ავად იყო და კარავში იწვა. საერთო ღრიანცელში იგი ფეხზე წამოდგა და კარავიდან უიარაღოდ გამოვიდა. მართალია, ვერც ბაკული გაერკვა სიტუაციაში, მაგრამ ამ ძველი და გამოცდილი მეომრისათვის გასაგები იყო, რომ პირველ ყოვლისა ბანაკის დასაცავად უნდა მიეღო ზომები, რომ მტერი შიგ არ შეჭრილიყო და მერე გამოერკვია თუ რაში იყო საქმე. ბაკულმა იარაღი წაგლიჯა პირველსავე შემხვედურს და ბანაკის კარებში ჩადგა. მას სხვებმაც მიბაძეს. ბანაკის კარებთან ბრძოლა გაიმართა და გერმანელებს თანდათან დაეშრიტათ ბანაკის უცაბედი აღების იმედი.

ამ დროს ალაფზე წასული კოჰორტებიც მობრუნდნენ. შენიშნეს თუ არა ისინი, გერმანელებმა თავი მიანებეს ბანაკზე იე-

რიშს და ახლა მათ წინააღმდეგ გაემართნენ. ამ კოჰორტებიდან ბევრმა ჯარისკაცმა ბრძოლით გამოიკაფა გზა და ბანაკში დაბრუნდა, ზოგი კი ფიცხელ ბრძოლაში დაეცა. ბანაკის დაცვამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. გერმანელებმა დაჰკარგეს ბანაკის აღების იმედი, თავი მიანებეს ბრძოლას, უკან წავიდნენ და იმ ნადავლით, რომელიც ადრე ებურონებს წაართვეს, რაინს იქეთ, თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნდნენ.

ცეზარმა კი უფრო მეთოდურად და მეტი გულმოდგინეობით გადააშავა ნახანძრალებით ებურონების მიწა-წყალი. ახლა იგი გალიას წელში გატეხილად სთვლიდა და ახლო ხანებში არავითარ გართულებას არ მოელოდა. ამიტომ არმია ჩვეულებრივად ისევ გალიაში დატოვა და თვითონ კი იტალიაში დაბრუნდა.

ცეზარი და გალიის დიდი აჯანყება

54-53 წ.წ. ზამთარში, როდესაც ცეზარი იტალიაში დაბრუნდა, არვერნების ბელადის ვერცინგეტორიქსის მეთაურობით, დაიწყო ე. წ. გალიის დიდი აჯანყება.

ვერცინგეტორიქსმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. განუსაზღვრა აჯანყების მომხრე ყველა გალ ტომს, თუ თვითეულ მათგანს რამდენი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი უნდა გამოეყვანა და ან რამდენი იარაღი დაემზადებინა განსაზღვრულ დროში. ამასთან, საერთო წესად შემოიღო მერყეთა და მშიშართა დასჯა: დიდი დანაშაულისათვის — დაწვითა და მწვალებლური სიკვდილით, მცირე დანაშაულისათვის კი — ყურების მოჭრით ან ერთი თვალის ამოთხრით. დასახიჩრებულთ იგი თავის ტომში გზავნიდა, რათა სხვებს შეშინებოდათ და არ გაებედათ გალთა საერთო საქმისათვის ღალატი.

დაწყებული მღელვარების შესახებ ცეზარმა იტალიაში შეიტყო, დაუყოვნებლივ წავიდა გალიაში და ალყა შემოარტყა ვერცინგეტორიქსს ქ. ავარიკუმში. ეს ქალაქი ხანგრძლივი და მძიმე ალყით აიღო და ბრძოლაში ორმოცი ათასი კაცი გაწყვიტა. დამარცხებიდან მეორე დღეს გამართულ კრებაზე ვერ-

ცინგეტორიქსი ამბობდა: „არა სიშამაცით და არა გაშლილ ადგილზე ბრძოლით გაიმარჯვეს რომაელებმა, არამედ რაღაც ცბიერებით და საალყო საქმის ცოდნის წყალობით, რომელშიაც გალები გამოუცდელნი არიან. ცდებიან ისინი, რომელნიც ომში მხოლოდ წარმატებას ელოდებიან". ვერცინგეტორიქსი აცხადებდა, მარცხი წარმავალია, მთავარია „...გალთა ერთიანი კავშირის შექმნა და თუ ამ კავშირში ერთსულოვნება არ დაირღვევა, მაშინ მთელი ქვეყანა უძლური იქნება ჩვენთან ბრძოლაშიო".

ამის შემდეგ ბრძოლა გადატანილი იქნა ავარიკუმის სამხრეთით ქ. გერგოვიას მიდამოებში. აქ ცეზარის არმიამ სერიოზული მარცხი განიცადა. ავარიკუმთან ბრძოლის შემდეგ აჯანყება გალიის სხვა ტომებსაც მოედო. ცეზარმა სენონებისა და პარიზიების წინააღმდეგ ლაბიენუსი გაგზავნა ოთხი ლეგიონით, თვითონ კი ექვსი ლეგიონითა და ცხენოსანი არმიით სამხრეთით წამოვიდა ვერცინგეტორიქსის წინააღმდეგ, რომელიც ახლა ქ. გერგოვიას მიდამოებში მთაგორიან ადგილებში გამაგრებულიყო. ვერცინგეტორიქსის ბანაკისა და ქ. გერგოვიას აღება, მათი მთაგორიანი რელიეფის გამო, ცეზარს იერიშით არ შეეძლო. მან იქვე ახლო დასცა თავისი ბანაკი და სიმაგრეები ააგო მოწინააღმდეგის ალყაში მოსაქცევად.

გერგოვიაზე ერთ-ერთი მოუმზადებელი იერიშის დროს, როდესაც ცეზარის ჯარებს ქალაქის კედლებზე უშედეგო იერიში მიეჭრათ, ვერცინგეტორიქსმა მოულოდნელად ფლანგებიდან დაარტყა რომაელებს. ამ ბრძოლაში ცეზარმა ორმოცდაექვსი ცენტურიონი და შვიდასი ლეგიონერი დაკარგა და უკან დაიხია.

ამის შემდეგ აჯანყება კიდევ უფრო გამძაფრდა. ედუები, რომელნიც აქამდე გალიის მთელ კამპანიაში ცეზარის დასაყრდენს წარმოადგენდნენ და ამარაგებდნენ მას სურსათით და აძლევდნენ ცოცხალ ძალას, განსაკუთრებით ცხენოსან არმიას, ახლა გადაუდგნენ მას და ვერცინგეტორიქსს მიემხრნენ. მოწინააღმდეგე ცოცხალი ძალის მხრივ სწრაფად იზრდებოდა, ცეზარს კი ახალი ჯარის მიღება არსაიდან შეეძლო, გარდა გერმანელებისა, საიდანაც მან ცხენოსანთა გარკვეული რაოდენო-

ბა გადმოიყვანა. ამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც გალებმა გალების წინააღმდეგ ბრძოლის დამღუპველობა შეიგნეს, ცეზარის წარმატებათა ბედი გალიაში ისევ ბეწვზე დაეკიდა. მაგრამ იგი იხსნა რომის პროფესიული არმიის სიმამაცემ, მისმა მაღალმა სამხედრო ტექნიკამ და თვით მთავარსარდლის სამხედრო გენიამ: მისმა უნარმა — მოენახა გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდან და სწრაფად მოეყვანა სისრულეში მიღებული გადაწყვეტილება. ცეზარის ეს უნარი რელიეფურად გამოჩნდა ალესიასთან (Alesia) ბრძოლის დროს.

ვერცინგეტორიქსი ოთხმოცი ათასი კაცით მანდუბიების ტერიტორიაზე, ორ მდინარეს შორის მდებარე ციხე-სიმაგრე ალესიასთან დაბანაკდა, სადაც მას გალთა ახალი ძალები უნდა შეერთებოდა. ცეზარიც თავისი სამოცი ათასი ჯარისკაცით იქვე ახლოს განლაგდა და დაიწყო სიმაგრეების აგება ვერცინგეტორიქსის ალყაში მოსაქცევად. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, არ გაეშვა იგი ალესიიდან და ამ მიზნით გამოიყენა რომის არმიის მთელი ტექნიკა და გამოცდილება: ქალაქ ალესიას ირგვლივ შემოავლო ე. წ. კონტრვალაციური ხაზი, რომელიც ალესიისაკენ იყო მიქცეული და რამდენიმე ღრმა და განიერი თხრილისაგან (თხუთმეტი ფუტი სიღრმე, თხუთმეტი — სიგანე) შედგებოდა. მათ ახლოს იყო ხუთ რიგად გაყოლებული ჭადრაკული წესით განლაგებული და შებიღებული ორმოები, რომელნიც ერთიმეორისაგან სამი ფუტით იყო დაცილებული. იქვე იყო მიწაში ღრმად ჩარჭობილი წაწვეტილი პალოები და სხვა ღობურები და დაბრკოლებანი. ამათ გარდა, თორმეტი ფუტის სიმაღლის მიწაყრილზე ერთმანეთისაგან ოთხმოცი ფუტის დაშორებით დადგმული იყო კოშკები, საიდანაც სატყორცნი მანქანებით შეიძლებოდა ქვებითა და შუბებით მოწინააღმდეგის ბომბარდირება.

ალესიაში მომწყვდეულ ვერცინგეტორიქსის ჯარებს ცეზარის ეს სიმაგრეები დაღუპვას უქადდნენ და ძნელი იყო მათგან თავის დახსნა. ამიტომ ცეზარი ვარაუდობდა, რომ გალები ან ამ სიმაგრეების გარღვევის უშედეგო ცდის დროს უნდა დაღუპულიყვნენ, ან შიმშილით დახოცილიყვნენ და ან კაპიტულაციაში ეპოვნათ გამოსავალი. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ

მოხდებოდა, თუ გალიაში მარტო ალესიაში მომწყვდეული ვერცინგეტორიქსის არმია იქნებოდა ცეზარის წინააღმდეგ ხმალშემართული. მაგრამ რადგან მთელი გალია (ზოგიერთ მცირეიცხოვან ტომთა გამოკლებით) აჯანყების ალში იყო გახვეული და ფეხზე იდგა რომაელთა წინააღმდეგ, ეჭვი არ იყო, რომ გალები ეცდებოდნენ ვერცინგეტორიქსის გამოხსნას და მაშინ თვითონ ცეზარის არმია შეიძლებოდა მოქცეულიყო ორმხრივ ალყაში. ასეთ შემთხვევაში კი, რადგან ამ მტრულ და შორეულ ქვეყანაში ცეზარს არავითარი იმედი არ ჰქონდა არც სურსათით და არც ცოცხალი ძალით დახმარებისა, თვითონ შეიძლებოდა დაღუპულიყო მთელი თავისი არმიით.

ამგვარი შესაძლებლობა ცეზარს თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული. ამიტომ, როგორც კი მოათავა ალესიისკენ მიქცეული კონტრვალაციური სიმაგრეების აგება, ხაფანგში ვერცინგეტორიქსის დასაკავებლად, მან დაიწყო გარედან მოსალოდნელი მტრის წინააღმდეგ ცირკუმვალაციური სიმაგრეების აგება მთელ წრეზე ალესიის ირგვლივ. ეს მეორე დანიშნულების სიმაგრეები, რომელიც ცეზარმა ზურგიდან აიგო, მისი გადმოცემით, ოც კილომეტრს უდრიდა.

ალყაში მოქცეულ ვერცინგეტორიქსს არ ჰქონდა იმედი საკუთარი ძალებით და თავისი დაბალი საალყო ტექნიკით ცეზარის სიმაგრეების გარღვევისა. ამიტომ იგი გარედან დამხმარე ძალების მისვლას უცდიდა და ერთდროულად ორმხრივი დარტყმით ფიქრობდა ცეზარის განადგურებას. მაგრამ დრო გადიოდა და ეს დამხმარე ძალები არ ჩანდნენ... ამასობაში მის ბანაკში სურსათის მწვავე ნაკლებობა შეიქმნა. ვერცინგეტორიქსის ბანაკში მოწვეულ ჯარისკაცთა კრებაზე, წერს ცეზარი, „...გამოითქვა ბევრი სხვადასხვა აზრი: ზოგიერთები წინადადებას იძლეოდნენ, დავნებდეთო. სხვები არჩევდნენ მოეწყოთ გამოხდომა, ვიდრე კიდევ შერჩენოდათ ძალა.“

კრებამ დაადგინა, რომ გაეძლოთ როგორმე კიდევ რამდენიმე დღე და თუ ამასობაში მაშველი ძალები კიდევ არ გამოჩნდებოდნენ, მაშინ საკვებად გამოეყენებინათ თუნდაც ბრძოლისუნარსმოკლებულ თანამემამულეთა ხორცი, მაგრამ მტერს მაინც არ დანებებოდნენ.

მაგრამ, ამ დადგენილების შემდეგ, მალე მოვიდა მაშველი ძალები ას სამოც ათას კაცამდე. ხოლო ზოგიერთ თანამედროვე მკვლევართა ვარაუდით, ორმოცდაათი ათას კაცამდე. ისინი განლაგდნენ ალესიის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ბორცვზე ცეზარის სიმაგრეებიდან ერთნახევარი კილომეტრის დაშორებით. მეორე დღეს ცხენოსანი არმიით მათ მთელი ველი დაიკავეს, რომლის სიგანეც ოთხნახევარ კილომეტრს უდრიდა. ალესიაში მომწყვდეულთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი ქალაქის კედლებიდან გამოვიდნენ, იერიში მიიტანეს ცეზარის კონტრვალაციური სიმაგრის პირველ თხრილზე და ცდილობდნენ ფიჩხის კონებით მის ამოვსებას. ამავე დროს ცეზარის გარე სიმაგრეებზე (ცირკუმვალაციურ ხაზზე) იერიშისათვის წამოვიდა მაშველი ძალების ცხენოსანი არმია.

ცეზარმა წინა და უკანა სიმაგრეებზე გაანაწილა თავისი ძალები. თვითეულ მეომარს თავისი ადგილი მიუჩინა და ცხენოსან არმიას განკარგულება მისცა ცირკუმვალაციური ხაზის გარეთ კონტრშეტევა დაეწყო მაშველი ძალების ცხენოსანი არმიის წინააღმდეგ. თვითონ ცეზარი მაღალი და მოხერხებული ადგილიდან, საიდანაც ბრძოლის მთელი ველი მოჩანდა, ხელმძღვანელობდა ბრძოლას. შუადღისას დაწყებული ბრძოლა მზის ჩასვლამდე ცვალებადი წარმატებით მიდიოდა, ვიდრე გერმანელებმა, რომელთაგანაც ცეზარის ცხენოსანი არმია შედგებოდა, შეკრული რიგებით არ დაარტყეს გალებს ერთ ადგილზე და არ გაარღვიეს მათი რიგები. მაშინ კი გალები იძულებული გახდნენ დიდი მსხვერპლით დაეტოვებინათ ბრძოლის ველი, როდესაც ეს ალყაში მოქცეულთ შეიშნეს, მათაც ხელი აიღეს ცეზარის შიგნითა სიმაგრეების იერიშზე და ალესიაში შევიდნენ.

რამდენიმე დღის გულმოდგინე მზადების შემდეგ, ღამით გალებმა სამი კილომეტრის სიგრძის ფრონტზე ქვეითი არმიით დაიწყეს იერიში ცეზარის გარე სიმაგრეებზე. მათ არაადამიანური ყვირილი და ხმაური ატეხეს, რაც თავისებური სიგნალი იყო ვერცინგეტორიქსისათვის, დაეწყო იერიში ცეზარის შიდა სიმაგრეებზე. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან შემტევმა გალებმა

დიდი ზარალი ნახეს და ცეზარის ვერც გარეთა და ვერც შიგნითა სიმაგრეები ვერც ერთ პუნქტში ვერ გაარღვიეს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მაშველად მისულმა გალებმა გადაწყვიტეს, რომ ძირითადი დარტყმა მოეწყოთ ჩრდილოეთით მდებარე რეას მაღლობიდან, სადაც შედარებით სუსტი იყო ცეზარის სიმაგრეთა ხაზი. ამ ადგილას მათ თავი მოუყარეს ყველაზე რჩეულ ჯარებს ვერკასიველაუნის სარდლობით და ცეზარის შიგნითა და გარეთა სიმაგრეებზე ერთდროული იერიშის მზადება დაიწყეს. შუადღისას ორივე სიმაგრეთა შთელ ხაზზე დაიწყო გალების იერიში ქვეითი და ცხენოსანი არმიით. ისეთი მცირე ძალებით (სამოცი ათასი კაცი), რაც ცეზარს ჰყავდა, ძნელი იყო ორ ხაზზე ბრძოლა, როცა მარტო გარეთა ხაზის სიგრძე ოც კმ. აღწევდა და ერთ ჯარისკაცზე დაახლოებით მეტრის ხუთი ჯარისკაცი მოდიოდა. ამიტომ ცეზარს ომი უნდა ეწარმოებინა თავის სიმაგრეთა წყალობით, ჯარისკაცთა გმირობითა და ცოცხალი ძალების მიზანშეწონილი გამოყენებით.

როდესაც ცეზარმა შენიშნა, რომ რეას მთიდან იერიშზე გადმოსული გალები წარმატებას აღწევდნენ და იქ მდგომ ორ ლეგიონს ავიწროებდნენ, სასწრაფოდ მიაშველა ლაბიენუსი ექვსი კოჰორტით. თვითონ კი ჩამოუარა სხვა ნაწილებს, რათა გაემხნევებინა ისინი და შეეხსენებინა, რომ ამ ბრძოლის შედეგზე არის დამოკიდებული წინანდელი ბრძოლების ყველა ნაყოფი.

ბრძოლა ცეზარის პრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მან ტყვედ ჩაიგდო რეას მთაზე მოქმედი ჯარის სარდალი ვერკასიველაუნი. უკუაქცია გარეთა ხაზზე მოიერიშე გალთა ყველა ჯარები და სელთ იგდო მათი სამოცდათოთხმეტი საბრძოლო დროშა. უკუქცეულ მტერს შუაღამისას ცეზარის გერმანელთა ცხენოსანი არმია დაედევნა, რომელმაც მათი არიერგარდის ნაწილი გაწყვიტა და ნაწილი ტყვედ ჩაიგდო. გადარჩენილებმა თავიანთ თემებს მიაშურეს.

ალყაში მოქცეულთ ხსნის ეს ერთადერთი და უკანასკნელი იმედიც დაეკარგათ. მეორე დღეს მოწვეულ კრებაზე ვერცინგეტორიქსმა ცეზარის გადმოცემით, თავის სიტყვაში განაცხადა,

რომ: „ეს ომი მან დაიწყო არა თავისი პირადი სარგებლობისათვის, არამედ საერთო თავისუფლების მოსაპოვებლად და რადგან აუცილებელია ბედისადმი მორჩილება, ის თავის თავს კრების განკარგულებაში გადასცემს. დეე მათ თავიანთი კეთილი ნებით გააკეთონ არჩევანი—ან მისი სიკვდილით დააკმაყოფილონ რომაელები, ან გადასცენ იგი მათ ცოცხლად". ამ საკითხზე ცეზართან გაგზავნილმა ელჩებმა პასუხი მოიტანეს, რომ ცეზარი ვერცინგეტორიქსის ცოცხლად გადაცემას თხოულობდა.

ცეზარი დიპლომატიური მოსაზრებით ერთგვარად რბილად მოეკიდა კაპიტულაციის დროს ხელში ჩაგდებულ ედუებსა და არვერნებს, რათა მათ ტომებზე დაყრდნობით კვლავ აღედგინა თავისი გაკლენა დაბარჩენ გალებზე. სხვა გალები კი თავის ჯარისკაცებს გაუნაწილა და როგორც სამხედრო ნადავლი, თითოს თითო გალი ჯარისკაცი მისცა მონად. ვერცინგეტორიქსი კი რომში წაიყვანეს და 46 წელს, როდესაც ცეზარმა გალიაზე გამარჯვების ტრიუმფი გადაიხადა, სიკვდილით დასაჯეს. ამ გამარჯვებით ცეზარმა კვლავ წამოაჩოქა თავისუფლებისათვის მამაცურად მებრძოლი გალები და რომის სენატმა კი ამ „სამარცხვინო" აღსანიშნავად ოცდღიანი დღესასწაული მოაწყო.

ალესიას ტრაგედია მოხდა 52 წელს. ამის შემდეგ ცეზარი კიდევ ორ წელიწადზე მეტ ხანს დარჩა გალიაში. ამ დროის მანძილზე იგი ცეცხლითა და მახვილით სპობდა აჯანყებათა კერებს და ანგარიშს უსწორებდა გალთა ცალკეულ ტომებსა და მათ ბელადებს. კვლავ ილაშქრა ებურონების ტერიტორიაზე. იმის გამო, რომ ამბიორიქსი ვერ ჩაიგდო ხელში და ვერ დასაჯა, ჯავრი მის თანამემამულეებზე ამოიყარა, რომელთაც კვლავ დაატყდათ თავზე ცეცხლითა და მახვილით.

ამავე ხანებში გალთა ერთ-ერთი ქალაქის უკსელოდუნის მცხოვრებთაგან, რომელნიც რომაელებმა ხანგრძლივი ალყით დაიმორჩილეს, ყველას, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ცეზარის განკარგულებით ხელები დააჭრეს. ამ ბარბაროსობის გასამართლებლად ჰირციუსს ის „საბუთი" მოჰყავს, რომ ცეზარს სხვების დაშინება უნდოდაო!

ცეზარი გალიის მთელ ტერიტორიაზე ცეცხლითა და მახვილით გრიგალივით დაჰქროდა ცხრა წლის მანძილზე; 49 წელს კი სამშობლოსკენ გამოსწია. ამის შემდეგ რომის ისტორიაში ერთი სისხლის ღვრის ახალი ფურცელი გადაშალა. მაგრამ ეს ფურცელი ახლა გაჟღენთილი იყო არა გალების, არამედ თვით რომაელთა სისხლით.

პოლიტიკური ვითარება რომში ცეზარის გალიაში ყოფნის დროს (58-49 წწ.)

ძვ წ. რომში შექმნილ პირველ ტრიუმვირატში აღმოცენებული წინააღმდეგობა ერთ ხანს იფარებოდა „შავი გულისა და თეთრი კბილის“ იმ პოლიტიკით,რომელსაც ცეზარი, პომპეუსი და კრასუსი ერთმანეთის მიმართ იყენებდნენ. მანამდე 56 წლის აპრილში ცეზარის ინიციატივით ტრიუმვირებმა სპეციალური თათბირი მოიწვიეს ჩრდილოეთ იტალიის ქ. ლუკაში. ლუკას თათბირში მონაწილეობის მისაღებად რომიდან იქ ჩავიდა ორასი სენატორი (თითქმის სენატის შემადგენლობის ნახევარი) და ოფიციალური თანამდებობის ბევრი სხვა მაღალი პირი, რომელთაც ას ოცი ლიქტორი ახლდათ.

ლუკას თათბირზე მიმავალ ტრიუმვირებს საკუთარი ანგარიშები ჰქონდათ. გალიაში ორი წლის ბრძოლის შემდეგ ცეზარი დარწმუნდა, რომ გალიის საბოლოოდ დაპყრობისათვის მას უფრო მეტი დროც სჭირდებოდა და უფრო მეტი ლეგიონებიც, ვიდრე ის ხუთი ლეგიონი, რომელიც მას იქ სენატის ნებართვით ჰყავდა. პომპეუსსა და კრასუსს გავლენის გასაძლიერებლად და ეკონომიური სარფიანობის თვალსაზრისით სურდათ კონსულებად არჩეულიყვნენ და შემდეგ პროკონსულების უფლებით მისცემოდათ რომის პროვინციები საგამგებლოდ. ლუკას თათბირზე ტრიუმვირებმა გადაწყვიტეს (რომიდან ჩასული სენატორები და მაღალი რანგის მაგისტრები მხოლოდ პასიური მეთვალყურენი იყვნენ), რომ პომპეუსი და კრასუსი ყოფილიყვნენ გაყვანილნი მომდევნო 55 წელს კონსულებად

და შემდეგ ხუთი წლით მისცემოდათ რომის პროვინციების გამგებლობა, პომპეუსს — ორივე ესპანეთი და კრასუსს — სირია. ამის საკომპენსაციოდ პომპეუსი და კრასუსი დათანხმდნენ, რომ ცეზარს გალიაში სახელმწიფოს ხარჯზე თავისი ლეგიონები გაეზარდა ხუთიდან ათამდე და გალიაში ყოფნის ვადა კიდევ ხუთი წლით, 49 წლის ბოლომდე გაეგრძელებინათ. ამასთან მათ ხელი უნდა შეეწყოთ ცეზარისათვის, რომ 48 წლისათვის ის კონსულად აერჩიათ.

ლუკაში ტრიუმვირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უხდა დაემტკიცებინა სენატს. ტრიუმვირებს გამარჯვების იმედი ჰქონდათ, რადგან ბევრი სენატორი მოსყიდული ჰყავდათ და მთელი სენატი კი ტერორიზებული. ამასთან, თუ რომე მოულოდნელობა მოხდებოდა და სენატი უარს იტყოდა მათ დამტკიცებაზე, ტრიუმვირები ვარაუდობდნენ ძალით მოეხვიათ თავს სენატისათვის ეს დადგენილება. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. სენატის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დადგენილების დამტკიცებას და მხოლოდ ცალკეულმა პირებმა გაილაშქრეს მის წინააღმდეგ, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. „კატონის მიმდევარი ფავონიუსი, — წერს პლუტარქე, — რომელმაც ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოსვლით ვერაფერს მიაღწია, სენატის კარებიდან გამოვარდა და ხალხს ყვირილით მოუხმო დასახმარებლად. მას არავინ არ მიაქცია ყურადღება. ზოგს პომპეუსისა და კრასუსის ეშინოდა, ხოლო უმრავლესობამ ცეზარის ხათრით შეიკავა თავი".

ეს გარემოება მიუთითებს, რომ რომის რესპუბლიკური წყობილებისა და მისი უმაღლესი ორგანოს (სენატის) დამოუკიდებელი და დემოკრატიული ხასიათისაგან უკვე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი. მართლაც, ტრიუმვირები, როცა ისინი თანხმობით გამოდიოდნენ, ისე ატრიალებდნენ სახელმწიფო საქმეებს, როგორც ეს მათ მოესურვებოდათ და სენატს უკანა რიცხვით აღებინებდნენ დადგენილებებს იმ საკითხებზე, რომელთა წესახებაც თვითონ მათ უფრო ადრე ჰქონდათ მიღებული გადაწყვეტილებანი.

ლუკას თათბირის შემდეგ ცეზარი კვლავ გალიაში დაბრუნდა, რომელიც ისევ ანტირომაული აჯანყების ცეცხლში

გახვეულიყო. რომში დაპრუნებული პომპეუსი და კრასუსი კი 55 წლისათვის კონსულებად აირჩიეს.

კრასუსმა არ დაუცადა კონსულობის ვადის გასვლასაც კი და 54 წლის დასაწყისში თავისი არმიით სირიაში მივიდა. მას უნდოდა სირია პლაცდარმად გამოეყენებინა პართების წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ეს ომი, წერს აპიანე, კრასუსს ეჩვენებოდა როგორც „...ადვილი, სასახელო და სარფიანი". სიგვიანემდე ხარბსა და დიდების მაძიებელ კრასუსს უნდოდა ამ ომით დიდი სარდლის რეპუტაციაც და სიმდიდრეც მოეპოვებინა.

სირიაში კრასუსი ნადავლისა და ქონების შეძენამ გაიტაცა: კრასუსი, წერს პლუტარქე, უფრო „მეტად იყო გატაცებული კომერციით, ვიდრე ეს სარდალს შეეფერებოდაო". კრასუსი ჯარისკაცთა სამხედრო წვრთნაზე ცოტას ფიქრობდა, დაკავებული იყო ქალაქების შემოსავლის ანგარიშით და მრავალი დღის განმავლობაში წონიდა და ზომავდა პიეროპოლში ქალღმერთის საგანძურს.

ეს სიხარბე და უდარდელობა კრასუსს საკუთარი სიცოცხლისა და რომის ოცდაათათასიანი არმიის დაღუპვის ფასად დაუჯდა. ამ არმიიდან ოცი ათასი პართებთან ბრძოლაში დაიღუპა და ათი ათასიც ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგემ. კრასუსის თავი და ხელი პართების სარდალმა სურენმა მეფე ოროდს გაუგზავნა. ამ ომში დაიღუპა პუბლიუს კრასუსი, ცეზარის მაძიცი ლეგატი გალიის ომებში, რომელიც მამის არმიის გასაძლიერებლად ცეზარმა გაგზავნა ათასი გამოცდილი ცხენოსნით.

დიდი სანი იყო, რომს ასეთი დიდი სამხედრო კატასტროფა აღარ ენახა. ტრიუმვირატიც დუუმვირატად (ორთა — ცეზარისა და პომპეუსის კავშირი) იქცა.

კრასუსი ერთგვარად აწონასწორებდა ტრიუმვირატში ცეზარსა და პომპეუსს შორის არსებულ წინააღმდეგობას, რომელიც ახლა კიდევ უფრო გართულდა. ამ გართულებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ 54 წლის შემოდგომაზე რომში მშობიარობას გადაჰყვა პომპეუსის ცოლი, ცეზარის ქალიშვილი იულია, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ დაიღუპა მისი ბავშვიც. ამით სრულიად მოისპო ის ნათესაური დამოკიდებულება, რო-

მელიც სიძე-სიმამრს შორის ამ ნიადაგზე 58-54 წლებში არსებობდა და ერთგვარად განამტკიცებდა მათ ურთიერთობას ტრიუმვირატში. გალიაში მყოფმა ცეზარმა, ქალიშვილის გარდაცვალება რომ შეიტყო, შეეცადა კვლავ აღედგინა მოყვრობა პომპეუსთან. ამ მიზნით მან თავის ყოფილ სიძეს წინადადება მისცა გათხოვილი ქალიშვილი წაერთმია ქმრისთვის (ფაუსტუს სულასათვის, რომის ყოფილი დიქტატორის კორნელიუს სულას შვილისთვის) და ცეზარისათვის მიეთხოვებინა. თვითონ კი თავისი დის, ოქტავიას შვილიშვილი შესთავაზა პომპეუსს ცოლად. პომპეუსმა ცეზარის არც ერთი წინადადება არ მიიღო და მათ შორის მოყვრობის აღდგენა ვეღარ მოხერხდა. მაგრამ, რაკი პოლიტიკურ ბრძოლაში ერთმანეთი იულიასა და კრასუსის დაღუპვის შემდეგაც ისევ სჭირდებოდათ, ისინი ძველ პოლიტიკურ კავშირს კიდევ ინარჩუნებდნენ.

კრიტიკული მომენტი ცეზარისა და პომპეუსის ურთიერთობაში დადგა 52 წლის დასაწყისში, კლოდიუსის მოკვლის შემდეგ. ამ კლოდიუსმა, როცა იგი ცეზარის უერთგულესი ადამიანი გახდა, ცეზარის საამებლად, როგორც ვნახეთ, 58 წ. ციცერონი გააძევა რომიდან. იგივე ცეზარის საამებლად, კლოდიუსი თავხედურად ცდილობდა პომპეუსის დამცირებას. იგი არ კმაყოფილდებოდა პომპეუსის წინააღმდეგ მარტო შეურაცხმყოფელი გამოხდომებით. „ერთხელ ფორუმზეო, — წერს პლუტარქე, — საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მივიდა და ზოგიერთები კიდეც დაჭრეს. კლოდიუსის ერთმა მონამ ამ დროს თავმოყრილი ბრბო გაარღვია და შემართული მახვილით პომპეუსთან მიიჭრა“. პლუტარქეს გადმოცემით, კლოდიუსი მით უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა პომპეუსს, რომ ეს უკანასკნელი გამოუცდელი იყო ამგვარ ბრძოლაში და სენატს კი პომპეუსის დამცირება ახარებდა, რადგან ის თავის დროზე არ დაეხმარა ციცერონს იგივე კლოდიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

52 წლის 13 იანვარს მილონმა და მისმა მონებმა აპიუსის გზაზე მოკლეს კლოდიუსი, ეს დიდად ესიამოვნა არა მარტო პომპეუსს, არამედ ციცერონსაც. მაგრამ კლოდიუსი თავისი დემაგოგიური პოლიტიკის წყალობით საკმაოდ ძლიერი გავლე-

ნით სარგებლობდა რომის დემოკრატიულ ფენებში და მისმა მოკვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია. ქუჩებში ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები კლოდიუსისა და მილონის მომხრეებს შორის, რაც არცთუ იშვიათად მსხვერპლით მთავრდებოდა. ეს შეტაკებები და ანარქია თანდათან ფართო ხასიათს იღებდა და სახელმწიფოს სამოქალაქო ომით ემუქრებოდა. ომის თავიდან აცილებისა და მტკიცე წესრიგის შექმნისათვის, კატონისა და ბიბულუსის წინადადებით სენატმა პომპეუსი წამოაყენა „ერთმმართველ კონსულად“ ანუ „კონსულად კოლეგის გარეშე“ (consul sine collega) რაც ფაქტიურად მას დიქტატორის უფლებებს ანიჭებდა. პომპეუსის წამოყენება, თუნდაც „ერთმმართველ კონსულად“ ეწინააღმდეგებოდა იმ დროის რომის სახელმწიფოს იურიდიულ ნორმებს. პომპეუსი 54 წლიდან ორივე ესპანეთის პროკონსულად ითვლებოდა. ამიტომ კანონით მას ჯერ ესპანეთის პროკონსულობის რწმუნება უნდა მოეხსნა და ჯარი დაეშალა, ვიდრე მას ერთმმართველ კონსულად წამოაყენებდნენ.

მაგრამ რადგანაც სენატს პომპეუსის ისევ თავის მხარეზე გადაყვანა სურდა, არ მოსთხოვა მას აღნიშნულ ვალდებულებათა დაცვა. ახლა სენატი ცდილობდა დაერღვია პირველი ტრიუმვირატის ნაშთი — ცეზარ-პომპეუსის კავშირი, რომელიც არსებითად სენატის წინააღმდეგ იყო მიმართული. პომპეუსის გადაბირებით სენატი იკეთებდა ჯავშანს ცეზარის შესაძლო მონარქიული გამოხდომების წინააღმდეგ.

თავის მხრივ პომპეუსი ფიქრობდა, რომ ახლა მდგომარეობას იგი თვითონ მიჰყავდა ერთმმართველი კონსულის გზით მონარქიზმისაკენ, რომლის შეთავაზებას აგრეთვე ნებაყოფლობის წესით მოელოდა. ერთი სიტყვით, თუ წინათ პომპეუსი ამავე მიზნის მიღწევას ცეზარისა და კრასუსის გამოყენებით ფიქრობდა, ახლა ეს პერსპექტივა ცხოვრებამ სენატის მხარეზე გადასვლით გაუხსნა.

პომპეუსის მონარქიული ვარაუდი პირველი საუკუნის პირველ ნახევარში სამოქალაქო ომებით (სულას დიქტატურა, სპარტაკის აჯანყება, კატილინას შეთქმულება და სხვ.) მოქანცულ ხალხში შექმნილი განწყობილების ასახვა იყო. ამასთან

დაკავშირებით პლუტარქე ცეზარის ბიოგრაფიაში წერს, რომ რომში ბევრი აცხადებდა მონარქიის გარეშე სახელმწიფოს განკურნა შეუძლებელიაო, და მკურნალ ექიმად პომპეუსს სახავდნენო.

ასეთი მიმზიდველი პერსპექტივების გამო პომპეუსი ერთმმართველ კონსულად არჩევაზე დათანხმდა. 52 წლის 28 თებერვალს კომიციებში ის ამ თანამდებობაზე დაამტკიცეს და უფლება მისცეს, თუ მოისურვებდა, თვითონვე აერჩია თანაკონსული.

შეუდგა თუ არა თავისი მოვალეობის შესრულებას. პომპეუსმა გამოიყენა სენატის დადგენილება, „სამშობლო საფრთხეშიაო“ და მაშინვე მთელს იტალიაში ჯარში გაწვევა გამოაცხადა და ახალ ლეგიონებს ერთგულების ფიცი მიაღებინა. ახლა პომპეუსს ესპანეთის გარდა იტალიაშიაც ჰყავდა ჯარი. 52 წლის 1 აგვისტოს მან ერთმმართველობის რწმუნება მოიხსნა და თავისი ახალი სიმამრი მარკუს სციპიონი თანაკონსულად აირჩია, თუმცა ყველაფერს ძველებურად ისევ თვითონ განაგებდა. „პომპეუსიო,—წერს აპიანე, — შეგნებულად უშვებდა უწესრიგობას, რომ საგრძნობი გამხდარიყო დიქტატორის დანიშვნის აუცილებლობა“. ამასთან მან კარგად იცოდა ხალხის ერთ ნაწილში შექმნილი შეხედულება მეფედ მისი გამოცხადების საჭიროების შესახებ. „პომპეუსი, — განაგრძობს აპიანე, — სიტყვით გულმოსული იყო ყველა ამგვარი ვარაუდების დაშვების გამო, საქმით კი ფარულად ყველაფერს აკეთებდა მათი განხორციელებისათვის და განზრახ უშვებდა სახელმწიფოს მმართველობაში უწესრიგობასა და ანარქიას“.

პომპეუსს ახლა აღარ სჭირდებოდა ცეზარის დახმარება. სწორედ ამიტომ, ცეზართან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე გადავიდა იგი სენატის მხარეზე და თვით სენატის პარტიის წარმომადგენლების — კატონისა და ბიბულუსის წინადადებით ერთმმართველობა მიიღო. ცეზარისათვის გასაგები იყო, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. მისი ვარაუდით, არ იყო გამორიცხული, რომ იტალიაში შეკრებილი ჯარი პომპეუსს გამოეყენებინა მონარქიული რეჟიმის დასამყარებლად, ან რომში ცეზარისა და მისი მომხრეების შესავიწროებლად.

ეს მდგომარეობა ცეზარისაგან კონტრზომების მიღებას მოითხოვდა. 52 წლის ზამთარში, როცა რომში ეს ამბები ხდებოდა, ცეზარი ციზალპიის გალიაში გადავიდა და თვითონაც დაიწყო ჯარების შეკრება მთელს პროვინციაში. ცეზარი მალე დარწმუნდა, რომ პომპეუსი ამჯერად არ აპირებდა ცეზარის საწინააღმდეგო სამხედრო ზომების მიღებას, ან შეიარაღებული ძალით მონარქიზმის დაფუძნებას. როგორც ჩანდა, შექმნილ ვითარებას პომპეუსი ჯერ კიდევ არ თვლიდა ამისათვის მომწიფებულად და ამიტომ ისევ ლოდინის პოლიტიკას აგრძელებდა. მაგრამ შენიღბულად ცეზარის საწინააღმდეგო ღონისძიებებსაც ატარებდა. ასე მაგალითად, 52 წ. მან ერთის მხრივ, წინააღმდეგობა არ გაუწია სახალხო კრების მიერ წინადადების მიღებას, რომლითაც 49 წელს ცეზარს უფლება ეძლეოდა 48 წლისათვის დაუსწრებლად წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა კონსულის თანამდებობაზე, მეორეს მხრივ, იმავე წელს, პომპეუსმა გაატარა კანონი, რომელიც კვლავ ძალაში ტოვებდა ძველ წესს, რომ კონსულობის კანდიდატი თვითონ უნდა ყოფილიყო რომში და პირადად გატარებულიყო რეგისტრაციაში. ერთი სიტყვით, პომპეუსი მარცხენა ხელით ართმევდა ცეზარს იმ უფლებას, რომელსაც იგი მარჯვენა ხელით აძლევდა.

ეს არ იყო უბრალო ფორმალობა. ამ დახვეწილ იურიდიულ ფორმულაში ორივე მოწინააღმდეგისათვის უდიდესი წინააღმდეგობა იფარებოდა. საქმე იმაში იყო, რომ რომის კანონმდებლობით კონსულის, პროკონსულის და ზოგიერთ სხვა მაღალი თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა შეიძლებოდა ძხოლოდ ამ თანამდებობიდან მათი წასვლის შემდეგ, შუალედში, ვიდრე სხვა მაღალი თანამდებობის შესრულებას შეუდგებოდნენ. ცეზარს იმიტომ უნდოდა დაუსწრებლად აერჩიათ კონსულად, რომ ეს შუალედი არ ჰქონოდა და რაიმე საბაბით (გალიის ომები ასეთ საბაბს ბევრს იძლეოდა) პასუხისგებაში არ მიეცათ. ცეზარს გალიაში პროკონსულად ყოფნის დრო 49 წლის 1 მარტს უთავდებოდა. კონსულობის მოვალეობის შესრულებას კი (თუ არჩეული იქნებოდა) იგი 48 წლის 1 იანვრიდან უნდა შედგომოდა. ამგვარად, მთელი ათი თვე — პრო-

კონსულობიდან კონსულობამდე ეს სახიფათო შუალედი ეჭვნებოდა. მაგრამ თუ კონსულად დაუსწრებლად აირჩევდნენ, მას შეეძლო რომში შესულიყო 48 წლის 1 იანვარს, უკვე როგორც კონსული და პასუხისგებაში მიცემის საკითხიც მოიხსნებოდა, რითაც მას პირველ რიგში კატონი ემუქრებოდა. სვეტონიუსის გადმოცემით, მარკუს კატონი ხშირად იფიცებდა, ცეზარს პასუხისგებაში მივცემ, როგორც კი თავის ჯარს დამლისო.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ცეზარისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კონსულის თანამდებობაზე დაუსწრებლად არჩევის საკითხს. მაგრამ მას ასევე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პომპეუსისთვისაც. ცეზარის პასუხისგებაში მიცემით იგი ერთი დაკვრით იცილებდა გზიდან თავის ყველაზე საშიშ მეტოქეს.

პომპეუსმა ერთმმართველ კონსულად ყოფნის დროს ცეზარის წინააღმდეგ შენიღბულად მეორე ღონისძიებაც გაატარა. არსებული კანონის მიხედვით, პროვინციათა მმართველებად პირველი იანვრიდან ინიშნებოდნენ ის პირნი, რომელთაც წინა წელს ეჭირათ კონსულის ან პრეტორის თანამდებობანი. პომპეუსმა გაატარა კანონი, რომელიც კონსულებსა და პრეტორებს პროვინციების მმართველობის უფლებას აძლევდა არა მომდევნო წელს (როგორც ეს წინათ იყო), არამედ ხუთი წლის შემდეგ.

ძველი კანონი რომ ძალაში დარჩენილიყო, ცეზარი გალიის მმართველის პოსტზე 48 წლის პირველი იანვრიდან უნდა შეეცვალა 49 წლის კონსულს ან პრეტორს, რომელთაც ამ თანამდებობაზე ყოფნის დრო 49 წლის დეკემბრის ბოლოს გაუთავდებოდათ. მაშასადამე, ცეზარს რჩებოდა შესაძლებლობა გალიის პროკონსულად დარჩენილიყო არა 49 წლის 1 მარტამდე, არამედ 49 წლის ბოლომდე, რადგან ამაზე ადრე ძველი წესის თანახმად მისი შემცვლელი გალიაში ვერ ჩავიდოდა. პომპეუსის ამ ახალი კანონით იგულისხმებოდა, რომ გალიაში ცეზარის შემცვლელად გაგზავნილი უნდა ყოფილიყო ის პირი, რომელსაც ხუთი წლის წინ ეჭირა კონსულის ან პრეტორის თანამდებობა და ამიტომ შეეძლოთ ცეზარი შეეცვალათ გალიაში

49 წლის 1 მარტისათვის. ამრიგად, ცეზარს კონსულის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის დაუსწრებლად წამოყენების უფლება კიდევაც რომ ჰქონოდა, თუ პროკონსულობის რწმუნებას 49 წლის 1 მარტიდან მოხსნიდნენ, შეეძლოთ მიეცათ პასუხისგებაში, რადგან მარტიდან იანვრამდე იგი კერძო პირის მდგომარეობაში იქნებოდა.

ამგვარად, პომპეუსის ორივე კანონი მიზნად ისახავდა, პროკონსულობიდან კონსულობამდე ცეზარი კერძო პირის მდგომარეობაში ჩაეყენებინა, რომ ამ შუალედში იგი პასუხისგებაში მიეცათ. რა თქმა უნდა, პომპეუსის დიპლომატიის ეს ფარული ხასიათი გაუგებარი არ დარჩებოდა მასზე უფრო მოქნილი ცეზარისათვის. მაგრამ, როგორც მომზენი წერს, „ცეზარს არ ჰქონდა შესაძლებლობა ხელი შეეშალა ამ მანევრებისათვის, გაჩუმებული იყო და საქმე თვითმდინარებისათვის ჰქონდა მინდობილი“.

ამ კანონების პარალელურად, პომპეუსმა სხვა კანონიც გაატარა, რომლითაც თვითონ ესპანეთის პროკონსულობა კიდევ ხუთი წლით (45 წლის ბოლომდე) გაიგრძელა. ამასთან შეეცადა, რომ 51 წლის კონსულად გაყვანილი ყოფილიყო ცეზარის მოწინააღმდეგე და სენატის პარტიის წარმომადგენელი მარკუს მარცელუსი.

ამ მარცელუსმა 51 წ. სენატში დააყენა საკითხი, 49 წლის 1 მარტს ცეზარის შესაცვლელად გალიაში პროკონსულებად გაეგზავნათ არა ერთი, არამედ ორი ყოფილი კონსული. ამის საწინააღმდეგოდ ცეზარის მომხრე სახალხო ტრიბუნმა, ვიბიუს პანსამ შეიტანა წინადადება, რომ ცეზარი 49 წლის 1 მარტის შემდეგაც რამდენიმე წლით კიდევ დაეტოვებინათ გალიაში პროკონსულად და ერთდროულად 48 წლისათვის კონსულადაც აერჩიათ რომში. ვიბიუსი მიუთითებდა, რომ წინა წელს (52 წ.) პომპეუსი კონსულიც იყო რომში და პროკონსულიც ესპანეთში და ამდენად მისი წინადადება უპრეცენდენტო არ იყო რომის პრაქტიკაში.

მაგრამ ეს საკითხი 51 წ. ვერ გადაწყდა. სენატი არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას, რადგან წინ დრო კიდევ დიდი იყო. 50 წ. მარტში იგი კვლავ დაისვა სენატის სხდომაზე. ამ

დროისათვის ცეზარს გალიის აჯანყება უკვე ჩაქრობილი ჰქონდა. ხშირად გადმოდიოდა ალპებს აქეთ ციზალპიის გალიაში (ჩრდილოეთ იტალიაში) და თვალყურს ადევნებდა პოლიტიკურ ვითარებას რომში. ამასთან, ცეზარმა 50 წლის სახალხო ტრიბუნის, ვალებში უზომოდ ჩაფლული (სამოცი მილ. სესტერციით) გაიუს სკრიბონიუს კურიონის მოსყიდვაც შეძლო. ამ კურიონის მოსაქრთამად, წერს მომზენი, „ფასი მაღალი იყო, მაგრამ საქონელი ღირდა ამ ფულად“. კურიონმა 50 წ. მარტში სენატის სხდომაზე შეიტანა წინადადება, რომ პომპეუსსაც და ცეზარსაც, ორივეს, ერთდროულად მოეხსნათ პროკონსულობა, პირველს — ესპანეთის, მეორეს — გალიის, ხელი აეღოთ მთავარსარდლობაზე და დაეშალათ ჯარები.

ცეზარს არ ეშინოდა განიარაღებული პომპეუსის და ამიტომ სენატს შემოუთვალა, რომ ის მთლიანად ეთანხმებოდა კურიონის წინადადებას. მაგრამ პომპეუსს არ უნდოდა მისი მიღება და ყოველმხრივ ცდილობდა გადაედო ამ წინადადებისათვის კენჭის ყრა სენატში. პლუტარქეს გადმოცემით, სენატორი ლენტულუსი ყვიროდა: ყაჩაღის (იგულისხმება ცეზარი მ. ა.) წინააღმდეგ იარაღით უნდა ვიმოქმედოთ და არა კენჭისყრით. პომპეუსი კურიონის წინადადებაზე ამბობდა, რომ ის ჯერ ცეზარმა შეასრულოს და შემდეგ მეც მივბაძავ მასო, მაგრამ არ ასახელებდა კონკრეტულ ვადებს. ამით პოლიტიკაში მოუქნელი პომპეუსი სენატისა და ხალხის თვალშიაც იმას აჩვენებდა, რომ ის შეიძლებოდა მომავალში გართულებების მიზეზად გამხდარიყო.

ბოლოს, 50 წლის შემოდგომაზე, კურიონის წინადადებას კენჭი უყარეს სენატში და იგი მიღებული იქნა სამას სამოცდაათი ხმით ოცის წინააღმდეგ. სენატის წევრთა ამ მცირე ნაწილმა გადაწყვიტა ავანტიურაზე წასელა. 50 წლის კონსული გაიუს მარცელუსი და 49 წლისათვის არჩეული ორივე კონსული მივიდნენ პომპეუსთან და, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის იურიდიული უფლება არ ჰქონდათ, წინადადება მისცეს, ეკისრა მთავარსარდლობა და ამ დროს რავენაში (ჩრდილოეთ იტალია) მყოფი ცეზარისათვის ომი გამოეცხადებინა.

50 წ. 9 დეკემბერს კურიონმა უარი განაცხადა სახალხო

ტრიბუნის ტიტულზე, რავენაში გაიქცა ცეზართან და შექმნილი ვითარება გააცნო. ცეზარისათვის ნათელი იყო, რომ პოლიტიკური და წმინდა სამხედრო ხასიათის მოვლენები მისთვის ხელსაყრელ მიმართულებას იღებდა. საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით ცეზარი მოგებული რჩებოდა, რადგან პომპეუსი სენატის გადაწყვეტილების მიუღებლად იწყებდა ომს მის წინააღმდეგ. სამხედრო თვალსაზრისით კი ცეზარისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო ის გარემოება, რომ ის ორი ლეგიონი, რომელიც იმ დროს პომპეუსს რომში ჰყავდა თავის განკარგულებაში, ადრე ცეზარის სარდლობით იბრძოდა გალიაში და არ შეიძლებოდა პომპეუსის ერთგული ყოფილიყო. მართალია პომპეუსს შვიდი ლეგიონი ჰყავდა ესპანეთში, მაგრამ იტალიაში მათ გადმოყვანას საკმაო დრო უნდოდა და თვით იტალიაშიც სავალდებულო გაწვევის ჩატარებას რამდენიმე კვირა დასჭირდებოდა.

თვითონ ცეზარს ექვსი ლეგიონი ისევ გალიაში ედგა. მაგრამ ოთხი ლეგიონი ამ დროისათვის ალპებს აქეთ, ჩრდილოეთ იტალიაში ჰყავდა გადმოყვანილი. ასეთი მდგომარეობა მას ძალების თანაფარდობაში უპირატესობას აძლევდა ომის დასაწყისში. შემდეგში მოსალოდნელი იყო, რომ თანაფარდობა პომპეუსის სასარგებლოდ შეცვლილიყო. მაგრამ ცეზარი ვარაუდობდა, რომ აქ საქმე მის სასარგებლოდ სისწრაფეს უნდა გადაეწყვიტა, რათა პომპეუსს ყველა თავისი რეზერვის გამოყენების შესაძლებლობა არ მისცემოდა.

ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, ცეზარი გამარჯვების იმედით იღებდა პომპეუსის გამოწვევას. მან თავისი ოთხი ლეგიონის გადაყვანა დაიწყო რავენაში, სადაც ყველაზე ადრე მეცამეტე ლეგიონი ჩავიდა. ამავე დროს მისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, რომში გაგზავნა კურიონი, რომელსაც უნდა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ცეზარს ზავი უნდოდა პომპეუსთან და უკიდურესობამდე თუ არ მიიყვანდნენ, იარაღისათვის ხელის მოკიდებას არ აპირებდა. სენატისადმი გაგზავნილ წერილში ცეზარი წერდა, რომ იგი აღარ მოითხოვს პომპეუსისაგან ესპანეთის პროკონსულობაზე ხელის აღებას, ან ჯარების დაშლას. თვითონ კი მზად არის

სელი აიღოს ტრანსალპიის გალიის პროკონსულობაზე, მის განკარგულებაში მყოფი ათი ლეგიონიდან დაშალოს რვა და თანახმაა კონსულად არჩევამდე დაიტოვოს ციზალპიის გალიის მმართველობა ორი ლეგიონით, ან უკიდურეს შემთხვევაში, მარტო ილირიის მმართველობა ერთი ლეგიონით.

ძნელია იმის გაგება, ამ დათმობაზე ცეზარი ნამდვილად მიდიოდა, თუ ეს მხოლოდ დიპლომატიური ფანდი იყო, იმის იმედით, რომ სენატი ამ წინადადებას მაინც არ მიიღებდა, მას შემდეგ, რაც პომპეუსმა უკვე საომარი მზადება დაიწყო. ასე იყო თუ ისე, 49 წ. 1 იანვარს ახალი კონსულების ლუციუს ლენტულუსის და გაიუს მარცელუს უმცროსის მიერ მოწვეულ სენატის კრებაზე კურიონმა ცეზარის ეს წინადადებები და წერილი გააცნო სენატორებს. წერილში ცეზარი ლაპარაკობდა ხალხის დიდ სურვილზე, შეენარჩუნებინათ მშვიდობა, უბედურებაზე, რომელსაც სამოქალაქო ომი მოიტანდა და ბრალს სდებდა პომპეუსს ამ კატასტროფის მომზადებაში. ამასთან გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ეს პომპეუსთან შერიგების მისი უკანასკნელი ცდა იყო.

სენატის სხდომაზე პომპეუსის ახალმა სიმამრმა კვინტუს სციპიონმა მისი დავალებით განაცხადა, რომ პომპეუსი მზადაა იკისროს მთელი პასუხისმგებლობა სენატისა და რომის დასაცავად. მაგრამ თუ სენატი გააგრძელებს მერყეობას, პომპეუსი უარს ამბობს აიღოს შემდეგ პასუხისმგებლობა თავის თავზეო. ამ ხრიკებით ტერორიზებულმა სენატმა უარი თქვა ცეზარის წინადადებების მიღებაზე და დაადგინა, რომ იგი ვალდებული იყო დაეშალა ჯარი; ამასთან ტრანსალპიის გალიის პროკონსულობა გადაეცა ლუციუს დომიციუს აჰენობარბუსისათვის და ციზალპიის გალიისა კი — მარკუს სერვილიუს ნონიანისათვის.

ამის წინააღმდეგ, ცეზარის მომხრე 49 წლის სახალხო ტრიბუნებმა, მარკუს ანტონიუსმა და კვინტუს კასიუსმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს ვეტოს დადება სენატის ამ დადგენილებისათვის. მაგრამ პომპეუსის შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ისინი სენატიდან გამოყარეს. მონათა ტანსაცმელში გადაცმული ტრიბუნები რომიდან გაიპარნენ და ცეზართან ჩავიდნენ ვენაში. „ერთი სიტყვითო,—წერს თავის მოწინააღმდე-

გეებზე ზემოთ აღწერილი ამბების გამო თვითონ ცეზარი, — მათ გათელეს ყოველგვარი უფლება: ღვთაებრივი და ადამიანურიო".

49 წლის 7 იანვარს მოწვეულმა სენატის სხდომამ უკვე ოფიციალურად დაავალა პომპეუსს ცეზარის წინააღმდეგ ომის წარმოება. ასე დაიწყო სამოქალაქო ომის ახალი ხანა რომში.

სამოქალაქო ომის დასაწყისი, პომპეუსის გაქცევა რომიდან

სენატის მიერ 49 წლის 7 იანვარს მიღებულმა გადაწყვეტილებამ კომპრომისების ყველა გზა გადაჭრა. ახლა ყოველგვარ დიპლომატიას უკან უნდა დაეწია, გზა მიეცა მახვილისა და ცეცხლისათვის და ყოფილი სიძე-სიმამრისა და ტრიუმვირების დავა ბრძოლის ველს გადაეწყვიტა. ამ ეპოქის რომის ყველაზე სახელოვანი ადამიანები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს რომისათვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებაში და რომის ლეგიონერთა არწივის დროშა ევფრატის, რაინისა და მტკვრის აუზებში, აგრეთვე ბელგიის, ჰოლანდიისა და ინგლისის ტერიტორიაზე შემოატარეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს. ორად გაყოფილი რომის ხალხის ნაციონალური ენერგია უნდა დანთქმულიყო ძმათა შორის სისხლისმღვრელ ომებში. რომაელ ლეგიონერებს ახლა საკუთარ თავზე უნდა გამოეცადათ თანამოძმეთა იმ მახვილის ძალა, რომლითაც სულ ცოტა ხნის წინ აღმოსავლეთში მითრიდატე და დასავლეთში ვერცინგეტორიქსი წამოაჩოქეს.

ეს იყო არა მარტო დიდი ადამიანების დიდებისაკენ ლტოლვის ეგოიზმის ნაყოფი, არამედ და უმთავრესად ეპოქის წინააღმდეგობის შედეგი, რომლის გადაჭაწყვეტადაც ისინი თვითონ ცხოვრებამ შეაჯახა ერთმანეთს. ამით აიხსნება, რომ ამგვარ „ტრაღედიებს" ვერ იცილებს თავიდან კლასობრივი ფორმაციების ვერც ერთი ნაცია და ხალხი.

რადგან საქმე ომამდე მივიდა, ახლა ყველაფერი მის ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. საკითხი უნდა გადაეწყვიტა

არა მარტო ჯარების რიცხობრივ შემადგენლობას, არამედ მათ საბრძოლო სამხედრო ნიჭსა და უნარსაც. აქამდე ორივე გაწაფულებული გამოდიოდა გაცილებით მრავალრიცხოვან გალიელებთან ომებში, ახლა კი შინა ბრძოლა გადაიქცა მათი გაწოცდის ყველაზე უტყუარ ასპარეზად. ცეზარი, წერს პლუტარქე, ვარაუდობდა, რომ „...პირველი იერიშის მიტანა იმდენად მრავალრიცხოვან მხედრობას არ მოითხოვდა ამჟამად, რამდენადაც სასწაულებრივ მამაცობასა და მტრისათვის თავზარდაცემად სწრაფ დარტყმას“.

როგორც კი სენატის 7 იანვრის დადგენილება შეიტყო, ცეზარმა იმ დროს რავენაში (რომიდან 75 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით) მყოფ თავის მეცამეტე ლეგიონის ჯარისკაცებს უბრძანა და საქმის ვითარება აუხსნა. იგი ამბობდა, რომ რომში ერთმა მუჭა ოლიგარქებმა პომპეუსის მეთაურობით ძალაუფლება იგდეს ხელთ, სახალხო ტრიბუნები — დემოკრატიის ეს დასაყრდენი, რომიდან გააძევეს, რაც სულასაც კი არ უქნიათ, და სენატი აიძულეს ომი გამოეცხადებინა მის წინააღმდეგ. ეს იყო ჯილდო მისთვის და მისი მამაცი ჯარისკაცებისათვის, რომელთაც დღემდე ალპებსიქით მოუთვინიერებელი გალიის უდიდესი ტერიტორიები დაიპყრეს და თავზარი დასცეს ბრიტანეთსა და გერმანიას. „სიტყვის დასასრულს იგი (ამბობს ცეზარი თავის თავზე) ...სთხოვდა ჯარისკაცებს, რომ მათ დაეცვათ კეთილი სახელი და ღირსება სარდლის, რომლის წინააღმდეგ ოლიგარქების ხროვისაგან“. აღსანიშნავია, რომ სენატი და პომპეუსიც ამავე ლოზუნგებით გამოდიოდნენ ცეზარის წინააღმდეგ, როცა მას ტირანს უწოდებდნენ და სამშობლოს მტრად აცხადებდნენ.

გამოდიოდა რა ელვისებური დარტყმის ტაქტიკიდან, ცეზარმა სწრაფად დაძრა რომისკენ მეცამეტე ლეგიონი და 49 წ.

12 იანვარს მდ. რუბიკონს მოადგა. ეს პატარა მდინარე ცეზარისათვის მიცემული საგამგებლოს — ციზალპიის გალიის საზღვარი იყო, რომლის სამხრეთითაც იმ დროს უშუალოდ რომის სახელმწიფოს ტერიტორია იწყებოდა. პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარი „აქ დუმილით შეჩერდა და საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა საკუთარი, უაღრესად დიდი და გაბედული წამოწყების შესახებ. ბოლოს, იმათ მსგავსად, რომლებიც კლდის მწვერვალიდან უძირო უფსკრულში ვარდებიან, ყოველგვარი ფიქრი თავიდან მოიშორა, საშინელების წინაშე თვალები დახუჭა და იქ მყოფთ ესღა მიაყვირა ბერძნულად: წილი ნაყარიაო და მდინარეზე მხედრობის გადაყვანა დაიწყო“. სვეტონიუსის გადმოცემით, რუბიკონის ნაპირზე ცეზარმა გარშემო მყოფთ განუცხადა: „ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია უკან გაბრუნება, მაგრამ თუ ამ ხიდს გადავალთ, მაშინ ყველაფრის გადაწყვეტა იარაღით მოგვიხდებაო“. აპიანეს გადმოცემით კი, ცეზარმა რუბიკონის ნაპირზე მყოფთ ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჩემო მეგობრებო! მე რომ აქ გადასვლისაგან თავი შევიკავო, ეს იქნება ჩემი უბედურების დასაწყისი და თუ გადავალ— ყველას უბედურებისაო“.

რადგან ამ პატარა და იქამდე უცნობი მდინარე რუბიკონის გადალახვა დიდი ამბების დასაწყისი გახდა, გამოთქმა: „რუბიკონის გადალახვა“ მსოფლიო ლიტერატურაში შევიდა, როგორც რისკის, ალტერნატივის და თამამი გადაწყვეტილების სიმბოლო.

რომში ცეზარის მიერ რუბიკონის გადმოლახვამ დიდი პანიკა გამოიწვია. პომპეუსი ხშირად აცხადებდა, რომ მას რომის დაცვისათვის შეეძლო მიწაზე ფეხის დარტყმით მთელი იტალია ჯარით დაეფარა. ახლა მას ფავონიუსმა დაცინვით მიმართა, სისრულეში მოეყვანა ნათქვამი, რადგან ცეზარმა რუბიკონი უკვე გადმოლახაო. პომპეუსი დაიბნა და დუნედ დაიწყო რომის ჩრდილოეთით სტრატეგიული პუნქტების დაკავება. ცეზარს კი ამ დროისათვის კიდევ 2 ლეგიონი შეუერთდა, მან სწრაფი დარტყმებით შემუსრა პომპეუსის გარნიზონები, კორფინიუმში ალყა შემოარტყა სენატის თხუთმეტათასიან არმიას და 20 თებერვალს დაიმორჩილა იგი. ცეზარის მხარეზე დაიწ-

ყო გადასვლა პომპეუსის მრავალმა ჯარისკაცმაც. პომპეუსის მხარეზე კი ცეზარიდან გალიის ომების ერთ-ერთი სარდალი ლაბიენუსი გადავიდა. ამასთან დაკავშირებით ციცერონი წერდა ატიკუსს, ეს ჩვენთვის ძალიან კარგია, რადგან საზოგადოებრივი აზრისათვის ნათელი ხდება, რომ მან „...სახელმწიფოს გულისათვის დაჰგმო მეგობარიო“. მაგრამ მარტო ლაბიენუსის გადასვლას არ შეეძლო შეეჩერებინა პომპეუსის შენგრეული ხომალდის ჩაძირვა, მით უფრო რომ „მენიჩბეები“ ცეზარისკენ გარბოდნენ.

პომპეუსს ვერც ახალწვეულთა საქმე ჰქონდა კარგად. 22 იანვარს ციცერონი სწერდა ატიკუსს: ჯარების „შეკრება დღემდე ხდება იმათ შორის, რომელთაც არა სურთ ან მიდრეკილება არა აქვთ ბრძოლისაკენ. შეთანხმებისათვისაც მომენტი გაშვებულია. რა მოხდება, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ და ჩვენი სარდალი... ნავსადგურიდან გამოვედით უსაჭოდ და თავი ქარიშხალს მივეცით“. აქ ციცერონი ლაპარაკობს რომის დატოვების შესახებ, რაც იმ დღეებში პომპეუსის განკარგულებით მოხდა წარმოუდგენელი პანიკის ვითარებაში და უდიდესი სისწრაფით, ისე რომ კონსულებმა ხაზინის გატანა და მსხვერპლის შეწირვაც ვერ მოახერხეს. ამას ხელი შეუწყო ქალაქში დარხეულმა ცრუ ხმამ, თითქოს ცეზარის ცხენოსანი არმია უკვე რომის გარეუბნებში იყო შემოსული. პანიკის შედეგადო, წერს პლუტარქე, „თითქმის მთელი იტალია ფეხზე დადგა. კაცმა არ იცოდა, რა ხდებოდა მის გარშემო, ზოგიერთები, ქალაქგარეთ მცხოვრებნი, სირბილით მოეშურებოდნენ ყოველი მხრიდან და რომში შემოდიოდნენ მაშინ, როცა რომის მკვიდრნი გარბოდნენ და ტოვებდნენ ქალაქს“.

რომის დატოვება მთელს იტალიაში ზრდიდა პანიკას. ხელისუფალნი და მოსახლეობის ასეთი დიდი ნაწილი არ გაქცეულა რომიდან არც გალების შემოსევის, არც ჰანიბალის და არც სულასა და სპარტაკის დროს. ამ ფონზე საშიშროება განსაკუთრებით შემაზრზენად მოჩანდა.

ვინც რომიდან არ გაიხიზნა, ზომებს იღებდა საკუთარი სახლის დასაცავად, შესაძლო ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვა-გლეჯის შემთხვევისათვის. 21 იანვარს რომის გარეთ მყოფი ციცერონი

რომში თავის ოჯახის წევრებს სწერდა: ფილოტიმოსს (ციცერონის აზატი მ. ა.) უთხარით, რომ სახლში ჰქონდეს თავდაცვის საშუალებანიო.

დაცვის გარეშე დატოვებული რომი ცეზარმა უომრად აიღო. ჯარისკაცებს აუკრძალა მოსახლეობის ძარცვა და შემწყნარებლობა გამოიჩინა ყველა იმ მოწინააღმდეგის მიმართ, ვისაც რომში მიუსწრო. ომის გასაგრძელებლად ცეზარმა სახელმწიფო სალაროში არსებული თანხების გამოყენება გადაწყვიტა. ხაზინისაკენ რომ მიდიოდა, გზა გადაუღობა ტრიბუნმა მეტელუსმა. ცეზარი ტრიბუნს სიკვდილით დაემუქრა. „გიგეთ, — უთხრა მას ცეზარმა, — რომ ჩემთვის ამის თქმა უფრო ძნელია, ვიდრე შესრულებაო“, და „მოიცილა თუ არა თავიდან მეტელუსი, ხაზინიდან იმდენი ფული წაიღო, რამდენიც ჭირდებოდა და პომპეუსის დევნას შეუდგა“.

პომპეუსი ამ დროს ბრუნდიზიუმის ნავსადგურში იდგა ოცდახუთათასიანი არმიით და ადრიატიკის ზღვით საბერძნეთში გადასვლას ცდილობდა. ცეზარმა გადაწყვიტა ხელი შეეშალა პომპეუსისათვის ამ განზრახვის შესრულებაში და ჯარები ბრუნდიზიუმის მიმართულებით დაძრა. 49 წლის 10 თებერვალს ციცერონი წერდა ატიკუსს: „...პომპეუსი მიდის იტალიიდან... ცეზარი დევნის... რატომ? რომ მოკლას? ეს მტანჯავს მე! ჩვენ ყველანი არ ვიცავთ მას ჩვენი სხეულით?“.

პომპეუსმა შეძლო 49 წლის 17 მარტს თავისი არმიით საბერძნეთში გადასულიყო. ცეზარი იძულებული გახდა დევნა დროებით შეეწყვიტა.

ცეზარისათვის გასაგები იყო საბერძნეთში პომპეუსის გადასვლის მიზანი. აღმოსავლეთში პომპეუსს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა, იქ ბევრი ქვეყნის ტახტზე მისი დახმარებით ისხდნენ მეფეები და პროვინციათა მმართველები. პომპეუსი ვარაუდობდა მათი დახმარებით იქ დიდი არმიის შექმნას და იტალიაში გადმოყვანას ცეზარის წინააღმდეგ ომისათვის.

ამავე დროს ესპანეთში მყოფი შვიდი ლეგიონი პომპეუსს შეეძლო იტალიაში იმ დროს გადმოეყვანა, როცა თვითონაც ბალკანეთიდან იტალიაში გადავიდოდა. ანდა, თუ ცეზარი თვი-

თონ გადავიდოდა ბალკანეთში, ამ ლეგიონებს შეეძლოთ მოეხდინათ იტალიისა და რომის ოკუპირება. ორივე შემთხვევაში ცეზარი მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა, ან როგორც თვითონ წერს, „ყველაფერი ეს ცეზარისათვის მეტად არასასურველი იყო“. მან კარგად იცოდა, რომ პომპეუსთან ომის გაჭიანურება მისთვის არ ვარგოდა, რადგანაც ცოცხალი ძალის რეზერვებისა და ომის წარმოების მატერიალური სახსრების მხრივ (ფინანსები, ფლოტი) უპირატესობა პომპეუსის მხარეზე იყო. ამიტომ, როცა გამოირკვა, რომ ომი ხანგრძლივ ხასიათს იღებდა, მან რამდენიმეჯერ მისცა წინადადება პომპეუსს ზავის დადების შესახებ. მაგრამ ქედმაღალი პომპეუსი არ კადრულობდა მასთან შეხვედრასა და საზავო მოლაპარაკების დაწყებას. „ავანტიურიზმსა“ და „ტირანიაზე“ (როგორც ის ცდილობდა დაეხატა ცეზარის ომი) გამარჯვების ბრმა რწმენა ჰქონდა და ყოველთვის უარს უთვლიდა ცეზარს მოლაპარაკებაზე, ან ისეთ პირობებს უყენებდა, რომელთა მიღებაც ცეზარის მხრიდან სრული კაპიტულაცია იქნებოდა.

ასეთი მდგომარეობა ცეზარს უკარნახებდა, პომპეუსის ჯარები ბალკანეთსა და ესპანეთში ცალ-ცალკე დაემარცხებინა, იქამდე, ვიდრე ისინი იტალიაში შეერთდებოდნენ.

ცეზარს უნდა გადაეწყვიტა, როგორ დაეწყო მოქმედება. ან უნდა დასდევნებოდა პომპეუსს, ომი ბალკანეთში გადაეტანა, რომ არ მიეცა მისთვის ამოსუნთქვისა და აღმოსავლეთში დიდი არმიის შექმნის შესაძლებლობა. მაგრამ ამისათვის მას არ გააჩნდა ფლოტი, მისი შექმნა კი დიდ დროს მოითხოვდა. მეორეს მხრივ, ბალკანეთში გადასვლის შემთხვევაში, მას ზურგიდან დარტყმის საშიშროებას უქმნიდნენ ესპანეთში მყოფი პომპეუსის ლეგიონები. ამიტომ ცეზარმა გადაწყვიტა ჯერ ესპანეთში მყოფი პომპეუსის ლეგიონები გაენადგურებინა, რომ შემდეგ ბალკანეთში გადასვლის დროს ზურგიდან დარტყმის საშიშროება აღარ ჰქონოდა.

ცეზარმა მიიღო ამ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, და თავისი ჯარები ბრუნდიზიუმიდან რომზე გაუვლით ესპანეთისაკენ დაძრა. ერთ ხანს რომში გაჩერდა და გადაწყვიტა, რომ ესპანეთში წასვლამდე თავისი ჯარები გამოე-

ყენებინა სიცილიის, სარდინიის და აფრიკის ოკუპირებისათვის, სადაც მმართველებად, მცირე სამხედრო ძალებით, სენატისა და პომპეუსის მომხრენი იყვნენ. ამ მიზნით, როგორც თვითონ წერს, „ლეგატი ვალერიუსი ერთი ლეგიონით სარდინიაში გაგზავნა და პრეტორი კურიონი სამი ლეგიონით — სიცილიაში; მასვე უბრძანა, რომ სიცილიის დაკავების შემდეგ დაუყოვნებლივ გადასულიყო ჯარებით აფრიკაში“. ცეზარის ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს ვალერიუსმა და კურიონმა. მათ სიცილიიდან განდევნეს მისი მმართველი — ცნობილი მარკუს კატონი, სარდინიიდან — მარკუს კოტა და ცეზარის ხელისუფლებას დაუმორჩილეს ეს კუნძულები. ამის შემდეგ კურიონი, თანახმად ცეზარის ბრძანებისა, აფრიკაში გადავიდა, სადაც ბრძოლა შედარებით უფრო გაჭიანურდა.

თვითონ ცეზარმა 49 წ. 1 აპრილს შეკრიბა რომში დარჩენილი სენატორები და სიტყვით მიმართა მათ. იგი ცდილობდა საქმე ისე დაეხატა, თითქოს თვითონ სრულიად არაფერ შუაში იყო და ომი მას თავზე მოახვიეს ოლიგარქებმა პომპეუსისა და კატონის დაჟინებით. ცეზარი ამბობდა, რომ მას უკანონოდ მოექცნენ, როცა კონსულობაზე თავისი კანდიდატურის დაუსწრებლად წამოყენების უფლება არ მისცეს, არ მიიღეს მისი წინადადება პომპეუსთან ერთად ჯარების ერთდროულად დაშლაზე, დაუსაბუთებლად მოთხოვეს ცალმხრივი განიარაღება, უკანონოდ გააძევეს სახალხო ტრიბუნები და უგულვებელყოფდნენ მის ყველა წინადადებას საზავო მოლაპარაკებაზე.

ბოლოს ცეზარმა სენატორებს წინადადება მისცა, „...თავის თავზე აეღოთ სახელმწიფოზე ზრუნვა და ემართათ იგი ცეზართან ერთად“, პომპეუსთან კი ელჩები გაეგზავნათ საზავო მოლაპარაკებისათვის. სენატში საკმაოდ გულცივად შეხვდნენ ცეზარის სიტყვას. სენატორმა სერვიუს სულპიციუს რუფუსმა ცეზარს განუცხადა, რომ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე დიდი იქნება, თუ იგი ხელს აიღებს ომის გადატანაზე ესპანეთსა და ბალკანეთში. ცეზარს, რა თქმა უნდა, ეს არ შეეძლო, რადგან მოწინააღმდეგის უარი სამშვიდობო შეთანხმებაზე იმას ნიშნავდა, რომ თვითონ ის ომზე ხელის აღებას არ აპირებდა.

ცეზარმა სამი დღე სენატორებთან ლოლიაობაში გაატარა უშედეგოდ და როცა დარწმუნდა, რომ ისინი საბოტაჟს უწევდნენ მის ღონისძიებებს, დატოვა რომი და გაემართა ესპანეთში, რომის დროებითი მმართველობა კი მარკუს ემილიუს ლეპიდუსს დაავალა.

ნარბონიის გალიაში ცეზარმა ახალი ძალები შეიმატა და თავისი ჯარების რიცხვი ცხრა ლეგიონამდე და ექვსი ათას ცხენოსანამდე აიყვანა. ამ დროს პომპეუსის ესპანეთში მყოფი შვიდი ლეგიონიდან, ორი — ცნობილი ეკონომისტისა და სწავლულის — მარკუს ვარონის სარდლობით მის დასავლეთ ნაწილში იდგა, ხუთი ლეგიონი კი — აფრანიუსის და პეტრეუსის სარდლობით ჭ. ილერდასთან მდინარე იბერის ქვემო დინებაზე.

ჭ. მასალიამ, რომელსაც დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, უარი განაცხადა დამორჩილებოდა ცეზარს. ცეზარმა სამი ლეგიონით მას ალყა შემოარტყა, დანარჩენი ჯარები კი ილერდასაკენ გაგზავნა.

მასალიას ალყა გაჭიანურდა, რადგან ცეზარს ფლოტი არ ჰყავდა, რომ ალყა ზღვიდანაც შემოერტყა მისთვის. მან დეციმიუს ბრუტუსს თორმეტი ხომალდის აგება დაავალა. ხმელეთიდან საალყო სამუშაოების ხელმძღვანელობა ლეგატ ტრებონიუსს მიანდო და თვითონ ილერდასთან მყოფ ჯარებთან წავიდა. ცეზარის იქ ჩასვლამდე ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. ცეზარმა მტრის წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა და აიძულა ისინი კაპიტულაციაზე წასულიყვნენ 49 წლის 2 აგვისტოს. აქედან ცეზარი გადესში გაემართა მარკუს ვარონის წინააღმდეგ და ადვილად დასძლია მისი ორი ლეგიონის წინააღმდეგობაც. ამის შემდეგ მასალიაც მალე დანებდა მას და გამარჯვებული ცეზარი 49 წლის ნოემბერში რომში დაბრუნდა.

მაგრამ აფრიკასა და ილირიაში ცეზარს საქმე ცუდად წაუვიდა. ორი ლეგიონით გადასული კურიონი პომპეუსელებისა და მეფე იუბას გაერთიანებული ძალებით განადგურებულ იქნა და თვითონ კურიონიც, რომელიც უფრო პოლიტიკური მოღვაწე იყო, ვიდრე სარდალი, იქ დაიღუპა. ადრიატიკის ზღვა-

ზე კი პომპეუსის ფლოტმა გაანადგურა ცეზარის ადმირალის პუბლიუს დოლაბელას ფლოტი, რომელიც ორმოცი ხომალდისაგან შედგებოდა. იქვე, ილირიის ნაპირებთან, კუნძულ კურიკტაზე მდგომი ორი ლეგიონიც პომპეუსის ფლოტმა ალყაში მოაქცია და აიძულა დანებებულიყო. ისინი მაკედონიაში გადაიყვანეს პომპეუსის ჯარებთან შესაერთებლად.

პომპეუსის მიერ იტალიის დატოვების შემდეგ ჩატარებულ ბრძოლებზე, თუ საერთო შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, უდავოდ ცეზარის მიერ ესპანეთსა, სიცილიასა და კორსიკაში მოპოვებული გამარჯვებები, დიდად სჭარბობს აფრიკასა და ადრიატიკის ზღვაზე განცდილ მარცხს. მაგრამ ეს გამარჯვებები ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ომის მოგებას. ბრძოლის ბედი უნდა გადაეწყვიტა მათი არმიების ძირითადი ძალების შეხვედრას, რაც 48 წლის ივნისის ბოლოს ფარსალთან (ბალკანეთში) მოხდა.

ფარსალის ბრძოლა და მისი შედეგები

ფარსალის ომი საკმაოდ გრანდიოზული იყო იმ დროის კვალობაზე თავისი მასშტაბით, საკმაოდ მძაფრი თავისი ხასიათით და საკმაოდ საინტერესო სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით. ცეზარი ამ ომისათვის გულმოდგინედ ემზადებოდა იმ დროიდან, როცა პომპეუსმა იტალია დატოვა და საბერძნეთში გადავიდა.

49 წლის ნოემბერში ესპანეთიდან რომში დაბრუნებული ცეზარი დიქტატორად გამოაცხადეს. ამავე დროს პუბლიუს სერვილიუსთან ერთად იგი 48 წლისათვის კონსულად აირჩიეს. მან მხოლოდ თერთმეტი დღე დაჰყო იტალიაში, მოაგვარა ზოგიერთი გადაუდებელი საკითხი და 49 წლის 17 ნოემბერს დატოვა სატახტო ქალაქი და ბრუნდიზიუმს გაემგზავრა ბალკანეთში ჯარების გადასაყვანად. წინასწარ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად ბრუნდიზიუმში მას დახვდა თერთმეტი ლეგიონი, თორმეტი გალერა (სამხედრო ხომალდი), ასი სატრანსპორტო ხომალდი და რამდენიმე ათასი ცხენოსანი. პომპეუსის სამ-

ხედრო ძალები კი შეადგენდა ხუთას ხომალდს, ქვეითი არმიის თვრამეტ ლეგიონს, რომელნიც გაძლიერებულნი იყვნენ ადგილობრივი დამხმარე ძალებით, და შვიდი ათასამდე ცხენოსანს.

პომპეუსის ქვეითი ჯარები, წერდა პლუტარქე, მეტად ჭრელი იყო დ გავარჯიშებას საჭიროებდა. პომპეუსი ამ ჯარს ბერეაში (მაკედონიის ქალაქი) ყოფნის ჟამს წვრთნიდა და თვითონაც უქმად კი არ იჯდა, არამედ ახალგაზრდა კაცის შსგავსად ყოველგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ჯარისკაცთა გასამხნევებლად ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ხედავდნენ, რომ ორმოცდათვრამეტი წლის პომპეუს დიდი იარაღასხმული ეჯიბრებოდა სხვებს ხან ქვეითად, ხან კი ამხედრებული. გაჭენებულ ცხენზე მჯდარი დაუბრკოლებლივ იღებდა ხოლმე მახვილს ქარქაშიდან და ასევე ადვილად აბრუნებდა უკან. შუბის ტყორცნაში პომპეუსი არა მარტო საოცარ სიზუსტეს, არამედ დიდ ღონესაც ამჟღავნებდა.

პომპეუსთან ბალკანეთში იყო სენატორთა უმრავლესობა (ორას კაცამდე). ისინი ხშირად მართავდნენ სენატის სხდომებს თესალონიკაში, რომელიც მომზენის სიტყვით, დროებით რომად იყო გადაქცეული. პომპეუსთან იყო თავმოყრილი რომის არისტოკრატიის თითქმის მთელი „ნაღები" და სამხედრო დიდების მაძიებელი ახალგაზრდობა, აგრეთვე სიცალიიდან გაქცეული კატონი, მასალიიდან გამოქცეული დომიციუსი და სხვა მრავალი. პლუტარქეს გადმოცემით, ბალკანეთში პომპეუსთან ჩავიდა ღრმად მოხუცებული, კოჭლი ტრიდიუს სექსტიუსიც. პომპეუსი მის დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა და სექსტიუსს შეეგება. იგი ფიქრობდა, რომ მისი საქმის სამართლიანობის დამადასტურებელი იყო ის ამბავი, რომ ეს მოხუცი მიუხედავად თავისი ასაკისა და უძლურებისა, სახლში მოსვენებით ყოფნას მასთან ერთად განსაცდელის გაზიარებას არჩევდა. პომპეუსთან იყვნენ აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის მეფეები და მეფისწულები, რომის პროვინციების მმართველები და სარდლები.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის არისტოკრატია ცეზარის მიერ დატეხილმა შიშმა შეპყარა აქ. ისინი ბობოქრობდნენ,

ღელავდნენ და წალეკვით ემუქრებოდნენ ცეზარს, მაგრამ პრაქტიკულად ბევრს არაფერს აკეთებდნენ ამისათვის.

პომპეუსი დიდ იმედს ამყარებდა აღმოსავლეთის მეფეებსა და მათ დახმარებაზე. მათგან მოელოდა იგი ჯარს, სურსათსა და ყოველგვარ აღჭურვილობას. მაგრამ საქმეში ჩახედული კაცისათვის ცხადი გახდებოდა, რომ ეს სხვათა დახმარების მოლოდინზე დამყარება ამაო იმედი იყო, რომელიც ხელს უშლიდა საკუთარი რეზერვების გამოძებნას. როგორც ჩანს პომპეუსის ეს მანკი და თვითდაჯერება კარგად ყოფილა ცნობილი მისი თანამედროვეებისათვის. აი, რას სწერდა პუბლიუს კორნელიუს დოლაბელა ციცერონს: „შენ ამჩნევ, რომ გნეიუს პომპეუსს ვერ იხსნის საშიშროებისაგან ვერც მისი სახელის დიდება და საქმეები და ვერც მეფეთა და ხალხთა კლიენტელა, რომლითაც იგი ხშირად ყოყოჩობდა“. უახლოესმა ამბებმა დაადასტურა, რომ დოლაბელა მართალი იყო.

ბრუნდიზიუმში ჩასულმა ცეზარმა ენერგიულად დაიწყო მზადება ბალკანეთში დესანტის უეცარი გადასხმისათვის. პომპეუსი კი ფიქრობდა, რომ ცეზარი საქმაო ფლოტის უქონლობის გამო შეეცდებოდა სახმელეთო გზით (ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთიდან მოვლით) ბალკანეთში შეჭრას. ცეზარისათვის ეს მიუღებელი იყო, რადგანაც იგი ამ მარშრუტით საშუალებას აძლევდა პომპეუსს ესარგებლა თავისი ფლოტის სიჭარბით და იტალიაში გადმოსულიყო. ყოველ შემთხვევაშიო, ფიქრობდა პომპეუსი, თუ ცეზარი ბალკანეთში ზღვით გადასვლის ვარიანტს აირჩევს ზამთრის მოახლოების გამო (ნოემბრის ბოლო რიცხვები) ამას შეუდგებოდა არა ახლა, 49 წლის ნოემბრის ბოლოს, არამედ 48 წლის გაზაფხულზე. ამიტომაც პომპეუსის არმიასა და ფლოტში სიფხიზლე ერთგვარად მოდუნებული იყო. სწორედ ამის გამოყენებას ფიქრობდა ცეზარი.

ცეზარმა ბალკანეთში გადასვლისათვის მზადება როცა მოათავა, მოიწვია ჯარისკაცთა კრება და განუცხადა მათ: იმის გამო, რომ ახლოვდება თქვენი შრომისა და საშიშროების დასასრული, დაწყნარებული გულით უნდა დატოვოთ იტალიაში თქვენი მონები და ბარგი და თვითონ მსუბუქად დასხდეთ ხომალდებზე, რათა ამ გზით იქ უფრო მეტი ადგილები გათავი-

სუფლდეს ჯარისკაცთათვის. ყველა თქვენი იმედი უნდა დაამყაროთ გამარჯვებასა და მის გულუხვობაზე. ყველამ ერთხმად შესძახა, რომ ცეზარის საქმეა მხოლოდ ბრძანება, რასაც ჯარისკაცები ხალისით შეასრულებენო.

რადგან ცეზარს ფლოტი არ ყოფნიდა მთელი თავისი ჯარის ერთად გადაყვანისათვის ბალკანეთში, 28 ნოემბერს მან ხომალდებზე სწრაფად გადაიყვანა მხოლოდ შვიდი ლეგიონი და ხუთასი მხედარი. თორმეტი-თხუთმეტი საათის ცურვის შემდეგ 29 ნოემბრის შუადღეზე მიაღწია ბალკანეთის სანაპიროს და დესანტი გადასხა პალესტეში (ახლანდელი ალბანეთის ტერიტორიაზე).

პალესტეს ჩრდილოეთით—ორიკში და სამხრეთით—კორკირაში მდგომმა პომპეუსის ფლოტმა ცეზარის ფლოტი მაშინ შენიშნა, როდესაც იგი უკვე ნაპირს უახლოვდებოდა. ორიკის ფლოტმა მცირერიცხოვანობის (თვრამეტი ხომალდი) გამო ვერ გაბედა ბრძოლაში ჩაბმა, კორკირის ფლოტმა კი, რომელშიც ას ათი ხომალდი იყო, ვერ მოასწრო ზღვაში ისე სწრაფად გასვლა (მეზღვაურების დაქსაქსულობის გამო), რომ ცეზარისათვის ბრძოლა დესანტის გადასხმამდე გაემართა. ყველაფერი ეს კი იმის შედეგი იყო, რომ როგორც თვითონ ცეზარი წერს, იგი „...ხმელეთთან უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე მისი მიახლოების შესახებ ხმა მიაღწევდა“.

ცეზარმა მშვიდად და უმსხვერპლოდ გადასხა დესანტი და ფურიუს კალენუსის სარდლობით ფლოტი ისევ უკან გააბრუნა ბრუნდიზიუმში დარჩენილი ჯარის გადმოსაყვანად. მაგრამ ბრუნდიზიუმში მიმავალ ფლოტს გზაში ბიბულუსის სარდლობის ქვეშ მყოფი პომპეუსის ფლოტი წამოეწია. ოცდაათი ხომალდი ხელთ იგდეს. ბიბულუსმა ეს ხომალდი მეზღვაურებთან და პატრონებთან ერთად დაწვა. ასეთი სისასტიკით ბიბულუსი ერთის მხრივ სხვების დაშინებას ფიქრობდა და მეორეს მხრივ ჯავრის ამოყრა სურდა ცეზარზე, რომელმაც იგი გააბიაბრუა და არარაობად აქცია 59 წელს კონსულობის დროს.

საბერძნეთში გადასულმა ცეზარმა ერთხელ კიდევ სცადა საზავო მოლაპარაკების გამართვა. ამ მიზნით პომპეუსთან

გაგზავნილ წერილში ცეზარი სწერდა მას: მათ „დაბოლოს უარი უნდა თქვან თავიანთ სიჯიუტეზე, დაყარონ იარაღი და სამხედრო ძალით მეტად აღარ სცადონ ბედი". ცეზარი პომპეუსს სთავაზობდა დაეყარათ იარაღი სამი დღის განმავლობაში და დაეშალათ ჯარები.

ცეზარის წერილი პომპეუსს მაშინ მიუტანეს, როდესაც ის მაკედონიიდან აპოლონიაში (ადრიატიკის ზღვასთან მდებარე ქალაქი) მიდიოდა. წერილის მიმტანისაგან გაიგო პომპეუსმა ცეზარის ბალკანეთში გადმოსვლა და ძლიერ აფორიაქდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უარი განაცხადა საზავო მოლაპარაკების გამართვაზე და დააჩქარა ზღვისპირა ქალაქების გამაგრება. თავის მხრივ ცეზარმა, რომელსაც არ ჰქონდა იმედი, რომ პომპეუსი ზავზე წავიდოდა, არ დაუცადა პომპეუსის პასუხს და ზღვისპირა ქალაქები ორიკი და აპოლონია აიღო. მაშინ პომპეუსმა მთავარი ძალები დირაქიუმში გადაიყვანა და იქ მდინარე აპსას ნაპირზე დაბანაკდა. აქ მდინარე აპსას მეორე ნაპირზე დასცა ბანაკი ცეზარმაც. ასე აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ ორივე მოწინააღმდეგის მთავარი ძალები.

48 წლის 15 თებერვალს ბრუნდიზიუმში დარჩენილმა ცეზარის ოთხმა ლეგიონმა და ცხენოსანმა არმიამ გაიუს ანტონიუსის და კალენუსის სარდლობით მიაღწიეს ბალკანეთის სანაპიროს და დესანტი გადასხეს ნიმფეის ნავსადგურში, დირაქიუმიდან ჩრდილოეთით სამოცდაათ კილომეტრზე. როდესაც ეს პომპეუსმა შეიტყო, მან გადაწყვიტა ანტონიუსის წინააღმდეგ ჩრდილოეთით წასვლა, რათა მოესპო იქამდე, ვიდრე ისინი ცეზარის ძირითად ძალებს შეუერთდებოდნენ, რომელნიც ამ მიზნით, აგრეთვე ჩრდილოეთით მიდიოდნენ. მაგრამ ცეზარის ჯარები შეაფერხა მდინარე აპსაზე გადასვლამ, პომპეუსის ჯარები კი, რომელთაც არ სჭირდებოდათ მისი გადალახვა, შედარებით დაწინაურდნენ. მათ ანტონიუსის ჯარებთან მიახლოებისას მოხერხებული ადგილი დაიკავეს და ჩასაფრდნენ. მაგრამ ანტონიუსმა ბერძნებისაგან შეიტყო ეს ამბავი და ხიფათისაგან თავის ასაცდენად წინსვლა შეწყვიტა და დადგა ბანაკად მოხერხებულ ადგილზე. პომპეუსი, რომელსაც ანტონიუსზე უეცარი თავდასხმის ვარაუდი არ გაუმართლდა, თვითონ აღ-

შოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. მას ახლა თვითონ ემუქრებოდა ჩრდილოეთიდან ანტონიუსისა და სამხრეთიდან ცეზარის ჯარების ალყაში მოქცევა. ამ საფრთხისაგან თავის დასაღწევად პომპეუსმა შემოვლითი გზით ისევ დირაქიუმისაკენ დაიხია და კვლავ მის ახლოს დაბანაკდა. იქითვე გაემართა ცეზარიც თავისი და ანტონიუსის გაერთიანებული ძალებით და ისევ პომპეუსის ახლოს დასცა ბანაკი.

აქ ცეზარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. პომპეუსის ფლოტი თავს დაესხა ცეზარის ფლოტის მიერ დაკავებულ ორიკისა და ლისას ნავსადგურებს და იქ მდგომი ფლოტის ნაწილი დაწვა და ნაწილი ხელთ იგდო. ფლოტის დაღუპვამ ცეზარი ზღვიდან მოწყვიტა, ხმელეთზედაც პომპეუსის ცხენოსანმა არმიამ გაუძნელა ალაფისა და სურსათის შოვნა. ცეზარის ბანაკში შიმშილი იწყებოდა, პომპეუსი კი კარგად მარაგდებოდა დირაქიუმიდან და ფლოტის დახმარებით თავისუფალი ჰქონდა საზღვაო კომუნიკაციები. ამიტომ რადგან საბერძნეთის შიდა რაიონები და ზღვაზე ბატონობა პომპეუსის ხელში იყო; ისე გამოდიოდა, რომ სადმე წასვლა ცეზარისათვის სახიფათო იყო, მაშინ როდესაც შიმშილის გამო იქ დარჩენაც შეუძლებელი ხდებოდა.

ამ კრიტიკულმა ვითარებამ ცეზარი აიძულა პირდაპირ ფანტასტიკური გეგმები დაესახა: დაეწყო სიმაგრეთა მთელი რკალის აგება ორჯერ უფრო მრავალრიცხოვანი პომპეუსის ჯარების ალყაში მოსაქცევად. მცირე ძალებით გაშლილ ადგილზე დიდი ძალების ალყაში მოქცევა ეწინააღმდეგებოდა სამხედრო სტრატეგიის ყველა ცნობილ კანონს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სამხედრო დიდებით ზეცამდე აზიდული პომპეუსის ნამდვილი ფასი კარგად იცოდა ცეზარმა და ამიტომ მისცა თავს რისკის უფლება. პომპეუსის ბანაკი ერთი მხრიდან ზღვას ეკვროდა. ცეზარმა ხმელეთზე სამი მხრიდან შემორკალა იგი ოცდაოთხი კილომეტრის სიგრძის ღრმა თხრილითა და მიწაყრილით.

პომპეუსმა არათუ გამოიყენა თავისი რიცხობრივი უპირატესობა, ფლოტი და ცეზარის ბანაკში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და შეეცადა გადამწყვეტ ბრძოლაში დაემარცხებინა

მტერი; პირიქით, თავი დააშინებინა ცეზარს და ალყაში მოქცევისა და საალყო სიმაგრეების აგების შესაძლებლობაც მისცა. უფრო მეტი, პომპეუსმა თვითონაც შემოარტყა თავის ბანაკს ოცი კილომეტრის სიგრძის ღრმა არხი მიწაყრილით — ცეზარის მხრიდან ბანაკზე უეცარი იერიშისაგან თავდასაცავად.

რადგან პომპეუსთან გარედან მისულ დამხმარე ძალებს შეეძლოთ თვით ცეზარის ალყაში მოქცევა, მან თავის ბანაკს შემოავლო გარეთ მიქცეული (ცირკუმვალაციური) თხრილი, რომ საჭიროებისას თავდაცვის საშუალება ჰქონოდა. ცეზარმა მიმართულება შეუცვალა ყველა ნაკადულსა და წყაროს, რომელიც მთებიდან პომპეუსის ბანაკისაკენ მიედინებოდა, რათა პომპეუსისათვის სასმელი წყლის მიღების შესაძლებლობა მოესპო. ერთი სიტყვით, ორივე მოწინააღმდეგე ღრმა თხრილებსა და სიმაგრეებში ჩაჯდა, თითქოს არასოდეს არ აპირებდნენ ბრძოლის დაწყებას. აპიანე წერს: „ამგვარი მოქცევით ორივემ აზრი დაუკარგა მათ მიერ მოფიქრებულ საქმეს".

მაგრამ თვითონ ცეზარისათვის ეს უაზრობა არ იყო. პომპეუსის ალყაში მოქცევა ჰკეტავდა მის ცხენოსან არმიას, რაც თვითონ ცეზარს გზებს უხსნიდა ხმელეთიდან მომარაგებისათვის. ამასთან, ალყაში პომპეუსის მოქცევის თვით ფაქტი და აგრეთვე ის, რომ იგი უფრო მრავალრიცხოვანი და კარგად მომარაგებული ძალებით ვერ ბედავდა ცეზარის წინააღმდეგ გენერალური ბრძოლის დაწყებას, არყევდა პომპეუსის ავტორიტეტს. ბანაკშიც მდგომარეობა გართულდა. ახლა სასმელი წყლის მისაღებად ან ღრმა არტეზიული ჭები უნდა გაეთხარათ, რაც დიდ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული, ან დირაქიუმიდან მოეტანათ იგი საზღვაო გზით. გამწვევი პირუტყვი და ცხენები საკვების უქონლობით ეხოცებოდათ. ამას ზედ ემატებოდა ოთხი თვის ალყაში ყოფნით გამოწვეული არმიის დემორალიზაცია. მიუხედავად ამისა, დირაქიუმთან ცეზარის მდგომარეობა უფრო მძიმე იყო, ვიდრე პომპეუსის. წინა წლის პური მოსახლეობას არ გააჩნდა, ახალს კი ჯერ კიდევ ვერ მოესწრო დამწიფება, ამიტომ შიმშილი დიდად აწუხებდა ცეზარის ჯარისკაცებს. „მათ, — წერს ცეზარი, — იპოვეს რაღაც განსაკუთრებული ფესვები, რომელსაც „ხარა" ეწოდებოდა

და რძეში შერევით შიმშილს იმსუბუქებდნენ. ეს ფესვები მათ ბევრი ჰქონდათ და მისგან რაღაც პურის მაგვარს აცხობდნენ“.

აპიანეს გადმოცემით, როდესაც ეს „პურები“ პომპეუსს მიუტანეს, იგი თურმე შეძრწუნდა და თქვა: აი, როგორ მხეცებს ვებრძვით ჩვენო. პლუტარქეს ცნობით კი, ცეზარის ჯარისკაცები ამ „პურებს“ პომპეუსის ბანაკში ისროდნენ ყვირილით: სანამ დედამიწას ასეთი ფესვების აღმოცენება შეუძლია, ჩვენ პომპეუსს ალყას არ მოვხსნითო.მაგრამ როდემდე შეიძლებოდა ალყაში ჯდომა? ზავის დადებით ალყიდან გამოსვლა მას არ უნდოდა, რადგან ეს საფუძველს მისცემდა რომაელებს ეფიქრათ, რომ იტალიიდან თავისი ნებით გაქცეული პომპეუსი რომში დაბრუნებას მხოლოდ საზავო პირობებით ეღირსაო. მას შეეძლო ზღვით გასულიყო ალყიდან, მაგრამ ამაზეც უარი თქვა, რადგან მაშინ მეორედ უნდა გაქცეოდა ცეზარს. სხვა გამოსავალი აღარ იყო: პომპეუსს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა შეეთავაზებინა ცეზარისათვის.

ამ მიზნით 48 წ. 26 მაისს მან განკარგულება გასცა, მოემზადებინათ ფიჩხი და სხვა მასალა ცეზარის თხრილების ამოსავსებად. ღამით ეს მასალა ნავებსა და ხომალდებზე გადაიტანა. გაიყვანა ექვსი ლეგიონი და გათენებისას ზღვის მხრიდან მოულოდნელად დაესხა თავს ცეზარის ბანაკს. ეს იყო მთავარსარდლის სამყოფიდან ყველაზე დაშორებული ბანაკის ნაწილი, სუსტი და ნაწილობრივ დაუმთავრებელი შიდა სიმაგრეებით, რომელსაც ცეზარის მეამბოხე მეცხრე ლეგიონი იცავდა. სწორედ აქედან დაიწყო ცეზარის ბანაკზე შეტევა პომპეუსმა. მეცხრე ლეგიონი უკუაქცია და დიდად დაზარალდა იგი. მალე ბრძოლის ველზე გაჩნდნენ ცეზარი და მარკუს ანტონიუსიც, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყვეს. ცეზარი, წერს პლუტარქე, „ყოველნაირად ცდილობდა ლტოლვილნი უკან გაებრუნებინა, მაგრამ ვერაფერი გაარიგა. იგი მივარდებოდა ხოლმე დროშებს, ცდილობდა ხელი ეტაცნა მათთვის, მაგრამ მედროშენი მათ ძირს ჰყრიდნენ, რის გამოც ოცდათორმეტი დროშა მტერმა ჩაიგდო ხელში. აი, ამ ბრძოლაში ცეზარი კინაღამ თვითონვე არ გამოესალმა სიცოცხლეს. ერთ წარმოსა-

დეგსა და ღონიერ მეომარს, რომელიც უკან მორბოდა, ცეზარმა ხელი სტაცა, უბრძანა, შეჩერებულიყო და მტერს ჰკვეთებოდა. შიშისგან საშინლად აღელვებულმა მეომარმა ხმალი შემართა და ის იყო უნდა დაეკრა მისთვის, რომ ცეზარის პირადმა მცველმა დაასწრო მას და მხარი ჩამოკვეთა."

ამ საშინელ მდგომარეობაშიო, წერს ცეზარი, როდესაც შეიძლებოდა მთელი ჯარი განადგურებულიყო, ჩვენ იმან გვიხსნა, რომ პომპეუსს თვითონ შეეშინდა ალყისა და მისმა ცხენოსანმა ჯარმაც შეანელა ჩვენი დევნაო.

ამ ბრძოლაში ცეზარს დაუკარგავს ცხრაას სამოცი ქვეითი, ორასი ცხენოსანი, ოცდათორმეტი სამხედრო ტრიბუნი და ცენტურიონი. „მაშ ასე, — წერს ცეზარი მესამე პირით, — ცეზარის ყველა წინა ჩანაფიქრმა მარცხი განიცადა და მან გადაწყვიტა შეეცვალა ომის მთელი გეგმა. ამიტომ გამოიყვანა ჯარი ყველა გამაგრებული ადგილიდან, მოხსნა ალყა, თავი მოუყარა ერთ ადგილზე სამხედრო ძალებს და შეკრებაზე გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს..."

თავის სიტყვაში ცეზარმა ჩამოთვალა ყველა გამარჯვება გალიაში, ესპანეთში, იტალიაში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, თუ რა მძიმე პირობებში და როგორი სიმამაცით გადმოლახეს მათ მტრის ცხვირწინ ადრიატიკის ზღვა და დაბანაკდნენ მის ჯერდით ბალკანეთში; როგორ წაართვეს მტერს მთელი რიგი ნავსადგურები, ქალაქები, ოლქები და როგორ ჰყავდათ მტერი მცირე ძალებით ალყაში მომწყვდეული. მაგრამ, ამბობდა ცეზარი, ან ჩვენმა საკუთარმა დაბნეულობამ, ან რაიმე შეცდომამ, ანდა შეიძლება თვით ბედმა გამოგვგლიჯა ხელიდან უკვე მოპოვებული გამარჯვება. ამიტომ უნდა შევეცადოთ გადატანილი დანაკლისი ავინაზღაუროთ ჩვენივე მამაცობით.

ცეზარმა დირაქიუმთან მოშალა ბანაკი და აპოლონიასთან გადასვლა გადაწყვიტა. როგორც კი დაღამდა, დაჭრილები, მთელი ქონება და ტრანსპორტი ერთი ლეგიონის ბადრაგით გაუყენა გზას. ისინი არსად არ უნდა გაჩერებულიყვნენ, ვიდრე დანიშნულ ადგილს არ მიაღწევდნენ. ამის შემდეგ მან სხვა ჯარებიც გაგზავნა იმავე მიმართულებით და ბოლოს იქ დარჩენილი ორი ლეგიონით თვითონაც დატოვა ბანაკი.

აპოლონიაში, რომელიც ცეზარმა ბაზად გაიხადა, მან დაურიგა ხელფასი ჯარისკაცებს, დატოვა დაჭრილები, შემდეგ ჩააყენა გარნიზონები როგორც აპოლონიაში, ისე ორიკში და ლისაში და თვითონ ძირითადი ძალებით ბალკანეთის სიღრმეში შეჭრა გადაწყვიტა. ზღვის სანაპიროდან მოწყვეტით მას უნდოდა პომპეუსისათვის წაერთმია საბრძოლო ოპერაციებში ფლოტის გამოყენების შესაძლებლობა, რაც დირაჭიუმის ბრძოლაში ჰქონდა. ამასთან, საბერძნეთის სიღრმეში გადასვლით ცეზარს უნდოდა გაეუმჯობესებინა თავისი არმიის მომარაგების პირობები და დაეკავებინა ბრძოლისათვის უკეთესი სტრატეგიული ადგილი. ასეთ ადგილად მან მიიჩნია თესალიის ქალაქ ფარსალის მიდამოები, სადაც დაბანაკდა კიდეც მდინარე ენიპეუსის მარცხენა ნაპირზე.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მშვიდობიან პირობებში არ მომხდარა. პომპეუსმა, როგორც კი ცეზარის მიერ ბანაკის დატოვება შეიტყო, თავისი ჯარის ნაწილი დირაჭიუმში და კუნძულ კორკირაზე დატოვა კატონის სარდლობით, თვითონ კი ძირითადი ძალებით ცეზარის დევნას შეუდგა. მან წინ გაგზავნა ცხენოსანი არმია, რომელსაც ცეზარის არიერგარდის ბრძოლაში გამოწვევით უნდა შეეფერებინა ჯარების მსვლელობა, რათა შესაძლებლობა მისცემოდა ძირითადი ძალებით წამოსწეოდა მათ, მაგრამ მდინარე გენუსუსთან არიერგარდში მიმავალმა ცეზარის ცხენოსანმა არმიამ წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის ცხენოსნები. ოთხი დღე სდია პომპეუსმა ცეზარს, მაგრამ ვერ მოახერხა წამოსწეოდა და თავისთვის ხელსაყრელ პირობებში ჩაეთრია იგი ბრძოლაში. მეხუთე დღეს დევნა შეწყვიტა და როგორც ცეზარი წერს, „გადაწყვიტა შეეცვალა თავისი ოპერატიული გეგმა“.

აპიანეს გადმოცემით, ცეზარის მიერ ბანაკის დატოვების დღესვე პომპეუსმა მოიწვია სამხედრო საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე აფრანიუსმა, რომელიც ერთ დროს ცეზარმა ესპანეთიდან გამოაძევა, წამოაყენა წინადადება, რომ პომპეუსს თავი გაენებებინა ცეზარის წინააღმდეგ ბალკანეთში ბრძოლისათვის და გადასულიყო იტალიაში, შემდეგ კი დაეპყრო გალია და ესპანეთიც. აფრანიუსის აზრით, პომპეუსს ამ გეგმის განხორ-

ციელების სრული შესაძლებლობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მას შეეძლო ზღვაზე დაუბრკოლებლად გადასვლა იტალიაში, მეორეც, არც იტალიაში და არც გალიასა და ესპანეთში ცეზარს ისეთი ძალები არ ჰყავდა, რომ პომპეუსს ისინი ადვილად არ დაეძლია.

„მაგრამ, — წერს აპიანე, — ეს რჩევა, რომელიც მისთვის ყველაზე საუკეთესო იქნებოდა, პომპეუსმა უყურადღებოდ დატოვა და იმათ დაუჯერა, რომელნიც ამბობდნენ, რომ ცეზარის დამშეული ჯარი დაუყოვნებლივ მათ მხარეზე გადავიდოდა, ანდა, რომ დირაქიუმთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მათ, საერთოდ, ცოტაღა დარჩათ გასაკეთებელი“.

მართლაცდა, პომპეუსსა და მის გენერალიტეტს საბოლოო გამარჯვებამდე იმდენად ცოტა მანძილი ეგონათ დარჩენილი, რომ როგორც ცეზარი წერს, ისინი „...ფიქრობდნენ არა იმაზე, თუ რა საშუალებით მიეღწიათ გამარჯვებისათვის, არამედ იმაზე, თუ რა სარგებლობა უნდა მოეტანა მათთვის ამ გამარჯვებას“. ამით აიხსნებოდა, რომ ზოგი მათგანი ფიქრობდა პატივსა და ჯილდოებზე, ზოგი გამდიდრებაზე, ზოგიც თავის დამარცხებული მტრების დევნაზე და ა. შ.

უფრო კურიოზული ის იყო, რომ პომპეუსის გენერალიტეტში სიაც კი შეადგინეს, თუ ვინ და როდის უნდა ყოფილიყო გაყვანილი კონსულის, პრეტორის და სხვა უმაღლეს თანამდებობებზე. პლუტარქეს გადმოცემით, ისინი ვისაც კონსულის, პრეტორისა და სხვა მაღალ თანამდებობათა დაკავების იმედი ჰქონდა, წინასწარ გზავნიდნენ კაცებს რომში მათი მომავალი თანამდებობისათვის შესაფერი ბინის დასაქირავებლად. მძაფრი დავა იყო გაჩაღებული უმაღლეს ქურუმის თანამდებობაზე, რომელიც 63 წლიდან ცეზარს ეჭირა. ამგვარი განწყობილება პომპეუსის არმიაში უკვე შეიცავდა დამარცხების იმ თესლს, რომელიც უბედურების ხედ ამოიზარდა სულ ცოტა ხნის შემდეგ ფარსალის ბრძოლაში. დამღუპველი განწყობილების შექმნაში მცირე როლს არ თამაშობდა თვით პომპეუსის ქედმაღლობა და ყოყოჩობა, რაც მას სიფხიზლესა და შექმნილ ვითარებაში გარკვევის უნარს აკარგვინებდა.

სულ სხვაგვარი განწყობილება სუფევდა ცეზარის ბანაკში. იქ არავინ ფიქრობდა, რომ მათ გამარჯვება უკვე ხონჩაზე ედოთ. პირიქით, ცეზარი თავის ჯარისკაცებს არწმუნებდა, რომ მძიმე ბრძოლები მოელოდათ და რომ თვით მათზე იყო დამოკიდებული ბალკანეთის მიწაში დაიდებდნენ საბოლოო ბინას თუ გამარჯვებულნი დაბრუნდებოდნენ რომში. ცეზარი განუწყვეტლივ ზრუნავდა მათი საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებაზე.

მალე ფარსალთან თავისი ჯარებით მოვიდა პომპეუსიც და მდინარე ენიპეუსის მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა. მათ შორის მანძილი, აპიანეს გადმოცემით, ოცდაათ სტადიუმს (ხუთნახევარ კმ.) უდრიდა. პომპეუსის ქვეთი არმია ერთნახევარჯერ მაინც აღემატებოდა ცეზარის ქვეით არმიას, ხოლო ცხენოსანი არმია კი შვიდჯერ. ასეთი რიცხობრივი სიჭარბე, აგრეთვე ის გარემოება, რომ ცეზარის ჯარისკაცები დასუსტებული იყვნენ შიმშილით, მოღლილნი ბანაკების ხშირი გადატან-გადმოტანით, შეწუხებულნი დევნით და ერთგვარად დემორალიზებულნი დირაქიუმში განცდილი მარცხით, — პომპეუსის გენერალიტეტის ფიქრით ამ არმიის გარდუვალი დამარცხების აუცილებელი ნიშნები იყო. თვითონ პომპეუსი არ ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გამარჯვების იმედი არ ჰქონდა. იგი ცდილობდა ეს გამარჯვება რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად მოეპოვებინა. „პომპეუსმა, — წერს აპიანე, — გადაწყვიტა ყოველნაირად გაეჭიანურებინა ომი და ცეზარის ჯარი შიმშილით დაუძლურებამდე მიეყვანა". პომპეუსიო, — წერს პლუტარქე, — „...ცდილობდა ისედაც შეფერთხილი მტრის ძალები დაყოვნების საშუალებით მოექანცა და დაესუსტებინა". მაგრამ პომპეუსთან თავმოყრილი სენატორები, ლეგატები და ქვესტორები, ყოფილი კონსულები და ტრიბუნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეები და მეფისწულები, რომელნიც მოიღალნენ ომით და ეჩქარებოდათ სახლებში დაბრუნება, პომპეუსს სთხოვდნენ, რაც შეიძლება მალე გაემართა გადამწყვეტი ბრძოლა ცეზარისათვის. რადგან გამარჯვება უზრუნველყოფილიაო, ამბობდნენ ისინი, მსხვერპლის გაღებაც გამართლებულია და ომის გაჭიანურება

უაზრო ხდებაო. ამასთან, ისინი პომპეუსს აღიზიანებდნენ, რომ ცეზარს თავი გამომწვევად უჭირავს და თვითონ ჩქარობს ბრძოლის დაწყებასო. ამაზე პომპეუსი, წერს აპიანე, მათ მიუთითებდა, რომ „ცეზარი თავისი გამოუვალი მდგომარეობის გამო საჭიროებს ბრძოლას, მათთვის კი სწორედ ამიტომ არის საჭირო სიმშვიდის შენარჩუნება“.

ბოლოს პომპეუსი იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე და მიეღო გადაწყვეტილება მეორე დღეს ცეზართან გენერალური ბრძოლის დაწყების შესახებ. ამგვარადო, დაასკვნის აპიანე, პომპეუსი „...თავისი სურვილის წინააღმდეგ გადაიხარა ბრძოლისაკენ თავის თავისა და იმათ საუბედუროდ, ვინც მას აქეთ უბიძგებდა“.

ბრძოლის დაწყების წინ ჯარისკაცებისადმი მიმართულ სიტყვაში პომპეუსი ამბობდა: მე არ ვფიქრობდი ბრძოლის დაწყებას, მინდოდა მეტად გამომეფიტა ცეზარი, მაგრამ თქვენ ბრძოლისაკენ მომიხმეთ. ამიტომ იყავით მედგარნი, თადარიგიანნი და ბრძოლაში მტერს ისე მოეპყარით, როგორც ეპყრობიან მრაველრიცხოვანნი მცირერიცხოვანთ; უცქირეთ მათ სიძულვილით, როგორ უცქერიან გამარჯვებულები დამარცხებულებს, ახალგაზრდები — მოხუცებულებს; გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისა და სამშობლოსათვის ერთი კაცის წინააღმდეგ, რომელსაც უნდა თვითონ მიითვისოს უმაღლესი ძალაუფლება.

თავისი არმია პომპეუსმა შემდეგნაირად დააწყო: მარცხენა ფლანგზე, სადაც ორი ლეგიონი იყო, თვითონ პომპეუსი სარდლობდა. ცენტრში იდგა სირიიდან ჩამოყვანილი ორი ლეგიონი სციპიონის (პომპეუსის ახალი სიმამრის) სარდლობით. მარჯვენა ფლანგზე — კილიკიიდან მოყვანილი ლეგიონი და ესპანეთიდან ჩამოყვანილი კოჰორტები აფრანიუსის სარდლობით. დანარჩენი ქვეითი ჯარი განლაგებული იყო ცენტრსა და ფლანგებს შუა, გარდა შვიდი კოჰორტისა, რომელიც დატოვებული იყო ბანაკის დასაცავად. იმის გამო, რომ მარჯვენა ფლანგი დაცული იყო მდინარით, პომპეუსს მთელი ცხენოსანი არმია გადაყვანილი ჰყავდა მარცხენა ფლანგზე.

ცეზარს მარცხენა ფლანგზე ორი (მეცხრე და მერვე) ლეგი-

ონი ედგა მარკუს ანტონიუსის სარდლობით, მარჯვენა ფლანგზე განლაგებული იყო ყველაზე ძლიერი მეათე ლეგიონი, პუბლიუს სულას სარდლობით. დანარჩენი ლეგიონები ცენტრში იდგნენ დომიციუსის სარდლობით. ცხენოსანთა არმია მარჯვენა ფლანგს ამაგრებდა.

ცეზარი შიშობდა, რომ პომპეუსის მარცხენა ფლანგზე მდგომ ცხენოსან არმიას ზურგიდან არ მოევლო მისი მარჯვენა ფლანგისათვის. ამიტომ ქვეითი ჯარის რამდენიმე კოჰორტა მან ცხენოსანი არმიის უკან ჩააყენა. მათი ამოცანა იყო, დახმარებოდნენ ცეზარის ცხენოსნებს პომპეუსის ცხენოსანი ჯარის უკუქცევაში.

ბრძოლის დაწყების წინ ცეზარის ერთი ყოფილი ცენტურიონი გაიუს კრასტინიუსი, რომელიც ახლა ვეტერან-მოხალისედ იყო მოსული, გამოეყო მწყობრს და შესძახა: „გამომყევით მე, ჩემო ძველო მანიპულის ამხანაგებო, ემსახურეთ ჩვენს იმპერატორს, როგორც ყოველთვის ემსახურებოდით. დარჩა მხოლოდ ეს ერთი ბრძოლა, რის შემდეგაც ის დაიბრუნებს თავის მდგომარეობას და ჩვენ კი — თავისუფლებას. შემდეგ შეხედა ცეზარს და თქვა: ვეცდები დღეს, იმპერატორო, თქვენი მადლობა ცოცხალმა ან მკვდარმა დავიმსახუროო“. ამ სიტყვებით იგი პირველი გაექანა წინ მარჯვენა ფლანგიდან და მას მიჰყვა დაახლოებით ასოც კაცამდე რჩეული მოხალისე, შემდეგ კი დანარჩენი ჯარიც. ასე დაიწყო ფარსალის ბრძოლა 48 წლის 29 ივნისს.

საბრძოლველად დაწყობილ მოწინააღმდეგეებს საკმაო მანძილი აშორებდა ერთმანეთისაგან. ერთი გადარბენის შემდეგ, შუა ადგილზე, ცეზარის ჯარები შეჩერდნენ ხანმოკლე (წუთიერი) შესვენებისათვის, პომპეუსის ჯარები კი ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ ცეზარის ჯარები მეორე გადარბენაზე მიუახლოვდნენ გარინდებით მდგომ პომპეუსის ჯარებს, ჯერ შუბები სტყორცნეს და შემდეგ კი შიშველი მახვილებით გადაეშვნენ ხელჩართულ ბრძოლაში. ამის შემდეგ პომპეუსის ჯარისკაცებმაც გამოიღეს ხელი და ჯერ შუბების ტყორცნით და შემდეგ მახვილებით ჩაებნენ ბრძოლაში.

იმავე დროს პომპეუსის მარცხენა ფლანგზე შეტევაზე გა-

დავიდა მთელი მისი ცხენოსანი არმია, უკან დააბრუნა ცეზარის მცირერიცხოვან ცხენოსნებს და დაიწყო ცეზარის მარჯვენა ფლანგის ზურგიდან შემოვლა. ამ დროს, როგორც ეს ნაკარაუდევი ჰქონდა ცეზარს, ბრძოლაში ჩაებნენ მათ წინააღმდეგ გამოყოფილი კოჰორტები. მოულოდნელ და მძაფრ დარტყმას პომპეუსის ცხენოსნებმა ვერ გაუძლეს და უწესრიგოდ გაიქცნენ უკან. მაშინ ამ კოჰორტებმა იერიში მიიტანეს პომპეუსის მეშურდულეებსა და მსროლელებზე, რომელნიც ცხენოსნებს ახლდნენ და ახლა ცხენოსნების გაქცევის გამო დაუცველნი დარჩნენ, შემუსრეს ისინი და პომპეუსის მარცხენა ფლანგის ზურგიდან შემოვლა დაიწყეს. ამ დროს ცეზარის განკარგულებით ბრძოლაში ჩაება მესამე ხაზი და ფრონტიდან დაარტყა პომპეუსის მარცხენა ფლანგს. ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო კოჰორტების ორმხრივ დარტყმას და უწესრიგოდ დაიწყო გაქცევა. ამ გარემოებამ პანიკა შექმნა პომპეუსის ჯარების ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე. მათ დაიწყეს ფრონტის მოშლა და უწესრიგოდ უკანდახევა.

ამავითარ პომპეუსი უფრო ადრე გაიქცა ფრონტიდან. ამის შესახებ პლუტარქე წერს: როგორც კი „პომპეუსმა თავისი უკუქცეული მხედრები დაინახა, სულ სხვა კაცად იქცა. აღარ ახსოვდა, რომ ის პომპეუს დიდი იყო! ღვთის მიერ გონებაწართმეული კაცივით, თითქოს ზეცით მოვლენილი მარცხით ზარდაცემული პომპეუსი დუმილით წავიდა თავის კარავში, დაჯდა იქ და თავჩაქინდრულმა მომავალს დაუწყო ლოდინი. ასე იჯდა, სანამ ჯარის საყოველთაო უკუქცევის შემდეგ მტრებმა მიწაყრილები არ გადმოლახეს და ბანაკის მცველებს არ შეებნენ. მაშინ პომპეუსი თითქოს გონს მოვიდა და როგორც ამბობენ, მხოლოდ ესღა წამოიძახა: „ნუთუ ბანაკშიც?!“.

მიუხედავად ძლიერი დაღლილობისა, დიდი სიცხის და შუადღემდე გაგრძელებული ბრძოლისა, ცეზარმა განაგრძო უკანდახეულთა დევნა. მან ჯარს განკარგულება მისცა დაუყოვნებლივ დაეწყოთ პომპეუსის ბანაკზე იერიში, რათა გამარჯვება სრული ყოფილიყო და, როგორც თვითონ ამბობდა, ხელიდან არ გაეშვათ ბედის მოწყალება. ბანაკს გააფთრებით იცავდა მეშვიდე კოჰორტა, მათ ეხმარებოდნენ ფრონტიდან გაქცეული

ჯარისკაცებიც. მაგრამ დაღლილობის, შიშის, ფრონტზე ომის წაგების, მოდუნების, უპერსპექტივობის გამო მათ აღარ ძალუძდათ დიდი წინააღმდეგობის გაწევა და ბევრი მათგანი ბანაკიდანაც გარბოდა. ცეზარმა მძაფრი იერიში მიიტანა ბანაკის მიწაყრილზე და სატყორცნი იარაღებიდან მძლავრი ბომბარდირებით დამცველები იქიდან გადარეკა და ბანაკში შეიჭრა. თვითონ პომპეუსმა ბანაკი მაშინ დატოვა, როცა იქ ცეზარის მოწინავე ნაწილები შეიჭრენ. პომპეუსმა იმპერატორობის ნიშნები მოიხსნა, ბანაკის უკანა კარებიდან გავიდა და ოთხი მეგობრის თანხლებით ცხენით ლარისაში გაიქცა, სადაც მეორე დღეს დილით მივიდა.

ბანაკში შეჭრილი ცეზარის ჯარისკაცები და თვითონ ცეზარიც გაოცდნენ იმ ფუფუნებით, რომელშიაც პომპეუსის ჯარის მეთაურები ცხოვრობდნენ. მათ იქ, ამბობს პლუტარქე „...მტრის უგუნურება და თავქარიანობა იხილეს. ყოველი კარავი მირტის შტოებითა და ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით იყო შემკობილი, კარვებში დადგმული მაგიდები ნაირ-ნაირი თასებითა და ღვინით სავსე კრატერებით იყო გაწყობილი. ყველა ეს მორთულობა მსხვერპლის შემწირველთ და მოზეიმეთ უფრო შეეფერებოდა, ვიდრე იმ ხალხს, რომელიც ბრძოლაში აპირებდა გასვლას. აი, ასე ფუჭი იმედებით და წინდაუხედავი გულდაჯერებულობით აღსავსენი გამოდიოდნენ პომპეუსელები ომში“.

„ცხადი იყო, — წერს თვითონ ცეზარი, — რომ ადამიანები, რომელნიც ისწრაფოდნენ ზედმეტი სიამოვნებისაკენ, სრულიადაც არ შიშობდნენ ამ დღის ბედზე. და ასეთი ადამიანები აყვედრიდნენ გადაჭარბებულობას ცეზარის ჯარს, რომელთაც ყოველთვის სტანჯავდა პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობა“. ამასთან, პლუტარქეს გადმოცემით, როდესაც პომპეუსის ბანაკში შესულმა ცეზარმა „...მტრის დაზვინული გვამები და მოწინააღმდეგის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ქლეტა დაინახა, ოხვრა-კვნესით წამოიძახა: „აი, რა უნდოდათ ამათ! მათ მაიძულეს, ეს გამეკეთებინა მე, გაიუს ცეზარს, რომელმაც იღბლიანად მოვამთავრე უდიდესი ომები. მე რომ სარდლობა თავიდან მომეხსნა, ალბათ ესენი სიკვდილს მომისჯიდნენო“.

ცეზარმა საკმაო ძალები დატოვა თავისი და პომპეუსის ყოფილი ბანაკების დასაცავად ფარსალში, თვითონ კი ოთხი ლეგიონით ლარისას მიმართულებით უკუქცეულ პომპეუსის ჯარებს გამოეკიდა. ბრძოლის ადგილიდან ექვსი მილის დაშორებით ალყაში მოაქცია ისინი და წინადადება მისცა დანებებოდნენ. პომპეუსის გადაღლილმა, დემორალიზებულმა და დეზორგანიზებულმა მეომრებმა, რომლთაც ალყის გარღვევის იმედი არ ჰქონდათ, მიიღეს ეს წინადადება. ისინი რიგრიგობით გამოდიოდნენ, ცეზარის წინ იარაღს ჰყრიდნენ, მიწას ერთხმოდნენ და შეწყალებას თხოულობდნენ. ცეზარმა მათ წამოდგომა უბრძანა და შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა. ამასთან თავისი ჯარისკაცები გააფრთხილა, აბუჩად არ აეგდოთ დამარცხებულები და მათთვის ნივთები არ წაერთმიათ.

რადგან საშიში იყო, რომ გაქცეულ პომპეუსს თავისი ძველი ავტორიტეტის წყალობით კიდევ არ შეეკრიბა ჯარები აღმოსავლეთის ქვეყნებში, ცეზარმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ განეახლებინა მისი დევნა და თავისი ყოფილი სიძე ცოცხალი ან მკვდარი ხელში ჩაეგდო.

როგორც ვნახეთ, ფარსალიდან პომპეუსი ლარისას მიმართულებით წავიდა. დამარცხების ეს პირველი წუთები ყველაზე მძიმე იყო მთელ მის ცხოვრებაში. პლუტარქეს გადმოცემით, ლარისაში მომავალი პომპეუსი „...ჩაძირული იყო ისეთ ფიქრებში, რომლებშიაც შეიძლებოდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც მიჩვეული იყო მთელი ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში გამარჯვებასა და ყველაფრის დამორჩილებას და ვინც ახლა, სიბერის ჟამს, პირველად იგემა დამარცხებისა და უკუქცევის სიმწარე. პომპეუსი მწუხარებით ეკითხებოდა თავის თავს, თუ ვით დაჰკარგა ასე ერთ წუთში ის სახელი და ძლიერება, რაც ეგზომ მრავალი ბრძოლითა და ომით მოიპოვა; თუ როგორ გახდა ასე უძლური სულ მცირე ხნის წინ დიდძალი ქვეითი ჯარით, მხედრობითა და ფლოტით გარშემოზღუდული კაცი და როგორ მიიპარებოდა ასე დაკნინებული და გაცამტვერებული“.

პომპეუსის ეს ტრაღედია გამონაკლისი არ იყო. ეს მხოლოდ ერთი რგოლი იყო დიდებით ზეცამდე ასული ადამიანე-

ბის მიწაზე დანარცხების უწყვეტი ისტორიული ჯაჭვისა. პომპეუსს თავისი ამ პირადი უბედურების ნიმუშად შეეძლო გაეხსენებინა ჰანიბალი, რომელმაც ზამასთან დამარცხებით უცბად დაკარგა ხმლის წვერით მოპოვებული დიდება და, მასავით აღმოსავლეთში გაქცეულმა, შორეულ ქვეყანაში იპოვა უსახელო სიკვდილი. ამ ჯაჭვზე შემდეგ თავისი ბედი ააგო ნაპოლეონმაც, რამაც მას ათქმევინა რომ: დიდებულიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიაო. ყველა ამ ადამიანთა მარცხის მიზეზი კი თემურ ლენგმა გამოხატა ფრაზაში: დედამიწა პატარაა ორი მეფისთვისო. ეს დედამიწა ასევე პატარა აღმოჩნდა გამეფებისაკენ მლტოლველი ცეზარისა და პომპეუსისათვის.

ლარისაში ჩასულ ცეზარს მოახსენეს, პომპეუსი ამფიპოლისში წავიდაო. ამფიპოლისში უთხრეს, ერთ ღამეს იდგა აქ ღუზაზე და მიტილენში (კ. ქიოსი) წავიდაო. მიტილენში პომპეუსს ცოლი — კორნელია (ტრიუმვირ კრასუსის ყოფილი რძალი) და ვაჟიშვილი ჰყავდა გადახიზნული.

პომპეუსმა ცოლ-შვილი კილიკიაში (მც. აზია) გადაიყვანა და იქ თავის ახლობლებს გაანდო თავისი გეგმა. პომპეუსი ფიქრობდა თავშესაფარი ეთხოვა პართებისათვის და შემდეგ მათი ჯარი გამოეყენებინა ცეზარის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი მცირე აზიაში ჩავიდოდა. მაგრამ მახლობლებმა შიში გამოთქვეს, რომ კრასუსის დამარცხებით გაამაყებული პართები არ დაინდობდნენ დამარცხებულ პომპეუსს და განსაკუთრებით მის ლამაზ ცოლს. მას „...სთხოვეს, წერს აპიანე, არ შეეყვანა აღვირამოუდებელ ბარბაროსთა ქვეყანაში თავისი ულამაზესი ცოლი“. მაშინ პომპეუსმა არჩევანი ნუმიდიის მეფე იუბაზე შეაჩერა, მაგრამ არც ეს მოუწონეს, ცბიერ იუბაზე მინდობაც სახიფათოდ მიიჩნიეს.

ახლა პომპეუსი ეგვიპტეზე შეჩერდა. ეს კი მოუწონეს, წერს აპიანე, რაღგანაც ეგვიპტე მათი აზრით, „...ახლო იყო და წარმოადგენდა ვრცელ სახელმწიფოს, აგრეთვე იმიტომ, რომ იგი ძლიერი იყო ფლოტით და მდიდარი პურით და ფულით. მისი მეფეები კი, თუმცა ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ, მაგრამ თავიანთი მშობლების მხრიდან წარმოადგენდნენ პომპეუ-

სის მეგობრებს". ყველა ამ მოსაზრებამ ხელი შეუწყო პომპეუსს ბიეღო საბედისწერო გადაწყვეტილება და წასულიყო ეგვიპტეში, სადაც ამ დროს დინასტიური ომი მიმდინარეობდა მცირეწლოვან და-ძმას კლეოპატრასა და დიონისეს შორის და სახელმწიფოს კი რეგენტი, საჭურისი პოთინე მართავდა.

როდესაც პომპეუსი ეგვიპტის სანაპიროს მიუახლოვდა, ხომალდი, რომელზედაც მისი ცოლ-შვილი და მახლობელი პირები იყვნენ, ნაპირიდან მოშორებით გააჩერა და მცირეწლოვან მეფე დიონისეს და მის რეგენტ პოთინეს აუწყა თავისი ჩასვლა და თავშესაფარი სთხოვა. ამ საკითხის გადასაწყვეტად პოთინეს მიერ მოწვეულ საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მეფის პირადი მცველი, რაზმის უფროსი აქილა და რიტორიკის მასწავლებელი თეოდიტე ქიოსელი ესწრებოდნენ, სხვადასხვა აზრი გამოითქვა. პლუტარქეს გადმოცემით, ზოგი თანახმა იყო მიეღოთ პომპეუსი, ზოგი წინააღმდეგი. მაშინ სიტყვა წარმოთქვა თეოდოტემ. მან საბჭოს წევრებს განუცხადა: „თქვენ რომ პომპეუსი მიიღოთ — ცეზარს მტრად გაიხდით, პომპეუსში კი სულ მალე თქვენს მბრძანებელ ბატონს დაინახავთ, მაგრამ მისი ახლანდელი თხოვნა რომ უკუაგდოთ, ორივე მხრივ ბრალდებულები აღმოჩნდებით. პომპეუსი თქვენ ხელისკერას დაგაბრალებთ, ცეზარი კი იმას, რომ პომპეუსის დევნის საქმე გაუჭიანურეთ. ამიტომ ყველაფერს აჯობებს, მოვიწვიოთ პომპეუსი და მოვკლათ, ამით ცეზარის გულსაც მოვიგებთ და პომპეუსის შიშიც აღარ გვექნება". და მერე დაუმატა, „მკვდარი არ იკბინებაო".

საბჭომ მიიღო თეოდოტეს წინადადება პომპეუსის მოკვლის შესახებ და მისი სისრულეში მოყვანა აქილას დაავალა. აქილა რამდენიმე მონისა და პომპეუსის ერთი ყოფილი სამხედრო ტრიბუნის (მეკობრეებთან ომის პერიოდში), ვინმე სეპტიმიუსის თანხლებით ნავით გაეშურა პომპეუსის ხომალდისაკენ. აქილა პომპეუსს ბერძნულად მიესალმა და მოისაბაბა, რომ აქ ზღვა თხელია, ხომალდი ნაპირამდე ვერ მივა და ნავით წავიდეთო. სეპტიმიუსი კი პომპეუსს ლათინურ ენაზე მიესალმა და იმპერატორი უწოდა. პომპეუსი გამოეთხოვა ცოლ-შვილს, ნავში ჩაისვა ორი ცენტურიონი, აზატი ფილიპე, ერთი მონა

და ნაპირისაკენ გასწია. ნავის დაძვრისას პირით ცოლ-შვილისაკენ მიქცეულმა პომპეუსმა სოფოკლეს ლექსი წარმოთქვა:

ის ვინც ფეხს შედგამს მეფის კარზე, მეფის მონაა,
თუნდაც მოვიდეს დაბადებით თავისუფალი.

ეს იყოო, ამბობს პლუტარქე, მისი უკანასკნელი სიტყვები თავისიანების მიმართ. პომპეუსს დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული ეგვიპტის გარდაცვლილ მეფე პტოლემაიოსზე (ახლანდელი მეფის მამაზე) და ასეთი ცივი მიღება რაღაც უბედურების მომასწავებლად ეჩვენებოდათ მის მახლობლებს. ისინი ხომალდიდან აღელვებულნი ადევნებდნენ თვალს, თუ სად გაიხსნებოდა კვანძი.

ნავში პომპეუსმა სეპტიმიუსი იცნო და ჰკითხა: „თუ არ ვცდები, შენ ჩემი ყოფილი თანამოლაშქრე უნდა იყო?“. სეპტიმიუსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ ხმა არ გასცა. ნავი მიადგა ნაპირს და, როდესაც პომპეუსმა ფილიპეს ხელი ჩააჭდო წამოსადგომად, ჯერ სეპტიმიუსმა აძგერა მას მახვილი ზურგიდან, მერე კი აქილამ და სხვებმაც იშიშვლეს მახვილები. პომპეუსმა ერთი დაიკვნესა, ტოგა სახეზე აიფარა და წინააღმდეგობის გაუწევლად წაუდო თავი მახვილთა ცემას. ყველაფერი ეს ხომალდიდან ჩანდა. ზარდაცემულმა და შიშნაკარავმა კორნელიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა ღუზა ასწიეს და სწრაფად გაეცალნენ ეგვიპტის ნაპირებს.

პოკლულ პომპეუსს თავი მოჰკვეთეს და ცეზარისათვის გადასაცემად შეინახეს, მისი გაშიშვლებული გვამი კი ნავიდან ნაპირზე გადააგდეს. პლუტარქეს გადმოცემით, როდესაც ცნობისმოყვარეობა ბრბო პომპეუსის გვამის ცქერას დაეხსნა, მისმა აზატმა ფილიპემ დრო იხელთა, გვამი ზღვის წყალში გაბახა, თავისი ტუნიკა გადააცვა. დამტვრეული ნავის ფიცრებით მოფარებულ ადგილზე კოცონი დაანთო, დაწვა და ფერფლი შეაგროვა, რომელიც შემდეგ კორნელიას ჩაუტანეს რომში. როდესაც ცეზარი პომპეუსის მოკვლის საკითხს ეხება, იგი წერს: რომ პომპეუსის მოკვლის მიზეზი იქნებ ის გარემოებაც იყო, რომ „...იგი სძულდათ მისი უბედური მდგომარეობის გამო, რადგან საერთოდ უბედურებაში ადამიანები ადვილად გადაიქცევიან ხოლმე მეგობრებიდან მტრებად“.

ასეთი შედეგებით დამთავრდა ფარსალის ბრძოლა. ცეზარის ცნობით, პომპეუსის მხრიდან მას შეეწირა თხუთმეტი ათასი კაცი ბოკლულთა და ოცდაოთხი ათასი ტყვეთა სახით. მასვე შეეწირა გნეიუს პომპეუსის სიცოცხლეც.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ცეზარის წინააღმდეგ ომებში პომპეუსმა მთელი რიგი უხეში შეცდომები დაუშვა. იგი აქეზებდა სენატს ომი გამოეცხადებინა ცეზარისათვის, მაგრამ თვითონ არ ღებულობდა ქმედით ზომებს იტალიისა და რომის დასაცავად. იტალიის დატოვება არ იყო გამართლებული, მას შეეძლო ბრუნდიზიუმში დარჩენა და ხმელეთიდან ალყის შემთხვევაში, ზღვიდან მომარაგება მანამდე, ვიდრე იტალიაში მისი ესპანური ლეგიონები ჩამოვიდოდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ იტალიიდან გაიქცეოდა, აჯობებდა, გაქცეულიყო ესპანეთში თავის შვიდ ლეგიონთან, ვიდრე ბალკანეთში, სადაც მას არავითარი ორგანიზებული სამხედრო ძალა იმ დროს არ გააჩნდა. გარდა ამისა, როცა ცეზარი ბალკანეთში გადავიდა, პომპეუსს, რომელსაც ძლიერი ფლოტი ჰყავდა, შეეძლო იტალიაში გადასვლა, ადრიატიკის ზღვის ბლოკირება და ცეზარის ბალკანეთში დატოვება, რაც მან არ გააკეთა. მაგრამ პლუტარქეს მიხედვით, მისი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ იგი ბალკანეთში ზღვის სანაპიროს მოწყდა და ცეზარს თავი შეატყუებინა ქვეყნის სილრმეში, სადაც მას აღარ შეეძლო მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში თავისი ფლოტის გამოყენება. თვითონ ცეზარი პომპეუსს სამართლიანად უთვლის შეცდომად იმ გარემოებას, რომ მან საომრად დაწყობილი თავისი ჯარი უძრავად გააჩერა იქამდე, ვიდრე მათ განლაგებამდე შეტევაზე გადასული ცეზარის ჯარები მივიდოდნენ. საბრძოლო აღტყინება, ცეზარის გაგებით, ნელდება არა იმათში, ვინც საშიშროებისაკენ მიისწრაფვის, როგორც ეს პომპეუსს ეგონა, არამედ იმათში, ვინც ამ საშიშროებას პასიურად ელოდებაო.

პომპეუსს შეიძლება სხვა შეცდომებიც მოეძებნოს, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ იგი არ იყო სამხედრო გენია, როგორც მას თანამედროვეთა უმრავლესობა მიიჩნევდა. მაგრამ მაშინაც ზოგიერთებს უფრო სწორი წარმოდგენა ჰქონიათ ამ მხრივ პომპეუსზე. ასე მაგალითად, ჯერ კი-

დევ პომპეუსის დამარცხებამდე, 49 წლის 9 მარტს მარკუს ცეცილიუს რუფუსი წერდა მარკუს ციცერონს: „გინახავს შენ ოდესმე უფრო მეტად უვარგისი ადამიანი, ვიდრე შენი გნეიუს პომპეუსია?“. მისი სხვა თანამედროვე ლუკულუსი კი შენიშნავდა, რომ პომპეუსი ვით ზარმაცი ფრინველი ეცემა ხოლმე სხვის ლეშს და ომის ნარჩენებით იკვებებაო. ასე მოიქცა იგი, როცა თავის თავს მიაწერა სერტორიუსსა, ლეპიდუსსა და სპარტაკზე გამარჯვებები, მაშინ როდესაც ეს გამარჯვებები კრასუსს, მეტელუსსა და კატულუსს ეკუთვნოდა.

ახალ დროში ყველაზე მეტად მომზენმა ჩამოხადა დიდების საბურველი პომპეუსს. 1854 — 1856 წლებში გამოსულ თავისი „რომის ისტორიის“ მესამე ტომში იგი პომპეუსზე წერდა: „ბუნებამ კარგ ვახმისტრად (ზემდეგად) გააჩინა, მდგომარეობამ კი მთავარსარდლად და სახელმწიფო მოღვაწედ გადააქციაო“. კ. მარქსი 1861 წ. ენგელსს წერდა: „პომპეუსი ნამდვილი თხლეა; მან დაუმსახურებლად გაითქვა სახელი იმის გამო, რომ მიითვისა ლუკულუსის წარმატებები (მითრიდატეს წინააღმდეგ), მერე სერტორიუსის წარმატებები (ესპანეთში), და ა. შ. ...როგორც გენერალი, იგი რომაელი ოდილონ ბაროა, როგორც კი მოუხდა ცეზარის წინააღმდეგ თავისი უნარის გამოჩენა, გამოაშკარავდა მისი არარაობა. ცეზარი უდიდეს სამხედრო შეცდომებს სჩადიოდა, განზრახ ბრიყვულს, რათა დავთარი აერია მის პირისპირ მდგომი ფილისტერისათვის. ყოველი ჩვეულებრივი რომაელი გენერალი, რომელიმე კრასუსი, ექვსჯერ გაანადგურებდა ცეზარს ეპირში წარმოებულ ბრძოლებში. მაგრამ პომპეუსთან ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა“.

მართლაცდა, როგორც ნაპოლეონ პირველი აღნიშნავდა, ცეზარიც მსხვილ სამხედრო შეცდომებს უშვებდა, რომელთაგან, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბალკანეთში სახმელეთო გზით გადასვლის მაგიერ (ილირიასა და ეპირზე გადავლით) საზღვაო დესანტის გადასხმა და დირაქიუმში პომპეუსისათვის ალყის შემორტყმა, რასაც სამართლიანად მოჰყვა მოსალოდნელი მარცხი.

სამხედრო თვალსაზრისით, ცეზარ-პომპეუსის ომებმა სა-

მაოდ შეამცირა რომის სამხედრო პოტენციალი. ცეზარის შიში, რომ რომის ორი არმიიდან ერთ-ერთი დაიღუპებოდა, ფაქტი გახდა: პომპეუსის არმია განადგურდა.

მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ამ ომებს თავისი პოლიტიკური შედეგით ჰქონდათ რომის სახელმწიფოს მომავლისათვის. ჯერ კიდევ ფარსალის ბრძოლამდე, 49 წლის თებერვალში, პომპეუსსა და ცეზარზე ციცერონი სწერდა ატიკუსს: „არც ერთ მათგანს ჩვენი ბედნიერება მიზნად არა აქვს დასახული. ორივეს მეფობა უნდაო". მაგრამ მეფობისაკენ ცეზარი, როგორც ნ. ა. მაშკინი წერს, მიისწრაფოდა „... არა იმიტომ რომ უყვარდა მონარქია, როგორც ასეთი, როგორც ამას კარკოპინო ფიქრობს, არამედ იმიტომ, რომ ასე ესმოდა იმ მონათმფლობელთა ჯგუფის ინტერესი, რომელსაც ის ეყრდნობოდა".

ფარსალის ბრძოლამ, სადაც მონარქიზმის აქტიურმა კანდიდატმა (ცეზარი) მონარქიზმის მეოცნებე კანდიდატზე (პომპეუსი) გაიმარჯვა, დააჩქარა რომის რესპუბლიკის იმპერიაში გადასვლა და ამით დასაბამი მისცა ახალ ხანას რომის ისტორიაში.

ცეზარი და ალექსანდრიის ომი

პომპეუსის მოკვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ცეზარი ორი ლეგიონით, რვაასი ცხენოსნით და ასზე მეტი ხომალდით ალექსანდრიაში ჩავიდა. პლუტარქეს ცნობით, „...მას თეოდოტემ პომპეუსის თავი მიართვა, მაგრამ ცეზარმა პირი მიიბრუნა და როცა დამარცხებული ვაჟკაცის ბეჭედი ხელში აიღო, თვალებზე ცრემლი მოადგა".

პომპეუსის დაღუპვით, ცეზარმა მთავარი მოწინააღმდეგე ჩამოიშორა გზიდან. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ომი საბოლოოდ დამთავრებული იყო და სენატის რესპუბლიკური ოპოზიცია გატეხილი. ზღვაზე ბატონობა ისევ პომპეუსელთა ხელში იყო და აფრიკაშიც მათი საკმაო ძალები იყო თავმოყრილი. მაგრამ ომის საბოლოოდ ცეზარის სასარგებლოდ დამთავრება ახლა უკვე ეპვს აღარ იწვევდა. ამიტომ ცეზარმა გადაწყვიტა

ერთ ხანს ეგვიპტეში დარჩენა და ამ ქვეყნის აწეწილ საქმეთა რომის ინტერესების სასარგებლოდ მოგვარება.

საქმის ვითარება კი ასეთი იყო: 51 წელს გარდაიცვალა ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს ავლეტი, რომლის ოთხი შვილიდან უფროსი კლეოპატრა — თექვსმეტი, დიონისე კი ათი წლისანი იყვნენ. პტოლემაიოსმა ანდერძი დატოვა, რომ და-ძმა (კლეოპატრა და დიონისე) ერთმანეთს შეუღლებოდნენ და თანაბარი უფლებით ემართათ სამეფო. მაგრამ მცირეწლოვან დიონისეს რეგენტმა, საჭურისმა პოთინემ, კლეოპატრა ეგვიპტიდან სირიაში გააძევა. მაშინ კლეოპატრამ დაიწყო ძალების შეგროვება, რომ ეგვიპტეში შეჭრილიყო და თავისი უფლებები აღედგინა. ამის გამო პოთინემ და დიონისემ ეგვიპტის არმია ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვარზე, პელუზიუმში დააყენეს კლეოპატრას მხრივ მოსალოდნელი აგრესიის დროს წინააღმდეგობის გასაწევად.

ეგვიპტეში ჩასული ცეზარი ალექსანდრიაში მეფეთა სასახლეში დაბინავდა და გადაწყვიტა კლეოპატრას დიონისესთან შერიგებით დინასტიური კონფლიქტი რომის ეგიდის ქვეშ მოეგვარებინა. ამ მიზნით ცეზარმა ორივეს წინადადება მისცა შეეწყვიტათ ომი და გამოცხადებულიყვნენ მასთან სამართლის საძიებლად. დიონისე სასახლეში იყო და კლეოპატრაც უნდა მოსულიყო იქ.

თავის მეგობართაგან, — წერს პლუტარქე, — „კლეოპატრამ მხოლოდ ერთი, აპოლოდორე სიცილიელი წამოიყვანა თან, ჩაჯდა პატარა ნავში და უკვე საღამო ჟამს სასახლეს მოადგა. რაკი სხვაგვარად არ შეეძლო შეუმჩნეველი ყოფილიყო, საძინებელ ტომარაში ჩაძვრა და შიგ მთელი ტანით გაიჭიმა. აპოლოდორემ ტომარა ღვედით შეკრა და იგი სასახლის კარებიდან პირდაპირ ცეზართან შეიტანა. ამბობენ, რომ ცეზარი კლეოპატრას ამ პირველმა ხერხმა მოხიბლა უკვეო. მერე კი, მისი სიმკვირცხლით, ქცევითა და სიკოხტავით მთლად დატყვევებულმა ცეზარმა კლეოპატრა ძმასთან შეარიგა, იმ პირობით, რომ ძმის გვერდით კლეოპატრასაც ემეფნა".

ეგვიპტე ამ დროს მჭიდროდ დასახლებული, ეკონომიურად საკმაოდ მძლავრი ქვეყანა იყო. ალექსანდრია მარტო თა-

ვისუფალ მოსახლეობას სამასი ათას სულამდე ითვლიდა. ვაჭრობითა და ხელოსნური ნაწარმით, თუ წინ არ იყო, არ ჩამოუვარდებოდა რომს. ამასთან ეგვიპტელ ბერძნებს საკმაოდ ძალიან ნაციონალური თვითშეგნება ჰქონდათ. ისინი ვერ იტანდნენ რომაელთა ჩარევას თავიანთ საშინაო საქმეებში და საკუთარი მეფეების სათამაშო ფიგურებად გადაქცევას რომაელ კონსულთა ხელში. ამიტომ ცეზარის ჩარევამ დინასტიურ დავაში, აგრეთვე ეგვიპტისათვის ათი მილიონი დინარის დაკისრებამ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ეგვიპტელებში და ხელი შეუწყო ანტირომაული შეთქმულების მოწყობას.

ამ შეთქმულებას სათავეში დიონისეს რეგენტი პოთინე ედგა. პოთინემ პომპეუსის ერთ-ერთი მკვლელი და მეფის ამალის მცველი -- აქილა დანიშნა ეგვიპტის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. აქილა პელუზიუმში მდგომი არმიით მოულოდნელად უნდა დასხმოდა ცეზარს ალექსანდრიაში და გაენადგურებინა იგი. ამ მიზნით, აქილას არმია ალექსანდრიაში იმ დროს შეიჭრა, როცა ცეზარი სასახლეში კლეოპატრასა და დიონისეს დავას არჩევდა, მათი მამის პტოლემაიოს ავლეტის ანდერძის საფუძველზე. თვით ამ ანდერძით, ამგვარ დავაში არბიტრის უფლება რომის სახელმწიფოს ჰქონდა მინდობილი.

ცეზარმა შეწყვიტა საქმის გარჩევა და თავის ჯარებს სასახლისა და მისი უბნის დაცვა უბრძანა. მეფე დიონისე ცეზარმა თავისთან დატოვა და აიძულა იგი აქილასთან კაცები გაეგზავნა, რომ მას საომარი მოქმედება არ დაეწყო. მაგრამ აქილამ არც მოუსმინა, ისე დახოცა ისინი. მისმა ჯარებმა მთელი ალექსანდრია დაიკავეს იმ უბნის გარდა, სადაც ცეზარი იყო თავის ჯარით. მალე აქილამ ამ უბანზეც მიიტანა იერიში. მაგრამ ცეზარის სამი ათას ორასი ლეგიონერი და რვაასი ცხენოსანი დიდი სიმამაცით უმკლავდებოდნენ აქილას ოცი ათას ჯარისკაცს. ერთდროულად ბრძოლა დაიწყო ალექსანდრიის ნავსადგურშიც. ეგვიპტელები ცდილობდნენ იქ მდგომი რომაული ფლოტი გაენადგურებინათ, რომ შეუძლებელი გაეხადათ ცეზარისათვის გარედან სურსათისა და დამხმარე ძალების მიღება, რომ ქალაქის ერთ უბანში მომწყვდეული ცეზარი ან პირის-

პირ ბრძოლაში დაეპარკხებინათ, ან შიმშილით სული ამოეხადათ და ან კიდევ ამ უბნისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და გადაეწვათ.

ცეზარი უდიდეს საფრთხეში აღმოჩნდა. ისე ჩანდა, თითქოს პომპეუსის ბედი მასაც უახლოვდებოდა და თავი ეგვიპტის პირწაში უნდა ჩაედო. მაგრამ, ცეზარი პომპეუსი არ იყო და მან ეს საფრთხე წარმოუდგენელი სისწრაფითა და სიმამაცით დაძლია. პირველ რიგში თავისი ფლოტით იერიში მიიტანა ეგვიპტის ფლოტზე და შეძლო მისი დაწვა. (პლუტარქეს ცნობით, ნავსადგურში გაჩენილი ხანძარი ქალაქშიც შეიპრა და შთანთქა ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი.) შემდეგ დაიკავა კუნძული ფაროსი და მისი შუქურა. ეს კუნძული მდებარეობდა ალექსანდრიის ნავსადგურის წინ და ხმელეთთან ცხრაასი ნაბიჯის ჯებირით იყო შეერთებული. მისი დაპყრობით ცეზარმა ხელში ჩაიგდო ნავსადგურის შესაყალგამოსავალი და თავის ფლოტს ყოველი მიმართულებით გაუხსნა კომუნიკაციები ზღვაზე. ფაროსის დაუფლების შემდეგ ცეზარმა სასწრაფოდ აფრინა კაცები მახლობელ, რომის ხელქვეით ჰყვეყნებში დამხმარე ძალებისა და სურსათის სასწრაფოდ მიწოდებისათვის. ქალაქში ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღეს და ვერც ერთი მხარე ჩახერგილ ჭუჩაში წინ ვერ წიდიოდა.

პოთინე, რომელიც სასახლეში იყო ბრძოლის დასაწყისში და მეფე დიონისესთან ერთად მძევლად ჰყავდა აყვანილი ცეზარს, ახლა სიკვდილით დასაჯეს. საბაბად გამოიყენეს საიდუმლო წერილები, რომლებშიც იგი მოუწოდებდა აქილას, არ შეეწყვიტა დაწყებული ბრძოლა. იმავე ხანებში კლეოპატრას უცროს დას, არსინოას, და აქილას შორის უმაღლესი ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო. არსინოამ მოაკვლევინა აქილა და მთავარსარდლობა თავის გამზრდელ საჭურისს, განიმედს, მიანდო.

განიმედმა ჩაკეტა მდინარე ნილოსის ის მიწისქვეშა არხები, რომელნიც ცეზარის მიერ დაკავებულ უბანზე გადიოდა და შემდეგ ამ არხებში ზღვის წყლის გადაქაჩვა დაიწყო. ალექსანდრიაში ხალხი ამ არხებიდან ამოღებულ წყალს ხმარობდა.

ცეზარის ჯარისკაცებმა შეამჩნიეს არხებში წყლის შეცვლა და, როდესაც მიზეზი შეიტყვეს, ისინი შიშმა აიტანა, რომ სასმელი წყლის შეწყვეტით დაღუპვა ელოდათ. ბევრი ჯარისკაცი გემებზე გადასვლას და გაქცევას მოითხოვდა. მაგრამ ეს ვარიანტი უარყო ცეზარმა. მისი აზრით, როგორც კი რომაელები გემებზე გადასვლისათვის ქალაქის გამაგრებულ უბანს დატოვებდნენ, განიმედი აიძულებდა მათ ბრძოლა მიეღოთ და ადვილად დაამარცხებდა მათ რიცხობრივი უპირატესობის გამო. ამასთან, გაქცევა არა მარტო შეურყევდათ ავტორიტეტს გალიისა და ბრიტანეთის დამპყრობლებსა და პომპეუსის დამამარცხებლებს, არამედ გაამხნევებდა აღმოსავლეთის ხალხებსაც რომაელთა წინააღმდეგ საერთო გამოსვლისათვის.

ჯარისკაცთა საერთო კრებაზე ცეზარმა განაცხადა, რომ საქმე არც ისე უიმედოა, როგორც ზოგს ეჩვენებათ. ყველა ზღვის სანაპიროს ბუნებრივად აქვს სასმელი წყლის ძარღვები და ჩვენ იქიდან შეგვიძლია წყლის მიღება, თუ ღრმა ჭებს გავთხრით. მართლაც, ამ გზით წყლის მიღება ცეზარის ჯარისკაცებმა მხოლოდ ერთი დღისა და ერთი ღამის მუშაობით მოაგვარეს.

ამ ომის დროს ცეზარი მრავალ ხიფათს გადარჩა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი ზღვაში ჩახტა, რათა თავიდან აეცდინა ტყვედ ჩავარდნა. ამ დროს წყალს ზემოთ აშველილ მარცხენა ხელში რაღაც დოკუმენტები ეჭირა და ცდილობდა არ დაესველებინა, კბილებით კი თავის ტოგას მიათრევდა. ასე გასცურა ორასი ფუტი და მახლობელ ხომალდზე ავიდა.

ალექსანდრიელები, როგორც ამას „ალექსანდრიის ომის" უცნობი ავტორი წერს, დარწმუნდნენ, რომ: „წარმატება რომაელებს ძალას აძლევს, ხოლო წარუმატებლობა გმირობას". ამიტომ, მოტყუებით სცადეს მტრის დამარცხება. ერთ დღეს მათ ცეზარს შეუთვალეს: თავი მოგვაბეზრა არსინოას მეფობამ და განიმედის ტირანიამ. გადავწყვიტეთ დაგმორჩილდეთ, მაგრამ ამაზე თქვენთან მყოფი ჩვენი მეფის, დიონისეს, თანხმობა გვინდა და გთხოვთ, მოლაპარაკებისათვის იგი ჩვენთან გამოუშვათო.

როდესაც ცეზარმა დიონისე გაათავისუფლა, დამორჩილების მაგიერ ბრძოლამ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ამ დროს მცირე აზიაში გაგზავნილ მითრიდატე პერგამელს საკმაო მაშველი ძალებისათვის მოეყარა თავი და სახმელეთო გზით ეგვიპტეში მოჰყავდა ცეზარის დასახმარებლად.

დიონისემ ჯარები ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ წაიყვანა, რათა მითრიდატე პერგამელი ცეზართან შეერთებამდე დაემარცხებინა. მაგრამ ცეზარმა დაასწრო და მითრიდატეს ჯარებს შეუერთდა. შემდეგ კი ამ გაერთიანებული ძალებით დაამარცხა ეგვიპტის ჯარები. ბრძოლის დროს დამარცხებული მეფე დიონისე კი, რომელიც ალექსანდრიაში გაქცევას ცდილობდა, მდინარე ნილოსში დაიხრჩო.

ცეზარი ცხენოსანი არმიით დაუყოვნებლივ ალექსანდრიაში გაემართა და ვიდრე ეგვიპტელთა იქ დარჩენილი ჯარები წაგებული ომის პანიკით იყვნენ მოცულნი, მოულოდნელად დაესხა მათ თავს და აიძულა იარაღი დაეყარათ. ასე დამთავრდა ალექსანდრიის ომი.

ომის დამთავრების შემდეგ ცეზარი ეგვიპტის შინა საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. ახლა დიონისე დაღუპული იყო. არსინოას პრეტენზიები რომაელთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობის გამო, რაც მისი გარდაცვლილი მამის ანდერძსაც ეწინააღმდეგებოდა, მოხსნილი იყო. ამიტომ ცეზარმა ორი დანარჩენი პრეტენდენტი — კლეოპატრა და მისი პატარა ძმა, პტოლემაიოს უმცროსი, მეფეებად გამოაცხადა. მაგრამ პტოლემაიოსი სრულიად ბავშვი იყო, რის გამოც მთელი ძალაუფლება ფაქტიურად კლეოპატრას ხელში აღმოჩნდა.

ცეზარმა ეგვიპტეში დატოვა მთელი თავისი ჯარი გარდა მეექვსე ლეგიონისა, რომ შეიარაღებული ძალით დაეცვათ კლეოპატრას პრორომაული ხელისუფლება და შეეცვალა იგი, თუ ეს ხელისუფლება ანტირომაულ ხასიათს მიიღებდა. თვითონ ცეზარი მეექვსე ლეგიონის თანხლებით სირიაში წავიდა. კლეოპატრას კი მისგან მალე ბავშვი შეეძინა, რომელსაც პლუტარქეს ცნობით: „...ალექსანდრიელებმა ცეზარიონი დაარქვეს“.

ცეზარის ბრძოლა მითრიდატეს შვილის ფარნაკეს წინააღმდეგ

სირიაში ჩასულმა ცეზარმა შეიტყო, რომ რომში მარკეს ანტონიუსი, რომელიც მან იტალიის საქმეთა გამგებლად დატოვა, თავს ვერ ართმევდა საქმეებს. რესპუბლიკური ოპოზიცია ძლიერდებოდა და მოვლენები ცეზარისათვის არახელსაყრელ ხასიათს იღებდნენ. საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად საქმეთა მოგვარება და დროზე დაბრუნება რომში. სირიის მმართველად მან თავისი ნათესავი, სექსტიუს ცეზარი დანიშნა. ჯილდოები დაურიგა იმ სირიელებს, რომელთაც მას დახმარება აღმოუჩინეს. მოაგვარა სასაზღვრო კონფლიქტები და სირიიდან კილიკიის ქალაქ ტარსში გადავიდა, საიდანაც შემდეგ კაპადოკიაში ჩავიდა. კაპადოკიის მეფე არიობარზანი ცეზარმა შეაქო რომაული ორიენტაციისათვის და მის ძმას არიარატს მცირე სომხეთის ნაწილი უწყალობა. კაპადოკიის უმაღლესი ჭურუმის თანამდებობა კი, რომელიც ამ ქვეყანაში თავისი უფლებით და გავლენით მეფის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა, ცეზარმა ძველი სამეფო დინასტიის წარმომადგენელს — ლიკომედეს უბოძა.

კაპადოკიაში ყოფნის დროს, პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარმა „... შეატყო, რომ მითრიდატეს შვილს, ფარნაკეს, დაემარცხებინა დომიციუსი, რომელიც მცირერიცხოვანი ამალით პონტოდან გაქცეულიყო". „თავისი წარმატებებით გატაცებულმა... ფარნაკემ, — წერს ალექსანდრიის ომის ავტორი, — დაიპყრო პონტო. იქ იგი ისე იქცეოდა, როგორც გამარჯვებული და სასტიკი ტირანი". ამიანეს გადმოცემით, „უაღრესად გაამაყებულმა ფარნაკემ პონტოში ქ. ამისოს მცხოვრებნი, რომელნიც რომაელებს თანაუგრძნობდნენ, მონებად გადააქცია; ხოლო მათი შვილები კი დაასაშურისა".

ცხადია, ცეზარს არ შეეძლო მოეთმინა დიდი მითრიდატეს პატარა ნაშიერის ასეთი გაძლიერება და თავგასულობა. ეს ამბები რომ გაუგია, ცეზარს თურმე უთქვამს: ნუთუ ეს მაძის მკვლელი დაუყოვნებლივ არ დაისჯებაო?

ცეზარი ფიქრობდა, რომ ფარნაკესთან საქმე სამხედრო

შეტაკების გარეშე არ მოგვარდებოდა. რომის ამ ახალ მბრძანებელს აზიაში თავისი კანონი მოჰქონდა: ან ომი, ან კაპიტულაცია. ამ საკითხში მან გამონაკლისი დიდ პომპეუსსაც კი არ გაუკეთა და არ შეეძლო იგი დაერღვია ფარნაკეს მიმართ. მით უმეტეს ახლა, როცა ამ პრინციპით მოაწყო მან რომის მთელი სახელმწიფო ბრიტანეთიდან სირიამდე. ფარნაკეს ელჩებს მან განუცხადა: უდიდესი და უმძიმესი ძალადობა პონტოში მოვაჭრე რომის მოქალაქეებზე მას არ შეუძლია დაიეიწყოს, მაკრამ აპატიებს ამას ფარნაკეს, ვინაიდან იგი სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს მოკლულებს და გამრავლების უნარს დასაჭურისებულებს. ეს სასჯელი კი რომაელი მოქალაქეებისათვის სიკვდილზე უფრო მძიმე იყო. სამაგიეროდ, ფარნაკემ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს პონტო, გაუშვას გამომსყიდველთა მსახურნი და დაუბრუნოს რომის მოკავშირეებსა და მოქალაქეებს ყველაფერი ის, რაც ჯერ კიდევ მის ხელთ არისო".

მაგრამ ფარნაკემ იცოდა, რომ ცეზარს რომში დაბრუნება ეჩქარებოდა. „...ამიტომ მან დაიწყო ნელა მოქმედება, წამოიწყო ახალი მოლაპარაკება და საერთოდ ცდილობდა მოეტყუებინა ცეზარი. მაგრამ ცეზარი მიუხვდა, რომ იგი ეშმაკობდა.. "

ამიტომ მან თავისი არმია დაძრა პონტოს ქალაქ ზელას მიმართულებით და მოულოდნელად დაიკავა ის მაღლობი, რომელიც ფარნაკეს ბანაკიდან ერთი მილის სიგანის ველით იყო დაცილებული.

განთიადზე ფარნაკემ ცეზარი შენიშნა და ბანაკის წინ საომრად დააწყო მთელი თავისი არმია. ცეზარს ეგონა, რომ ფარნაკე ამას მხოლოდ სამხედრო დემონსტრაციის მიზნით აკეთებსო, რადგანაც რომაელებს იმდენად მოხერხებული მაღლობი ეკავათ ბრძოლისათვის, რომ არც ერთ ჭკუათმყოფელ მოწინააღმდეგეს არ შეეძლო მათ წინააღმდეგ იქ, იერიშზე გადასულიყო. ცეზარის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შენიშნა, რომ ფარნაკეს ჯარები თავიანთი ბანაკის მაღლობიდან ველზე ჩასვლის შემდეგ შეუდგნენ იმ მაღლობზე ასვლას, სადაც ცეზარის ჯარები იდგნენ და იერიშზე დაიწყეს გადასვლა.

მოულოდნელობამ ერთგვარი პანიკა და არევ-დარევა შე-

ტანა ცეზარის ჯარებში, მაგრამ დაბნეულობა ძალზე ხანმოკლე იყო და პანიკაც კვამლივით გაქრა.

ბრძოლის ველის ცეზარისათვის სასარგებლო ტოპოგრაფიამ და მისი ჯარების, კერძოდ მეექვსე ლეგიონის, სიმამაცემ და გამოცდილებამ მალე თავისი გაიტანეს. „ალექსანდრიის ომის“ უცნობი ავტორი, რომელიც თვითონ უნდა ყოფილიყო ამ ბრძოლების მონაწილე, წერს: „როდესაც გაჩაღდა დიდი და სასტიკი ხელჩართული ბრძოლა, მარჯვენა ფლანგზე, რომელზედაც ვეტერანთა მეექვსე ლეგიონი იყო, დაიბადა გამარჯვების დასაწყისი. სწორედ აქედან დაიწყეს ციცაბო ფერდობზე მტრის უკუქცევა, შემდეგ უფრო გვიან, მაგრამ იმავე ღმერთების დახმარებით, მეფის მთელი არმია მარცხენა ფლანგზე და ცენტრში სრულიად განადგურებული იქნა. რამდენადაც ადვილად მოვიდნენ ისინი მათთვის მოუხერხებელ ადგილას, იმდენადვე სწრაფად იქნენ იქიდან გადმოყრილნი“.

ფარნაკეს ჯარისკაცთა ერთმა ნაწილმა იარაღი დაყარა და ისე გარბოდა თავისი ბანაკისაკენ მოპირდაპირე გორაკზე. მათ ცეზარის ლეგიონერები გამოეკიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მტერი მაღლობზე იყო, ცეზარმა სწრაფად აიღო ბანაკი. ფარნაკემ კი რამდენიმე ცხენოსნის თანხლებით გაქცევით უშველა თავს.

ამგვარად, როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, ცეზარმა, პონტოში მისვლიდან ხუთი დღის, ხოლო ფარნაკეს ჯარების გამოჩენიდან რაღაც ოთხი საათის შემდეგ, 47 წლის 2 აგვისტოს დაამარცხა გოროზი ფარნაკე. პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარმა ამ გამარჯვების ამბავი თავის მეგობარს, ამანციუსს, რომში მხოლოდ სამი სიტყვით მისწერა. ლათინურად ამ ზმნებს ერთნაირი ბოლოკიდური აქვთ და ფრიად დამაჯერებელი სისხარტით გამოითქმიან: veni, vidi, vici. — „მოველ, ვნახე, დავამარცხე“.

ევროპასა და აფრიკაში მრავალ ბრძოლაში გამარჯვებული ცეზარი გახარებული იყო, რომ აზიაშიც რომის ძალაუფლების გასამტკიცებლად მან ასე იოლად და სწრაფად მოიგო ეს ომი.

მეორე დღეს ცეზარმა მეექვსე ლეგიონი იტალიაში გაგ-

ზავნა — ჯილდოების მისაღებად, ორი ლეგიონი პონტოს დასაცავად დატოვა; თვითონ კი ჯერ ბითვინიაში და შემდეგ პროვინცია აზიაში გადავიდა, გაარკვია სადავო საკითხები და განსაზღვრა მეფეთა, ტეტრარქთა და ქალაქთა უფლებები.

მითრიდატე პერგამელი, რომელმაც მას დიდი დახმარება გაუწია ეგვიპტეში, ცეზარმა ფარნაკეს მაგიერ ბოსფორის მეფედ დანიშნა. მოათავა რა სასწრაფოდ აზიის მმართველობის გადაუდებელი საკითხები, ცეზარი დაუყოვნებლივ გაეშურა რომისკენ. სადაც დიდი და ფრიად სახიფათო საკითხები უნდა გადაეჭრა.

ცეზარის ბრძოლები აფრიკაში

47 წლის შემოდგომაზე აზიიდან დაბრუნებული ცეზარი რომში დიდხანს არ გაჩერებულა. საქმე ის იყო, რომ ფარსალთან, ესპანეთში, სიცილიაში, სარდინიაში და თვით იტალიაში დამარცხებული პომპეუსის არმიის ნაშთებმა და რესპუბლიკური ოპოზიციის ლიდერებმა თავი მოიყარეს აფრიკის რომის პროვინციაში, რომ კვლავ აღემართათ ბარიკადები რესპუბლიკის დასაცავად.

ამ მიზნით, აფრიკაში ჩავიდა რესპუბლიკელთა ოპოზიციის ღერძი, მარკუს კატონი, პომპეუსის სიმამრი სციპიონი, ცეზარის ყოფილი ლეგატი, ლაბიენუსი, კატილინას დამამარცხებელი პეტრეიუსი, პომპეუსის ორივე უფროსი შვილი — გნეუსი და სექსტუსი და სხვ. მათ იქ მიიმხრეს ნუმიდიის მეფე იუბა და თავი მოუყარეს ქვეითი არმიის თოთხმეტ ლეგიონს, დიდძალ დამხმარე ძალებს, რამდენიმე ათას ცხენოსანს, ას ოც სპილოს და ორმოცდათხუთმეტ ხომალდს. აპიანეს ცნობით, სციპიონის და იუბას გაერთიანებული არმია ოთხმოცი ათასი კაცისაგან შედგებოდა და მეტი იყო იმ ძალებზე, რომელიც პომპეუსს ცეზარის წინააღმდეგ ჰყავდა ფარსალის ბრძოლაში. ამ ძალების სათავეში, კატონის მხარდაჭერით, დააყენეს სციპიონი, რომელიც პომპეუსთან ერთად სარდლობდა ფარსალთან სენატის არმიას.

ცეზარი, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა მის წინააღმდეგ აფრიკაში აგორებულ ამ ახალ სამხედრო ტალღას. 46 წლის იანვრის დასაწყისში მან აფრიკაში გადაიყვანა სამი ათასი ქვეითი და ექვსასი მხედარი და ახალი ძალების მიღებამდე ცდილობდა ბრძოლაში არ ჩაბმულიყო. მაგრამ ერთ დღეს, ლაბიენუსი მოულოდნელად დაესხა თავს ცეზარის ჯარებს და, როგორც „აფრიკის ომის“ უცნობი ავტორი გადმოგვცემს, „ერთ წამში ცეზარის მთელი ქვეითი არმია ალყაში მოაქცია მტრის ცხენოსანმა არმიამ“. ცეზარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ სწრაფად ნახა გამოსავალი — თავისი არმია სწრაფად გადაიყვანა კარეზე (ირგვლივ თავდაცვაზე). ლაბიენუსს ეგონა, რომ მისი ყოფილი მთავარსარდალი, ხაფანგიდან ვერც კარეთი დააღწევდა თავს და აქ ჩაესვენებოდა მისი დიდების მზე, მაგრამ ცეზარის ჯარმა შუაზე გაწყვიტა ლაბიენუსის რკალი და ხელჩართული ბრძოლითა და სატყორცნი იარაღების გამოყენებით აიძულა იგი უკან დაეხია და შემდეგ გაქცეულიყო კიდეც ბრძოლის ველიდან.

ასეთი ხიფათით და წვალებით ცდილობდა ცეზარი გაეძლო ახალი ძალების მიღებამდე. მაგრამ მასთან მომავალი დამხმარე ძალები ზოგჯერ თვითონაც ვარდებოდნენ ხიფათში. ასე მაგალითად, სიცილიიდან წამოსული ერთი ხომალდი ქარიშხალმა და ღელვამ შეიტანა თაფსუსის ნავსადგურში, რომელიც მარკუს სციპიონს ეჭირა. მოწინააღმდეგის ფლოტმა გემზე მყოფი ჯარისკაცები დაატყვევეს და სციპიონს მიჰგვარეს, „როდესაც ისინი, — წერს „აფრიკის ომის“ ავტორი, — სციპიონთან მივიდნენ და მისი ტრიბუნალის წინაშე დადგნენ, სციპიონმა უთხრა მათ: მე კარგად ვიცი, რომ თქვენ თანამოქალაქეებსა და ჰეშმარიტ პატრიოტებს ნებით კი არ სდევნით ასე ულმერთოთ, არამედ იმიტომ, რომ ამას გაიძულებთ თავისი დანაშაულით ცნობილი თქვენი სარდალი. რადგან ბედმა ჩვენს ხელში ჩაგაგდოთ, თუ თქვენ რესპუბლიკას და ჰეშმარიტ პატრიოტებს დაიცავთ, ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებაა — გაჩუქოთ სიცოცხლე და დაგაჯილდოვოთ ფულით. ახლა თქვით, რას ფიქრობთ?“.

სციპიონს ეგონა, რომ სიკვდილის წინაშე შიშის გამო, ცეზარის ჯარისკაცები არა მხოლოდ სიამოვნებით დათანხმდებოდნენ ამ წინადადებაზე, არამედ მადლობასაც ეტყოდნენ. მაგრამ ისინი გაუღუნავი მუხის ჯიშისანი აღმოჩნდნენ. სიტყვა ითხოვა მეთოთხმეტე ლეგიონის ცენტურიონმა და თქვა: „შენი დიდი მოწყალებისათვის, სციპიონ (იმპერატორს მე შენ არ გიწოდებ), მე მადლობელი ვარ, რადგან შენ მე, სამხედრო ტყვეს, სიცოცხლესა და შებრალებას მპირდები; მე შეიძლება კიდეც მესარგებლა ამ შენი მოწყალებით, რომ მასთან უდიდესი დანაშაული არ იყოს დაკავშირებული. მე ხომ უნდა იარაღი აღვმართო ჩემი იმპერატორის — ცეზარის წინააღმდეგ, რომელთანაც ცენტურიის მეთაურად ვიყავი, და აგრეთვე მისი არმიის წინააღმდეგ, რომლის დიდებისა და გამარჯვებისათვის მე მრავალი წლის მანძილზე ვიბრძოდი? მე არა მაქვს ამის გაკეთების განზრახვა, და შენც ძალიან გთხოვ. თავი გაანებო ამ ოინებს. თუ წინათ არ გამოგიცდია ვის ებრძოდი, შეგიძლია გაიგო ახლა. აირჩიე შენი ჯარიდან ერთი კოჰორტა, რომელსაც ყველაზე მამაცურად მიიჩნევ და დააყენე ჩემს წინააღმდეგ. მე კი ჩემი ამხანაგებიდან, რომელნიც ახლა თქვენს ხელში არიან, გამოვიყვან არა უმეტეს ათი კაცისა. მაშინ ჩვენი გმირობა გაჩვენებს, თუ რას შეიძლება მოელოდე შენ შენი ჯარისაგან.

ამ სიტყვებმა სციპიონი ძალზე განარისხა და მისი ბრძანებით, ეს გმირი ცენტურიონი იქვე, მის ფეხებთან, განგმირეს; ხოლო ცეზარის დანარჩენი ლეგიონერები კი სიკვდილით დასჯეს ბანაკის მიწაყრილს უკან.

აღსანიშნავია, რომ რომაელ სარდლებს შორის იშვიათად თუ სარგებლობდა ვინმე ისეთი გავლენით, პატივითა და მორიდებით, ან იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა დამსახურებული თავის ჯარისკაცებში ისეთი ერთგულება, როგორც ცეზარს. ამიტომ ღალატი მის არმიაში შედარებით იშვიათად ხდებოდა. თვითონ ცეზარიც დიდად ზრუნავდა ჯარისკაცებზე და მათ მეტად უბრალოდ, მაგრამ სამართლიანი სისასტიკით ექცეოდა.

ცეზარი გადამწყვეტ შეტაკებაში სციპიონს 46 წლის 6 იანვარს შეხვდა ქალაქ თაფსუსთან.

იმ დღეს ცეზარი არ ფიქრობდა ბრძოლის დაწყებას. მაგრამ როდესაც ცეზარის ჯარები სციპიონის ჯარებს დაუახლოვდნენ, მისმა ლეგიონერებმა მარჯვენა ფლანგზე, აიძულეს მენაღარეები და მებუკეები მთავარსარდლის ბრძანების გარეშე მიეცათ იერიშზე გადასვლის ნიშანი. საქმე ის იყო, რომ ლეგიონერები მოიღალნენ სამ კონტინენტზე წარმოებულ გაჭიანურებულ სამოქალაქო ომებში და ახლა უნდოდათ, რაც შეიძლება ჩქარა ყოფილიყო სიკვდილი ან გამარჯვება.

ცეზარი დარწმუნდა, რომ მათი შეკავება არა მარტო შეუძლებელი იყო, არამედ საზიანოც, ვინაიდან ეს იქნებოდა ბუნებრივად წარმოქმნილ საბრძოლო აღტყინების ჩაქრობა, რასაც შეეძლო დეზორგანიზაცია შეეტანა არმიაში. ცეზარი მიჰყვა მოვლენათა განვითარების ბუნებრივ მსვლელობას და თვითონ პირველი გავიდა წინა ხაზზე. დაიწყო ცეზარის მეორე დიდი ბრძოლა აფრიკის კონტინენტზე.

მარჯვენა ფლანგზე ლეგიონერებმა, ისრებისა და შუბების ტყორცნით, იერიში მიიტანეს სციპიონისა და იუბას სპილოებზე. ისინი ისეთივე თავგამოდებით იბრძოდნენ ძველი ქვეყნების ამ ცოცხალი „ტანკების“ წინააღმდეგ, როგორც სამასი წლის წინათ ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცები ებრძოდნენ მათ ინდოეთში. ცეზარმა წინასწარ გააცნო თავის ჯარისკაცებს სპილოებთან ბრძოლის წესები, მიაჩვია ისინი მათ ღრიალს, სუნს და ასწავლა, თუ რა ადგილებში უნდა დაემიზნებინათ ისარი ან შუბი ამ მეომარი მხეცებისათვის.

სპილო საშიში იყო არა მხოლოდ როგორც მეომარი ცხოველი, რომელსაც ფრონტის გარღვევისათვის იყენებდნენ, ბის ზურგზე დადგმულ ხის კიდობანში ეტეოდა ჯარისკაცთა მთელი ათეული, რომლებიც კედლებში გამოჭრილი ხვრელებიდან ისრებსა და შუბებს უშენდნენ მტერს, თვითონ სპილოები კი ეშვებითა და ხორთუმებით ჰყლეტდნენ და ფლეთდნენ ჯარისკაცებს.

სპილოებთან ცეზარის ჯარისკაცების ბრძოლაზე „აფრიკის ომის“ უცნობი ავტორი წერს: „მე მგონია, რომ აქ არ შეიძლება დუმილით გვერდი ავუხვიოთ მეხუთე ლეგიონის ერთი ვეტერანის სიმამაცეს... მარცხენა ფლანგზე დაჭრილი სპილო

ძლიერი ტკივილისაგან ეძგერა აღალის ერთ უიარაღო მსახურს, მოიგდო იგი ფეხებქვეშ, შემდეგ მუხლიკვრით შედგა ზედ და სასიკვდილოდ გაჭლიტა. ამასთან, საშინელი ღრიალით ასწია თავისი ხორთუმი და დაიწყო მისი აქეთ-იქით ტრიალი. ჩვენმა ჯარისკაცმა ვერ მოითმინა და იარაღით ხელში ეცა მხეცს. როდესაც სპილომ შენიშნა, რომ მას იარაღით ესხმიან თავს, მიატოვა მკვდარი, შემოახვია ჯარისკაცს ხორთუმი და მაღლა აიტაცა. ჯარისკაცი მიხვდა, რაც მოელოდა, მოიქნია ხმალი და მთელი ძალით დაუწყო ხორთუმს ცემა. ტკივილისაგან გამწარებულმა სპილომ ბოლოს ჯარისკაცი დააგდო, საშინელი ღრიალით მიბრუნდა უკან და გაიქცა დანარჩენი ცხოველებისაკენ".

როგორც იყო, ცეზარის ჯარისკაცებმა დაამარცხეს სპილოები. მალე ცეზარის ჯარების მიწოლით ბრძოლის ველიდან გაიქცნენ მავრიტანელი ცხენოსნები და ქვეითი არმია. ცეზარმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მათ, დაედევნა და იმავე დღეს მოწინააღმდეგის სამივე (სციპიონის, იუბას და აფრანიუსის) ბანაკი აიღო. პლუტარქეს ცნობით, ბრძოლის ველზე დარჩა ორმოცდაათი ათასი მკვდარი, ხოლო „აფრიკის ომის" უცნობი ავტორის ცნობით, რაც ჰეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს, ათი ათასი კაცი.

სციპიონი ესპანეთში გაიქცა, მაგრამ გზაში იგი ცეზარის ფლოტმა აიძულა საზღვაო ბრძოლა მიეღო, რომლის დროსაც მან თავი მოიკლა, მუცელში დაირტყა მახვილი და ზღვაში გადავარდა. ცეზარის ლეგატმა სიტიუსმა კი აფრანიუსი და ფაუსტუს სულა (დიქტატორის შვილი, პომპეუსის სიძე) ცოლითა და შვილებით ტყვედ ჩაიგდო. რამდენიმე დღის შემდეგ ჯარისკაცებმა აფრანიუსი და სულა სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ამ უკანასკნელის ცოლს, პომპეიას და მის შვილებს ცეზარმა სიცოცხლე და ქონება შეუნარჩუნა. მეფე იუბა (პეტრეიუსთან ერთად) თავის ქალაქ ზამაში გაიქცა, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა დამარცხებული მეფე შიგ არ შეუშვეს. მაშინ იუბამ ერთ-ერთ თავის მამულს შეაფარა თავი. ტყვედ ჩავარდნას მან სიკვდილი არჩია და მასთან მყოფ პეტრეიუსს წინადადება მისცა, ერთმანეთი დავხოცოთო. სადილის შემდეგ გამართულ ორთა ბრძოლაში პეტრეიუსმა მოკლა იუბა და შემ-

დეგ პეტრეიუსიც, თვით მისივე ბრძანებით, მოკლული იქნა ერთი მისი თანმხლები მონის მიერ.

თაფსუსთან გამარჯვების შემდეგ, წერს პლუტარქე, „კატონის ცოცხლად შეპყრობის სურვილით აღტყინებული ცეზარი დიდი სისწრაფით გაემართა უტიკაში“. კატონი ამ ქალაქის მმართველი იყო. როდესაც მან თაფსუსთან დატრიალებული ტრაღედიის ამბავი შეიტყო, მოიწვია ადგილობრივი სამასთა საბჭოს სხდომა, გააცნო მათ საქმის ვითარება და სთხოვა გადაეწყვიტათ: დამორჩილებოდნენ ცეზარს, თუ შეცდილიყვნენ უტიკის დაცვას. უმრავლესობა კაპიტულაციას მიემხრო და კატონიც მათ დაეთანხმა.

კატონისათვის ცხადი იყო, რომ ყველაფერი დამთავრდა. ფარსალთან სასიკვდილოდ დაჭრილ რესპუბლიკას, აქ, აფრიკაში, თაფსუსთან მოგებული ბრძოლით, ცეზარმა სული ამოჰხადა. ამიტომ მან არჩია მომკვდარიყო რესპუბლიკასთან ერთად. რომელსაც ის მთელი სიცოცხლე იცავდა, ვიდრე მიეღო შეწყალება ამ რესპუბლიკის მკვლელის — ცეზარის ხელიდან.

აპიანე ასე მოგვითხრობს: „საღამოს კატონმა მიიღო აბაზანა და დაჯდა სავახშმოდ, დანაყრდა ისე, როგორც ამას მიეჩვია პომპეუსის სიკვდილის შემდეგ... დასაძინებლად რომ მიდიოდა, კატონს არც მაშინ შეუცვლია რამე... გარდა იმისა, რომ თავის ვაჟიშვილს უფრო გულიანად გადაეხვია. როცა ლოგინთან თავისი ხანჯალი, რომელიც ჩვეულებრივად იქ იდო ხოლმე, ვერ ნახა, შეჰყვირა, რომ შინაურები მას მტრის ხელში აგდებენ. აბა, სხვა რით უნდა დაიცვას თავი, თუ მტერი ღამე მოვიდა. როდესაც დაუწყეს ვედრება, რომ ავი არაფერი აეტეხა თავისთვის და დასაძინებლად უხანჯლოდ დაწოლილიყო, დამაჯერებლად უთხრა მათ: „ნუთუ გგონიათ, რომ თუ მოვინდომებ არ შემიძლია დავიხრჩო თავი ტანსაცმლით, ან თავის ქალა გავიხეთქო კედელზე დარტყმით, ანდა მოვკვდე სუნთქვის შეჩერებით?!“ როდესაც ახლობლები დაიყოლია და ხანჯალი მიიღო, სთხოვა მათ, მიეცათ წასაკითხავად პლატონის თხზულება სულის შესახებ. როდესაც პლატონის დიალოგი დაამთავრა და დარწმუნდა, რომ ყველას, ვინც მის კარებთან იყო, ჩასძინებოდა, დაირტყა ხანჯალი გულს ქვემოთ. შიგნეული რომ გადმოც-

ვივდა და რაღაც კვნესა გაისმა, კარებთან მდგომნი შეცვივდნენ მასთან; ექიმებმა შიგნეული ისევ უკან შეაბრუნეს და გაუკერეს დაფლეთილი ადგილები. იმწამსვე მან თავი მხნედ მოაჩვენა და დაიწყო სინანული, რომ მახვილი მაგრად ვერ დაირტყა, მადლობა მიუგო თავის გადამრჩენებს და უთხრა, ახლა მეძინებაო. მათ წაიღეს ხანჯალი და კარები გადაკეტეს, რომ კატონი მოსვენებით ყოფილიყო. მან კი სიჩუმეში ხელით დაიგლიჯა სახვევი, გაიხსნა ჭრილობის ნაკერი... და თითებით დაიწყო შიგნეულის თხრა და მიყრა-მოყრა, ვიდრე არ მოკვდა. იგი მაშინ დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა",— დაასკვნის აპიანე.

უტიკაში მიმავალმა ცეზარმა გზაში შეიტყო კატონის ტრაღედია და პლუტარქეს გადმოცემით, თურმე წამოიძახა:„ოჰ, კატონო, მშურს მე შენი სიკვდილი, ვინაიდან შენც დაიშურე ჩემთვის იმის საშუალება, რომ სიცოცხლე მეჩუქებინა შენთვის". რამდენად კეთილშობილურად მოიქცეოდა ცეზარი, კატონი ცოცხლად რომ ჩაეგდო ხელში, ეს მეორე საკითხია. ფაქტი ის არის, რომ ცეზარმა მკვდარ კატონთანაც ბრძოლა გამართა, როცა მის წინააღმდეგ სპეციალური წიგნი — „ანტიკატონი" დაწერა. ცეზარმა უტიკაში სიცოცხლე შეუნარჩუნა კატონის პროქვესტორ ლუციუს ცეზარს, როცა ამ უკანასკნელმა კატონის სიკვდილის შემდეგ მას ქ. უტიკა უომრად ჩააბარა.

რესპუბლიკური ოპოზიციის იმ ლიდერებთან, რომელნიც აფრიკაში გაიქცნენ, გარდა ლაბიენუსისა და პომპეუსის შვილებისა ყველანი დაიღუპნენ ან ცეზარის ჯარისკაცთა ძახვილით, ან თვითმკვლელობით კატონისა და პეტრეიუსის მსგავსად.

გამარჯვებული ცეზარი, თანამოქალაქეთა სისხლში შეღებილი მახვილით რომში დაბრუნდა და ზედიზედ ოთხი ტრიუმფი გადაიხადა. ისინი მოწყობილი იყო გალიასა, ეგვიპტესა, პონტოსა (ფარნაკე) და ლიბიაზე (იუბა) ცეზარის გამარჯვებათა აღსანიშნავად.

აპიანეს გადმოცემით, „ცეზარი ერიდებოდა მოეწყო ტრიუმფი რომაელებზე გამარჯვების აღსანიშნავად", რადგანაც ეს არ მოეწონებოდათ მის თანამოქალაქეებს.

როგორც გადმოგვცემენ, ტრიუმფებში ნადაელის სახით მოჰქონდათ სამოცდახუთი ათასი ტალანტი ფული და ორი ათას რვას ოცდაორი ოქროს გვირგვინი, რომელნიც დაახლოებით ოცი ათას ოთხას თოთხმეტ გირვანქას იწონიდა. ამ სახსრებიდან ტრიუმფის შემდეგ ცეზარმა მაშინვე დაიწყო ჯარის გასტუმრება და გადააჭარბა ყველა თავის დაპირებას: თვითეულ ჯარისკაცს მან მისცა ხუთი ათასი ატიკური დრაქმა, ცენტურიონებს — ორჯერ მეტი, ტრიბუნს, ისევე როგორც ცხენოსანი ჯარის უფროსს, — ცენტურიონზე ორჯერ მეტი. გარდა ამისა, თვითეულ პლებს თითო ატიკური მონა აჩუქა.

ამასთან ერთადო, წერს შემდეგ აპიანე, ცეზარმა ხალხის ვასართობად მრავალი სანახაობა მოაწყო: მათ შორის ქვეითი ჯარისკაცების, ცხენოსნებისა და სპილოების ასპარეზობა, საზღვაო ბრძოლები და სხვ. პლუტარქეს გადმოცემით, ცეზარი იმ დღეებში „...ერთდროულად გაუმასპინძლდა ოცდაორი ათას სამკაციან სუფრაზე თავმოყრილ რომაელ მოქალაქეს. ამას გარდა უკვე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ქალიშვილის, იულიას ხსოვნის აღსანიშნავად, ცეზარმა გლადიატორთა ბრძოლები და ნავმაქიები მოაწყო".

ცეზარის გულუხვობით მოხიბლულმა და ძლიერებით მოთვინიერებულმა ხალხმა იგი მეოთხედ აირჩია კონსულად.

მაგრამ იმ დროს, როდესაც გამარჯვებული ცეზარი რომში ღრეობასა და განცხრომაში იყო, ესპანეთში პომპეუსის შვილები თავს უყრიდნენ ჯარებს და ახალ ხიფათსა და საშიშროებას უმზადებდნენ მას.

ცეზარის ბრძოლები ესპანეთში პომპეუსის შვილების წინააღმდეგ

ესპანეთი იყო პომპეუსელებისა და რესპუბლიკური ოპოზიციის ნაშთების უკანასკნელი ციხე-სიმაგრე, სადაც მათ ერთხელ კიდევ სცადეს ფეხზე წამოდგომა და ცეზართან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. იქ თავი მოიყარეს როგორც აფრიკაში გადარჩენილმა პომპეუსელებმა, ისე

იტალიიდან ჩასულმა რესპუბლიკური ოპოზიციის ნაშთებმა. ამასთან თავიანთ არმიას მათ ესპანეთში მიუმატეს ადგილობრივ მოსახლეობაში — იბერებსა და კელტიბერებში შეკრებილი ჯარები. აპიანე წერს, რომ ოთხი წელიწადი იწვრთნებოდნენ ეს ჯარები და მზად იყვნენ თავგანწირული ბრძოლისათვისო. ესპანეთის ჯარებს სათავეში პომპეუსის შვილები გნეუსი და სექსტუსი ედგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები იყვნენ, მათ დიდი მხედართმთავრული უნარი გამოამჟღავნეს და თავი მოუყარეს ცამეტ ლეგიონს.

ცეზარს არ შეეძლო არ შეემუსრა მის მოწინააღმდეგეთა ეს უკანასკნელი კერაც. ამ მიზნით, 46 წლის ბოლოს, ცეზარი რვა ლეგიონით რომიდან გამოემართა და ოცდაშვიდი დღის შემდეგ უკვე ესპანეთში იყო.

გადამწყვეტი ბრძოლა ცეზარსა და პომპეუსის შვილებს შორის მოხდა 45 წლის 17 მარტს ესპანეთის ქალაქ მუნდასთან. ამ ბრძოლაში ცეზარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პლუტარქეს გადმოცემით, „როცა ცეზარმა დაინახა, რომ მის მეომრებს სასტიკად ავიწროებდა მტერი, რომელსაც ისინი სუსტ წინააღმდეგობას უწევდნენ, იგი თავის ჯარისკაცთა რიგებში შეიჭრა და ყვირილი მოართო: თუკი აღარაფრისა გრცხვენიათ, ბარემ აიღეთ და იმ ლაწირაკ ბიჭებს გადამეცითო“. აპიანეს ცნობით კი „როდესაც ჯარები ერთმანეთს შეეჯახნენ, ცეზარის არმია შიშმა და გაუბედაობამ მოიცვა. ცეზარმა ხელები ცისკენ აღაპყრო და ღმერთებს ევედრებოდა, ამ ერთი ბრძოლით ჩირქი არ მოეცხოთ მის მიერ მოპოვებული უამრავი წარმატებისათვის. მუზარადმოხდილი ურბენდა ჯარებს, აიმედებდა მათ და საჯაროდ არცხვენდა გაქცევის მსურველთ. მაგრამ ჯარისკაცთა შიში ოდნავადაც არ ცხრებოდა. მაშინ ცეზარმა ერთ-ერთ ჯარისკაცს ფარი გამოგლიჯა და მის გარშემო მყოფ მეთაურებს შესძახა: დეე ეს გახდეს ჩემთვის სიცოცხლისა და თქვენთვის კი ლაშქრობის დასასრულადო, და საბრძოლო წყობიდან მტრის შესახვედრად იმდენად შორს გაიჭრა, რომ მათგან მხოლოდ ათი ფუტიღა აცილებდა. ორასი შუბი აძგერეს ცეზარს, მაგრამ ზოგს ის იცილებდა, ზოგს კი ფარს უმარჯვებდა. აქ მასთან მიირბინეს და გვერდში ამოუდგ-

ნენ სარდლები და შემდეგ კი მთელი მისი ჯარიც გადავიდა მძაფრ იერიშზე. ბრძოლა მთელი დღე ცვალებადი წარმატებებით მიდიოდა და ბოლოს, საღამო ჟამს, ცეზარმა სძლია მოწინააღმდეგეს. მას უთქვამს, ბევრჯერ მიბრძოლია გამარჯვებისათვის, მაგრამ იმ დღეს კი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვიბრძოდიო. როდესაც ხოცვა-ჟლეტამ თავის ზღვარს მიაღწია და პომპეუსელები კორდუბასაკენ გაიქცნენ, ცეზარმა თავის ჯარებს უბრძანა, დადევნებოდნენ მათ, რომ გაქცეული მტერი კვლავ არ მომზადებულიყო ბრძოლისათვის. დილით ქალაქი აღებული იქნა.

ამ ბრძოლაში ცეზარმა მოწინააღმდეგეს ოცდაათი ათასი კაცი მოუკლა, თვითონ კი ათას კაცამდე დაკარგა. აქ დაეცნენ პომპეუსელთა და რესპუბლიკური ოპოზიციის ხელმძღვანელთა უკანასკნელი ნაშთები. აქ ნახა სიკვდილი ლაბიენუსმაც, რომელიც რვა წელიწადი ცეზარის მხარეზე და მისი დიდებისათვის იბრძოდა გალიაში და შემდეგ კი რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა. აქვე დაიღუპა პომპეუსელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო სარდალი ვარიუსი. მათი თავები, ბევრი სხვა გამოჩენილი რომაელის თავთან ერთად, ბრძოლის დამთავრების შემდეგ ცეზარს მიუტანეს. პომპეუსელთა არმიის ერთ-ერთმა მეთაურმა — სკაპულამ ცეცხლში დაიწვა თავი. პომპეუსის უფროსი შვილი გნეუს პომპეუსი ბრძოლის წაგების შემდეგ გაიქცა და მიიმალა. „მაგრამ როდესაც მასთან ცეზარის მდევრები მივიდნენ, — წერს აპიანე, — იგი თავს იცავდა და იაფად არ დაუსვა მათ თავისი სიცოცხლე“.

პომპეუსის მეორე შვილი სექსტუს პომპეუსი, მუნდასთან ბრძოლაში გადარჩა და შემდეგაც აგრძელებდა ბრძოლას ცეზარისა და მეორე ტრიუმვირატის წინააღმდეგ მცირე ძალებით. მაგრამ ცხადია, ბევრს ვერაფერს გააწყობდა. საბოლოოდ იგი ოქტავიანეს სარდლებმა დაამარცხეს 36 წლის სექტემბერში.

ამგვარად, მუნდასთან 45 წლის 17 მარტს გადახდილი ბრძოლა უკანასკნელი დიდი ბრძოლა იყო, რომლითაც ცეზარმა დააგვირგვინა თავისი გამარჯვება. ეს გამარჯვება რომაელ ხალხს ასეული ათასი ჯარისკაცის სიცოცხლედ დაუჯდა.

მან იმსხვერპლა სამოქალაქო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ააფორიაქა და აოხრა მთელი იტალია, შეიწირა ბევრი მატერიალური ფასეულობა და ქვეყნის ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება მოშალა.

სამოქალაქო ომის დაღი და აოხრება დიდად დაეტყო თვით „მარმარილოსა და ოქროს ქალაქს“ — რომსაც. ცეზარის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად აღმოჩენილა, რომ თავისუფალი მოსახლეობის რიცხვი ქალაქში შემცირებული იყო სამას ოცი ათასიდან ას ორმოცდაათ ათასამდე, ე. ი. ნახევარზე მეტით. „აი, ასეთი უბედურება მოიტანა სამოქალაქო ომმა, აი, მოსახლეობის რა დიდი ნაწილი გაანადგურა მან! რაც შეეხება სხვა მრავალ მწუხარებას, — დაასკვნის პლუტარქე, — რაც დანარჩენ იტალიასა და პროვინციებს ვადახდათ თავს, ამაზე ჩვენ კიდევ არაფერს ვამბობთ“.

სამოქალაქო ომის შედეგი იყო ისიც, რომ იმდროინდელი რომის გამოჩენილ სარდალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდმა ნაწილმა ბალიშზე ვერ დალია სული. მათი მოჭრილი თავები ძღვენისა და საჩუქრების სახით ეგზავნებოდათ მთავარსარდლებს, როგორც გამარჯვების ნივთიერი საბუთი. ამით აიხსნება, რომ საფლავში თავით ჩასვლას ვერ ეღირსნენ სარდალი პომპეუსი და მისი შვილი, ოქროპირი ციცერონიც კი და მრავალი სხვა გამოჩენილი რომაელი. ეს გარემოება კიდევ ერთი საბუთია იმ ბრმა ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომელნიც უარყოფენ ისტორიაში კლასობრივ ბრძოლას და ებღაუჭებიან ერთიანი ნაკადის ყალბ თეორიას, რომელიც დღეს ესოდენ მოდაშია ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

მუნდასთან გამარჯვების შემდეგ რომში დაბრუნებულმა ცეზარმა გადაწყვიტა მოეწყო მეხუთე ტრიუმფი. ამ საკითხზე პლუტარქე წერს: „არაფერს არ მოუტანია ისეთი მძიმე მწუხარება რომაელებისათვის, როგორც ამ ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულმა ტრიუმფმა მოუტანა. ცეზარმა დაამარცხა და დახოცა არა უცხო სახელმწიფოთა წინამძღოლები, არა ბარბაროსთა მეფეები, არამედ რომაელთა შორის ფრიად დიდი გავლენის, მაგრამ შემთხვევის წყალობით გაუბედურებული კაცის შვილები და მისი გვარი ძირფესვიანად

ამოქლიტა. ცეზარის ღირსებას ოდნავადაც არ შეეფერებოდა ის, რომ იგი საკუთარი სამშობლოს უბედურებაზე ზეიმობდა. იგი შეხაროდა თავის საქციელს, რომელსაც ღმერთთა და კაცთა წინაშე ერთ გამართლებას თუ მოუძებნიდა, რომ ეს აუცილებელი საჭიროებით მოხდა".

მუნდასთან ბრძოლის მოგების შემდეგ ახლადფეხადგმული მონარქიის წინააღმდეგ დიდი მასშტაბის საშიში ორგანიზებული ძალა აღარ არსებობდა და ცეზარმაც ჩააგო ქარქაშში ხმალი, რომელსაც ცამეტი წლის მანძილზე ჯერ საგარეო და მერე სამოქალაქო ომებში იქნევდა, და რომისაკენ გამოსწია.

ახლა მას საშუალება მიეცა შედგომოდა სახელმწიფოს მმართველობის რეორგანიზაციას და მოეწყო იგი თავისი პოლიტიკური იდეალებისა და გეგმის მიხედვით. იმ ყალბ დემაგოგიურ ლოზუნგებს კი, რომელსაც ხელისუფლებასთან მისვლამდე იყენებდა, ახლა სამოსი უნდა შემოსძარცვოდათ და გამოეცლინებინათ საგანი, რომელსაც აქამდე ფარავდნენ. რესპუბლიკისა და დემოკრატიის „დასაცავად" დადგმული წარმოდგენა ცეზარმა მუნდასთან ბრძოლით დაამთავრა და ფარდაც დაუშვა.

ცეზარის დიქტატურა და მოწინარქიზმი

იმ ცვლილებათაგან, რომელიც ცეზარმა გაატარა, ან ვერ მოასწრო გატარება და გეგმაში დარჩა, ყველა, რა თქმა უნდა, არ იყო ახალი, ან ორიგინალური. სახელმწიფოს ეკონომიური მოწყობის საკითხში იგი ზოგ რამეს მოდერნიზებული სახით გრაკხუსებისაგან სესხულობდა, პოლიტიკურ სფეროში — სულასაგან, ზოგიც მისი საკუთარი იყო.

ცეზარს შეეძლო ყური მიეგდო თავის თანამედროვეთა რჩევისათვისაც, რომელნიც საკუთარ მეგობართა წრიდან ბლომად ეხვიენენ გარს. ერთ-ერთი მათგანი იყო ისტორიკოსი გაიუს სალუსტიუს კრისპი, რომლის ორმა წერილმა ცეზარისადმი რჩევა-დარიგებით, ჩვენამდეც მოაღწია. „მე ვიცი, თუ რამდენად ძნელია და სახიფათოც კი რჩევა მისცე მეფეს ან

სარდალს, — წერდა სალუსტიუსი ცეზარს, — ბოლოს ყოველ მოკვდავს, რომლის ძლიერებასაც უმაღლესი საზღვრისათვის მიუღწევია; ასეთ ადამიანებს ხომ ისედაც ბევრი მრჩევლები ჰყავთ, და ან ვის ძალუძს მომავლის საკითხების შესახებ თავისი თავი მიიჩნიოს საკმარისი გამოცდილების მქონედ ან შორსმჭვრეტელად?".

მეო, განაგრძობს სალუსტიუსი, დარწმუნებული ვარ, რომ არ არის ისეთი რამ, რომელსაც შენ ვერ მიწვდები, მაგრამ სახელმწიფოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა შესახებ ჩემს შეხედულებაში ალბათ რაიმეს მაინც იპოვი სამართლიანს ან უკიდურეს შემთხვევაში ისეთს, რომელიც ჭეშმარიტებისაგან შორს არ იქნებაო. ამ ბოდიშებისა და მოწიწების შემდეგ სალუსტიუსი მთელ რიგ საკითხებზე ცეზარს თავის საკუთარ შეხედულებებს გადასცემს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ცეზარსაც აწუხებდა და მოგვარებას თხოულობდა, ეს იყო წესრიგის დამყარება თვით სასამართლო ორგანოებში. სალუსტიუსი წერდა, თუმცა რომში არსებობს კანონები და გვაქვს სასამართლოები, მაგრამ აქედან არაფერი სამართლიანი არ გამოდისო. ეს იმიტომ, რომ ერთი მუჭა ხროვა ბატონობს ყველაფერზე. ისინი ხალხს „...იმას აძლევენ, რაც უნდათ და ართმევენ რაც უნდათ, გვერდს უვლიან ღირსეულ ადამიანებს და საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აწინაურებენ თავიანთ აგენტებს. არც ბოროტება, არც სამარცხვინო და უპატიოსნო მოქმედება არ უშლით მათ ხელში იგდონ თანამდებობანი. როგორც იერიშით აღებულ ქალაქში, ისინი ითრევენ და ბღუჯავენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებათ და ხელმძღვანელობენ არა კანონებით, არამედ საკუთარი თვითნებობით".

ცეზარისათვის ეს მდგომარეობა კარგად იყო ცნობილი და, როგორც ზემოთ კურიონისა და კლოდიუსის მაგალითზე ვნახეთ, იგი თვითონაც ეწეოდა ამ „ხროვიდან" ცალკეული, გავლენიანი პირების მოსყიდვასა და მოქრთამვას. მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლება დაიპყრო და მათი დახმარება აღარ სჭირდებოდა, შეეცადა საზღვარი დაედო ამ არანორმალური მდგომარეობისათვის და გაატარა კიდეც ზოგიერთი ღონისძიე-

ბა. „სამართალწარმოება ცეზარის დროს, — წერს სვეტონიუსი, — გამოირჩეოდა გულმოდგინეობითა და სიმკაცრით. მექრთამეობისათვის იგი სენატორებს სენატორთა წოდებიდანაც კი რიცხავდა“. ცეზარმა გაატარა აგრეთვე კანონი ფუფუნების წინააღმდეგ, რომელსაც მთელი სიმკაცრით იცავდა. ვინაიდან სხვადასხვა დროს მიღებულ კანონებში აღმოჩნდა წინააღმდეგობანი, მან დასახა ღონისძიებანი კანონთა ერთიანი კოდიფიკაციისათვის, მაგრამ ამის დასრულება ცეზარის დროს არ მოხერხდა.

რადგან რომის თავისუფალი მოსახლეობა სამოქალაქო ომების დროს სამას ოცი ათასიდან ას ორმოცდაათ ათასამდე შემცირდა და იტალიაშიც საგრძნობლად იკლო, ცეზარმა აკრძალა ოციდან ორმოც წლამდე ასაკის მოქალაქეთა იტალიიდან სხვა ქვეყნებში სამ წელზე მეტი დროით წასვლა, თუ ეს სამხედრო სამსახურთან არ იყო დაკავშირებული. ამავე მიზნით მოქალაქეობის უფლება მისცა უცხოელ ექიმებსა და ხელოვნების დარგის მოღვაწეებს.

მაგრამ მეორეს მხრივ, ცეზარი იძულებული იყო ლუმპენ-პროლეტარიატისა და უსაქმური პლებსის ერთი ნაწილი გაეყვანა ქალაქიდან და საერთოდ იტალიიდან. ამგვარ რჩევას მას სალუსტიუსიც აძლევდა თავის პირველ წერილში: „... შენ უნდა მიიღო ზომები, რათა პლებსს, რომელიც უკვე გარყვნილია მოსყიდვებითა და პურის დარიგებით, ჰქონდეს გარკვეული საქმიანობა, რაც მას საშუალებას არ მისცემს მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო ამბოხებაში“. ცეზარმა დანგრეული კართაგენის და კორინთოს ადგილზე მოწყობილ კოლონიებში იტალიიდან ოთხმოცი ათასი კაცი გაასახლა. კოლონიები მოეწყო აგრეთვე ესპანეთსა, გალიასა, მაკედონიასა და პონტოშიც კი. იტალიიდან პლებსისა და უსაქმო ხალხის ერთი ნაწილის გადაყვანით ცეზარი შორეული პროვინციების რომანიზაციასაც ისახავდა მიზნად.

ცეზარს გრანდიოზული სამშენებლო გეგმების განხორციელება ჰქონდა განზრახული. იგი ფიქრობდა კორინთოს ყელზე

გაეთხარა არხი,[1] რათა ეგეოსის ზღვიდან ადრიატიკის ზღვაში გემებს უმოკლესი გზით შეძლებოდათ გადასვლა. თვით იტალიაში მას უნდოდა მდინარე ტიბრისათვის მიმართულება შეეცვალა და ტარაცინასთან ზღვისათვის შეეერთებინა. იგი ვარაუდობდა აგრეთვე ოსტიას ნავსადგურის გაფართოებას,—სეტიასა და პომენტუმის ირგვლივ არსებულ ჭაობთა ამოშრობას, ფუცინის ტბის გაშვებას და ადრიატიკის ზღვიდან მდ. ტიბრამდე გზის გაყვანას. მისი სხვა გეგმები მიზნად ისახავდა ქალაქ რომის გამშვენიერებას; თეატრის აგებას ტარპეის კლდესთან, მარსის ტაძრის აშენებას, ბერძნული და ლათინური ლიტერატურის ბიბლიოთეკების მოწყობას, კალენდრის რეფორმასა და სხვ. ყველა ამ ღონისძიებიდან მან მხოლოდ უკანასკნელის განხორციელება მოასწრო, რადგან შეთქმულთა მახვილმა მას სჭვა ღონისძიებათა განხორციელება არ აცალა.

ცეზარის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ძირითადი მიზეზი მონარქიზმისაკენ მისი მისწრაფება გახდა. საქმე იმაში იყო, რომ ცეზარის პოლიტიკური მდგომარეობა ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ უფრო მეტად გართულდა, ვიდრე იქამდე იყო. თუ მისი დემაგოგიით მოტყუებული დაბალი ფენები და პოპულარების პარტია წინათ მასში ასე თუ ისე თავის ბელადს ხედავდა და მხარს უჭერდა, ეს იმედი გაუცრუვდათ, როდესაც იგი ხელისუფლებას მოექცა სათავეში. სვეტონიუსი პირდაპირ წერს, რომ ეს ფენები მისგან „მოელოდნენ სავალო ვალდებულებათა მოსპობას“. ცეზარმა კი გამოსცა ბრძანებულება, რომლის ძალითაც მოვალე ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა კრედიტორები, ქონების იმ ფასებში აღებით, რომელიც არსებობდა სამოქალაქო ომამდე. გადახდილი პროცენტის, ან გადახდილი თანხის რაოდენობა უნდა გამოჰკლებოდა ვალის ჯამს. ამის წყალობით ვალი ერთგვარად მცირდებოდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო მოვალეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დავალიანებული მოსახლეობის იმედის ამ გაცრუებას ემატებოდა ცეზარის მხრიდან მთელ რიგ ანტიდემოკრატიულ ღო-

---

[1] ეს არხი მხოლოდ მე-19 ს. იქნა გათხრილი.

ნისძიებათა გატარებაც. ამათგან აღსანიშნავია სახელმწიფოსაგან ყოველთვიურად მუქთად პურის მიმღებთა რიცხვის შემცირება, რაზედაც მომზენის გამოანგარიშებით რომის სახელმწიფო მთელი თავისი შემოსავლის ერთ მეხუთედს ხარჯავდა. მისი სხვა ანტიდემოკრატიული ღონისძიება იყო კოლეგიების დაშლა, რომელნიც რომის მოსახლეობის დემოკრატიული ფენების პოლიტიკური გაერთიანების ერთგვარ ფორმას წარმოადგენდნენ.

ერთი სიტყვით, ცეზარმა ზურგი შეაქცია დემოკრატიულ ფენებს და კურსი ზედა ფენებზე აიღო. „რაც შეეხება წარჩინებულთა ფენას, — წერს პლუტარქე, — მის ერთ ნაწილს ცეზარი კონსულობასა და პრეტორობას ჰპირდებოდა, მეორეს — სხვა თანამდებობებითა და პატივით ჰხიბლავდა". ყოველივე ამის გამო დაბალი ფენები მას ძველებურად აღარ უჭერდნენ მხარს, ხოლო მაღალი ფენების ერთ ნაწილს, რომელნიც აგრეთვე რესპუბლიკას ებღაუჭებოდნენ, არ მოსწონდათ მისი მონარქიული გეგმები. მაგრამ მოსახლეობის ყველა ფენის შინაშვნელოვანი ნაწილი სამოქალაქო ომების უბედურებათაგან თავის დაღწევას მონარქიზმში ხედავდა, ამიტომ ამ ომებთან შედარებით ისინი მონარქიზმს ნაკლებ ბოროტებად თვლიდნენ და ამდენად ცეზარის მხარეზე იბრებოდნენ.

ხალხში მონარქიზმის სასარგებლოდ შექმნილი ეს განწყობილება კარგად გამოხატა პლუტარქემ. მებრძოლი მხარეები „...ხშირად სისხლითა და დახოცილთა გვამებით ჰბილწავდნენ ტრიბუნას და მხოლოდ ამის შემდეგ შორდებოდნენ ერთმანეთს. მათ ქალაქი ალალბედზე მიაგდეს და იგი საერთო ანარქიის ტალღებში ისე მიემართებოდა, როგორც მესაჭეს მოკლებული ხომალდი. გონიერი ხალხი ერთადერთ საუკეთესო გამოსავალს ასეთი სიგიჟისა და საშინელი ქარიშხლისაგან მხოლოდ იმაშიღა ხედავდა, თუ სახელმწიფოში მონარქია მაინც დამყარდებოდა და არა სხვა უარესი რამ. ბევრნი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უკვე აშკარად და გაბედულად ამბობდნენ, მონარქიის გარეშე სახელმწიფოს განკურნება შეუძლებელი საქმე არისო".

როდესაც სამოქალაქო ომებში პირველობისათვის დავის

საკითხი ცეზარის სასარგებლოდ გადაწყდაო, წერს იგივე პლუტარქე, „...რომაელებმა ქედი მოიხარეს ამ ადამიანის ბედის წინაშე, კისერზე უღელი დაიდგეს და, თვლიდნენ რა მონარქიას მოსვენებად სამოქალაქო ომებისა და სხვა უბედურებათა შემდეგ, ცეზარი მუდმივ დიქტატორად აღიარეს".

ყველაზე უკეთ თვითონ ცეზარმა იცოდა, თუ რა ამაგრებდა მას ხელისუფლების სათავეში, ამიტომ მოხერხებულად იყენებდა ამ გარემოებას და თანდათან იმატებდა თანამდებობებსა და პატივს. ამაში მას მეგობრებისა და მლიქვნელების გარდა მტრებიც ეხმარებოდნენ. პლუტარქე წერს: „ცეზარის მტრები, როგორც ფიქრობენ, მლიქვნელებზე უფრო ნაკლებ დახმარებას როდი უწევდნენ მას საგანგებო რწმუნებათა მინიჭების საქმეში. და ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი საბაბი ჰქონოდათ მის წინააღმდეგ და მერე დიდ-დიდი ბრალდებებით დასხმოდნენ თავს"..

ცეზარი დიქტატორად პირველად 49 წლის შემოდგომაზე გამოაცხადეს. მაშინ იგი ესპანეთიდან დაბრუნდა პომპეუსის ლეგიონების შემუსვრის შემდეგ. მაგრამ, რამდენიმე დღის მერე, როდესაც კონსულად აირჩიეს, მან დიქტატორობა მოიხსნა და ბალკანეთში პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლას 48 წ. კონსულის წოდებით ეწეოდა. იმავე წლის შემოდგომაზე კვლავ მიიღო დიქტატორობა განუსაზღვრელი დროით; 45 წლის 1 იანვრიდან კი თუმცა დიქტატორობა ერთწლიან თანამდებობად აქცია, ისევ თვითონ დაიკავა იგი. მალე ცეზარი ამითაც არ დაკმაყოფილდა და 45 წლის შემოდგომაზე სენატი აიძულა, რომ იგი ისევ მუდმივ დიქტატორად გამოეცხადებინა 44 წლის აპრილიდან. მაგრამ, როგორც ეს ციცერონის ერთი ცნობიდან ჩანს, ცეზარმა არ დაუცადა 44 წლის აპრილს და იმავე წლის 15 თებერვალს იგი უკვე მუდმივ დიქტატორად იხსენიება.

უფლებრივი თვალსაზრისით, ამ უკანასკნელ დიქტატურასა და მონარქიას შორის არსებითი განსხვავება არ იყო. იმიტომ, წერდა პლუტარქე, რომ „მუდმივ ძალაუფლებასთან შეერთებული შეუზღუდავი მონარქია უკვე აშკარა ტირანია იყო". ხოლო აპიანეს გაგებით „მეფესა და დიქტატორს შორის განსხვავება მხოლოდ სახელწოდებაშია, არსებითად კი

დიქტატორად ყოფნისას, ცეზარი მეფე იყო". ამიტომ მართალი იყო მომზენი, როცა წერდა, რომ „ასეთი დიქტატურის გვერდით არსებითად აღარ რჩებოდა ადგილი სხვა თანამდებობებისათვისო".

მიუხედავად ამისა, ცეზარმა მაინც საჭიროდ დაინახა ზოგიერთი სხვა უმაღლეს თანამდებობათა დაკავებაც, რაც მას თვით ამ დიქტატურის შენიღბვის საშუალებას აძლევდა. დიქტატორობის დროს იგი ხშირად იყო ხოლმე კონსულიც, მას მინიჭა ტრიბუნის ხელშეუხებლობის უფლებაც და „სამშობლოს მამის" ტიტულიც. მართალია, ცენზორის თანამდებობა მას ოფიციალურად არ ჰქონდა, მაგრამ ფაქტიურად სენატორთა დანიშვნა მის ხელში იყო. ამასთან, იგი ადრევე (63 წლიდან) ითვლებოდა უმაღლეს პონტიფექსად და ამით რელიგიური საქმეების უმაღლეს გამგებლად. მან აგრეთვე მიისაკუთრა არა მარტო იმპერატორის ტიტული, არამედ აგრეთვე სისხლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეების საბოლოოდ ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლებაც.

ყოველივე ამის ერთი კაცის ხელში თავმოყრით, მისი ძალა-უფლება უზომოდ გაიზარდა. აპიანე ასე გადმოგვცემს ცეზარის აღზევებას: „როდესაც ცეზარმა ყველა სამოქალაქო ომი დაამთავრა, იგი გაეშურა რომისაკენ და თავის მიმართ ისეთი შიში ჩაუნერგა რომაელებს, როგორიც არავისი და არასდროს იქამდე არ ჰქონიათ. აი, რატომ იყო, რომ ასე უზომოდ აამებდნენ და აძლევდნენ ყველა პატივს, მათ შორის ზეადამიანურსაც კი: ყველა საკურთხეველსა და საჯარო ადგილებში მისთვის ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვასა და კურთხევას, ყველა ტრიბში, პროვინციაში და ყველა მეფესთან, რომელნიც კი რომთან მეგობრობაში იყვნენ, მის საპატივცემოდ აწყობდნენ სამხედრო ასპარეზობას, მის გამოხატულებაზე აკეთებდნენ სხვადასხვა მორთულობას... მას შეარქვეს სამშობლოს მხსნელი და აირჩიეს მუდმივ დიქტატორად და კონსულად ათი წლის ვადით. მისი პიროვნება გამოცხადებული იქნა წმინდად და ხელშეუხებლად; სახელმწიფო საქმეთა გამგებლობისათვის სპილოს ძვლისა და ოქროსაგან ნაკეთები სავარძელი დაუდგეს. მსხვერპლშეწირვის დროს ტრიუმფატორის სამოსი ეცვა. დად-

გენილი იყო, რომ ქალაქს ყოველწლიურად ედღესასწაულა ცეზარის გამარჯვებათა დღეები. ქურუმებსა და ვესტას მსახურთ ხუთ წელიწადში ერთხელ მისთვის პარაკლისი გადაეხადათ. მაგისტრატებს კი თანამდებობის აღსრულების დაწყების წინ ფიცი დაეღოთ, რომ იმას, რასაც ცეზარი დაადგენდა, წინ არასოდეს არ აღუდგებოდნენ. მისი დაბადების თვეს, კვინტილიას, ცეზარის საპატივცემოდ იულიუსი (ივლისი) ეწოდა. დადგენილი იყო აგრეთვე, რომ ღმერთების მსგავსად მისთვის აეგოთ მრავალი ტაძარი...“

სვეტონიუსის გადმოცემით, რომაელებს ცეზარის ქანდაკებები ტახტრევნით დაჰქონდათ საცირკო სანახაობებზე. ამასთან, არ იყო ისეთი ჯილდო, რომელიც ცეზარს არ მიეღო, ან არ გაეცა თავისი ჟინის მიხედვით.

მიუხედავად ესოდენ შეუზღუდველი ძალაუფლებისა, ცეზარი მაინც ლმობიერებას იჩენდა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისადმი. მათ მიმართ იგი სასტიკი იყო მხოლოდ ომის დროს და ურჩობის შემთხვევაში, მაგრამ მარცხისა და დანებების დროს შეწყალებასა და მზრუნველობას იჩენდა და ზოგიერთ მათგანს პასუხსაგებ თანამდებობებზეც კი აწინაურებდა. ამ მხრივ იგი დიდად განირჩეოდა იმ მარიუსებისა და სულათაგან, რომელნიც საფლავშიაც არ ასვენებდნენ თავიანთ დამარცხებულ მტრებს და მათი უდანაშაულო მისხის-მისხის ამოწყვეტასაც არ ერიდებოდნენ მშვიდობიანობის პერიოდში.

საერთოდ ცეზარი დიდი ტაქტით და სახელმწიფოებრივი სიბრძნით გამოირჩეოდა. სვეტონიუსის გადმოცემით, სამოქალაქო ომის დასაწყისში, როდესაც ცეზარი ჯარით რომისაკენ მიემართებოდა, პომპეუსმა გამოაცხადა, რომ ის მტრად მიიჩნევდა ყველას, ვინც მის მხარეზე არ დადგებოდა რესპუბლიკის დასაცავად, ცეზარმა კი განაცხადა, რომ ის მტრად მართოდენ იმათ მიიჩნევდა, ვინც იარაღით გამოვიდოდა მის წინააღმდეგ, ხოლო ვინც ნეიტრალიტეტს არჩევდა, იმას თავის მომხრედ ჩათვლიდა. სამოქალაქო ომების დროს იტალიასი და ესპანეთში მან ბევრი თავისი მოწინააღმდეგე დიდი თანამდებობის პირი ჩაიგდო ხელში, მაგრამ არა თუ სიკვდილით არ დასჯა, არამედ დაუყოვნებლივ გაათავისუფლა. ფარსალთან

ბრძოლის დაწყების წინ კი სპეციალურად გააფრთხილა თავისი ჯარისკაცები, მორიდებოდნენ ზედმეტი სისხლის ღვრას და გაფრთხილებოდნენ რომაელ თანამოქალაქეებს. და როდესაც ბრძოლა მისი გამარჯვებით დამთავრდა, თვითეულ თავის ჯარისკაცს უფლება მისცა, შეეწყალებინა მოწინააღმდეგეთაგან თითო პირი, რომელსაც მოისურვებდა, თუმცა მას არც ისინი დაუსჯია, რომელთაც ასეთი გულშემატკივრები არ აღმოაჩნდათ.

ცეზარი იწყალებდა თითქმის ყველა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელიც მისგან ამას თხოულობდა. აძლევდა სამშობლოში დაბრუნების უფლებას და უბრუნებდა ქონებას. ხოლო 44 წლის საერთო ამნისტიით მან პოლიტიკურ ნიადაგზე გადახვეწილებს იტალიაში დაბრუნების უფლება მისცა. თვით თავისი მთავარი მტრის, პომპეუსის, ხსოვნისადმი მას ყოველთვის მოკრძალებით ეჭირა თავი. პლუტარქეს ცნობით, იგი „...გულგრილად ვერ უცქეროდა პომპეუსის დამხობილ ქანდაკებებს და ისინი კვლავ კვარცხლბეკებზე აღამართინა. ამაზე ციცერონმა ასე თქვა თურმე: „ცეზარმა პომპეუსის ქანდაკებათა აღდგენით საკუთარ ქანდაკებებს გაუმაგრა ძირიო“.

ჰამის მოყვარული არ იყო, ღვინოსაც დიდი ხალისით არ ეტანებოდა. კატონს უთქვამს, რომელთაგან ცეზარი ერთადერთი იყო, რომელიც რესპუბლიკას დამხობას ფხიზელი შეუდგაო.

ცეზარის ლმობიერი დამოკიდებულება რესპუბლიკის დამარცხებულ დამცველთა მიმართ იმდენად მისი პოლიტიკური ჰუმანიზმით არ აიხსნება (როგორც ეს ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს წარმოუდგენიათ, რომელნიც ცეზარს პარტიებზე და კლასებზე მაღლა აყენებენ) რამდენადაც ცეზარის ტაქტიკით— მიეღწია დამარცხებულ მოწინააღმდეგეებთან შერიგებისათვის ბატონყმურ ნიადაგზე. სწორედ ამიტომ მის „ჰუმანიზმს“ პიროვნული და ბატონკაცური ხასიათი ჰქონდა. ცეზარი იწყალებდა და ზოგჯერ თავზე ხელსაც უსვამდა იმათ, ვინც მის დიქტატს დაემორჩილებოდა და ხელს არ უშლიდა თვითნებობაში, რომელიც კონსტიტუციური მონარქიის საზღვრებსაც კი სცილდებოდა. სვეტონიუსის გადმოცემით, იგი მაგისტრებს

ნიშნავდა მრავალი წლით ადრე, პრეტორებს კონსულების ნიშნებს აძლევდა და სენატში შეჰყავდა გალები და სხვა ბარბაროსები თავისი საკუთარი გადაწყვეტილებით. გადასახადების საქმეთა სათავეში ჩააყენა თავისი საკუთარი მონები და ალექსანდრიაში დატოვებული სამი ლეგიონის სარდლობაც თავისი ახლის ვაჟს, რუფიონს ჩააბარა.

იგი ზოგჯერ აცხადებდა: ჩემს მაგიერ კონსულად ესა და ეს პირი იქნებაო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რომის სახელმწიფოს უმაღლესი მაგისტრის თანამდებობა მან რაღაც კერძო ხასიათის ნივთად აქცია, რომელსაც თუ უნდოდა თვითონ დაიტოვებდა და თუ არ უნდოდა, გადასცემდა სხვას. როდესაც ცეზარის ნებით ასე „გაკონსულებული“ პირი, ვინმე კვინტუს მაქსიმუსი, თეატრში შევიდა და ლიქტორმა დამსწრეებს უბრძანა, რომ კონსულის მისვლის გამო ფეხზე ამდგარიყვნენ; ხალხმა ლიქტორს უყვირა, რომ კვინტუს მაქსიმუსი კონსული არ არისო. მაგრამ ცეზარი საკუთარი შეხედულების მიხედვით არა მარტო ნიშნავდა, არამედ ხსნიდა კიდეც კონსულებს, როგორც ეს მან გააკეთა კონსულ მარულესის მიმართ. უფრო მეტიც, როდესაც კონსული მაქსიმუსი 45 წლის 31 დეკემბერს შუადღისას გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს, ე. ი. 1 იანვარს, ახალი, 44 წლის კონსული უნდა შეედგომოდა თავის მოვალეობას, ცეზარმა 31 დეკემბერს რამდენიმე საათისათვის მაინც დანიშნა კონსულად თავისი ერთი ყოფილი ლეგატი კანინიუს რებილიუსი.

ეს უკვე კონსტიტუციისა და დემოკრატიის აგდება იყო. 44 წლის იანვრის დასაწყისში ციცერონი თავის მეგობარს მანიუს კურიუსს საბერძნეთში წერდა: „...კონსულ კანინიუსის დროს არავის არ უსაუზმია, მაგრამ ამ კონსულის დროს არც რაიმე ცუდი მომხდარა: მან ხომ განსაცვიფრებელი სიფხიზლე გამოიჩინა, როცა თავის კონსულობის მთელ მანძილზე ერთხელაც არ ნახა სიზმარი“.

„შენ რომ ეს გენახა, — წერს იმავე წერილში მეგობარს ციცერონი, — ალბათ ცრემლებს ვერ შეიკავებდი. რაღა იქნება მაშინ, მე რომ შენ სხვაც მოგწერო? ამავე ხასიათის ამბები

ხომ აურაცხელია; მე ამას ვერ გადაეიტანდი, რომ არ გადაესულიყავი ფილოსოფიის ნავსადგურში...“

ცეზარი კი თავის ხაზს აგრძელებდა. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი თვითნებობა რესპუბლიკასთან შეუთავსებელი იყო. ძაგრამ ფიქრობდა, რომ მონარქიზმთან მიტოლებული მისი დიქტატურის დროს თვით ამ რესპუბლიკიდან არსებითად ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი. ცეზარიო, წერს სვეტონიუსი, ტიტუს ამპიუსის გადმოცემით, თურმე ამბობდა, რომ „რესპუბლიკა მხოლოდ სახელია, უხორცო და უსახო“. ეს თავისი შეხედულება ცეზარმა მაშინაც გამოხატა, როდესაც ტრიუმფის დროს განრისხებულმა უყვირა სახალხო ტრიბუნს, პონტიუს აკვილას, რომელიც მას ფეხზე არ აუდგა: „აკვილა, რატომ არ მთხოვე, რომ რესპუბლიკა დაგიბრუნო, შენ ხომ ტრიბუნი ხარო“.

რესპუბლიკისა და დემოკრატიის ამგვარ სავალალო მდგომარეობაში ჩაყენება ცეზარს უფლებას აძლევდა, რომ მას, როგორც ამპიუსი გადმოგვცემს, ეთქვა: ჩემთან მოსაუბრეებმა ჩემი ნათქვამი უნდა კანონად „ჩათვალონო“. ამ მხრივ მისი მონარქიული გულზვიადობა იქამდეც მივიდა, რომ ერთხელ, როდესაც ჰარუსპიკმა მოახსენა, სამსხვერპლო ცხოველის შიგნეული კარგის მომასწავებელი არ არის, მას თურმე უპასუხნია: „შემდეგში კარგის მაჩვენებელი იქნება, თუკი მე მოვისურვებო“.

სვეტონიუსი და პლუტარქე განსაკუთრებით აღშფოთებით უსვამენ ხაზს ცეზარის მხრივ ხალხისა და სენატის აგდებას შემდეგი შემთხვევის გამო: ერთხელ სენატმა, სპეციალური დეკრეტებით, ცეზარს მრავალი რწმუნება მიანიჭა. თვითონ ცეზარი სხდომას არ ესწრებოდა და ვენერა მშობლის ტაძრის წინ საორატორო ტრიბუნაზე იჯდა. მასთან იქ გამოცხადდა სენატის მთელი შემადგენლობა კონსულებისა და პრეტორების თანხლებით, რათა ეუწყებინათ სენატის მიერ მის საპატივცემოდ და მისი ძალაუფლების გაზრდისათვის მიღებული გადაწყვეტილებები. ცეზარმა სენატის მთელი ეს შემადგენლობა და მისი უმაღლესი მაგისტრები ისე მიიღო და მოუსმინა, რომ ფეხზე არ წამომდგარა. სვეტონიუსის გადმოცემით, ამ გარეშოებამ ხალხში „მომაკვდინებელი სიძულვილი გამოიწვია“,

ხოლო პლუტარქეს ცნობით, „მისმა ასეთმა ქცევამ მეტისმეტად შძიმე შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო სენატზე, არამედ ხალხზედაც, რომელსაც სენატის სახით შეურაცხყოფილად მიაჩნდა მთელი სახელმწიფო“.

მაგრამ ცეზარი ამას შეგნებულად აკეთებდა, რათა შინაარსდაკარგული რესპუბლიკისათვის მოეხსნა ფორმაც. რესპუბლიკურ ფორმაში ჩადებული მონარქიული შინაარსი ფორმასაც თავისას თხოულობდა. მაგრამ აქ ცეზარი ტაქტით იქცეოდა. მან იცოდა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილზე სახელმწიფოს მმართველობის ფორმათა ცვალებადობა უფრო გამაღიზიანებლად მოქმედებდა, ვიდრე მისი შინაარსის გამოცვლა. ამიტომ იგი ორი ნაბიჯით რომ ამ მონარქიული შინაარსისკენ მიდიოდა, ერთით ისევ უკან, დემოკრატიული ფორმისაკენ იხევდა. ამგვარი ტაქტიკით იგი საზოგადოებრივ შეხედულებას ამოწმებდა, მანევრირების საშუალებას ინარჩუნებდა და თანაც წინ ძიწევდა მონარქიზმისაკენ თითო ნაბიჯით.

ასე მაგალითად, ერთის მხრივ მან თავისი ქანდაკება გააკეთებინა და რომის შვიდი მეფის ქანდაკებათა გვერდით დაადგშევინა კაპიტოლიუმზე, მეორეს მხრივ კი საჯაროდ განაცხადა უარი გვირგვინის მიღებაზე. ეს უკანასკნელი გარემოება, პლუტარქეს, სვეტონიუსის და აპიანეს გადმოცემით, შემდეგ ვითარებაში მომხდარა: ძველად რომში 15 თებერვალს იმართებოდა მგელთაგან მწყემსთა დასაცავი დღესასწაულები, ე. წ. ლუპერკალიები, რომელთაც შემდეგ შინაარსი შეუცვლიათ და ცოდვათა განწმენდის, აგრეთვე ფეხმძიმობასთან დაკავშირებული დღესასწაულის ხასიათი მიუღიათ. პლუტარქეს გადმოცემით, ამ დღესასწაულის დროს „...კეთილშობილი გვარისა და მაღალი თანამდებობის ბევრი ყმაწვილი კაცი გაშიშვლებული დარბის ხოლმე ქალაქში და ყველა შემხვდურს ხუმრობითა და სიცილით ბანჯგვლიან ტყავებს ურტყამს. მორბენალ ახალგაზრდებს თვალსაჩინო ღირსების ქალებიც კი განგებ ხვდებიან გზაზე და დასარტყმელად ხელებს უწვდიან ისე, როგორც ეს სკოლაში ხდება. მათ სწამთ, რომ ეს ორსულებს მშობიაროზას უადვილებს, ხოლო უნაყოფო ქალებს დაორსულებაში შველის. სატრიუმფო სამოსელში გამოწყობილი ცეზარი საორატორო

ტრიბუნის მახლობლად, ოქროს საყარძელში იჯდა და ამ სანახაობას შესცქეროდა".

ამ დროსო, წერს აპიანე, როსტრასთან მიირბინა კონსულობაში ცეზარის კოლეგამ ანტონიუსმა და ცეზარს გვირგვინი დაადგაო. ამ სცენის დროს მაყურებელთა მცირე რიცხვმა ტაშის კვრა ატეხა, უმრავლესობა კი ოხვრით შეხვდა მას. მაშინ ცეზარმა მოიშორა გვირგვინი. „ანტონიუსმა ისევ დაადგა და ცეზარმა ისევ გადააგდო იგი. იმ დროს, როდესაც ცეზარი და ანტონიუსი თითქოს თავიანთ შორის დაობდნენ, ხალხი მშვიდად იყო და ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, თუ რით გათავდებოდა ყოველივე. მაგრამ როდესაც ცეზარმა თავისი გაიტანა, ხალხმა სიყვარულით შეჰყვირა და მოუწონა ეს".

პლუტარქეს ცნობით, „როცა ამგვარი ხერხით ხალხის განწყობილება გამომჟღავნებული იქნა, ცეზარი ფეხზე წამოდგა და ბრძანა, გვირგვინი კაპიტოლიუმში წაეღოთ". აპიანეს და სხვა ისტორიკოსთა გადმოცემით, ერთხელ, როდესაც საიდანღაც დაბრუნებული ცეზარი რომში შემოდიოდა და შემხვედრი ხალხი მას როგორც მეფეს მიესალმა, ცეზარმა თურმე უთხრა: „მე რექსი (მეფე) კი არა ვარ, არამედ ცეზარიო".

მომზენი და სხვა ბურჟუაზიული ისტორიკოსები ცდებიან, როცა ცეზარის ამგვარ მოქმედებაში მეფობაზე უარის თქმის ხედავენ. ისინი ანგარიშს არ უწევენ, რომ ეს განზრახ, ხალხის განწყობილების გამოსარკვევად იყო მოწყობილი და როცა ეს განწყობილება საწინააღმდეგო აღმოჩნდა, ცეზარმა ხელსაყრელად არ ჩათვალა გვირგვინის მიღება. იმავე პლუტარქეს გადმოცემით, როდესაც ამის შემდეგ ცეზარის ქანდაკებები გვირგვინით შეამკეს და ცეზარს, როგორც მეფეს ისე მიესალმნენ, სახალხო ტრიბუნებმა ფლავიუსმა და მარულუსმა ეს პირები საპატიმროში წაიყვანეს. ცეზარი ტრიბუნების ამ საქციელზე განრისხდა და ისინი თანამდებობიდან გადააყენა. ამიტომ, შეხედულება, რომ ცეზარს მეფობა არ უნდოდა, დაუსაბუთებელია. დაუსაბუთებელია ის შეხედულებაც, თითქოს ცეზარი სჯერდებოდა რომაელთა მიმართ იმპერატორის ტიტულს და მხოლოდ არარომაელთა მიმართ მოითხოვდა მეფობას.

ამიტომ, ძალაში უნდა დარჩეს პლუტარქეს ცნობა, რომ

„ყველაზე უფრო აშკარა ზიზღსა და ცეზარის მოკვლის სურვილს მისი მეფედ გახდომის ჟინი იწვევდა“. და ეს გასაგებიც არის. ხუთი საუკუნის მანძილზე დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილ რომაელებს, ბერძენი ევრიპიდეს მსგავსად, მეფობა ერთი კაცისადმი მონობად მიაჩნდათ.

ზეთქმულება ცეზარის წინააღმდეგ და მისი მოკვლა

45 წლის შემოდგომასა და 44 წლის ზამთარში ცეზარმა ძირითადად დაამთავრა ქვეყნის მმართველობის რეორგანიზაცია და დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებითაც უახლოეს ხანში უნდა დამთავრებულიყო მის მიერ დანგრეული რესპუბლიკიდან მონარქიული სახელმწიფოს აღმოცენების პროცესი.

ამავე დროს მან შეადგინა საგარეო ომების ახალი, გრანდიოზული გეგმები.

საგარეო ომების ახალი ციკლის გაშლას ცეზარი აღმოსავლეთში ფიქრობდა. მას არ ასვენებდა კრასუსის ოცდაათასიანი არმიის განადგურება პართების მიერ და ისწრაფოდა რაც შეიძლებოდა მალე დაეტეხა მათთვის თავზე სამაგიერო უბედურება. მაგრამ მანამდე უნდოდა ჯერ ევროპაში მცხოვრები დაკები დაელაშქრა, შემდეგ შეჭრილიყო პონტოში და იქიდან კი მცირე სომხეთის გზით — პართიაში. „პართების დამორჩილების შემდეგ, — წერს პლუტარქე, — იგი ფიქრობდა გასულიყო ჰირკანიაში, აჰყოლოდა კასპიის ზღვის სანაპიროებს და კავკასიას, შემოევლო პონტოსთვის და სკვითეთში შეჭრილიყო. ხოლო აქედან გადაეცლო გერმანიის მეზობლად მდებარე მხარეები, თვით გერმანია და, კელტთა ქვეყანაზე გადავლით, იტალიაში დაბრუნებულიყო. ამგვარად ცეზარს სურდა, ისე შეეკრა რომის იმპერიის წრე, რომ იგი ყოველმხრივ ოკეანეთი ყოფილიყო შემოსაზღვრული“.

ამ გრანდიოზული სამხედრო გეგმების განხორციელებას, რომელნიც კვლავ სისხლსა და სიკვდილს მოითხოვდნენ რომაელი ლეგიონერებისაგან, რომის სახელმწიფოს სალაროები

უნდა გაევსო ფულითა და ნადავლით, ხოლო ღმერთამდე მიტოლებული ცეზარისათვის ახალი დიდება და პატივი მოეტანა. იონიის ზღვის ავანპოსტებზე ამ მიზნით 44 წლის მარტის დასაწყისში უკვე გადაყვანილი იყო ქვეითი არმიის თექვსმეტი ლეგიონი და ათი ათასი ცხენოსანი. მარტის შუა რიცხვებში ცეზარს უნდა დაეტოვებინა „მარმარილოსა და ოქროს“ სატახტო ქალაქი და აღმოსავლეთში ახალ ხიფათსა და განსაცდელთან შესაჯახებლად წასულიყო.

მაგრამ „ბედმა“, ადამიანთა შურიანობამ, სამართლიანობამ თუ უსამართლობამ, ომის სტიქიას აღმოსავლეთში წასვლა არ აცალა და ოთხი დღით ადრე, იქვე რომში, ოქროსა და სპილოს ძვლის სავარძელზე შეთქმულ „მეგობართა“ მახვილით ამოხადა სული.

ამ შეთქმულების ისტორიასა და ორგანიზაციას ძველი წყაროები ზოგად ხაზებში შემდეგნაირად წარმოგვიდგენენ. სვეტონიუსის, აპიანეს და პლუტარქეს ცნობებით, შეთქმულების მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ შეთქმულთ უმძიმდათ ცეზარის ერთმმართველობა და ვერ ურიგდებოდნენ მის ჰონარქიულ მისწრაფებებს. მათივე ცნობით, შეთქმულების იდეა გაიუს კასიუს ლონგინუსს ეკუთვნოდა. კასიუსი პართების წინააღმდეგ ომის მონაწილე იყო და შემდეგ პომპეუსის მხარეზე იბრძოდა ფარსალთან. მაგრამ სათავეში ამ შეთქმულებას მარკუს იუნიუს ბრუტუსი ედგა. მარკუს ბრუტუსი დედის მხრივ სერვილიუსთა წარჩინებულ ოჯახს, ხოლო მამის მხრივ ერთ-ერთ უძველეს რომაულ გვარს — ბრუტუსთა გვარს ეკუთვნოდა.

მარკუს იუნიუს ბრუტუსს ბევრი საერთო და კერძო ხასიათის მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ ცეზარის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას სათავეში ჩასდგომოდა. ზოგიერთის ცნობითო, ამბობს აპიანე, მარკუს ბრუტუსი ცეზარის უკანონო შვილი იყო. ცეზარი თურმე დიდ მზრუნველობას იჩენდა ბრუტუსისადმი. ფარსალის ბრძოლაში მარკუს ბრუტუსი პომპეუსის მხარეზე იბრძოდა. ბრძოლა რომ დამთავრდა, — ამბობს პლუტარქე, — ბრუტუსი არსად ჩანდა და ცეზარი მეტისმეტად შეწუხდა. მაგრამ როცა ის გადარჩენილთა შორის

აღმოჩნდა და მასთან გამოცხადდა, უსაზღვრო სიხარულს მიეცაო. სხვა ადგილას პლუტარქე წერს: ცეზარი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ბრუტუსი მისი შვილი იყოო. სვეტონიუსის ცნობით, მკვლელობის დროს ცეზარს შეთქმულთა შორის მახვილამოწვდილი მარკუს ბრუტუსი რომ დაუნახავს, ბერძნულად შეუძახია მისთვის: „შენც, ჩემო შვილო!“

აპიანეს სიტყვით შეიძლება ეს ბრუტუსმა არც იცოდა, შეიძლება იცოდა და რცხვენოდა დედის ამგვარი საქციელის გამო, ან შეიძლება არც რცხვენოდა, მაგრამ სამშობლო ერჩივნა მამასო. ასეა თუ ისე, ბრუტუსს ყური ექნებოდა მოკრული ამ ამბისათვის და ეს ერთგვარი გამღიზიანებლის როლს ითამაშებდა ცეზარის წინააღმდეგ მის განწყობაში. მაგრამ აქ ეს ნართაული მიზეზი იქნებოდა. მთავარი კი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური რწმენის სხვადასხვაობის სფეროშია საძიებელი.

რომში კარგად იცოდნენ ბრუტუსის ანტიმონარქიული განწყობილება, რომელსაც ტაქტიკური მოსაზრებით ის ახლა აშკარად ვერ ავლენდა. ამიტომ ანტიცეზარიანული წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ გაღიზიანების გზით გამოეყვანათ ბრუტუსი ინერტულობიდან და მიეცათ მისთვის ხელში შეთქმულების დროშა.

ამ მიზნით, წერს პლუტარქე, „ტრიბუნა და სავარძელი, რომელზედაც ბრუტუსი, როგორც პრეტორი, სასამართლო საქმეებს იხილავდა, ასეთი შინაარსის წარწერებით გაავსეს: „შენ გძინავს, ბრუტუს“, „არა, შენ ბრუტუსი არა ხარ“. აპიანეს გადმოცემით კი ბრუტუსის სავარძელზე ასეთი წარწერებიც ყოფილა „ბრუტუს, შენ მოსყიდული ხარ? ბრუტუს, შენ გვამი ხარ?“ სვეტონიუსის ცნობით, 510 წლის კონსულის ლუციუს იუნიუს ბრუტუსის ქანდაკების კვარცხლბეკზე ვიღაცას ასეთი წარწერა გაეკეთებინა: „ახ, შენ რომ ცოცხალი იყო!“, ხოლო ცეზარის ქანდაკების კვარცხლბეკზე კი ასეთი: „ბრუტუსი პირველი კონსული გახდა — მეფეთა გაძევების შემდეგ, ეს კი ბოლოს და ბოლოს მეფედ გახდა — კონსულთა გაძევების შემდეგ“.

ცეზარის მოწინააღმდეგენი ატყობდნენ, რომ ბრუტუსს

აღიზიანებდა ეს გამოწვევა. ამასთან, პატივმოყვარეობასაც უღვიძებდნენ, როცა რესპუბლიკის მხსნელის როლში წარმოადგენდნენ. ბოლოს, ეს ურთიერთდაზვერვისა და ერთმანეთის შემოწმების პერიოდი დამთავრდა. ერთ დღესო, წერს აპიანე, „კასიუსმა მხრებზე ხელი დაადო ბრუტუსს და ჰკითხა: „რას ვიზამთ, ჩვენ, თუ ცეზარის მლიქვნელები სენატში წინადადებას შეიტანენ მეფედ მისი გამოცხადების შესახებ?" ამაზე ბრუტუსმა უპასუხა, რომ ის არ წავა სენატში. კასიუსი მას კვლავ შეეკითხა: „მაგრამ რას ვიქმთ მაშინ, სახელოვანო ბრუტუს, თუ ჩვენ იქ მოგვიხმობენ, როგორც პრეტორებს?". „მე,— უპასუხა ბრუტუსმა, — ჩემს სიკვდილამდე დავიცავ სამშობლოს". მაშინ კასიუსი მოეხვია მას და უთხრა: „წარჩინებულთაგან ვინ არ შეუერთდება შენს ამგვარ შეხედულებას? როგორ გგონია, ვინ აკეთებს შენს სასამართლო სავარძელზე საიდუმლო წარწერებს: ხელოსნები, მედუქნეები თუ ის კეთილშობილი რომაელები, რომელნიც სხვა პრეტორებისაგან მოითხოვენ სანახაობას, ცხენთა ჭენებას, მხეცთა ბრძოლას და შენგან კი — თავისუფლებას, როგორც საქმეს, რომელიც შენ ნაანდერძევი გაქვს წინაპართაგან?"

ეს პირველი შემთხვევა იყოო, დასძენს შემდეგ აპიანე, — როცა მათ ერთმანეთს გაანდეს გულის ნადები და დიდი სიფრთხილით დაიწყეს თანამოაზრეთა შეკრება, როგორც თავიანთი, ისე ცეზარის მეგობრებიდან. თავიანთი მეგობრებიდან მათ შეთქმულებაში ჩაითრიეს ძმები ცეცილიუსები, სერვილიუს გალბა, სექსტიუს ნაზონი, მარკუს სპურიუსი, პონტიუს აკვილა და სხვ. ცეზარის მეგობრებიდან დეციმუს ბრუტუს ალბინუსი (კეისრის ერთ-ერთი სარდალი გალიის ომებში), ტრებონიუსი და სხვ. შეთქმულთა საერთო რიცხვი სამოც კაცამდე აღწევდა. ისინი ურთიერთშორის შეთანხმდნენ ფიცისა და მსხვერპლშეწირვის გარეშე, მაგრამ არც ერთს არ უღალატია სიტყვისათვის.

შეთქმულნი ახლა ეძებდნენ ხელსაყრელ შემთხვევასა და ადგილს, რათა განზრახვა სისრულეში მოეყვანათ. მათი აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა ორმა გარემოებამ დააჩქარა. პირ-

ველი ის იყო, რომ ცეზარს რამდენიმე დღის შემდეგ უნდა დაეტოვებინა რომი და აღმოსავლეთში წასულიყო. შეთქმულნი ცდილობდნენ დაესწროთ. ამასთან, ისინი ვარაუდობდნენ, რომ გამგზავრების წინ ცეზარის ირგვლივ ძლიერი სამხედრო დაცვა იქნებოდა, რაც გააძნელებდა და უფრო სახიფათოსაც გახდიდა მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას. მეორე კი ის იყო, რომ სწორედ იმ დღეებში მიაღწია ცეზარის საწინააღმდეგო განწყობილებამ თავის კულმინაციურ წერტილს და შეთქმულთ არ უნდოდათ შემთხვევის ხელიდან გაშვება.

საქმე შემდეგში იყო. რომში არსებობდა ე. წ. სამკითხაო-საწინასწარმეტყველო წიგნები, რომელიც იუპიტერის ტაძარში ინახებოდა. გადმოცემის მიხედვით, ოდესღაც ეს წიგნები ეკუთვნოდა მკითხავ ქალ სიბილას, რომლისაგანაც ისინი რომის უკანასკნელ მეფე ტარკვინიუს ამაყს ჭ. კუმაში შეუძენია და რომში გადაუტანია. ახლა, აღმოსავლეთში პართების წინააღმდეგ ცეზარის გალაშქრებასთან დაკავშირებით, ცეზარის მომხრეებმა, როგორც ამბობენ წერს, გაავრცელეს ხმები, თითქოს სიბილას ამ წიგნებში ეწერა რომ: „...პართელები იქამდე არ იქნებიან რომაელების მიერ დამარცხებულნი, ვიდრე მათ წინააღმდეგ ბრძოლის სათავეში არ იქნება მეფეო".

ამიტომ ცეზარი, რომელიც ახლა პართების წინააღმდეგ მიდიოდა საომრად „კატასტროფისა" და კრასუსის ბედის თავიდან ასაცილებლად, მეფედ უნდა გამოეცხადებინათ. სვეტონიუსის მიხედვით, იმ დღეებში სენატის სხდომაზე ამ წინადადების შეტანა დავალებული ჰქონდა ქურუმ ლუციუს კოტას. ამ ხმების გავრცელებამ უფრო მეტად აღაშფოთა რესპუბლიკის მომხრეები. ცეზარის დიქტატურის დროს მათ კიდევ შესაძლებლად ეჩვენებოდათ რესპუბლიკის აღდგენა და მეფედ ცეზარის გამოცხადებას ახლა საბოლოოდ უნდა დაემარხა ეს იმედი.

ძველი წყაროების მიხედვით, ცეზარმა შეიტყო შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ სჯეროდა მისი არსებობა. პლუტარქე მის ბიოგრაფიაში წერს, ერთხელ ცეზარს უთხრეს, რომ ანტონიუსი და დოლაბელაც არიან შეთქმულებაში ჩათრეულნიო.

მე ოდნავადაც არ მეშინია ამ ჩასუქებული და გრძელთმიანი ხალხისო, — თქვა ამაზე ცეზარმა, — უფრო მეტი შიში იმ მჭლე და ფერმკრთალი ადამიანებისა მაქვსო. ამ გადაკრულ სიტყვაში ცეზარი კასიუსსა და ბრუტუსს გულისხმობდაო. მაგრამ, იგივე პლუტარქე ბრუტუსის ბიოგრაფიაში წერს, რომ ცეზარს არ სჯეროდა ბრუტუსის მონაწილეობა შეთქმულებაშიო.

ცეზარი, რადგან თვითონ არ იყენებდა ჩასაფრებისა და ტერორის მეთოდს, რატომღაც ფიქრობდა, რომ არც მოწინააღმდეგე გამოიყენებდა მას, რის გამოც მშვიდობიანობის დროს იგი დაცვის გარეშე დადიოდა. როდესაც მეგობრებმა დაცვის საჭიროებაზე მიუთითეს, ამაზე, აპიანეს გადმოცემით, ცეზარს უპასუხია: „ხანგრძლივ დაცვაზე უფრო ცუდი არაფერია, ეს იმის ნიშანია, რომ მუდმივ შიშში იმყოფებიო“. ერთი სიტყვით, ცეზარი სიკვდილს მტრის ხელით წინიდან მოელოდა, მაგრამ სიკვდილი მას „მეგობრების“ ხელით, ზურგიდან მიეპარა.

სვეტონიუსის ცნობით, ისინი ჯერ ორ-ორნი და სამ-სამნი იკრიბებოდნენ ერთად სათათბიროდ, შემდეგ კი მათ შეთქმულთა საერთო კრება მოაწყვეს. აქ შეთქმულთა შორის წამოიჭრა უთანხმოება იმაზე, თუ როდის, სად და როგორ მოეკლათ ძველი დროის ეს მეორე ალექსანდრე მაკედონელი, ხუთჯერ ტრიუმფგადახდილი რომის სამხედრო ხელოვნების გენია, ჰეორე რანგის ორატორი და პირველი რანგის პოლიტიკოსი. ზოგნი წინადადებას იძლეოდნენ, იგი მარსის ველზე მოეკლათ ახალხო კრების დროს, სადაც ის ხიდიდან უნდა გადაეგდოთ და მერე დაბლა მდგომთ ყელი გამოეჭრათ. სხვები აყენებდნენ წინადადებას მოეკლათ იგი აპიუსის გზაზე. ბოლოს, გადაწყვიტეს თხუთმეტ მარტს პომპეუსის თეატრში დანიშნულ სენატის სხდომაზე მოეკლათ ცეზარი.

შეთქმულთა ერთი ჯგუფი აყენებდა საკითხს მარკუს ანტონიუსის მოკვლის შესახებაც. „ერთნი საჭიროდ მიიჩნევდნენ, — წერს აპიანე, — მოეკლათ ანტონიუსიც, რადგან ის ცეზართან ერთად იყო კონსულად, ყველაზე ძლიერი იყო მის მეგობართაგან და ყველაზე პოპულარული კაცი ჯარში. მაგრამ ბრუტუსმა

უარყო ეს, რადგან ცეზარის მოკვლით ისინი ტირანის მკვლელის დიდებას მოიხვეჭდნენ... ცეზარის მეგობრების მოკვლით კი მათ უბრალოდ პომპეუსის მომხრეებად მიიჩნევდნენ".

რამდენადაც ახლოვდებოდა ეს დღე, იმდენად უფრო მეტად ნერვიულობდნენ შეთქმულნი, განსაკუთრებით კი მათი მეთაური ბრუტუსი. მამამისი სულას დიქტატურის დროს დაიღუპა, სიმამრი — ცეზარის და ახლა თვითონაც ისეთ გზაზე შედგა, რომ ან სხვისი სიცოცხლე უნდა ემსხვერპლა ან თვითონ დაღუპულიყო. ბრუტუსი ცდილობდა შინაგანი ღელვა და ჭარიშხალი გარეგნული სიმშვიდით დაეფარა, მაგრამ თუ იგი ამას ერთგვარად ახერხებდა გარეთ, როცა პრეტორის სავარძელზე მჯდომი სასამართლო საქმეებს არჩევდა, სამაგიეროდ შინ თურმე ძალზე უჭირდა სიმშვიდის შენარჩუნება.

მარტის დღეები ახლოვდებოდა. როგორც დიონ კასიუსი გადმოგვცემს, შეთქმულებმა საწერი მასალის საფარქვეშ ყუთებით ხანჯლები შეიტანეს სენატში. ცეზარი, რომელსაც გუმანიც არ ჰქონდა მოახლოებული საშიშროების შესახებ, თოთხმეტ მარტს საღამოს ვახშმად იყო მიპატიჟებული თავისი ცხენოსანი ჯარის უფროსთან, მარკუს ლეპიდუსთან. ვახშამზეო, წერს პლუტარქე, „უცებ სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ რომელი სახის სიკვდილი არის ყველაზე უკეთესიო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველას დაასწრო ცეზარმა და წამოიძახა: „მოულოდნელიო". სუფრაზე მასთან ერთად იჯდა შეთქმულთა ერთ-ერთი მეთაური დეციმუს ბრუტუს ალბინუსი, რომელიც სხვებთან ერთად მას სწორედ ამგვარ სიკვდილს უმზადებდა და ისიც მეორე დღისათვის.

გათენდა თხუთმეტი მარტი. ცეზარი შეუძლოდ გრძნობდა თავს. მან გადაწყვიტა არ წასულიყო სენატში და ანტონიუსი გაეგზავნა სხდომის სხვა დროისათვის გადასადებლად. შეთქმულთა გეგმების შესრულებას საფრთხე დაემუქრა. მაშინ ცეზართან ბინაზე მივიდა დეციმუს ბრუტუსი და ურჩია წასულიყო სენატის სხდომაზე. ცეზარის მეუღლეს — კალპურნიას არ უნდოდა ქმრის სახლიდან გაშვება. კალპურნიამ ბრუტუსს უთხრა, გარდა იმისა, რომ ცეზარი შეუძლოდ არის, ღამე

ცუდი სიზმრები ამყვაო. ბრუტუსი მაინც თავისას ამბობდა, არ ივარგებს ცეზარის წაუსვლელობა, ხალხი ამაში სენატის აბუჩად აგდებას დაინახავსო.

პლუტარქეს ცნობით, დეციმუს ბრუტუსს ასე უთქვამს ცეზარისათვის: „სენატი შენი მოწვევით შეიკრიბა დღეს; ყოველი სენატორი მზად არის, იტალიის გარეთ მდებარე და რომისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანათა მეფედ გამოგაცხადოს და ამასთან ერთად უცხო ქვეყნებსა და ზღვებში ყოფნის ჟამს სამეფო გვირგვინის ტარების უფლება მოგცეს. აბა რას იტყვიან შენი მტრები, შეკრებილ სენატორებს რომ ვინმემ გამოუცხადოს: ახლა დაიშალენით და მაშინ შეიკრიბეთ, როცა კალპურნია უკეთეს სიზმარს იხილავსო? ანდა, განა აუტანელ ამბად არ ჩათვლიან სენატის წევრები იმას, რომ რომელიმე შენმა მეგობართაგანმა მათ მტკიცება დაუწყოს: ცეზარის ასეთი მოქმედება მონობა და ტირანია არ არისო? თუ მაინცადამაინც დღევანდელ დღეს საბედისწერო დღედ თვლი, მაშინ უმჯობესია, შენ თვითონვე მიხვიდე სენატში და სხდომა გადადებულად გამოაცხადო“.

ამ სიტყვებით თხუთმეტი მარტის ნაშუადღევის 5 საათზე დეციმუს ბრუტუსმა ცეზარი სახლიდან გამოიყვანა. ტრაღედიის პირველი მოქმედება დაიწყო. შეუძლოდ მყოფი ცეზარი ტახტრევანზე წამოწვა და მონებმა ასე წაიყვანეს იგი სენატში.

გზაში ცეზარის ტახტრევანს მრავალი ხალხი მიყვებოდა. ზოგი უსაქმური უბრალოდ დროის მოსაკლავად აედევნა მას, ზოგსაც რაღაც საკუთარი საქმე აწუხებდა და ცდილობდა წინასწარ გამზადებული არზა გადაეცა დიქტატორისათვის ტახტრევანში. პლუტარქეს ცნობით, ცეზარის ტახტრევანს მიუახლოვდა რიტორიკის მასწავლებელი, ბერძენი არტემიდორე კნიდოსელიც და ცეზარს წერილი გადასცა და თან წასჩურჩულა: „ჩემი ბარათი მარტო შენ გადაიკითხე, ცეზარო, და, რაც შეიძლება, სწრაფად გააკეთე ეს! ეგ ბარათი მეტად მნიშვნელოვან ამბავს შეიცავს და ეს ამბავი შენ შეგეხებაო“. მაგრამ ცეზარმა მთხოვნელთა და მათ ბარათთა სიმრავლის გამო ვერ მოახერხა არტემიდორეს წერილის წაკითხვა. ამასობაში მისი ტახტრევანი მონებმა უკვე პომპეუსის თეატრის კარებთან მიი-

ტანეს. ცეზარმა გზაში მიღებული სხვა ბარათები თავის მსახურთ გადასცა და არტემიდორეს ამ ერთი ბარათით ხელში ტახტრევანიდან გადმოვიდა, რომ სენატში შესვლისთანავე წაეკითხა იგი.

აქ ცეზარმა თვალი მოჰკრა წინასწარმეტყველების ჭურუმს (ჰარუსპიკ) სპურინას. ამ სპურინას, როგორც ჩანს, ადრევე ეყური ჰქონდა მოკრული შეთქმულების ამბისათვის და ცეზარს ცუდი წინასწარმეტყველური ნიშნების დამოწმებით აფრთხილებდა იდების (15 მარტის) მოსალოდნელ ხიფათზე. სვეტონიუსის გადმოცემით, ცეზარს უთქვამს სპურინასათვის იდები დადგა, მაგრამ მე უვნებელი ვარო. სპურინას უპასუხია, იდები მართალია დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულაო. ამ სიტყვების შემდეგ ცეზარი შევიდა სენატში, საიდანაც მას გამოსვლა აღარ ეწერა.

შეთქმულებს მკვლელობის აქტის უხიფათოდ შესრულებისათვის ყველა ზომა ჰქონდათ მიღებული. თვითეულ მათგანს მახვილი ჰქონდა დამალული, სხვა სენატორები კი, რომელნიც საქმის კურსში არ იყვნენ, როგორც წესი, სენატის სხდომაზე უიარაღოდ იყვნენ მისულნი. შეთქმულებმა იმ დღეს განზრახ დაგეგმეს გლადიატორთა ბრძოლის მოწყობა და თავიანთ საკუთარ გლადიატორთა საკმაოდ დიდ რიცხვს მოუყარეს თავი თეატრთან. ისინი მათ ბრძოლაში უნდა ჩაებათ, თუ მდგომარეობა გართულდებოდა და საქმე ამის საჭიროებას მოითხოვდა. ცეზარის ერთგულ მეგობართაგან შეთქმულთ ყველაზე მეტად ეშინოდათ იმ წლის კონსულის, მარკუს ანტონიუსისა, რომელიც დიდი ფიზიკური ძალის პატრონი და გაბედული ვაჟკაცი იყო. ამიტომ დეციმუს ბრუტუსმა და გაიუს ტრებონიუსმა, როცა ცეზარი სენატში შევიდა, ანტონიუსი განზრახ სენატის გარეთ შეიყოლიეს ლაპარაკში.

ცეზარი სენატში სპილოს ძვლისა და ოქროსაგან ნაკეთებ თავის სავარძელში ჩაჯდა. შეთქმულთა ერთი ჯგუფი ამ სავარძელს ზურგიდან ამოუდგა, მეორე ჯგუფი კი, რომელთა შორის ტულიუს ციმბერიც იყო, მას პირისპირ დაუდგა და ყველამ დაუწყო ცეზარს თხოვნა, შეეწყალებინა და რომში დაებრუნებია ამ ციმბერის გაძევებული ძმა. ამასთან, თხოვნისა და ვედ-

რების ნიშნად, ცეზარს კოცნა დაუწყეს მკერდსა და თავზე. ცეზარმა მათ უთხრა, ამ საკითხს სხვა დროს განვიხილავო, მაგრამ როდესაც თხოვნამ თავხედური მოთხოვნის ხასიათი მიიღო, ცეზარმა უარჰყო იგი. მაშინ ციმბერმა მას ტოგაზე ხელი სტაცა და შეჰყვირა: „რაღას უცდით, მეგობრებო?“ ცეზარის თავთან მდგომმა სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს სერვილიუს კასკამ ცეზარს მახვილი ჩასცა მკერდში. ცეზარმა მას ხელი სტაცა მახვილზე და ლათინურად შესძახა: კასკავ, ვერაგო, რასა შვრებიო? კასკამ კი თავის ძმას, სენატორ გაიუს სერვილიუს კასკას ბერძნულად დაუძახა, არიქა, ძმაო, მომეხმარეო. სვეტონიუსის ცნობით, ამ დროს ცეზარმა ფოლადის ჩხირით (იხმარებოდა კალმისტრის მაგიერ გასანთლულ დაფაზე საწერად) პუბლიუს კასკა განგმირა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ იმავე წამს მას ზედიზედ აძგერეს მახვილები. კასიუსმა — სახეში, ბუკოლიანუსმა — ბეჭებში და ა. შ. ცეზარი, როგორც გარეული მხეცი, ტრიალებდა და ბორგავდა მახვილთა ქვეშ და როდესაც მარკუს ბრუტუსიც შენიშნა, რომელმაც ის-ის იყო ბარძაყში აძგერა მახვილი, ცეზარმა მას ბერძნულად შესძახა: შენც, ჩემო შვილო? წინააღმდეგობა შეწყვიტა, თავზე ტოგა წამოიხურა, დაეცა და ოცდასამი ჭრილობით დაკოდილმა სული განუტევა.

საბჭოთა ისტორიკოსი, პროფესორი ს. ი. კოვალიოვი წერს: „ცეზარის სიკვდილით საფლავში ჩაიდა ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. ჩვენ ახლა შორს ვართ ცეზარის ისტორიული მნიშვნელობის მომზენისებური გაზვიადებისაგან. ჩვენ ვიცით, რომ თავის მოღვაწეობაში ცეზარი არ იყო მთლიანად ორიგინალური და ბევრ რამეში სულას საქმეს აგრძელებდა. მით უფრო არ შეიძლება არ ვცნოთ, რომ, თუ სულამ საძირკველი ჩაუყარა იმპერიას, ცეზარმა ააგო თვითონ შენობა. იგი იყო გენიალური უნარისა და მაღალი კულტურის ადამიანი. მასში კარგად იყო შეხამებული დიდი სარდლის თვისება გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ფართო ჰორიზონტთან. ამასთან ერთად ცეზარის პიროვნებაში იყო ბევრი მომხიბვლელი და კეთილშობილი თვისება“.

ცეზარის მოკვლის შემდეგ მარკუს ბრუტუსი სენატის შუა-

გულში დადგა და უნდოდა სიტყვა წარმოეთქვა მომხდარი ამბების მიზეზების შესახებ. მას არავინ მოუსმინა, რადგან ამ მოულოდნელი და შემაზრზენი ტრაღედიით შიშნაკრავი სენატორები კარებს მიაწყდნენ გასაქცევად. მაშინ, წერს პლუტარქე, „ბრუტუსი და მისი ამხანაგები, ჯერ კიდევ მკვლელობის ცეცხლით ანთებულნი, ერთად შეიჯარნენ, ამოწვდილი მახვილებით ხელში სენატიდან გამოვიდნენ და კაპიტოლიუმისაკენ გაემართნენ. ისინი შიშისაგან დამფრთხალ ხალხს როდი ჰგავდნენ: გაბრწყინებული და მხნე სახეებით ამაყად მიდიოდნენ". შეთქმულნი კაპიტოლიუმზე გამაგრდნენ, ღამე იქ გაატარეს და თავდაცვა მოაწყეს, რადგან მოსალოდნელი იყო მათ წინააღმდეგ ცეზარის მომხრეებისა და ვეტერანების გამოსვლა.

მაგრამ ასეთი მაშინ არაფერი მომხდარა. ცეზარის უახლოესი მეგობრები და მათ შორის იმ წლის კონსული ანტონიუსიც, რომელსაც აპიანეს გადმოცემით, ეგონა, რომ შეთქმულთ მისი მოკვლაც ჰქონდათ განზრახული, სახლში გაიპარნენ და ჩაიკეტნენ. ცხენოსანი ჯარის უფროსი ლეპიდუსი ტიბრში მდებარე კუნძულზე გაიქცა თავის ჯართან. ცეზარის მკვლელობის ამბავმა მაინც მთელი ქალაქი ააფორიაქა და ფეხზე დააყენა. ზოგი სენატისკენ მირბოდა გაგონილი ამბის შესამოწმებლად, ზოგი, ვინც უკვე ნახა, სახლში მიიჩქაროდა, რათა შემთხვევით ქუჩაში არ მოჰყოლოდა მოსალოდნელ არეულობასა და ხოცვა-ჟლეტაში. მაგრამ იმ დღემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, რადგანაც ერთის მხრივ შეთქმულთ არ ჰქონდათ გეგმაში ცეზარის გარდა სხვა ვინმეს მოსპობა, მეორე მხრივ კი თვით ღმერთკაცად გამოცხადებულ ცეზარს არ აღმოაჩნდა ისეთი ფიცხი გულშემატკივრები, რომელნიც დაუყოვნებლივ შეეცდებოდნენ მკვლელებისათვის სამაგიეროს მიზღვას. გამართლდა ძველი ბერძნების ნათქვამი: „ცოცხალი ჭიანჭველა უფრო საშიშია, ვიდრე მკვდარი ლომიო". მკვდარ ცეზარს პირველი პატრონობა მხოლოდ სამმა მონამ გაუწია, რომელთაც მისი გვამი საკაცეზე დადეს და სახლში მიუტანეს კალკურნიას. აპიანე შენიშნავს, რომ მხოლოდ სამმა მონამ მიიტანა სახლში ის, ვინც სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს მბრძანებელი იყოო.

იმის შიშით, რომ სენატი მთლიანად შეთქმულთა მხარეზე არ დამდგარიყო და ცეზარის მომხრეები კანონგარეშე არ გამოეცხადებინა, ანტონიუსმა, როგორც კონსულმა, გადაწყვიტა შეთქმულებთან საერთო ხაზის გამონახვის პოლიტიკას დადგომოდა, ვიდრე მდგომარეობა გაირკვეოდა და მოვლენები მის სასარგებლოდ დალაგდებოდნენ. ამ მიზნით წინადადება მისცა შეთქმულთ, დაეტოვებინათ კაპიტოლიუმი და დაეწყოთ მოლაპარაკება. უშიშროების გარანტიისათვის ანტონიუსმა მათ საკუთარი შვილი მძევლად გაუგზავნა. 16 მარტს შეთქმულებმა დატოვეს კაპიტოლიუმი და ჩამოვიდნენ ფორუმზე. აქ თავმოყრილ ხალხს სიტყვებით მიმართა ბრუტუსმა. ამ სიტყვის შინაარსი მოცემული აქვთ აპიანეს და სხვებს. მაგრამ ჩვენ მას შექსპირის „იულიუს ცეზარიდან“ მოვიყვანთ, რადგან ვფიქრობთ, რომ შექსპირმა უკეთ გაიგო მაშინდელი სიტუაცია, ვიდრე ბევრმა ძველი და ახალი დროის ისტორიკოსმა.

„გთხოვთ მომისმინოთ, რომაელებო, ჩემი მამულის საყვარელნო შვილნო! ბოლომდე ჩუმად და მოთმინებით ყური მომაპყარით, რომ ყოველისფერი შეიტყოთ. მენდეთ, როგორც პატიოსან კაცს, და ზრდილად მოექეცით ჩემს პატიოსნებას, რადგან ეჭვს გულში ვერ გაიტარებთ. განმსაჯეთ, მაგრამ ჯერ გრძნობა-გონება გამოიფხიზლეთ უკეთესი მსჯელობისათვის. თუ აქ, ამ კრებაში არის ვინმე ერთგული მეგობარი ცეზარისა, მე მას ვეტყვი, რომ ბრუტუსს ცეზარი მასზე ნაკლებად არ უყვარდა. იქნებ მკითხოს, რომ ბრუტუსმა ცეზარი რათ გამოიმეტაო; აი, ჩემი პასუხი: მე ცეზარი ნაკლებად არ მიყვარდა, მაგრამ რომი მიყვარდა მეტად. რას უფრო არჩევდით: იმას, რომ ცეზარი ცოცხალი დარჩენილიყო და ჩვენ ყველანი მონებად დავხოცილიყავით, თუ იმის სიკვდილს და ჩვენს ცოცხლივ განთავისუფლებას? ცეზარს მე ვუყვარდი და ამისათვის მას დავტირი; იგი ბედნიერი იყო და მე მიხაროდა, იგი იყო მამაცი და ამისათვის პატივსა ვცემდი. მაგრამ მედიდური იყო და ამისათვის მოვკალი იგი. საყვარელ კაცს ცრემლები ეკუთვნის, ბედნიერს — სიხარული, მამაცს — პატივისცემა და მედიდურს — სიკვდილი. ვინ არის თქვენში ისეთი სულმდაბალი,

რომ მონად ყოფნას ნატრობდეს? თუ არის, თქვას, მე იმისათვის დიახაც შეურაცხყოფა მიმიყენებია. ვინ არის თქვენში ისეთი ბრიყვი, რომ რომის ძეობით არ ამაყობდეს? თუ არის, თქვას, მე მისთვის დიახაც შეურაცხყოფა მიმიყენებია. ვინ არის თქვენში ისეთი უგვანი, რომ თავისი ქვეყანა არ უყვარდეს? თუ არის, თქვას, მე მისთვის დიაღაც შეურაცხყოფა მიმიყენებია. აბა, სთქვით-მეთქი, პასუხს ველი".

მაგრამ პასუხად დუმილი იყო. „მოლაპარაკე შეთქმულთ,— წერს პლუტარქე, — ხალხი არც თავის უკმაყოფილებას უჩვენებდა და არც აქებდა და იწონებდა მათ საქციელს. იგი საშარისებური დუმილით გარკვეულად ეუბნებოდა მათ, რომ მას ენანებოდა ცეზარი და, რომ, ამავე დროს, ბრუტუსსაც პატივს სცემდა". შეთქმულთა იმედი, რომ ამ ამბავს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდებოდა, არ გამართლდა.

ჩვიდმეტ მარტს დედამიწის ღვთაების ტაძარში მოწვეული იქნა სენატის სხდომა, სადაც სიტყვა წარმოთქვეს ანტონიუსმა, ცეზარის ყოფილმა ლეგატმა — მუციუს პლანკუსმა და ციცერონმა. სხდომაზე წამოყენებული იქნა წინადადება, რომ გამოეცხადებინათ ცეზარი „ტირანად", ამნისტია მიეღოთ შეთქმულთა მიმართ და დაეჯილდოვებინათ კიდეც ისინი. მაგრამ ცეზარის „ტირანად" გამოცხადება მოასწავებდა მისი ყველა განკარგულების გაუქმებას, რაც გამოიწვევდა იმათ უკმაყოფილებას, ვინც ცეზარის დროს მიწები, ჯილდოები, თანამდებობები და სხვ. მიიღეს. ეს იქნებოდა სამოქალაქო ომისათვის ახალი მუგუზლის შენთება, მაშინ როცა სენატი, პირიქით, ზავისათვის ეძებდა გზებს. ამიტომ ის უარყვეს და მიიღეს ციცერონის კომპრომისული წინადადება. ამ წინადადებით ძალაში რჩებოდა ცეზარის ყველა განკარგულება, მის მკვლელებს ამნისტია უცხადდებოდათ და ცეზარის დარჩენილი ქაღალდების განხილვა ანტონიუსს ევალებოდა.

მიუხედავად ამისა, შეთქმულები შიშობდნენ, რომ ამგვარ ამნისტიაზე ანტონიუსის თანხმობა მხოლოდ დროებითი და ტაქტიკური ხრიკი იყო, რომელსაც ის მდგომარეობის განმტკიცებისთანავე დაუყოვნებლივ დაარღვევდა. ამიტომ იმავე ჩვიდ-

მეტ მარტს შეთქმული დეციმუს ბრუტუსი მარკუს ბრუტუსისა და გაიუს კასიუსისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში წერდა: თქვენ კითხულობთ, თუ რა ვქნათ? ჩემი აზრით, „უნდა დავემორჩილოთ ბედს; ვფიქრობ, რომ უნდა გადავიხვეწოთ იტალიიდან, გადაესახლდეთ როდოსზე, ან სხვა რომელიმე ქვეყანაში. თუ მდგომარეობა გამოკეთდება, მაშინ რომში დავბრუნდებით, თუ არ გამოკეთდება — ვიცხოვრებთ გადასახლებაში; მაგრამ თუ იგი აუტანელი გახდება — მივმართავთ უკიდურეს საშუალებას“, ე. ი. თავს მოვიკლავთო.

ცხრამეტ მარტს ლუციუს პიზონის (ცეზარის სიმამრი) მოთხოვნით გახსნილი იქნა ანდერძი, რომელიც ცეზარის მიერ იყო 45 წლის სექტემბერში დაწერილი და ჩაბარებული ჰქონდა ვესტას უფროს ქურუმ ქალს. ამ ანდერძით ცეზარი, რომელსაც შვილი აღარ ჰყავდა, თავის მემკვიდრედ ტოვებდა თავის დის — იულიას შვილიშვილს, გაიუს ოქტავიანეს (შემდეგში იმპერატორ ავგუსტუსად წოდებულს) და მას უტოვებდა თავისი ქონების სამ მეოთხედ ნაწილს, დანარჩენს კი თავისი დის ორ სხვა შვილიშვილს შორის ანაწილებდა. მაგრამ თუ ისინი არ მოისურვებდნენ, იმ შემთხვევაში ქონება გადადიოდა დეციმუს ბრუტუსის და მარკუს ანტონიუსის ხელში. ამასთან, ანდერძით ტიბრს იქით მდებარე მისი ბაღები საზოგადოებრივ სარგებლობაში გადადიოდა და თვითეულ რომაელ მოქალაქეს სამასი სესტერცი ეძლეოდა.

როცა ხალხმა ანდერძის შინაარსი შეიტყო, ცეზარის განკარგულებაში მათ დიქტატორის ხალხზე ზრუნვა დაინახეს. ამ გარემოებამ მღელვარება გააძლიერა. 20 მარტისათვის უფრო მეტად დაიძაბა მდგომარეობა. ამ დღეს ცეზარის დასახიჩრებული გვამი ფორუმზე აიტანეს და კოცონზე დადეს დასაწვავად.

როდესაც კოცონმა განელება დაიწყო, ხალხმა თავი მიანება მას და ანთებული მაშხალებით გაემართა ბრუტუსისა და კასიუსის სახლების გადასაწვავად. მაგრამ დაცვის მიერ წინასწარ მიღებული ზომებით მათ ეს ვერ მოახერხეს და ამ დროისათვის ვერც საიდუმლო ადგილებში მიმალული შეთქმულნი

იპოვეს. ამ დროს მათ შემთხვევით შემოაკვდათ პოეტი ღა 44 წლის სახალხო ტრიბუნი გაიუს ჰელვიუს ცინა, ცეზარის ახლო მეგობარი. საქმე იმაში იყო, რომ შეთქმულთა შორის მართლაც იყო კორნელიუს ცინა, 44 წლის პრეტორი, და როდესაც ცეზარის მკვლელების მძებნელებს ჰელვიუსი შემოხვდათ, ვიღაცამ იყვირა: ეს „ცინააო" და ბრბომაც იმ წუთში აკუწა იგი. ჰელვიუს ცინას თავი მარბევლებს ქალაქში დაჰქონდათ ჯოხზე წამოცმული. შეთქმულები დარწმუნდნენ, რომ ასე სტიქიურად აბობოქრებულ ხალხში მათ რომში აღარ ედგომებოდათ. ამიტომ ჯერ ქალაქგარეთ გაიხიზნენ, შემდეგ კი პროვინციებში მიმოიფანტნენ და იქ დაიწყეს ჯარების შეგროვება ანტონიუსის, ლეპიდუსისა და სხვა ცეზარიანელთა წინააღმდეგ, რომელნიც იმ დროისათვის რომში ისევ გამაგრდნენ ხელისუფლების სათავეში.

ტრაღიკულად დაღუპულმა ცეზარმა სიკვდილის შემდეგ კვლავ დაიბრუნა თავისი ძველი დიდება. როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, სენატის დადგენილებით ცეზარს ენიჭებოდა უველა ღვთიური და ადამიანური პატივი და ღმერთთა შორის ჩარიცხული იქნა არა მხოლოდ დადგენილებით, არამედ ხალხის შინაგანი რწმენითაც. ფორუმზე, სადაც ცეზარი დაწვეს, შემდეგ აღმართეს ოცი ფუტის სიმაღლის მარმარილოს სვეტი წარწერით: „სამშობლოს მამას". აქ სწირავდნენ მას მსხვერპლს და მისი სახელის დაფიცებით აწესრიგებდნენ დავას. პომპეუსის თეატრის ის დარბაზი, სადაც ცეზარი მოკლეს, დაწყევლეს და ამოქოლეს, 15 მარტი მამის მკვლელობის დღედ გამოაცხადეს და აკრძალეს მომავლისათვის ამ დღეს სენატის სხდომის მოწვევა.

რომში ცეზარიანელებსა და შეთქმულებს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა ცეზარის ნაშვილები, 19 წლის გაიუს ოქტავიანე. საბერძნეთიდან იტალიაში დაბრუნდა. ოქტავიანე, მიუხედავად ახალგაზრდობისა, საკმაოდ მოქნილი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მან გამოიყენა ანტონიუსის მომხრეებსა და სენატს შორის არსებული წინააღმდეგობანი. ჯერ სენატსა და ციცერონს დაუკავშირდა ანტონი-

უსის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ანტონიუსისა და ლეპიდუსის მხარეზე გადავიდა. ოქტავიანეს არც ანტონიუსის გამარჯვება აწყობდა და არც სენატისა, ამიტომ ცდილობდა მათი ძალები ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იქამდე დაებანდებინა, ვიდრე იგი თვითონ მოიპოვებდა საკუთარ დასაყრდენს და თავს მოუყრიდა მათზე უფრო მეტ ძალებს. ამით აიხსნება და ოქტავიანეს პოლიტიკის მეტად მოძრავი ამპლიტუდა.

ციცერონს, რომელიც პირველ ხანებში ოქტავიანესგან რესპუბლიკის აღდგენას მოელოდა, მალე გაუცრუვდა იმედი. გულგატეხილი 44 წლის 17 აპრილს სწერდა ატიკუსს: „ტირანი დაეცა, მაგრამ ტირანია ცოცხლობსო“. ამიტომო, წერს იქვე ციცერონი, სიკვდილი ათასჯერ უკეთესია, ვიდრე აიტანო არსებული მდგომარეობა, რომელიც როგორც მე მგონია, ხანგრძლივი იქნებაო. ციცერონისათვის ნათელი გახდა, რომ არავითარი სხვაობა ანტონიუსისა და ოქტავიანეს პოლიტიკურ კრედოში არ იყო, რომ ორივე საბოლოო ანგარიშით ცეზარის გზას მიჰყვებოდა და ერთმმართველად გახდომას ცდილობდა. ამიტომ ციცერონმა ჯერ ანტონიუსზე და შემდეგ ოქტავიანეზეც მიიტანა იერიში. ანტონიუსის წინააღმდეგ მან თოთხმეტი სიტყვა წარმოთქვა, რომელთაც „ფილიპიკები“ უწოდა[1]. სწორედ ამ „ფილიპიკებმა“, როგორც ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, მოუღო ბოლო ციცერონს.

მუტინასთან გამართულ ბრძოლაში (43 წ. აპრილი) იმ წლის კონსულებთან ერთად ანტონიუსს ოქტავიანეც ებრძოდა. მიუხედავად ამისა, სენატმა აშკარად დაიწყო ახალგაზრდა ოქტავიანეს იგნორირება. ცეზარის მკვლელებიდან მარკუს ბრუტუსს საგამგებლოდ მაკედონია მისცა, კასიუსს — სირია,

---

1 მაკედონიის მეფე ფილიპე II (ალექსანდრე მაკედონელის მამა) ცდილობდა საბერძნეთამდე თავისი მონარქიული ძალაუფლების გავრცელებას. მას ებრძოდა ანტიმაკედონური პარტიის მეთაური დემოსთენე, რომელმაც ფილიპეს წინააღმდეგ მიმართულ თავის სიტყვებს „ფილიპიკა“ უწოდა. ახლა ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართულ თავისი სიტყვებისათვის „ფილიპიკების“ შერქმევით ციცერონს უნდოდა ანტონიუსი „შინაურ ფილიპედ“ წარმოედგინა, რომელიც ძარალის ძალით ცდილობდა რომაელ ხალხზე მონარქიული ძალაუფლების დამყარებას.

პომპეუსის შვილი, სექსტუსი ფლოტის მთავარსარდლად დანიშნა, ოქტავიანეს კი უარი უთხრა როგორც კონსულად მისი კანდიდატურის წამოყენებაზე, ისე მუტინის ბრძოლაში მის ხელქვეით მყოფ ჯარისკაცთა დაჯილდოებაზე. ამიტომ 43 წლის აგვისტოში ოქტავიანემ მუტინადან თავისი ლეგიონებით რომზე გამოილაშქრა. ქალაქი უბრძოლველად აიღო, თავისი თავი, კვინტუს პედიუსთან ერთად ხალხს კონსულად „აარჩევინა“ და გაატარა კანონი ცეზარის მკვლელების საშშობლოს მტრებად გამოცხადების შესახებ.

ამავე დროს ოქტავიანე ანტონიუსსა და ლეპიდუსს დაუკავშირდა, რომ ნარბონიის გალიიდან, სადაც ისინი მაშინ იმყოფებოდნენ თავიანთი ჯარებით წამოსულიყვნენ რომისკენ, თვითონაც მათთან შესაერთებლად გაემართა და ციზალპიის გალიის სამხრეთ ნაწილში ქალაქ ბოლონაში შეხვდა მათ 43 წლის ნოემბერში. აქ ოქტავიანეს, ანტონიუსისა და ლეპიდუსის შემადგენლობით 43 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში შეიქმნა, შემდეგ ისტორიაში გახმაურებული, მეორე ტრიუმვირატი. პირველი ტრიუმვირატისაგან განსხვავებით ეს მეორე ტრიუმვირატი ოფიციალურად იქნა დამტკიცებული სახალხო კრებაზე ტრიბუნ პუბლიუს ტიციას მიერ გატარებული კანონით. თანახმად ამ კანონისა, ტრიუმვირები ხუთი წლით იღებდნენ შეუზღუდავ უფლებებს სახელმწიფოს საქმეთა მოსაწყობად.

ტრიუმვირების პირველი ღონისძიება იყო პროსკრიპციების შემოღება, რომელთაც იმსხვერპლეს დაახლოებით სამასი სენატორი, ორი ათასი მხედარი და მრავალი სხვა. პროსკრიბირებულთა სიაში ერთ-ერთი პირველი „ფილიპიკების“ ავტორი მარკუს ციცერონი შეიტანეს. პლუტარქეს გადმოცემით, ოქტავიანეს, ე. ი. ცეზარს არ უნდოდა ციცერონის მოსპობა, მაგრამ ანტონიუსი დაჟინებით მოითხოვდაო. როცა ტრიუმვირები პროსკრიბირებულთა სიას ადგენდნენ, წერს იგი, „პირველი ორი დღის განმავლობაში, ამბობენ, ცეზარი თავგამოდებით იბრძოდა ციცერონისათვის, მაგრამ მესამე დღეს დათმობაზე წავიდა და გასწირა იგიო. მსხვერპლი, რომელიც სამეულში განა-

წილდა, ასეთი იყო: ცეზარი ხელს იღებდა ციცერონზე, ლეპიდუსი სწირავდა საკუთარ ძმას — პაულუსს, ანტონიუსი კი — პიძას დედის მხრივ, ლუციუს ცეზარს. აი, ამგვარად — ამბობს პლუტარქე, დააკარგვინა ამ ხალხს ადამიანური განსჯის უნარი რისხვამ და მორეულმა ცოფმა. ამით უფრო ის დაამტკიცეს, რომ არც ერთი მხეცი არაა იმ ადამიანზე მეტად მძვინვარე, რომელიც ძალაუფლებით აღჭურვილია და ბოროტი ვნებების დაოკება სურს".

მეტად გულამაჩუყებლად და ამავე დროს გაბედულად არის დაწერილი ოქტავიანე ცეზარისადმი მიმართული ციცერონის უკანასკნელი წერილი. წერილის დაწერის დროს ციცერონმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ის სიკვდილმისჯილთა სიაში იყო. „რადგან მდგომარეობა მოითხოვს ამას, უახლოეს დღეებში წავალ რომიდან, — წერდა იგი. — მე ვიცავდი რომს, რომ ის თავისუფალი ყოფილიყო და არ შემიძლია ვუყურო მას დამონებულს. მე წავალ ამა სოფლიდანაც, თუკი ეს სახელმწიფოს სარგებლობას მოუტანს". ციცერონი გულისწყრომით სწერს ოქტავიანეს, რომ სენატმა ჯარით იგი თავისი მტრის, ანტონიუსის წინააღმდეგ გაგზავნა, ის კი სენატის წინააღმდეგ იარაღშემართული მობრუნდა უკან. „სად გაგგზავნეთ შენ? ვისგან ბრუნდები უკან? ვის წინააღმდეგ შეგაიარაღეთ შენ, ვის წინააღმდეგ ფიქრობ იარაღის მიმართვას? ვისგან მოგყავს ჯარები? ვის წინააღმდეგ აწყობ მათ?..."

ციცერონი ოქტავიანეს სწერს, რომ სენატს ასე უმადურად არ უნდა მოქცეოდი, რადგან სენატმა შენ ყველაფერი ადრე მოგცა, ვიდრე მოელოდი და მეტი მოგცა, ვიდრე ფიქრობდი. ასაკის მიღწევამდე სენატში შეგიყვანეს, იმპერატორობა მოგცეს და ქანდაკება ფორუმზე დაგიდგესო. მაგრამ ოქტავიანემ სენატის წინააღმდეგ მახვილი აღმართა იმის წასართმევად, რასაც სენატი მას ნებაყოფლობით არ აძლევდა... ეს იყო ერთმმართველობა.

სულიერად დაცემულ ციცერონს სიკვდილი თითქმის ერთადერთ გამოსავლად ეჩვენებოდა. წერილის ბოლოს ციცერონი წერს, რომ იქ, საიქიოში, ის ამბავს მიუტანს პუბლიუს დე-

ციუს მუსს, რესპუბლიკის პირველ კონსულ ბრუტუსს, რომელმაც რომში ადრე მონარქია დაამხო და რომის დიდებისათვის მებრძოლ სხვა ადამიანებს, რომ ხალხი, რომელიც წინათ ვერ ითმენდა მეფეებს, ახლა ჩავარდნილია მათ მონობაში, და რომ თვითონ იგიც ამ მონობას სიცოცხლეზე ხელის აღების ფასად გამოექცა.

ციცერონის ეს უკანასკნელი წერილი ერთგვარად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან თვითონ კი არ მოისწრაფა სიცოცხლე, არამედ მოუსწრაფეს იგი. როცა ციცერონმა შეიტყო, რომ იგი სიკვდილმისჯილთა სიაში იყო შეტანილი, გადაწყვიტა თავის ძმა — კვინტუსთან და ძმისშვილთან ერთად მაკედონიაში გაქცეულიყო. მაგრამ არ აცალეს, 43 წლის 7 დეკემბერს ქ. კაიეტაში მოკლეს და მისი თავი და ხელები რომში ანტონიუსს ჩამოუტანეს. ციცერონის თავი და ხელები შემდეგ იმ საორატორო კათედრაზე დააწყვეს, საიდანაც წინათ ძველი ქვეყნის ამ ოქროპირს ხშირად უფრქვევია ცეცხლი რესპუბლიკის დასაცავად იმ ტირანიის წინააღმდეგ, რომელმაც ახლა იგი უთავოდ ჩაუშვა საფლავში. თავის შვილთან ერთად მოკლული იქნა გალიის ომის ვმირი — ციცერონის ძმა კვინტუსიც.

როდესაც იტალიაში ტრიუმვირებმა სიკვდილის ეს საშინელი ტალღა გადაატარეს და რესპუბლიკელთა ნაღები წალეკეს, მათ მაკედონიაში ბრუტუსისა და კასიუსის მიერ თავმოყრილი ჯარების წინააღმდეგ გაილაშქრეს. 42 წლის შემოდგომაზე მარკუს ბრუტუსი და კასიუსი დამარცხდნენ და თავი იმავე მახვილებით განიგმირეს, რომლითაც მათ ორი წლის წინ ცეზარი მოკლეს.

ცეზარის მკვლელთაგან არც ერთს სამ წელზე მეტი არ უცხოვრია და არც ერთი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა.

მეორე ტრიუმვირატმა საბოლოოდ გზა გაუკაფა ოქტავიანე ცეზარის გამარჯვებას, რომელმაც რესპუბლიკა მხოლოდ ფორმით შეინარჩუნა. მან შექმნა ფორმით რესპუბლიკური და ში-

ნაარსით მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც ისტორიაში პრინციპატი ეწოდება.

ასეთი წვალებით, მსხვერპლითა და სისხლით დაიბადა რომის რესპუბლიკიდან რომის იმპერია. ამ დაბადებას ორივე მებრძოლი ბანაკიდან შეესწირნენ იმ დროინდელი რომის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები. ასეთია კლასობრივი საზოგადოების ისტორიის ცხოვრების კანონი, როცა ახალ სოციალურ ორგანიზმს ის მხოლოდ სისხლის დაღვრით აძლევს სიცოცხლის უფლებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რომის რესპუბლიკის დაცემისა და მონარქიის წარმოქმნის ძირითადი მიზეზები . . 15
ცეზარის ბავშვობა და ყრმობა . 29
ცეზარი ქვესტორის თანამდებობაზე 43
ცეზარი—ედილი 46
ცეზარი და კატილინას შეთქმულება . . 49
ცეზარი უმაღლესი ქურუმი და პრეტორი 55
პომპეუსი და კრასუსი 60
პირველი ტრიუმვირატი 69
ცეზარი კონსული 77
გალია ცეზარამდე და ცეზარის დროს 86
რომის არმია 90
ცეზარის ომები გალიაში (58-54 წწ.) 100
ცეზარი და გალიის დიდი აჯანყება 124
პოლიტიკური ვითარება რომში ცეზარის გალიაში ყოფნის დროს (58 49 წწ.) 131
სამოქალაქო ომის დასაწყისი პომპეუსის გაქცევა რომიდან . 143
ფარსალის ბრძოლა და მისი შედეგები . 151
ცეზარი და ალექსანდრიის ომი 173
ცეზარის ბრძოლა მითრიდატეს შვილის ფარნაკეს წინააღმდეგ 179
ცეზარის ბრძოლები აფრიკაში 182
ცეზარის ბრძოლები ესპანეთში პომპეუსის შვილების წინააღმდეგ 189
ცეზარის დიქტატურა და მონარქიზმი . 191
შეთქმულება ცეზარის წინააღმდეგ და მისი მოკვლა 206

რედაქტორი ნ. ლომოური
გამომც. რედაქტორი შ. დარახველიძე
მხატვარი გ. დიკე
მხატვ. რედაქტორი თ. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი გ. მეტრეველი
კორექტორი ნ. მიშელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII 61. ანაწყობის ზომა 5½×9.
ქაღალდის ზომა 84×108¹¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 14,25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,4

უე 00470 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 1010

ფასი 50 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ., № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, № 14.